


ცისკარი

www.opentext.ge/tsiskari

სამსაჯვართ სალიცრატორტო შერთნალი

3-4 | 2004





Գ
Ե
-

ცისკარი

დამფუძნებლები:

საქართველოს მწიგნობართა კავშირები

ქართულ „ცისკარის“ ბრუნვა

www.opentext.ge/tsiskari

3-4 | 2004

მთავარი რედაქტორი:

ზაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბალათერ არაბული

ლევან მალაზონია

ელზა მეტრეველი —
მთ. რედაქტორის მოადგილე

მიხომოსულიშვილი

მხატვარი:

გიორგი წერეთელი

ტიქერედაქტორი:

ზიული სირაძე

გამომცემელი:

ლევან თითქერი

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

შინაარსი

პოეზია, პროზა

- 3. ნინო სიხარულიძე. ლექსები
- 7. ბესო ხვედელიძე. ლბილი სევდის დედა. კინოპოემა
- 47. ზურაბ ლობჯანიძე. ლექსები
- 54. ჯარჯი ფხოველი – 60. ხელის-გულის ანაბეჭდები
ზაურ კალანდია. სიტყვები სიტყვების შესახებ
- 59. ლელა არაბული. ლექსები
- 62. ნინო კალანდია. ლექსები
- 65. ოთარ წურნუშია. პუმპუ. რომანი. გაგრძელება
- 82. ცირა ბარბაქაძე. ლექსები
- 86. დავით ჯავახიშვილი. ორი მოთხრობა
- 91. ვაჟა ზორნაული. ლექსები
- 96. ნიკო ყიფიანი. კავკასიური სამყარო ქართულ სინამდვილეში.
მოთხრობა
- 99. თენგიზ სვანიძე. ლექსები
- 103. ნანა ქარდავა. სიკვდილი სხვა დროს. მოთხრობა
- 106. გიორგი მეტრეველი. ლექსები
- 110. ზაურ კოდუა. მოთხრობების ციკლიდან „ხატება ნინაპრისა“

ახალი თარგმანები

- 121. სერგეი დოვლატოვი. ზონა. რომანი. დასაწყისი.
თარგმნა ჯუმბერ თითქერიამ

წერილები

- 142. ქეთევან თავიშვილი. ნაცნობისა და უცნობის ზღვარზე
- 146. ზაზა ცოტინაშვილი. კონფლიქტის კონტურები პრესაში
- 148. დეა ნარმანია. პომეროსის ეპოსი და კონსტანტინოს კავაფისის
პოეზია

ანექდოტები ზოგიერთებისთვის

- 150. ნიკოლაი ფილიპოვსკი. ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ...
თარგმნა ელზა მეტრეველმა

စာပေ





ნინო სისარულიძე

●
თბილი თოვლი, ცივი ცა—
— ფიქრი შენკენ გამეცა...
დღე მთვარისკენ გარბოდა,
საღღაც ქროდა ღამეცა.

აქ კი არა, წარსულში
წრიალებდა მზერა და
გახუნებულ, ნაწამებ
წამებს მზისფრად ფერავდა.

აქ კი არა, წარსულში
ელვარებდა სანთელი,
ბაგეს ემატებოდა
სიტყვა, შენთვის სათქმელი,

ნატვრა — შენთვის ნანატრი,
ფიქრი — შენთვის ნაფიქრი,
ტალღასავით გამისხლტი
და ფოფქივით გამიქრი —

მერე უცებ დასრულდა
აპრილი და მაისი,
დარდისფერად დარდობდა
თეთრი ედელვაისი,

საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთეკა
გამგზავნილია



მერე გულიც დაობლდა
 - უნდო, აღარავისი.
 ქარი გაქრა,
 განქარდა რია-რია ღრუბლების,

ღამემ ფეხი შირთხა
 და შეც ჩავიმუხლები
 ხაოიან კედელთან,
 ჩიტბატონას ბუღესთან,

არცა ავტირდები და
 არცა გავიბუტები,
 ოღონდ ღონემიხდილმა
 (და სიცოცხლემიხდილმა)

მინც უნდა ვიკითხო,
 მინც უნდა გავებლო:
 - ბელო, ბელო, შავებელო,
 - საით ჩემი საბელო?!
 ...თბილი თოვლი, ცივი ცა,
 ფიქრი შენკენ გამექცა.

•
 ერთი, ორი, სამი და...
 მზე ზოხინით ჩავიდა,
 მთვარემ სხივი ათილისმა
 ღრუბლის ნიღვარიდან.
 ქარდაქარ რომ მოვფრინავდი
 ცის ამფითეატრიდან,
 ნიავქარმა მიჰქარა და
 მოთქმა იწყო თავიდან,
 არცა ჩემი, არცა შენი
 თხოვნა აღარ გავიდა,
 ერთი, ორი, სამი და...

დედამიწა წავიდაა,
 იწრიალა, იწრიალა,
 არ შეჩერდა წამითაც -
 - რაც მსურდა, ვერ მოვასწარი,
 რაც მოვასწარ, არ მინდა!
 ჩემს გაზაფხულს ვერ ველირსე,
 მწკავდა ცეცხლის ალი და...
 თვალმა თვალი ეძება და
 თვალი ვერ აარიდა -
 - ერთი, ორი, სამი და...
 სული ზეცად ავიდა.

•
 რაღა ადარდებს მაგდალინელს - იხილა ქრისტე,
 მხილველის გული გასაოცარ სასწაულს იტევს,
 შენ კი მღუმარე ბაგეს შენსას დაადე კლიტე
 და ცოდვის შენის სანახები საღმობით ჭვრიტე.
 ჭორ-მართალს ქვეყნის ნუ აჰყვები,
 ტყუის ყოველი,
 იყუჩე, ჩემო, და დანლობას ნულარ მოელი,
 უკვე დასრულდა საიდუმლო ესე სერობა
 და ღმერთს ღმერთობა მოეწყინა,
 ლუციფერს კი ლუციფერობა.
 ...და მინც იქნებ ცისარტყელამ გაიშვიდფეროს,
 ნიშნად შენდობის ივალობონ ოსანა ნელი,
 თორემ ბინდდება, ირინდება ცა, ირიბდება
 და მგლოვიარე მაგდალინელს უშრება ცრემლი.



ქეთევან თავდიშვილი

ნაცნობისა და უცნობის ზღვარზე

ბევრი როდია ისეთი, ვინც შემწხსა და მეობს ლიტერატურაში დაიძებნა, ვისთვისაც პურ-წყალოვით აუცილებელია ნიგნი, კრიტიკულ-ესეისტური წერილები. მწერლობისმოყვარულთა შორის გახლავთ ქალბატონი თამარ პაიჭაძე – უნივერსიტეტული მკვლევარი, სტუდენტთა საყვარელი მასწავლებელი. წლების მანძილზე დაგროვებული წერილებისა და გამოკვლევებისგან ავტორმა შეადგინა საკულისსმო ნიგნი „ლიტერატურული წერილები“. ნინასიტყვაობაში კრებული ს რედაქტორი რევაზ მიშველაძე აღნიშნავს: „თამარ პაიჭაძეს გაკვალილი გზით არ უვლია. კრიტიკოსთა ნაცად გზას შეგნეულად აუარა გვერდი და სცადა, იმგვარი საკითხები განათებინა მკვლევარ-ფილოლოგის ლამარით, რომელთა შეფასებამაც ლიტერატურათმცოდნეს ნინამორბენი თითქმის არ ჰყოლია“.

თავმოყრელ წერილებს თან ახლავს ავტორის სიტყვა, სიყვარული, პატივისცემა XX საუკუნის მართლაც საამაყო სახელთა მიმართ. ფიქრობთ, ამგვარი განწყობა გადამდებია და მკითხველსაც დადებითად მუხტავს.

ნიგნში წარმოდგენილი პირველი სამი წარკვევის ძირითადი ლერძი ქალია. ესენი არიან: მერი შერვაშიძე, ელენე ბაქრაძე, თამუნა წერეთელი. სამივე ბანივანი სილამაზითა და სანატივით ყოფილა გამოჩრქვული. ეს ის სამი რეალური და არსებული მანდილოსანია, რომელთა სილამაზე, ავტორის ფიქრით, შემოქმედებით აღტკინებას დასდებია საფუძვლად და გალაკტიონის, ტიცინიანისა და პაოლოს მუზეზად ქცეულან.

ავტორისავე მოსაზრებით, რუსეთის დუმის წევრის – პროკოფი შერვაშიძის ასულს, ვარდა გალაკტიონისა, სხვაც ბევრი მოუხიბლავს; მისი სინატივის ტლოზე გადმოტანა უცდიათ ლაღა ვუდიანოვილს, მარ რივისა და საველი სორინის, გოლინდაც ეს სურათები მხოლოდ გარეგნულ იერსახეს გვიჩვენებს; გალაკტიონმა სხვა თყვანისმცემლებს იმით აჯობა, რომ თავისი ლექსებით მერის შინაგან მომზიბელობასაც ვგაზიარა. მკვლევარი წერს, თითქმის შერვაშიძისთვის კის ფაქტი, რომ მასზე პოეტს ლექსებს წერდა, ძალიან უცნო და გასაკვირი არ იყო... მაგრამ, ეტყობა, ვერც მან ვააცნობიერა ერთხელ უკვე ხსენებული ფაქტი – იგი პოეტს უყვრდა და თანაც გალაკტიონ ტაბიძეს, ეს კი, რასაკვირველია, უკვდავებას ნიშნავს“.

ლიტერატურა იცნობს იმგვარ ფაქტებს, როდესაც შემო-


ქმენი რამდენიმე წლით ადრე იწინასწარმეტყველებენ ხოლმე მომავალს. გალაკტიონისთვისაც არ უღალატია ინსტიციას, როცა 1915 წელს დაწერა ცნობილი ლექსი „მერი“, სადაც შეყვარებულის ჯვრისწერა სხვა მამაკაცთან წარმოიდგინა და რითაც „საბოლოოდ დაუსვა წერტილი საკუთარ სიხარულს, იმედსა და ბედნიერებას“. 1918 წელს კი ქუთაისის შთაფარანგელოზის ეკლესიაში მართლაც შემდგარა ჯვრისწერა ნიკოლოზ მეორის ფლოგელადიუტანტ გიგუმა ერისთავსა და მერი შერვაშიძეს შორის. მთელი ქუთაისი აღტაცებული დარწმუნდა ამ ორი „გვერტის“ სილამაზით, პოეტისთვის კი, როგორც მკვლევარი დასძენს, „დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა“.

რაც აქამდე ამ საკითხზე ქმნა თამარმა ბრძანა, სამართლიანიც არის და არც არის. სინამდვილეში კი ის გახლავთ, რომ ფაქტობრივად მართლაც ბევრი რამ ისე მოხდა, როგორც ზემოთ ნარმოჩინდა, ოღონდ, როცა გალაკტიონის მერის თაობაზე ვსაუბრობთ, მუდამ უნდა გვახსოვდეს ერთი უცილობელი რამ: საერთოდაც რომ არ არსებოდა კონკრეტული პროვინცია მერი შერვაშიძე, გალაკტიონის მერი და მერის ციკლის ლექსები მაინც გაჩნდებოდა. იგი იარსებებდა სწორედ ისევე, როგორც იტალიელ მგოსანთა შედევრები სანტა მარიაზე, როგორც ბაირონის, ჰუმკინისა და სხვათა მერი, ალ. ბლოკის მშვენიერი ბანივანი... აღნიშნულის შესახებ იხილეთ აგრეთვე ა. გომბართელის წიგნი ქართული სიმბოლისტური პროზაზე და მასზე მ. თავდიშვილის რეცენზია). ამიტომაც ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია ავტორის მომდევნო მსჯელობა, სადაც მართებულად არის მითითებული, რომ გალაკტიონის პოეზიაში მერი მარტოოდენ რეალური არსება, კონკრეტული ქალი კი არ არის, არამედ მას რელიგიურ-ქარაგმული გამოხატულებაც მოეპოვება – ის გახლავთ „ღვთისმშობლის განასიერება, ღვთისმშობლის სახის ემანაცია.“ შელის, ბაირონის, ბლოკისა და სოლოვიოვის პოეტურ მსოფლმხედველობათა მსგავსად ერთგვარად ნამოლილი ზღვარი რეალურ ტრფობასა და, ღვთაებრივ ტრფივლებას შორის. კარგი იქნებოდა თუ ამ უცხო სახელებს ავტორი დაამშვენებდა გერამიშვილის „ზუბოკეთი“, სადაც ზღვარ-ნამოლილმა რეალურ ირაციონალურ ტრფივალუბას შორის საუკეთესოდ არის დადასტურებული. ამ მხრივ ლექსი საქრესტამათია.

ავტორი „მერის“ დაწერის რამდენიმე ვარიანტს გვთავა-

თაენება თოვლმა, გვიან მოსულმა.
 ...და მაინც ბრუნავს, მიწა რომ ჰქვია,
 თაეწვეტილი რბიან წუთები,
 ისევ შეწვია გუშინ მზეწვია,
 მითხრა: - წარსულში ნუ დაბრუნდები!
 აღარ,
 აღარ დაგათოვს სიმართლე ჩემი არასდროს,
 აღარ,
 აღარ ჩამოვიდლები
 ღამისთევებიდან ღამისთევამდე.

●
 ლექსებად ამოკვირებული,
 კვირტებად ამოლექსილი,
 ტოტზე შესკუპდა აარილი -
 ბედნიერების კექსილი.





ბესო სვედელიძე

ღბილი სვედის დედა

(კინო პოემა)

„...ჩენი აქ ყოფნა სიკვდილია და, ვტოვებთ რა აქაურობას, მხოლოდ მაშინლა ექნებოთ სიცოცხლეს...“

მიხაელ ლაიტმანი. „კაბალა“

რას ამბობს ადრიაინი დილა?
იქნებ ზღვისპირა მალეობზე მდგარ სუროთი დაფარულ იორსართულიან სახლს?
ან იქნებ სახლის მეორე სართულზე ამაველ რკინის ხეულ კიბეს, ხის კართან რომ სრულდება?
და იქნებ კოკას მღვრიედ წყლიან თვალებს, დაკვირვებით რომ აყურებენ სახლს?
ან იქნებ კოკას მარჯვენა ხელს, შარვლის ჯიბიდან მომცრო, ოქროსფერ გასაღებს რომ იღებს?
და სულაც იქნებ სახლის კიბეზე კოკას ფრთხილ, კატისებურ ასვლას?

გასაღებს კარის ჟანგიან კლიტეს ვარგებ. გადატრიალებს ვცდილობ. არაფერი გამომდის. მთელ ძალღონეს ვიკრებ. ლამის გავსკდე, ისე ვცხვლდები. თავში თითქოს ჭიანჭველები დამიდიან. ვეჯაჯგურები. მაინც ვერაფერი. მორიგი დაჭიდებისთვის ვისუნთქავ პაერს.

- შე გაგადებ! - მესმის უცებ ქვემოდან. ვერკვევი. მოაჯირზე გადაყუდებულ თეთრწვერა მოხუცს ხედავ. თეთრ ანაფორაში ფეხშიშველად მდგომსა და უკბილო ღრძილებით მოდიმარს ხელში სქელი ბანარია უჭირავს, რომელზეც შავი ღორია გამომბული.

- გამარჯობა. - ნარბშეკრული გზურჩულებ ჩემთვის. მოხუცი ბანარს კიბის სახელურს ახვევს და ამოდის.

ამოდის დიდხანს - თითქოს საათის, სულაც როდის ვერ-ის. შესაძლოა ყველასიც ერთად - ყველა ფერი რომ ერთმანეთში ატყლიზნო, აურიო, აზილო... მერე ღრიჭოში გაჩრილ გასაღებს დაკორძილ თითებს აუღებს და ძალიან იოლად ატრიალებს. კარს დამჭკნარ ხელისგულს ჰკრავს და ისიც გულისგამანვრილებელი ჭრიალით იღება.

- საწყალი ანწუშა! - ჩიფჩიფებს მოხუცი და კვლავაც უკბილო ღიმილით მბურღავს.

წერწყვის გადაყლაპვას ვცდილობ. საშინლად მსუყეა წერწყვი. ძლივს ვახერხებ. მოხუცი კი თვალს არ მაცილებს. არც ახამხამებს. სუნთან ერთად თვალბეჭ თითქოს იმ ფერის აქვს - ყველა ფერი რომ ერთმანეთში აზილო, ატყლიზნო, აურიო... მერე ზღურბლზე აბიჯებს და ბინაში შედის.

- ბოდიში... - გაკვირვებული ჯერ კიბის სახელურს ჩაბმულ შავ ღორს ჩაყურებ. მერე რიგრიგობით ვიჭეჩავ მზრებს და მოხუცს მივყვები.

ის ბნელი შემოსასვლელიდან გამავალი ორი თეთრი კარიდან ერთ-ერთში შედის, კედელზე ხელს აცურებს და ჩამორთველს პოულობს. ოთახიც ბაცი ყვითელი შუქით ნათდება.

- აქ სამზარეულო ჰქონდა ანწუშას. - ამბობს მოხუცი და გაზჭურისკენ ბრუნდება. - აგერ ვაზია. - თან ანაფორის ჯიბიდან ასანის იღებს, ვაზს ანთებს და სტაფილოსფერ ალს დაკორძილ თითებს უშვერს. - აგრილდა დღეს რაღაც...

- დიას. - ვუწნევ თავს. - და აქ რა იყო? - ვუთითებ იქვე მდებარე ცარიელ ადგილზე.

- მანდ აბანო ჰქონდა ანწუშას... აბაზანა წაიღეს... ე, ზუსტად აქ იდგა...

- ვინ წაიღო?

მოხუცი არ მპასუხობს და ოთახის ყველაზე ბნელი კუთხისკენ ტრიალდება.

- აგერ უნიტაზია. - მოხუცი ზემოდან ჩამომგებულ გრენილ ჯაჭვს ექაჩება. უნიტაზში წყალი ხმაურით ჩარბის. მოხუცი თავს უქმაყოფილოდ აკანტურებს, სამზარეულოდან გადის და ბნელი შემოსასვლელის გავლით კიდევ უფრო დიდ ოთახში მყოფს თავს.

შუა ოთახში დამტკვრილსარკინიან ტუმბო და დაბალა, სამუფხა სკამი დგას.

- ნახატები უყვარდა ანწუშკას... - ჩიფჩიფით უახლოვდება მოხუცი ოთახის უფანჯრო კედელს. კედელზე ლიუდვი შპალერი აკრული, რომელსაც ალაგ-ალაგ დაიწვინა ოთხკუთხა ლაქები ეწმინკა.

- ისე, თქვენ ხომ არ ნახათ? - იხედება ჩემზე მოხუცი და ისე უსვამს კედელს ხელს, თითქოს კატას ეფერებოდეს.

- მე? - ვიმორცხეზე ჩემდა უნებურად.

- ეს კედელი ფანერისა... მანყვეტიანებს მოხუცი და კედელს მოკაკულე თითს უკაკუნებდა. - იქიდან მე ვარ. - და ეს სარკე რატოა აქ? - ვტრიალდები სარკიანი ტარბუზისკენ.

- ყველაფერი „რადიაციით დაზარალებულთა დახმარების ფონდმა“ წაიღო... ეგ სარკე და ტაბურეტკა ვერარ ჩატიყვ და დაღოვებს... მაგათაც წაიღებენ.

- ააა... - ვაქნებ თავს და სარკესთან მისული მტვრიანი ზედაპირს თითს ვუსვამ. მერე თითზე ეიხედები, სულს ვიბრავ და შარვალზე ვინმინდა.

- საწყალი ანწუშკა... - ჩიფჩიფებს მოხუცი. - მარტო ვერ ძლავდა ბოლო ხანებში... მით უმეტეს რეაქტორის აფეთქების შემდეგ... მე მიძახოდა ხოლმე... მერე შუქდოლო შექნა და სულ ჩანდა... სულ ბოლოს საერთოდ გადაიარა... ზღაპრები მუყუყარდა... და მეც ვუყვებოდი... - დაიხ.

- მთელი ღამეები კენესოდა და აბოდებდა... თან ფერიც აღარ ედო - რადიაცია შლიდა შიგნიდან... ჩემთან კარგად გამოდის ხმა... მთელი მეზობლობა შეწუხებული იყო. ყველანი ვუვლიდით და მაინც ვერაფერი... ანდა რას წამოვლიდით, ყველა იქით იყო მისახვედი... ბუხბუხით წყვდობდნენ... კი უნდა ვახსოვდე - ქუჩაში ვარდებოდნენ... ანწუშკა კიდევ ბოლოს სულ მიიღო... ა, ახხელა გახდა. - ხელისკულებს ოდნავ ამორებს ერთმანეთს მოხუცი. - ვეღარც ინმეროდა, ვერც ლაპარაკობდა, კენესოდა მხოლოდ... მერე სუნი აუფილდა... შემოსვლა ჭირდა, ისეთი სუნი იდგა... საწყალი ანწუშკა, პატრონიც არავინ ჰყავდა ჩვენს მეტიც... ჩვენც არაფერს ვიშურებდით, მაგრამ რად გინდა... - მე არ ვიცოდი...

- ეგ არაფერი... საწყალი ანწუშკა... თქვენ ნათესავი ხართ, არა, ანწუშკასი?

- დიახ... შორეული.

- დაკრძალვის ხარჯები მაინც ფონდმა გაიღო. ვაფეციკ მაგათ წაიღეს... და გადმოსვლას როდის ავირებთ?

- ჯერ არ ვიცო... უნდა დავასუფთავო და მერე ალბათ...

- შო... ანწუშკასაც სულ უნდაღო, კარგად გაეკეთებინა... სულ... მაგრამ, ზეთის ერთხელ დაღერ-ისთვის რომ ეგრე დაგასვინა, რილას თავი გექნება ადამიანს?... მაშ... მხოლოდ ერთხელ დაღერისთვის... - მოხუცი კარისკენ იძვრის. - გავალ ანი მე, ლორი მყავს საჭმევი. ნაღდი იორკშირისაა. ვერ იტანს შიმშილს. დაბერდა ისიც... ადრე მინას სცილდებოდა, ტყეში იყო... ახლა კი... აა... იცვლება ყველაფერი... თუ რაზე გაგვიტყვებთ, კედელს ხელი შემოარტყით და ეგრევე აქ გაჯინდები.

- აუცილებლად...

უცეც მხოუცი ყოვნდება და თავს ჩემკენ ატრიალებს.

- ისე, ხედებით ალბათ ყველაფერს...

დაბნეული თავს უარის ნიშნად ვაწეკ.

- რას უნდა მივხედვ?

- სევდას... - ამბობს მოხუცი და ლამის ნაძლერებით განავგრობს. - რომელსაც არ ჰყავს მამა... რომელსაც ჰყავს მხოლოდ დედა... როგორც საწყალი დიდის... მისთ ცხოვრება მიდის... გახსოვთ ეს ლექსი?

ფიქრდები. თითქოს ვიხსენებ კიდევ რაღაცას,

თუმცა კონკრეტულს ვერაფერს და დარცხვენით ვბრთავს.

- ანდა საიდან, როცა... მოიცათ, და რომანი ოსტაბტზე არ გაქეთ ნაკითხული?

ისევე ფიქრდები და გახსენებას ცდებილობ, თუმცა მაინც არაფერი გამომდის.

- ხელმარჯვე ოსტაბტზე?

- ხელმარჯვეზე კი არა... - იმრიზება მოხუცი. - რა თაობა წამოვიდა მაინც! სად იყვნენ ადრე ეგეთები?... ყველაფრით ინტერესდებოდნენ, კითხვობდნენ... ამ საუკუნეზე მოგსპოთ თქვენ სულ... ექიმებდნენ და მოულობდნენ... - ამბობს მოხუცი და ზურგს მაქცევს.

კარამდე ვაცილებ. ზღურბლზე შეყოვნებული ისე უცნაური ღიმილით მიყურებს. მერე ტრიალდება და კიბეზე ჩადის. კარს ვხურავ და საკუთარ გულისცემას ვაყურებდები. მერე სამხარეულოში შევიდვარ და ანთებულ გაზს ვთიშავ. უნიტაზთან მისული ზეანჯარა ვიხსნი. დაძაბულობა მარდს უკანასკნელ ფენაშიც მისი დევს. წყალს ვუმუშებ და სინათლეს ვაქირო. დიდ ოთახში გასული მაღალ, დარაბებიან ფანჯარას ვუახლოვდები. მაღლობზე მდგარი სახლის ფანჯრიდან არემარე ხელისგულით ჩანს. უცებ ვავლებ თვალს სანამარეს და ზღვისპირას ჩემს მოლოდინში მჯდომ მაგდას ვხედავ.

თეთრი ბიკინები აცვია მაგდას და უხდება მაგდას თეთრი ბიკინები. პირიქითაც ცალკე თითქოს არც მაგდა არსებობს და არც თეთრი ბიკინები. მაგდას გვერდით დიდრონი, თეთრი ძალი მოკალათებულა. იქვე, ლოტოსის პოზაში ბებური ორკო ჩამჯდარა. შორიხალს სულაში მისი ორი ტიტლიცა ბაგეში თამაშობს. მოშორებით ბებური ვანოს საცხობებელი ვავიხეტი დგას. კიდევ უფრო შორს, რეპორტაჟიანი ბოძიანი, ოცამდე პირმნიშნად თმანარგავცენილი და საცირად მახინჯი ადამიანი ვერ ვაიხილავ. ფანჯარას ვშორდები. კიდევ ერთხელ, უცებ ვათვალიერებ ოთახს და სახლიდან გადვივარ. მეც უნდა მოუხუხე ზღვას.

რას ამბობს უზოუკლოდ ცარიელი ქუჩა? იქნებ საბარჯულიან მანქანას, ამ ქუჩაზე მდგარ ეკლესიასთან რომ ჩერდება?

და იქნებ კაბინიდან გადმოსულ, ტყევის პიჯაკში გამოეკერებოდა ორმოციოდ ნლის აზონილი ქერათმიან მამაკაცს, ეკლესიას რომ უახლოვდება?

ან იქნებ ხის მასიურ კარებს, რომელზედაც დიდი ბოქლოში შკიდა?

და იქნებ იმ დაკვირვებულ მზერას, ქერათმიანი ბოქლოში რომ ავლავ?

და სულაც იქნებ იმ უნიტაზი სინოუმეს, მთელს ქუჩაზე რომ სულევ?

ქერა გაკვირვებით იჩივებს მხრებს და ხელისგულეტი ტურქებათს მიაქცვს.

- მამა! - იძახის სუფთა საოპერო ტყეპით. სადაღც შორიდან, თითქოს ამის პასუხად, ყვავის ყრანტალი ისიხს. საბარჯულიანი მანქანის ფანჯარა ინევა და იქიდან ულუაღებგანზეკილი, ლოყებთათხალა და სათვალნიანი კაცი შკოფთს თავს.

- მამა! - იძახის ქერა კიდევ ერთხელ და კარს ხელს ამუშტავს.

- კილო უფრო ხმაშიალა შე გასაყვეციტი! - ურჩევს სათვალნიანი.

- ეფუფენი! - ერთი ოქტავით მაღლა ჭექს შეგულიანებული ქერა, მაგრამ მაინც უშედეგოდ. სულ სხვა შენიშობდა ქარს ყვირილნარევი საძირის



ექო გამოაქვს:

„ იცი თქვენ, რა გელით იმის გამო, რომ ქიმიური მონაწილის პრობლემა უზომო აღმოგჩანდათ ირასი ძირი მანკურული კანაფი და სახლში კიდევ ხუთი სამლიტრ-იანი ბანკა სასუფ ფხვიერი პაპიშითი?“

„ კარგი კანაფის გარეშე კარგი ბანკირი არ არსებობს, ბატონო... როგორ მოვატყუოთ და ვიძლიერო, ბატონო, შიგნიდან - მე თუ პაპიროსს არ შევახე ტუჩი, არც მოქმელი ვერ რამის და არც ამხსნელი!...“

„ მერე რა ეშმაკი გიძლის ხელს... აიღე ავერ ჩემი „მინი-ქემლი“ და თქვი!“

„ გმადლობო, ბატონო. მაგრამ მგე პაპიროსზე არ ვამბობ მე... პაპიროსი ჩემი მაქვს მე - საკუთარი: კარგი მანკინდობისა და კარგი სტუმრობისთვისაც. მოვწვევ ბატონო მერე იმას და თქვენც ვაგიზიზიზებებით... თქვენი პაპ არ მიცნობთ, ბატონო... იმ დანყველილ ატომურ სადგურში ვმუშაობდი თელი ცხობივრად და დავიჯერო აღარ მივთვინის მე მოსაწვევად ბლახაც კი?“

ქერა წინაშემდარი იქნევს ხელს და მანქანისკენ ტრიალდება.

-Прекрасно, но пусто! - ამბობს სათვალისანის მისამართით.

ნუ, რაია აი, ა?... რაია?... - ბუზღუნებს სათვალისანი. - სუ ჩვენ რავე უნდა გვაგზავნიდნენ ამისთანა მომსპარ ადვკალებში, ა?! ვინცბა უბედური კვდრებიზა ამდენი ბლაყუნი რაია?! პასიოლოკია აი, თუ რაცბა ჯანდაბაა?! ქერა პასუსხდა ისევ მხრებს იჩიჩავს და უცვბ ქუჩის ბოლოში თეთრ ანაფორაში ფეხშიშველად მომავალ თეთრმალბა მოხუცს ხედვას.

მოხუცს ხელში სქელი ბანარი უჭირავს, რომელზედაც შავი ღორია გამობული.

გაკვირებული ქერა ისევ ეკლესიას აპყურებს. მერე მოხუცისკენ ტრიალდება, რომელიც უკვე სულ რაღაც ორიოდ ნაბიჯშია მიხვან.

- ბაბუს გაუმარჯოოს!.. ბაბუ, ხომ ვერ მტყყვი, სად არის... - მხოლოდ ამ სიტყვების თქმას ასწრებს ქერა. დანარჩენს ეკლესიის საწვეკლოდან უცხამდალად ამოვირდნილო ზარის რეკა ახმობს. რეკვა ხმამაღლია და გამაყრუებელი. მოხუცი ხვედვდა. თითქოს ნაოჭებიც ურება შუბლზე. ცალი ნარბიცი ავად უთამაშებს. მერე საჩვენებელი თითი მკაცრად მიაქვს მშრალ ტუჩებთან. ზარის რეკა გრძელდება.

ნუ-ნაუ! ნუ-ნაუ!

მონაბუქ ქარს საიდანაც უკვე საბავშვო ტელეგადაცემა „В гостях у сказки“-ს მუსიკალური ქუდის მოტივი მოაქვს. ქერა მტკადა აქტიურად უესტებით ეკითხება მოხუცს რაღაცას. არაფერი არ ისმის - ჩქამიც კი. პასუსხდა მოხუცი ტუჩებიდან თითის მოუშორებლად უთითებს ქერას ბანირანი ხელით ცაზე.

ცა ცისფერია და უღრმობო.

ქერა მადლიერად უთათუნებს მოხუცს ხელს მხარზე, თან ცისკენ ამკერო ბანარია ხელზე მოერკავს ართმევს. ორივენი უესტების მორევში ირევიან. მერე ქერა მოხუცის შავ ღორსაც ვფერება და მანქანისკენ იძვრის. მიდის დიდხანს. ზარების რეკა კი არ წყდება.

ნუ-ნაუ! ნუ-ნაუ!

მოხუცი გზას განაგრძობს და თვალსაც უცვბ ეფარება - ისე ქერბა, თითქოს სულ არ ყოფილიყოს.

ქერა მანქანის კარს აღებს, კაბინაში ძვრება და განშობებული შესცქერის სათვალისანს.

- И он показал на небо.

სათვალისანს აურთიყუნებს და ხელს უომედოდ იქნევს. - რასაა რო გვევარ?... - ბურტყუნებს უკმაყოფილოდ და მალაყცილიან ჩქებმზეზ ნარბმეკრული იყურება.

- Терпение и еще раз терпение!.. - ღიზიანდება ქერა. - თუ თქვენ რა გავიხიათ, მე არ მომბეზრდა ამდენი ბოდილი!

ქერს მანქანამდე ისევ ყვიროლნარევი საუბრის ექო მოაქვს:

„- კანაფისკან ბანარს ვაკეთებ, ბატონო... ძაფად ეშლი და ზეზე ვაბამ... ვგრებ მერე, ბატონო, და იმ ბანარს ვუმბატებ, რომელიც დმერთამდე სვლისას გამოიმელია...“

„- მორიგე!! გაიყვანე ახლავე ეს კაცი აქედან! მომაშობოთ თავიან, თორემ შეურვევლის შემბრევს... გამოუწერეთ ტერიტორიიდან ვასკლის ცნობა და ხვალ-იდანვე შენი ფხვი არ იყოს ამ ქალაქში, ვაიკე?!“

ქერა და სათვალისანი უტყავად უტყლიან ერთმანეთს მხერას.

- არა, შენ თუ გეყურება? - ადგილზე მოუსვენრად წრიალებს სათვალისანი. - დაგებტიალობთ აქანა რა ხანია... არა, თუ გეყურება შენ, რომ მთელი დედა, ერთი წონრმალური კაცი არ შეგვედვილია, ა?!

- მამ... - კვერს უქრავს ქერა. - დასახლება, ეტყობა, ეგეთი...

- რავარი - ეგეთი? - ვერ ხედება სათვალისანი.

- აი, თუნდაც ეგეთი! - ამბობს ქერა და ერთბაშად ჩაწუმებული სამერკლოსკენ იძვრის ხელს - ქუჩაში უკვე სამარისებური სიჩუმე სუფვებს. - როგორც იტყვიან - Непредказуемый... ძვირფას!

სათვალისანი თავისთვის ოხრავს და საჩვენებელი თითით რადიოს რთავს:

„... მომავალი სტრატეგიული ურთიერთობების გაღრმავებას იმისგან დამოუკიდებლად... გზას გაუხსნის სამხედრო კამპანიის ღირსეულად დასრულებას...“ - ნანყვეტ-ნანყვეტ ფხლინიებს რადიო. „... ქიმიური თავდასხმების მოგერიება ასეთ პირობებში... ვეგებებით რა საუკუნის მცორ ნახევრის დადგომას... ბუნების კიდევ უფრო მოდერნიზება... მოსახლეობის ევაკუირების გარანტი...“

- ისევ ის ომები... გაუთავებელი ომები... - ამბობს ქერა მრავალმნიშვნელოვნად და ფანჯრიდან სადღაც შორს იყურება.

- კი მარა, ხომ შეიძლება ვინცხამ მაინც გვითხრას, სად ოხრობაშია ის მოსასპობი მორეგი?! - ნუხს სათვალისანი. - ბოლო-ბოლო, რა მარაზია აი?!

მანქანის კაბინაში ცოტა ხნით სიჩუმე ვარდება.

- აქ ყველა კითხვას, რეკომბა, უკვე ვასცის პასუხი... - ასკენის მერე ქერა რიტორიკულად.

- და მაიც ანასწორად კიდო!! - ამატებს უცვბ დამმეფებელი სათვალისანი ნაღვლიანად და სახე წელნელა უტყვდება.

ღია ფანჯარაში ისევ ქარის მოტიანილი საუბრის ექო შემორბის:

„- მაგ სიტყვის თუ მიზამთ, ხვალ დილითვე ვაგეშეზარებ, ბატონო, შორულ-აღმოსავლეთს... უზარმაზარი გულით მელანს იქ ჩემი კეთილი და წვრილთვალემა მეგობრები... თუ დამეშვევარებით - მაგას რა აჯობებს: არც ვაშაში მოვაყენენ და იქ ხომ საყრთოდ... აბა, ჩვენ სახასისკეში როგორ გკადროთ დაპატრეება?... ვინლა ჭამს ხორცს ჩვენ დროში, ჩემო ბატონო...“

„- დამბნევეთ თავი!!!“

სათვალისანი რადიოს მკაცრი სახით თიშავს და მავნიტოფონს რთავს. კაბინა ენერგიული ელექტრონული მუსიკით იცხება. ქერა საჩვენებელ თითს საფეთქელთან იტრიალებს და მანქანას ქოქავს.

ბესო ხვედელიძე



რას ამბობს ზღვა?

იქნებ ყვითელღვიძიან სანაპიროს?
და იქნებ თეთრობკინებთან მავდას და თეთრ ძაღლს,
ერთნაირი გამომეტყველებით რომ გაპყურებენ ზღვა-
ას?

ან იქნებ ზუთი-ექვსი წლის ტიტლიკანა გოგონას, დიდ
წიგნს რომ ფურცლავს, ან მისი ასაკის ასევე ტიტველ
ბიჭუნას, ფეხბურთის ბურთის ფუნჯით ღებვით რომ
არის დაკავებული?

და იქნებ იქვე მჯდომ უსასუველოდ გამხდარ,
თავგადახორცილ ბებერ ვანკოს, სხეულის ფხანით
რომ გასცეკვის პორიზონტს?

ან იქნებ იქვე მდგარ ბებერი ვანკოს საცხოვრებელ
ვაგონეტს?

და სულაც იქნებ მოშორებით მდებარე რეპროდუქტ-
ორიან ბოძს, რომელთანაც ოცამდე
თმანარბეცენილი და საოცრად მახინჯი ადამიანი
გარჯიშობს?

ჩემს დანახვაზე ბავშვები ყრიაშულს ტყენა და
კისრისტებით გამორბიან. გოგონა პირველია და
ხელგებამოლი მახტება.

- კითხულობ? - ვიკრავ გულში და გოგონას ცივ
ლოყაზე ვკოცნი.

- ნახე, რა ავაშენეთ! - მექაჩება ქამარზე ბიჭუნა და
თითს ქეშის სახლისკენ იძვრს.

- სახლი ავაშენეთ ჭიანჭველებისთვის! - მისნის ყვი-
როლით გოგონას.

გოგონას ილიდაში ვიჩრი. ბიჭუნას ხელს ვკიდებ და
ზღვისკენ მივდივარ.

- ესე იგი, არ კითხულობ? - ვეკითხები ილიდაში გაჩ-
რილ გოგონას.

- ჯერ ვერა! - მასახუბოს ფეხების ქწენით.

- ჯერ ვერა?

- მამა, მამა, ნახე, ვინ მოვიდა! - ყვირის ბიჭუნა ლოტ-
ოსში მჯდომი ბებერი ვანკოს მისამართით.

- ხო. მ და ღ დაგვარა გასაველი! - კისკისებს
გოგონას.

ბებერი ვანკო თავის კანტურით მესალმება. გოგონ-
ას ძირს ესვამ და ბიჭუნას ხელს ვუჭვებ. მერე მაისურსა
და შარვალს ვიხბ.

- როგორია? - ვეკითხები ბებერ ვანკოს და ზღვისკენ
ვიყურებ.

- ალიონზე ისეთი იყო, კინაღამ დელფინები შემოვ-
იდნენ. - ბებერი ვანკო ღრმად ისუნთქავს ზღვიდან
მინაბერ პაერს. - რა ქენი? - დაამთავრე?

- გავიჭვდე... აღარაფერი მოდის თავში...
კარბონატორმა გააჩაზაბა...

- ეეჰ... - ოხრავს ბებერი ვანკო. - სულ ვერა როგორ
შეიძლება, ძმაო... ერთი რამე მაინც მანახე შენი
დამთავრებული - ან ნაწერი, ან ნახატი... ან რა ვიცო... იმ
გოგონაც რომ ალონინებ ამდენ ხანს... აღარ დაგხვდება
ერთხელაც და უყარე მერე... - უქმაყოფილოდ იქწვევს
თავს ბებერი ვანკო მავდასკენ. - სახლი მაინც თუ ნახე?

- იქიდან მოვდივარ.

- მერე?

- არა უშავს... ვერ ვაღებდი და ვილაც ბებერმა მიშე-
ვლა.

- ვინ ბებერმა?

- რაი... მეზობელი ვარო. ცოტა ვერ იყო... უბერავდა.
რალაცებს მეკითხებოდა - ნაკითხული თუ გაქვსო...

ბებერ ვანკოს ციციება.

- მაგ სახლი აფეთქების მერე აღარაინ ცხოვრობს...
რა მეზობლები მოვლანდა?..

- ეგრე მითხრა და... თან შავ ღორთან ერთად იყო.

- ვისთან?

- შავ ღორთან ერთად.
ბებერი ვანკო მუხბმეკრული მაკვირდება.

- ისე ბევრი ყლაპე გუშინ?..

- კაი რა... რა ბევრო... ვნერდი მთელი ღამე...
- აბა, რა შავი ღორი?!... - მკაცრდება ბებერი ვანკო. -
ე, იმათთან გაეარჯიშება ხომ არ მოვიინდა? - იქნებ თავს
თან მოვარჯიშებდისკენ. - გადავიკოლებს შენ ეგ უელ-
ცედევა" თუ რალაც ჯანდაბა...

- ეეე! - ვიწვევ ხელს. - არ გჯერა და ნუ...
- ისე დელფინებზეა! - მიტყაპუნებს ფერდზე ხელს
გოგონა.

- რა?

- ეს წიგნი... სურათებია შიგნით! - გოგონა წიგნს
გულში იხუტებს.

ბიჭუნა ისევე სერიოზული გამომეტყველებით
განავრძობს ბურთის ღებვას.

- ეგ რამ შეგაღებინა? - ვეკითხები ღიმილით. -
დაგებება რამე...

- სუ გაიცვითა. - მასახუბოს თავაულებლად.

- ისევე რომ გაიცვითება?

- კიდევ შევლებავ.

- ჰოდა, ისევე გაიცვითება!

- ჰოდა, კიდევ შევლებავ! - ჯიუტობას ბიჭუნა.

ხელს ნირნამხდარი ვიქვევ. მერე მკვეთრად
ვტრიალდები, წილში შევრბივარ და ზღვის სიღრმისკენ
მივცურავ. მორს გასული წყალზე გჩრდები და ცას
ავეყურებ. ის ძალიან ცისფერია და უღრუბლო. მერე ნაპ-
ირისკენ ვიყურები. იქ დარჩენილები ნერტილებივით ჩან-
ან. ცოტა ხანს წყალზე ვტივტივებ და ისევე ცისკენ ვარ.
მერე ღრმად სუნთქვას ვინჯავ და ისევე ნაპირისკენ ვიღებ
გეზს.

"გამდის... უკვე გამდის..." - ვფიქრობ ჩემთვის და
ყურებში შუხილი მიდგას.

წყლიდან სირბილით ამოვარდნილი ქვიშაზე
პირდაღმა ვემზობი. ბავშვები კვლავ ყრიაშულს ტყენენ
და გარს შემოხვეულები სხეულზე სილას მაყრიან. თე-
ვალის კუთხით ვხედავ, მოშორებით მჯდომი ბიჭუნებანი
მავდა თუ როგორ დგება ფეხზე - ფეხბურთით
მიახლოვდება, ზურგსკენ მიდგება და ვიცი, ბავშვებს
თითის ტურნებზე მიღებით ანიშნებს, არ გასცენ მისი
იქყოფნა.

ქვიშაში თავჩარგულს ზემოდან გოგონა მაზის და
ზურგზე ხელებს მიტყაპუნებს. ბიჭუნა ჩემს გარშემო
დახტის და ბუნთს მაღლა ისვრის. ბებერი ვანკო მთელ
სხეულს იფხანს და კვლავაც პორიზონტისკენაა. უცებ
ბიჭუნა ჩერდება და ჩემს თავთან იკუშება.

- კოკა!

- ჰაუ! - ვმასახუბო თავაუწვევლად.

- კოკა, განავალი რა არის?

მზას არ ვიღებ.

- შა, კოკა? - იმეორებს ბიჭუნა და თმაზე მქაჩავს.

თავს წელა ვწვე და ბიჭუნას ავცქერო.

- მამაშენმა ვითხრა?

- არა.

- აბა?

- მასწავლებელმა.

- შენე?

- მე არა, ყველას.

- ყველას როგორ?

- ორშაბათის ასანთის კოლოფებით მოიტანეთ, კომი-
სიათ.

სივს ისევ ქვიშაში ვრგავ.

- პა, კოკა, რა არის? - კვლავ თმაზე მექაჩება ბიჭუნა.

- პა, კოკა? - უბამს ძმას მზარს გოგონა და ზურგზე
ხელების ტყაუანს ახშირებს.

- მამამ რა გითხრათ? - ვკითხულობ დამცინავად.

- ოიო, მამამ თქვა კოკა გეტყვიო! - უემყოფილოდ
იძახის ბიჭუნა და ბუროს ზღვისკენ ისვრის. თვითონა
იქით გარბის. გოგონაც უკან მისდევს. მე ბებერი ვანკო-
სკენ ვიყურები. ის ისევ პორიზონტისკენაა და ეშმაკუ-
რად ილიმება. მუშტებს ნიკაბით ვეყრდნობი და ბავშვებს
გაეყურებ. სწორედ ამ დროს მაგდა მადებს ფეხისგულს
ზურგზე.

ვტრიალდები.

მაგდა მზის სათვალეს იხსნის და ექვენარდობ მზერიო
დამცქერის. თავალებს ვუსუჯავ და მეცინება.

შევე მუცელზე მაღებს ფეხს მაგდა და მთელი ძალით
მაჭერი. თავლადუბჭული ვინ ვიდე ხელს მაგდასკენ და
ნარბსაც ვერე. ვგრძნობ, რომ ის ვერე თავის ძაღლს გა-
პყურებს, მერე ბებერ ვანკოს, შემდეგ ბურთით მოთამაშე
ბავშვებისკენაც აპარებებს მზერას და ბოლოს
მოვარეშებისკენაც იხედება - ჩვენთვის მაინც არაგ-
ის სცხებლა. მერე ყოყმანით მკიდებს ხელს. თავს ვახელ
და ავცქერი. თითქოს ნაშობგამასაც ვცდილობ მისი
დახმარებით, პირიქით კი ხდება: ვიზიდევ და ვიყოლიებ.
მაგდა მკლავებში მივარდება. მჭიდროდ გებევ ხელებს
და მთელი ძალით ვკოცნი.

მაგდა მიძალიანდება, მაგრამ ხელს არ ვუშვებ და
კოცნა კაი ხანს გრძელდება. ბოლოს მაინც
ითავისუფლებს მაგდა თავს და განზე ეცემა. ფეხებს პა-
ერის კიცივე. მაგდა უემყოფილოდ შემომცქერის. თავზე
ხელის გადასმას ვცდილობ, მაგრამ მაგდა განზე იწევს.
მისკენ მივფორთხავ. კვლავ განზე იწევს მაგდა. სილას
ვიღებ და სახეში ვაყრი. მაგდა თავალებს იწმენდს და
სწორედ ამით ვსარგებლობ - უცებ ვაცხრები და
მკლავებს მთელი ძალით ვვებ. ვიხუტებ. ვგრძნობ, რომ
ბებერი გულია მაგდაში - ერთდროულად, სხვადასხვა
ხმაზე მვეთქაქი ვუღი. ცოტა ხანს ასე ვართ. მერე
მაგდაც მხევებს მკლავებს და ერთმანეთს ჩახებულები
ქვიშაში ვოტრიალობთ: ვემშობილი ქვიშას ზურგებით,
მენჯებით, კოჭებით. ბნელა ქვიშაში. ერთმანეთზე ხელებს
ვაფათორებ.

- სად ხარ აქამდე? - მეკითხება მაგდა მკაცრად.
- ახალ სახლში გამოვირე. - ვასუსხობ ტუჩებზე კოც-
ნით. - გვიან გამეღვიძა... მთელი ღამე ვწერდი...

- დამათავრე?
- ბენზინი არ მყყო... ვაგწერდი... ნავაკითხებ მერე...

იქნებ მიმეღლო...
- გასალები?
- აი! - მომცრო, ოქროსფერ გასალებს ვანახებ. -
ოღონდ ვერ ძველში შევიბინოთ...

- ასე მალე დამეცვლა? - ელიმება მაგდას და უცებ
ჩემი ქვედა ტურის ქვეშ ამოზრდილი წვერის პატარა რკ-
ალს ამჩვენებს. - ეს რაღაა?

- მესამე წარბი. - ვასუსხობ ღლილით და უცებ ზემოდ-
ან გამაყურებელი ზუსუნის მისის.

მაგდა იძახება. მისი ძალითაც ავად იღრინება.

- მამა, თვითმფრინავები, მამა! - მჭლოკინებენ
ბავშვები. ყველანი ზემოთ ვიყურებით.

ავიგამანადაგურებლები ნამში ვკოცენ ცის პაბაღონს და
სამხრეთისკენ იკარგებიან.

- რაღაცები მაქვს გადასატანი. მოუხდება იქაურობას.
- ვამბობ და ცას პირველს ვწერ.

- დებილო!.. - მირტყამს მაგდა ხელებში. - გავიდეთ
უკვე? - მეკითხება და თან ქვიშით დასერილ თეთრ
ბიკინებს იფერხობს.

- სად გვექქარება... კაი ზღვაა. - ვდგები ფეხზე.
- ბომბოს რა ვუყო? - მეკითხება ქვევლიან.

- ბავშვებს ტყაუტოვო... გაბრობიან.
მაგდა დაფიქრებით იყურება ზღვისკენ.

- მაშინ ფეხებს გავისვლებ. - ამბობს მერე და ფეხზე
ნამომდგარი ზღვისკენ მიმდგარება. ძალით კიდის ქვიშით
მეტმანება და პატრონისკენ ინტერესიან მზერას იწევს.

- გუშინ, სიზმარში კბილი მომტყდა, ბომბო! - ეუბნები
ძაღლს და თავზე ვეუფერები. - თან სობრძინს... ნეტა, რას
უნდა ნიშნავდეს?...
- სახეთილოწონად გამოგადდება? - იძახის ჩემი მი-
სამართით წყალში მუხლებამდე შესული მაგდა.

- YES!! - ვყვირი საუსხად და ცისკენ შემშტაყობილი
ქვიშაზე პირღამა ვეციეში. მერე ფრთხილად ვწვევ თავს.

თავზე მაგდას ძალით მაგდას და ხალისით იქნევს კულს.

- სისხლი კი არ ნამომსახურა, ბომბო... არც მტკინია...
- განვავარძობ ძალითადას საუბარს, თან ვიზიდებ ყველ-
ასითვის უწმურად „ლონგ საუნდ დრინკინგის“ აბების
კოლოფს ვიღებ, ცალ აბს ენაზე ვივებ და დღეჭავ. ორი-
ოდ ნამში ერთი-ათად ვმსუბუქებები და თავალები
მინყლიანდება. უკვე დანამდეილებით ვგრძნობ, რომ, თუ
მოვირდიმებ, თავისუფლად შემიძლია დავინახო თითქ-
მის ცარიელი სანაპირო ზემოდ. ახედვთ კიდევ? - აგერ
წყალში მუხლებამდე შესული მაგდა; აი ბომბო და აგერ
მეც. მოშორებით - ლოტოსში ჩამჯდარი ბებერი ვანკო;
იქვე პაბარა გოგონა-ბიჭი, რომლებიც კვლავაც ქვიშის
სახლს ამწნებენ. უფრო იქით ბებერი ვანკოს ვავარგეტი
და კიდევ უფრო შორს რეკორდულტორიანი ბოძი,
რომელთან მყერილი მახინჯებიც დილის
გამამხნევებელი ვარჯიშით არიან დაკავებულნი.



რას ამბობს სანაპირო?
იქნებ პლაჟის შუაგულში ამართულ რეპროდუქტორ-
იან ბოძს?

ან იქნებ რეპროდუქტორის მოწოდებებს: -
შემოვირტყაო ამერიკული დინინგი ჩაკიკუზეთი!
ავდექით! ჩაკიკუზეთი ავდექით! - ხრინინით რომ
იღვირებთან იქიდან?

და იქნებ ბოძის ვარშემო მყერილ ოცამდე
თმანარბგაციენილ და საიცრად მახინჯ ადამიანს,
მდუმარე სახეებით რომ იმოკრებენ ნაკარნახევ
მოდრობებს?

ან იქნებ ბოძისგან საკმაო მოშორებით ლოტოსის
ნოზში მჯდომ ბებერ ვანკოს შვილებითურთ და
მაგდას თეთრ ძაღლს?

და სულაც იქნებ პლაჟის განაპირას ვაჩერებულ
სატვირთო მანქანას?

კაბინიდან ქერა და სათვალისანი გადმოდიან და
მოვარჯიშებისკენ ნარბისკვით იყურებენ. მერე
ბებერი ვანკოსა და ბავშვებისკენაც ირდილავენ შულს.

თეთრი ძაღლის დანახვაზე სათვალისანი უცნაურად
იფხორება, თუმცა ქერა მუხლებების კვითი აწყნარებს
და ორივენი კოვლად მოვარჯიშებს უსტირადობიან.

- А то уже концы света! - ასკენის ჩურჩულით ქერა.
სათვალისანი ჩექმებს ერთმანეთზე იბაკუნებს.

- არ არსებობს?! ა, თუ არ არსებობს?! რას, ქვია არ
არსებობს?!.. არ მივიდეთ ან?...
И море как у Айвазовского! - ამატებს ქერა. - ხელი არ
შევეშალოთ...



- ხელი კი არა - ფეხი კიდო!! - იმრიზება სათვალ-
ინი, მერე ჯიბიდან უზარმაზარ ცხვირსახოცს იღებს და
ლამის გადაყვლეფამდე ინმენებს ოფლიანი შუბლს.

- თუცა *Лышя лышит, бачь бытает!* - ამბობს იქვე ქერა
და სათვალისივე ამის ვაგონებაზე მტკიცე ნაბიჯით
იძირის მოვარჯიშებისკენ. ქერა მორიდებულად მისდე-
ვს უკან.

თმა რავა მაქ? - ეკითხება გზად სათვალისი ქერას.
ისევ ისე... - პასუხობს ქერა.

რას ნიშნავს „ისევ ისე“!? - ფეხტდება სათვალისი. -
რა ჯანდაბას და ოხრობას ნიშნავს მაგ „ისევ ისე“!?!
როგორც ყოველთვის... სხვა როგორ ვიზიზინა?!.. ხომ
არ მოვატყუებ ახელა კაცი?

შენც რა ამთხასვით გეტაკა!.. - უცებ ღებება სათ-
ვალისი. - პაწა გეხიზმურე... თავი შეიქე!.. რაია ახელა
მონჯენილობა?... მიგატოვა ვინმემ?... სუ დაგცვივდება
ყველაფერი...

რა ყველაფერი?... - უკვირს ქერას.
ბოძთან შეგროვილ მოვარჯიშებთან ახლოს
მისულები ხმას კმენდენ, ჩერდებიან და ერთხმად აპ-
ყურებენ ბოძზე მიმაგრებულ რეპროდუქტორს.

- ფეხები რუსულად განზე! მარჯვენა ხელით ჩინურ-
ად მივწვდეთ მარცხენა ფეხის წვერს! - ხრინინებს რე-
პროდუქტორი. მოვარჯიშები დაჭირვებით იხრებიან და
მიძიებ მსუნთქავეებს ღვარად ასკვდით მებრტყ კეფაზე
ოვლი.

- გაეწნორდით ნელში ინგლისურად და ღრმად ამოე-
ისუნთქეთ!.. ახლა კი მარცხენა ხელით გერმანულად მი-
წვდეთ მარჯვენა ფეხის წვერს!

- რაია ავიქ! რას დასუშვავესებიათ აქაურობა?! -
ამბობს სათვალისი. - ილაპარაკე ენლა აქანა, რამდენ-
იც გენებო!

Высший пилотаж! - ამბობს ქერა შურით და რე-
პროდუქტორის ასეკერის. - *Но это не наш стиль...*

არა, ძამია... ვისაც გინდა კითხე ჩვენკენ - რა ჰქვია
ამას... - შლის განზე ხელებს სათვალისი. - ვინაა, რომ
არ ჩამოგირაკაკოს მისხალ-მისხალ...

- სულოს სრული დადამბელება... - ართობს სიტყვას
ქერა და თითების კეცვას იწყებს. - ანუ ვამირუტყვება,
რაც თითქმის არარსებობის ტოლფასია.. არსებობა
არსებობის გარეშე... მეტი როგორ ავხსნა?... ვითომ არ
იცით...

- მერე არასა რომ მიხსნი, თუ კი იცი ქე რომ ვიცი?
- არ ვიცი... მე ვიცი, რაც არ ვიცი... რალა დროს ჩემი
ასეთი ნერვულობაა, მაგრამ აქ მთელი დღეა, რალაც
სხვანაირად ვიძაბება... *Устроили здесь зоопарк!* - თავის
მართლებასთია ქერა.

- მაგას ველაპარკობ მეც!.. გაამევეშვით სადმე
სხვადაც, აა...
- მერე როგორ მიყვარს მე რენესანსის ეპოქა... -
იწყებს ჩამოთვლას ქერა. - გინდაც კორტესის ექსკედი-
ცია... იყოს შარლ პეროს ზღაპრები... ანაც ნეპის პერი-
ოდი...

- არ გინდა ახლა ეგეთები... მიდი... საქმეს მიხედე... -
ამხვევებს სათვალისი. - რალას მოვასწრებთ ამდენ
ლია-ლიაში?!..

ქერა ყოყმანით იყურება აქეთ-იქით. ათვალისიერებს.
ირჩევს. ბოლოს ყველაზე ახლოს მდგომ, სანყალობლი
კენესით მოვარჯიშე საოცრად გამძაღარ და სხვებსავით
თმანარბაცევილი ჭაბუკს უტრიალდება.

- ყმანთლო, თქვენს ქალაქში ჩვენ პირველად ვართ
და... - იწყებს გადაამეტებელი თავაზიანობა.

- ნუ, რა დონის სიმდაბლეა?! - კენესის ჭაბუკი ქალ-
ური ხმით და ამრეზით მიაქვს საჩვენებელი თითი

ტუჩებთან, მეორე ხელს კი რეპროდუქტორისკენ იძვერს
და ვარჯიშს განაგრძობს.

- ე... - უკვირს ქერას.

- რაიო?... - ინურავს ტარებს სათვალისი. ქერა კი იქვე
მოვარჯიშე ვიღაც მარ-მკვირვ, ასევე პირნიშნადა მე-
ლოტი და უნაწნამო, უზარმაზარტუჩებთან ქალბატონს
უტრიალდება.

- ქალბატონო, მამაკითხე, სახელი რომ არ ვიცი თქ-
ენი და ისე მოგმართავთ, მაგრამ იქნებ თქვენ მაინც
გვითხარო, სცადა... - იწყებს კიდევ უფრო დიდი
მონინებით, თუცა სიტყვა შუაზე უნადება - რადგან მე-
ლოტი ქალი ვარჯიშის პარალელურად ტყავის ხელჩანთ-
იდან პომადას იღებს და უზარმაზარ ტუჩებს სწორად
იღებავს ხასხასა ნითლად. ფერე საჩვენებელი თითი მასაც
ტუჩებთან მიაქვს და მეორე ხელს ისიც შემზარავი სი-
ნისით იძვერს რეპროდუქტორისკენ.

- სსსსს!.. რაც აქ არ დაგიკარგავთ, აქ რატომ ეძებთ,
ადაშიანო?! - იძახის ხრინინანი ხმით.

- ახლა კი ფრანგულად გავივარჯიშოთ კისრის
მალეში! - ისმის რეპროდუქტორიდან. - გადავნიეთ ია-
პონურად თავი მარჯვნივ! შემდეგ მარცხნივ! ნი! უკან!
- და იმათთვის რომ გვეკითხა?... - იძვერს ხელს ქერა
ბებური ვანკოსა და ბაგშეებისკენ. სათვალისი ვაგონე-
ტისკენ ატრიალებს თავს და თეთრი ძაღლის დანახავზე
ისევ აურჯოლებს.

- ნავიტი! ნავიტი! - ავლებს მერე მკლავში ხელს
ნინანამზადარ ქერას.

- *C uma moxho sair!*... - გაოგნებაშია ქერა.
ორივეს მანქანისკენ მივამართებია.

- რავა გვიყურებდნენ?! - ცოფებს ყრის გზად სათ-
ვალისი. - მაგრე შეხედონ მაგათ თავის დედამისებს!..

- ჰმმ!.. ადამიანის ვნახავს მე მაგათ... - იძვერს ხელს ქერა.
ორივეს მკვირცხლად სხვებთან მანქანაში და ხმაუ-
რით იხურავენ კარებს. რამდენიმე წუთის მანძილზე

კაბინაში ჩამომდგარ სიჩუმეს მხოლოდ სათვალისის
ცხვირის ქსუტუნი ანო არევის. ქერა თბის ნერვულ
სწორებაში. ადღეღებება ნელ-ნელა გასდით. ორივენი
მშვიდდებიან. მერე ფორხილად ატრიალებენ თავებს და
რეპროდუქტორიანი ბოძისკენ იყურებიან.

რეპროდუქტორი უკვე დუბს. მის ირგვლივ შეყრილი
თმანარბაცევილი მოვარჯიშეები მანქანისკენ არიან
მოტრიალებულნი და მდუმარე სახეებით შემოაპყურებენ
აგტომობილს.

- რა აღარ მახსოვს, კონსტანტინე ქერა... - ჩურჩულით
იწყებს თითების კეცვას ადფოთიბული მემო... - ბაბილონის
დაცემა გინდა, „სტალიკრის“ გადაღებები, ეე ზუვის ამ-
ოფრქვევა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, მერონი მენსონის
კონცერტები, ბოლო-ბოლო გიორგი გურჯიევის
ლექციები ან, ჯანდაბას და, პრინც სენ-ჟერმენის
სადილები... ჯერ მამინ როგორ მძაბავდამე ეგეთები, ახლა
კიდევ...

- არა, ძამია, სუფთა ნამუშევარი კია... - ასკენის სათ-
ვალისი. - უკულისავით!.. ვინ ოხერმა დაგვასწრო, მე
მაგის...

ქერა მანქანას ქოქავს.

- არაფერზე პასუხს რომ არ იძლევიან ეს ვირები?!..
- ამბობს მერე.

სათვალისი სათვალის ხინის. ორთქლავს. მერე ხაოი-
ანი ერთ წმენდას და უკან ირგება. შემდეგ მავნიტოფონის
ლილაკს აჭერს შუა თოის და კაბინა ისევ ენერჯილი ვლ-
ექტრონული მუსიკით ივსება. ქერას საჩვენებელი თითი
კიდევ ერთხელ მიაქვს საფეხქოლთან, რამდენჯერმე
ატრიალებს და მანქანას ადგილიდან ძრავს.



რას ამბობს კოკას ძველი სახლის დიდი ოთახი?
იქნებ ხის იატაკს, რომელსაც კოკა მუხლებით
ეყრდნობა?

იქნებ კოკას მზერას, რომლითაც ის იატაკზე
ვანლაგებულ, ქაღალდის ანთებულ, მრგვალ ბრებს
დასცქერის?

და იქნებ კოკას ფრაზას: - უნდა მოუხდეს იესურობას!
- ბრებს ჩაქრობისას რომ სცდება?

ან იქნებ სარწვევლაში მჯდომ მავდას, მუხლებზე
ფურცლების დასტა რომ უდევს და ღიმილით შეპ
ყურებს კოკას?

- ნაიკითხე? - ვუტრიალდები მავდას.
ის თავს თანხმობის ნიშნად მიქნევს.

- დასასრული უნდა... - ამბობს მერე დაფიქრებით და
ფურცლების დასტას ფრთხილად დებს იატაკზე. -
აუცილებლად უნდა... ოღონდ მე არ ვიცი, როგორი...

მე ისევ ბრებისკენ ვტრიალდები.
- და აბა ამით, თუ მიხვდები, რა დავარქვი?

- ხომ იცი, მე ვგეტ რაღაცებს ვერა ვხვდები. - ინურ-
ავს მზრებს მავდა და ბრებს შესცქერის.

- „Прекрасное и чудное!“ - ვაცხადებ გამოთქით. - და
იცი, ვის მივუძენი?

- არ ვიცი.
- იცი.

ფეხზე წამომდგარი ფანჯარას ვუახლოვები და ხედს
გავყურებ.

- მარტო ვინმე ყოფილა ანწუშა... - ვინცმე მშვიდი
ხმით. - რადიაცია მორევია ღრმა სიბერეში... მავრამ
ზღაპრები უყვარდაო თურმე ბოლოს!.. გესმის, მავდა?..
ზღაპრებიო!..

- ჰო...
- ეს რომ მითხრეს, მაშინვე მივხვდი, მართლა ნათეს-
ავები რომ ვიყავით... მეც ზომ ისე ძალიან მიყვარს
ზღაპრები...

- იცნობდე?
- არც კი ვიცოდი, ვინმე თუ იყო ჩემი... იმ სახლში
რომ ცხოვრობდა, ისიც არ ვიცოდი... ისე, რა მავარ
ადგოხუე, იცი?.. ხელისგულით ჩანს მთელი სანაპი-
რო... გადმოვიხედე თუ არა, შენ დაგინახუე.

მავდას ელიმბა და მეც ვუტრიალდები.
- მავდა, შენ ხომ არ იცი, რომანი ოსტატზე რომელია?
მავდა ფიქრდება.

- ხელმარჯვეზე? - მეკითხება ცოტა ხნის შემდეგ.
ხელს გულისწყვეტით ვიქნევ.

- ერთნაირი ჭირი გვჭირს...
- რა?

- რომ შემეკითხნენ, მეც იგივე ვუპასუხებ...
მავდა მზრებს იჩეჩავს და ნელა ირწვევს სარწვევლ-
აში.

- დღეს ღამის დარბაზის გახსნა, მავდა... -
მასხენდება უეცრად. - არ ნავიდეთ?..

- სახლი კი გაჩუქა. - ამბობს მავდა და თვალებიდან
ცნობისმოყვარე მზერა მოუსხლტის. - ნეტა, საიდან მოგ-
აგნო? მეტი რა, არავინ ჰყავდა?

მზრებს ვინორავ.
- არავინო - ნოტაროუსში ვერე მითხრეს. ბებერ ვანკ-
ოს ვკითხე - იმანაც ვერაფერი თქვა... რაღაც
ფატალოების ჯერა - შემთხვევითი დამთხვევების... არ-
ადა, მერიდებს რო დარეკეს, მეგობრა, იქით მიპირებდნენ
რაღაცის წართმევას...

მავდა სარწვევლადან დგება და ოთახის კართან მიდ-
ის. ვიდრე გავიდოდე, თავს ატრიალდეს.

- არ მოგშივდა?
- რას ვიფიქრებდი... ამ საციფეთში... რა ახალი
სახლი?!.. ვინ აწწუშა?!

- ოო, დანებებ ახლა თავი მაგ აწწუშას!.. გზოა-მეთქი
თუ არა?

- ხომ გითხარა?
- აღარ გელაპარაკები! - ამბობს მავდა და ოთახიდან
სამზარეულოში გადის.

მავდასთან მისული უჯრას ეხსნი და იქიდან
ყურსაცვამებიან, ხელისგულისოდენა მანგიტოლას
ვიღებ. სამზარეულოდან ჭურჭლის ჩხარუნის ხმა მესმის.
ყურსაცვამებს ვირგებ და მანგიტოლას ვრთავ. მერე ისევ
სარწვევლას ვუბრუნდები, თვალებს ვსკურავ და
წამწამების ზედა რიგს ქვედაით ვხეხუბი. ამ დროს ოთახში
მავდა შემოდის - ცალ ხელში დიდი თეფშით, ზედ
კეტჩუპმისხიშული ყველიანი პურით; მეორეში -
ლიმონათის ბოთლი. ყველაფერს მაგიდაზე ალაგავს
და ჩემკენ იყურება. თვალთა კვლავაც მონკურული მაქ-
ვს, მავრამ ვინორა ჭრილადან მაინც ყველაფერს ვხედავ.
მავდა კედლის სარკისკენ ტრიალდება და
ვარცხნილობას ისწორებს.

- ცუდად მაქვს, არა, თმები? - კითხულობს და სარკ-
იდან შემომცქერის. - სტაფილოსფრად მინდა შევიღო...
მომიხდება თუ ასე ჯობია?.. კოკა, რატომბა რომ ყველ-
აფერი უცებ ამომდის ყელში?..

სარკეში სულ სხვა მავდა: დამრეცი და ოკრობოკრო
- მე კი ვითომც არაფერი გამეგონოს. მავდა სარკეს
შორდება, თარიღებს ხის ერთ-ერთ ფიგურას იღებს და
ჩემკენ ტრიალდება.

- ეს ვინაა?
მე კვლავ თვალბმონკურული ვუსმენ მუსიკას.
მავდა ფიგურას უკან დებს და ნახატებიან კედელს
უახლოვდება. ათვალეირებს. მერე მზერას ერთ-ერთ
დაუშთავებულ ნახატზე აჩერებს - ტილოზე
ადამიანისთვალედა თეთრი ძროხაა გამოსახული. ძროხა
ცეცხლსკიდეებულ ტანს შესცქერის და გაბერილი ჯიქნ-
იდან სისხლი მოწვეთავს.

- ეს როდის დახატე?
ისევ რომ ვერ იღებს პასუხს, ნახატს თითს უსვამს.
მერე ზედ იხედება და ცხვირთან მიჰქვს. სუნებს თუ არა,
ხმაშალა აცემინებს. მე თვალს ვახვალ, ყურსაცვამებს
ვისხნი და მავდას შევცქერი.

ის ცხვირსაბოცით იწმენდს ცხვირს.
- რა თქვი, სიყვარულო?
მავდა ცხვირსაბოცს ჯიბეში იბრუნებს.
- დავცემინე. - ამბობს წყნარად.

ისევ ყურსაცვამებს ვირგებ. კვლავაც თითქმის
ბოლომდე ვხუჭავ თვალებს და მუსიკის სმენას
ვანავარძობ.

- თითქოს საერთოდ აღარ ხარ! - უცხოოდ იშშუშნება
მავდა და გალიზიანებული ოთახში მოტრიალდ ბუხებს
ამჩნევს. - რამდენი ბუხები ვყავს?!.. - ღია ფანჯარასთან
მისული გარეთ იყურება. მერე ფანჯარას ხმაურით კეტ-
ავს და ფეხგარეთი მიახლოვდება. მოდის და მოდის.
სულ ახლოს მოსული უცებ მხსნის ყურსაცვამებს და
მუსიკას მამორებს.

- გაიგე? - მეკითხება ღიმილით მავდა.
- ვერა. - ვაჰყეტ თვალებს.
- ბუხები!

ოთახში ცოტა ხნით ჩამოვარდნილი სიჩუქმეს ამჯერად
მე ვარღვევ: სარწვევლადან სწრაფად წამომხტარი დაკე-
ტლ ფანჯარასთან მიერეკივარ და ფართოდ ვაღებ.
- მეტი ჰაერი! - უძიახი წყვირილით.
- რაა?



- ნურასდროს დამკეტავ!
 -ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოვარდება.
 - შენ, მგონი, დღეს რაღაც ვერა ხარ!.. - წარბშეკრული შემომიძქვრის მაგდა. - კიდევ ყლავა?
 თავს მორჩილად ვეჩინებდა.

- ხომ დამპირდი, კი მაგრამ, ხომ დამპირდი!!.. - ინთება მაგდა.

- სულ იმაზე ვფიქრობ, მაგდა!.. - ვინყებ თავის მართლებას. - მხოლოდ მაგიტომ... ვერაფრით ვერ დამითავრებია და მაგიტომ, ხომ იცი...

განანყენებული მაგდა გატარალებას აპირებს.

- იქნებ... შენ მაინც მიიშველო...

მაგდა მკვეთრი მოძრაობით ყოფნდება.

- როგორ?

- გაიხადე! - მიკანკალებს ხმა.

მაგდა დააკვირვებით მიყურებს.

- სულ?

თავს ვერ ვიკავებ და მეცივება. ცოტა ხანში მაგდაც მყვება. ვიცინით ერთად და დიდხანს. მერე აცრემლებული ნელა ვუახლოვდები და თეთრი კაბის შეხსნას ვუწყებ. თან თავისუფალი ხელით მაგიდიდან ყველიან პურს ვიღებ და მადიანად ვკებ.

- კარგია! - ვიძახი აღფრთოვანებით და მაგდას მთელი ძალით ვიხუტებ.

მაგდას კაბა სძვრება და იატაკზე იღვრება. ფრთხილად ვიხრები და ვარინდულს ყელზე ვკოცნი. მაგდა უხერხულად იშპუშუნება. მე ისევ ყველიან პურს ვკებ და მაგდას ვუნვდი. ის თავს უარის ნიშნად აქნევს.

- რატომ? - ვეკითხები ღეჭვით.

- სიბრძნის კბილები ამომიხლი... - მიხსნის შეუნებული ხმით.

- ოთხივე ერთად... ძალიან მტკიავა... ცუდად გავხდები.

ისევ ვკოცნი. ვკოცნი დღხანს. თან მაგდასაც უჩუმრად ვიხიდან ისევ „ლონჯ საუნდ დრიქინგის“ აბების კოლოფს ვიღებ, ცალი ხელით ფრთხილად ვხსნი და ცალ აბს ლიმონათის ბოთლში ვაგდებ. მერე ისევ ფრთხილად ვიბრუნებ კოლოფს ვიბრუნებ და მაგდას ტუჩებს ვამორებ. თან ვუღიმი. მერე ლიმონათის ბოთლს ვწვდები და ვიყუდებ.

მაგდასაც მოვუხდებ ვასმევ.

ბოთლს ბოლომდე ვცვლით.

- ან ხომავალ? - უკან ვდვამ უცებ ნაბიჯს.

ჩუმად მაგდა - თითქოს საკუთარ თავში რაღაცას აყურადებდეს. მერე იღიმიება და მკერდიდან ლიფს იხსნის. თეთრია მაგდა და ბაცზე ბაცი სიცისფრე დაუარჩის თეთრ სხეულზე. თან ხელისგულებს იწყობს კეფაზე.

- ასე აჯობებს! - მასუსობს გაბრწყინებული მზერით.

კარადასთან მისული იქიდან ნაჭრის ფერად ჟილეტსა და ზინისის მოკლე შორტებს ვიღებ.

- მე ჩავაცმევ!

მაგდას ვუახლოვდები, ხელს ვკიდებ და ღია ფანჯარასთან მიმყავს. ჟილეტს შიშველ ტანზე უცებ ვარებ და დილებს დაკვირვებით ვუკრავ. მერე უკან ვინეკი და, როგორც ნახატს, ისე შევეყურებ.

- ცტუნისნობაზე დადიოდი? - ვეკითხები უცებ გამომწვევად.

მაგდა მიშიო იხედება ფეხებზე. მე თავს ვერ ვიკავებ და მეცივება.

- კრეტინო! - ამბობს მაგდა.

- მე თვითონ შეეკერე. ზომ კია? - ვიშვერ თითს ფილტისკენ და საჩვენებლო თითით ვეხები. - საყელო აკლ-

- მაგრამ ესეც ნააა... მერე მივაკრებ... თუ იცი, ვისთვის შეეკერე?

- მე ვგეტ რაღაცებს ვერა ვხედები-მეთქი! - დამარცვლით მასუსობს მაგდა და ჩემს თითს იმორებს.

- კი აბა. - ვაქნევ თავს. - ადი! - ვანიშნებ თვალით ფანჯრის რაფაზე. მაგდა წარბს კრავს.

- სირცხვილია!

- ისეთს რას დაინახავენ, რაც აქამდე არ უნახავთ?

- მე.

- მიდი, მიდი... - ვაგულიანებ და ფანჯრის რაფაზე ასულაში ვეხმარები. მერე ქვემოდან ვაცმევ შორტებს.

ხელებს ვშლი, ლინიერად ვიკრავ გულში და ადგილზე ვტრიალებ.

- ამდენ რამეს როგორ გადაიტან? - ჩურჩულებს მაგდა.

- არც იმდენია. - ეპასუხობ ჩურჩულითვე. - ნანილ-

ნანილ... ზვერ რამესაც ვტოვებ...

- რას?

- წარსულს.

მაგდას ქვედა ტუჩზე ვკოცნი. თან ღია ფანჯრიდან ქუჩაში ჩავოლდ საბარგულიან მანქანას ვხედავ.

● რას ამბობს სივრლე?
 იქნებ ქალაქის პატარა მოედანს?
 და იქნებ მოედნის შუაგულში მდებარე ვაფეთქებულ კაზნს?
 ან იქნებ ვაზონზე წამომართულ კაი ნასუქი კაცის ძეგლს?

● იქნებ მოედნის პირას მდგარ დანესტრულეების ტიპის ნაცრისფერ, ორსართულიან შენობას?
 ან იქნებ შენობის კიბებთან შეყრილ, ხელში რძიანი ბოთლებითა და რძით სავსე ჭიქებით ერთმანეთში ლამის ვყრილით მობაასე მამების ჯგუფს?
 და იქნებ სულაც ძეგლის გარშემო კვილით მობრუნდო პირდაუბანულ და ფეხშოშველ შეილებს?

- კაცო, შევდივარ გუშინ სახლში და ფხაჭინი მესმის კედლიდან... ვიფიქრე, ვინ ემშაკია, ვიროხაა-მეთქი... მოვამტკირე ფიცარი და ვნახე. ვიროხა კი არა, ბებერი თითია აღმოჩნდა, თან ორთავიანი, კაცო... კვდებოდა თურმე და ფაროხალებდა. უკანა ფეხებს, ექვსი ფეხი ება უკან, შიდა ფიცარს უფხაჭუნებდა და მეტის თავი აღარ ჰქონდა.

- გავვიმარჯოოს!.. სიკვდილის ძალა მოგცევს ცხოვრებაში!

- გავვიმარჯოოს... ჭალარა იყო სულ... სუ თეთრი, ოთხივე თვალზე ლობრით... აქ რა ემშაკი ვინდა-მეთქი, რომ ვეითხე - ვაჩერდა და დღიმილით ამომაცქვრდა. ით-თითს მართლა ეწერა იმ თვლებში: ბაზუშენის ბაზუშ ვარ, შე სერთა ბელადი, ამგვარ თრიობაშიც მოვესწარ სიკვდილს, ჰოდა, ჩემ სახლში მომიწინა მასთან შეხვედრაო...
 - მიდილი...

- გუშინებით, კაცო... ვაცალე და მალევე ვათავდა. მხოლოდ ცალი ოხვრა წასცდა პირიდან. ვადმეოვყავი კედლიდან. ვზომი ჩავიტანე და ლელვის ძირში დავფალი. ამეტირია, კაცო, მაგრამ რა ამეტირია...

- რა ემშაკი ავტირია?

- ბაბა, საქმეა ეგაა... მოვეკვდე და თრიად ვიქცე, თან ორთავიანად, თხილი ვაკნატუნო და მერე ისევ მოვეკვდე... და რა ვიცი... სადაა, აბა, ღმერთი?

- ღმერთი კი არა, ისა... ჩამოვსახათ, ჩამოვსახათ...

რანარი გემო აქვს ამ რძეს... აბა, კიდევ გავვიმარჯოოს! ვიყოთ და ვიყოთ!



- გაგვიმარჯოს და... მე რომ რიყა სტუმარი მყავდა ქალაქიდან, ორი დღის წინ რომ გაეყა მიკრობუსს, ხომ გახსოვთ?

- კაცური კაცი...

- ჰოდა, სიზმარი ვნახე, თითქოს სასაფლაოზე ამეყვანოს ნასვლის წინა დღეს - ჩემი წინაპრების საფლავებს განახებ-მეთოქ... ვანახე კიდევ. სუ გადაჭ-მული იყო ლამის ჩემ სინამდლე რეპანიტი ყველა...

- კაი კაცო... რუპანიო?

- მაშ... ასე გაეგონა ზემი აქეთ მკედრებს ქვემოთ და აი რეპნები კი მავათი სიხარულის ამბავია ზემოთ ამომწვანილებულიო.

- შენც რა გიკვირს, იძრაზნიკონ... სიზმარი და...

- ჰოდა, ხსოვნა იყოს საუკუნო ყველას!

- გაუმარჯოს... ჰოდა, რასა ვყვებოდი...

ვითაღიერებინებ თითქოს საფლავებს... აგერ სპირდი-ონი... გახსოვთ, კბილებიანი რომ დაიბადა და აღარც ერთი რომ აღარ ჰქონდა აფეთქების მერე? იქით - ამალი-არ; დედა, რა ქალი... რომ ვეტყვიდი ტუშუ მომანოვეო, როდისმე თუ ეთქვას უარი; ბოლოს, ბებერიც რომ იყო, სუ დამჭანარი, რადიაციისგან მომშპარი - მაშინაც...

- შენც რა გეჭუქებოდა...

- ტიტვც ვანახე... რა ვაეჭვავი... მუხას რო შეუძახებდა ეგ ეშმაკი, სუ ლაალუნს უყენებდა, რკოს არ არჩენდა ზედ... მაგეტომაც არ დაჰყვევოდნენ კულმით მიიღეს სოფლის ღორები?.. მაგათ არ შეჭამეს ეგ უბედური, ეგა?.. ჰოდა, ვათვლიერებთ და ვათვლიერებთ... ის კიდევ მოუბნება, ხომ არ მოგვეწყნიაო.

- ჰე-ჰე... სასაფლაოზე, კაცო?

- რას ვეტყვი... სტუმარი... რომელი წესით უთხრა უარი... ჰოდა, თითქოს ჩამოტახეხდით ელამი ელიოზას საფლავის ქვაზე. გახსოვთ ელიოზა? დედა, რა ეშმაკი იყო, რა ეშმაკი - ერთს რო იტყვავ, კიდევ ოთხი ნასკში იყო. ჰოდა, ვნით და ვასვლეთ. ჩავკალით როგორც იქნა...

- არა, შენ თქვი - ეგ რომელი იყო? ქაქალასი თუ აფხაზური, გალიდან?..

- არა, კაცო... თითქოს იმისი იყო - შავი კეკლები რომ ჩამოიტანა ბასაიამ. ელვირას ბოსტანში რო გვედგა ნაძვიით ძირი. სატანას რომ ეძახიან მაგ ჯიშს დიდ კეკლებში. ცოფია ნაღდი, ცოფი! კი იცი ის შენ...

ამ დროს შენობის მეორე საართულის ფანჯარა ღრჭიალით იღება. იქიდან თეთრხალათიანი, მელოტი კაცი ჰყოფს თავს. ცხვირშეჭმუნხნის სახეზე უწყაიყოლები დაურბის და საჩვენებელი თითი მკაცრად მიაქვს პირთან.

- სსსუ-მეთქი!! - ბრაზით ყვირის მამების მისამართით და თან ბეჭდიან მუშტსაც მუკრით იწვევს.

მამები ერთბაშად დუმდებიან. შვილებიც უმაღ ნყვებერ სირბილ-კვილს. ყველანი მორჩილი სახეებით ასტეკრიან ღია ფანჯარას.

თეთრხალათიანი პირიდან ოქროსკბილევა პროთე-ზს იღებს და მზის შუქზე გაჰყურებს. მერე ხალათის სახელთით წმენდს და პირში იდგამს. კბილებს ერთ-ანეთზე აჭახუნებს და ფანჯარას ხმაურით ეკეტავს.

მამები ისევ ხმადაბლა განაგებობენ დუდუნს; შვილები - ფეხის წვერებზე სირბილს.

- ჰოდა, რასა ვყვებოდი... სიზმარასა, ჰო... თან ჩამოეასხათ... აა, თითქოს მაშინ განათდა გინება, ტვინი, თვალი და ყური...

- აბა, ამ ქვით ჩვენი მარჯვენის იყოს მაშინ!..

- გაუმარჯოს! მარცხენამ რა ეშმაკი დაამაგა? იქნებ ცაცია ვარ?.. გაუმარჯოს რა, მეც რა ცაციაა ამიტყდა ამ შუა შემოდგომაზე... ცაცია არა, ხვიშტი!

- მაშინ მარჯვენ-მარცხენის იყოს... ჰოდა, ვართ ასე - ვზივართ სიზმარში გაჩინებულები. ხმას ვერ ვიღებთ... ფიქრბობა... გვესმის უტვებ მანქანის ხმა. თითქოს მანქანა შემოვიდა სასაფლაოზე... ვაა... შემოვიდა და მოვიდა... ზედ ცხვირწინ გაგვიჩერდა, მაგრამ ვერა გვეხდავს - გვეფრება თითქოს ეკლის ბუჩქი. ვზივართ ჩვენ კიდევ ქვაზე გათავიცილებულები. მანქანიდან კი გადმოდან. ხმებზე ვატყობთ, სამნი უნდა იყოს. ვინ ეშმაკები იყვნენ, ახლაც ვერა ვხედვით. ერთი ამბობს - ჩვენ აქ ვიღებთო, ვითომ ეფსაბთო და შენ კი ჩაიტახეო - ერთ-ერთს ეუბნებიან. იმანაც - კაიო. ჰოდა, ვხედავთ - ჩამოილო ვითომ დიდი მემკობი მანქანის ბაგაჟნიკიდან და ჩაახიხიალა ხეგმი, სუ თავდადმარით არავა?..

- მაშ...

- მერე ამობრუნდა. ისევ ჩასხდნენ და ანაოდა ის მანქანა - თითქოს ახალი „ჰამერი“ იყო თეთრი, გადახდილი რომაა... ცოტა კიდევ ვეჯექით. დაგვიდიოდნენ თავები ეშმაკები. ეს მუუბნება - ვინმე ხომ არ დაბრდიღს და გადა-ადგისო. მეც იგივეს ვფიქრობდი. დავბრუნდი დაზაფრულები სახლში თითქოს. და გამეღვიძა, კაცო, ამ დროს...

ვიაა...

- იმ ღამეს რალა ეშმაკი დამაძინებდა...

- ხვალე გაუმარჯოს მაშინ კი გვეწონოდეს...

- გაუმარჯოს!.. ჰოდა, ვავაცილე სინამდვილეში მეც ის ჩვენი კაი ახლობელი კაცი უთენიას... ერთი პარკი ბალახი გავატანე... მერე კი გავტანდი სასაფლაოზე და ის ადგილი ვნახე, სადაც ვიჯექით სიზმარში გაბრუნებულები. სუ ეჭვები მღრღინდა. ჩაუფყვი მინც ხეცს. ჩაუფყვი კი ღრმად. თავიდან არაფერი...

- მერე-მერე?..

- მერე და ვიპოვე ბოლოს - ძალღოშვილებს! ალში გაბეღანთო, ეშმაკი ვერ გამოხსნიდა.

- შენ კი გაბოხსენი...

- დედა არ უტყვირე?.. ვხსნი და რასა ვხედავ?!

- რასა?

- მკედარი ნეცს, კაცო, ნამდვილი მკედარი!.. გადავი-რიე...

- ვინა, კაცო?

- ვინა და, მე მგავს კაცო ის მკედარი, მე მგავს ალი-კვალი... ვფიცავ და ვფიცავ...

- კაი ერთი...

- ჰე-ჰე... რა მოყვა ამ ეშმაკმა და გოთვერანმა...

- ბიჭო, კატის სუნი რომ აქვს ამ ბოლო დროს რძეს, თუ ატყობო?

საღდაც შორიდან ნიავე რემპოდუქტორის ხმა მოაქვს: „აევიღეთ თავ-ფეხი ესანაურად... ნაივოჯუთი იტალ-იურად...“

ფანჯარა ისევ იღება და იქიდან კვლავაც თეთრხალათიანი ჰყოფს მელოტ თავს.

- ამოდი, გადაიხე! - ხალისიანად უქნევს მამებს ხელს და თვალს ფავრება.

მამები ბოთლებს ერთბაშად, ერთი მოყუდებით ცლ-იან. დაცლილებს ჭქებთან ერთად კბის საფეხურებზე ხარხართი ამხსერევენ. მერე მსუბუქად არბიან კბის და შენობის კარში როგრიობით შედიან. შვილები დმუშა-რედ აყოლებენ თვალს მამებს და ისევ ძეგლის გარშემო განაგრძობენ სირბილს. დარბიან დიდხანს, ვიდრე მოედ-ანზე საბარგულიანი მანქანა არ შემოდის და შენობის კბეტთან არ ამუხრუჭებს. მოედანზე დამწვარი რეზინის სუნი დგება.

მანქანიდან სათვალაიანი და ქერა გადმოდიან და ერთბაშად დადუმებული შვილების დანახვაზე ერ-როულად ხეგდებიან.

- დენიყო... - ამბობს სათვალისანი ნერვულად და გაბზეკილ უღვაშს გამწარებელი იმრესს. - რა ჯანდაბა ჩირთ აქნა ამისთანა, ა?!..

- სიკვდილი! - ამრუზით იყურება ქერა შვილებისკენ. აღარ შემძლია! - სასონარეკვეთა ერევა ხმამ სათვალისანს და სათვალეს იხსნის. - ისეც გლახა სიზმრებს ენახულობ რა ხანია...

ზოგი ალთას ... ზოგი ბაღთას...
 მიაჭენებს თავის 'მერანს'...
 აწყობს-ანგრევს, შლის და ხლართავს,
 თვითონ ჭრის და თვითონ კერავს!..
 და შენც – ასად გაჩეხილო,
 საცოდავო, სადარდელო...
 შუა გზაში გაჩხერილო,
 საით, დედა საქართველოე!!!

●
 საქართველოში სიმართლე დანაშაულის ტოლია!
 ყველას აქვს თავის სასწორო,
 ცოდვა-მადლს მასზე წონიან...
 და მიქანაობს საბრალო – ქანცაწვეტილი, ეული...
 ნაჩქქე-ნაგვემი, მოხრილი,
 სულით და ხორციით სნეული!..

●
 ზაზა დვალს

მე შეყვს ქვემოაჭველი
 მველობარი დვალი,
 ნეტავ, ზემორაჭველი
 ერთი კაცი მანახა მისი ზნის და გვარის!
 ომში შევა უმიშრაღ,
 გულად კლდე და რვალი,
 აზღვეინა გუშინაც
 დუშმანს სისხლით ვალი!..
 ღმერთს ვთხოვ, საქართველოში
 გაგვიმრავლოს კაცები – მისი მძლე და დარი!

●
 სხვისი ბაზა ჩხრიალებს...
 სხვისი ჟანგი ბზინავს...
 შენ გზას მიაჭრიალებ,
 მიტოპავ და გმინავ,
 რომ ხალხს, ენაგატლეკილს
 და არაფრის მაქნისს!..
 უცხოს, რწმენაგატეხილს,
 ცრუს, უძვლოს და გაქნილს, –
 ბრბო აღმერთებს, ტაშს უკრავს,
 თან სდევს დღით და ღამით...
 ქვეყანას, კი სანუკვარს,
 ფარავს მძიმე შლაში!..

●
 ამდენი ოხვრა-წუხილი,
 რასაც მე ქვეყნად ვისმენ,
 ცას შესძრავს – მოვა ქუხილით
 ღრუბლებზე მღვარი ქრისტე!..
 მოვა და, ნეტავ, რას გვეტყვის
 (ან ჩვენ დავხვდებით რა პირით!..),
 როცა იმედებს, დასეტყვილს,
 არ უჩანს კიდე-ნაპირი!..

ჩამოდოდნენ მალლით კაცები
 და შენ ვწირავდნენ თავს!..
 უბირებისგან ნაკვეთ-ნაკვეთი
 უბრუნდებოდნენ ცას!..
 დღესაც ასეა! –
 ბრბოს უღვას ტახტი..
 და უეციკობის ახურავს ქული!..
 როგორც მისხარა – დრო მის წინ დახტის,
 მანჭვა-გრეხით და სატანის კულით!!!

როგორ გაკლია სათუთი ხელი,
 მოფერება და სითბო,
 მოჭირნახულე, მოესველი, მხენელი,
 უშვილობირო ხარ თითქოს!..
 კიდევ—მხნეობა და გულის ძვერა
 შენთვის და მხოლოდ შენთვის!..
 დედაშვილობის მადლი და რწმენა,
 მალლით წყალობა ღმერთის...

რიონს
 (ანდერძი!..)

რაღაც დიდი იკვეთება –
 თან ტკბილი და თან მწარე...
 ფიქრი შორეთს იხედება,
 მაგრამ არ ჩანს სამარე!..
 ჩანს მდინარის ღურჯი ზოლი,
 ცეცხლი მწველი, ბრიალა,
 ცეცხლზე გვაში, ბუნჩი ბოლის,
 მალლა ზეცა კრიალა!..
 იქვე მდგარი ხალხი ტირის
 (ორი-სამი კაცია...)
 მხრებზე აწევთ მიმედ ჭირი,
 ტანთ ძაძები აცვიათ!..
 ირგვლივ ბრწყინავს მთები ბროლის
 (ალი უკვე ცას ლოკავს!..
 დაბლა მწვანე ტყე და მოლი,
 ისმის ჩიტთა გალობა!..

მინდა დამწვან, ჩემი ფერფლი
 რიონს მკერდზე მოეხენს! –
 ჩემ მდინარეს –მე რომ შევეტრფი –
 მის ჭალებს და მოედნებს!..

●
 სადაც ბრწყინვალეობა ელავს...
 იქვე სილატაკე დაძრწის!..
 ერთად უნდა, ერთად შეველა,
 ორივეს და არა ნაწილს,
 თორემ ენახაეთ — რაც რომ იყო —
 არეკას და აშლა მატლის!..
 ზღვის ნაპირზე გამოირიყულს
 გემებს ნაფოტ-ნაფოტ დაშლილს!!!

●
აკაკის

შენი იმედით ვბერდები,
 შენი იმედით ვსუნთქავ,
 ქვეყნად შენს გამო ვჩერდები
 და გულში ასე ვუთქვამ:
 — ღმერთო, მომასწარ იმ დროს,
 ბიჭი რომ დამიკაცდება,
 მისი სახელი დიდგორს
 და კავკასიონს გასცდება...
 სულთ და ხორციით ჯანმრთელი
 ვარსკვლავებს ხელით დასწვდება!..
 აღადგენს მამულს გათელილს,
 ხალხის იმედი გახდება...

 ღმერთო, მომასწარ იმ დროს,
 ჩემი ნატვრა რომ ახდება...

●
ანოს

ჩემო კუსკუსა ანო,
 შე სასაცილო ქალო, -
 მოვეკვდები, დამიტირებ
 და აღარც სიკვდილს ვნანობ.
 თუმცა ჯერ ცოცხალი ვარ და
 ოჯახში მოსვლას ვეჭარობ,
 ვიკოცნი ხელებს ხარბად,
 შენთან თამაშით ვხარობ.
 ჩემო კისკისა ანო,
 ჩემო სინათლის წყარო, -
 მკვდარს, ვიცი, დამიტირებ,
 სიკვდილს მიტომ არ ვნანობ...

მე ვარ წიგნის მკითხველი,
 მომღვლელი და მყიდველი...
 მე ვარ წიგნის დამცველი,
 ვარ წიგნების დამწერი;
 მაგრამ გაჭირვებაში,
 ვაი, ვერც მე გაუძელი...
 და გაუყიდე წიგნები,
 პოი, ღმერთო, რამდენი!..
 ახლა მთელი ცხოვრება
 ბნელ ფიქრებს ვერ გავდენი
 და ვერც ნალველს დაიწვევტ
 გულის კოვზზე დადენილს!!
 ღმერთო, ხომ მაპატიებ
 ცოდვას, ჩემგან ჩადენილს?..

მიყვარს რადიო ქართული,
 როგორც ამბობენ – მთავარი,
 ქვეყნის ვარაშში ჩართული...
 მისი სიტყვა და ჯავარი!..
 დინჯი, წყნარი და კეთილი,
 თანაც მკაცრი და მართალი,
 ბნელში ნათელი წერტილი...
 საქვეყნო ფიქრით გამთბარი!..


ვეწვევი ცხოვრების ჭაბანს,
 (ვეწვევი ხანდახან ჰაშიშს...)
 ვერ იტყვი, რომ ვგავარ ჯაბანს
 და ვზივარ ხელმწიფის ნავში!..
 მიტომაც ადგილზე ვდგავარ, -
 შიშველი-წვიმაში, ქარში!..
 აი, ის ბებერი მთა ვარ –
 ჭალარით წვერსა და თმაში!..

ყველა თავის გზას გაუყვა
 და შენ დარჩი მარტო;
 არ ირჩიე არვის ხლება,-
 გზა მშვიდი და ფართო...
 ჰოდა, ნულარ გეშინია...
 ჰოდა, ნულარ დარდობ...
 ეს ქვეყანა შეშლილია, -
 თან გკლავს და თან გართობს!..

●
 სადაც ძალი პატრონს ვერ ცნობს
 და პატრონიც ვეღარ კაცობს...
 მარტომ რა ვქნა და რა შევძლო,
 რა გახარო... ან რა გამცნო...
 რა ვაკეთო, რა გიშველო,
 რა ვიღონო, რა გავებდო!..
 გაძარცვულო, ტანშიშველო...
 ჯვარს ვეცვა თუ მტლად დაგედო?!

●
 გეყოს ამდენი ნაღველი,
 თვალზე ცრემლი და ვიში...
 შენ ხარ მტვირთველი სახელის –
 შენი სისხლის და ჯიშის:
 ხალხის – არც ისე ჭკვიანის,–
 მყვირალის მეტისმეტის...
 ტან-შრთელის, სულით ჭიანის,
 ცოტა არ იყოს – ცეტის!...

●
 აი, ჩემი სამყარო,
 აი, ჩემი საქმე, –
 თავი დაბლა დაგხარე
 და ხმაური დაგემე!..
 სადაც მივწვდი, ვახარე,
 სადაც მივწვდი, დავრგე...
 სიტყვა–ჩემი სამყარო!
 სიტყვა–ჩემი საქმე!..



ჯბრჭვი ფხოველი

ხელის - ტულის ანაბეჭდები



1. ერთადერთი ავლადიდება, რაც დროის პირქუშ ლაბირინთში გამოვატარე და რაც დღემდე შემრჩა, ეს არის ქართული ენა, როგორც სისხლი, როგორც ხალვითი საჩუქარი, როგორც დროის მარადიული მტვერი, როგორც ჯადოსნური საღებავი... აი, ამ იდუმალი აურით გარემოსილი მგზავრი გზადაგზა ტოყვის ხელისა და გულის ანაბეჭდებს...

2. ეს არის ჩემი ძველი ნიგნის „ფურცლებს“ გავრქელება. ეს უფრო იმ მხარეს ეკუთვნის, რომელსაც მე მეტაპოეზია დავარქვი: უფრო პოეზიისა და პროზის საზღვარზე; უფრო პოეზიის... ასე შვერა!..

3. პოეტის უკომპრომიზო, უკიდურესი და შეუნიღბავი გულწრფელობა მკითხველში ხშირად აღვიძებს იმ გრძნობას, რასაც ძველი ლათინები odiosus -ს (საშუალებელს) ეძახდნენ, რის კვალდაკვალაც ავტორი ოდიოზურობის ამაზრზენი ბურუსით იფარება... იმის გათვალისწინებით, რომ პოეტო სიყალბის ნიღბებს ვერ მოიმარჯვენს და ვერც ყოფიერებას გააფერადებს, მხოლოდ დამთმენი და სულგრძელი მკითხველის იმედი მრჩება და „ხელისგულის ანაბეჭდებით“ მისთვის იქმნება მხოლოდდამზოლოდ.

4. ასე მეუბნება: სამშობლო? რა გითხრა, რომ არის რა, თითქოს ციხიდან თავდებით გამოშვებულივითა... საცაა ისეც გასკვანჩავენ: შეაბრუნებენ!.. ჰო, ჰო! შამა!

5. ვლაკტინი დანერლიებით აღწერს ბათუმში გამგზავრებას: იქიდან გემით სოხუმში უნდა წასულიყო, იმ ფიქრით, რომ ზღვაში გემიდან გადახტებოდა და თავს მოიკლავდა!.. ბათუმში თვითმკვლელობა გადაიფიქრა. რა მოხდა? იქნებ ბათუმში ჩასულს ვინმე ბანოეანი თავდადენყებით შეუყვარდა და ამან გადაარჩინა დიდი პოეტი?! ეგებ ვინმე ბათუმელის მასპინძლობამ გაულოო გული და ამან უშველა?! არა, მსგავსი რამ არ მომხდარა... პოეტი წერს: უცერად სულში დიდი სინათლე ჩამიდგა და ცხოვრებაც ასატანი გახდაო... სარწმუნოა: მან იგრძნო დიდი, ლეთიური სინათლე, სატანურ ზრახვებს რომ ანადგურებს: პოეზიის დიდი სინათლე!

6. დედამინის ნანგრევებში ჩვენ ეპოვეთ პოეზია, როგორც სამყაროს შავი ყუთი: ჩვენი აქ ყოფნის ერთადერთი ლეთიური მონმი, ცეცხლს და ხვრევის გადარჩენილი.

7. სამი კასტა:
1. მწერლები. 2. მწერლობის მოხალისეები. 3. მწერლობის ცქციტი პოეტები (ამათ მწერლობის დიდმოხელეების „მუსტრიაკვაბადაც“ მოიხსენებენ)... ალაბთ, არიან სხვებიც, თუმცა ისინი ჯერჯერობით არა ჩანან...

8. მეუბნება: დემოკრატია არის ქაბიო და მყაყი: იმას თვით ყველაზე უიღბლო და პროვინციული დიქტატურაც კი მაღლიდან დასცქრს!.. ჰო, ჰო, ასე არის, ძვირფასებო, ასე, ასე!..

9. ის პოეზიას დაემალა პოეზიაში...

10. სიყვარულის შედეგა: შენივე თანხმობით ვიღაც გულს ამოგლეჯს და მერე შენს გულს აღარ გიბრუნებს... და რჩები ასე უბედური, გახლენილი, მარტოსული, მიტოვებული.

11. პოეტური დარდის ქურდობა: კლონირება პოეზიისა: ხელმწიფობა ლეთითდანყველილი!..

12. შონი არაა სახარბილო, უფეთოდ ნაცვეთი სიტყვაცა, მაგრამ ამ მდგომარეობას სხვა რაშით ვერ გამოხატავ: ის იყო ქართული ლექსის შონი... მე ვფიქრობ და, მგონია, რომ არცა ვცდები: იმ დროს შოთა ჩანტლაძე იყო ერთადერთი პოეტი, ვისაც უზღებოდა პოეტობა...
13. მოდი, დამიჯერე: ცუდი ლექსი სამყაროს დაბინძურებაა, ხოლო კარგი ლექსი სამყაროს განახლებებს: ახალ ფერს აძლევს, ახალ სისხლს გადაუხსამს, აღავსებს ახალი მინარისით...
14. ასე იტყოდა: დედალ გველს ნუ მოკლავ: ტანში დედალი გველშემაი ჩავისახლებდები!..
15. მეჭორენი ვერე ამბობენ: ედგარ პო ნარკოტიკს ეძალებოდაო, მაგრამ, გეუბნები, რად უნდოდა ნარკოტიკი დიდ პოეტს, როცა თვით ქმნიდა ზემძღაერ ნარკოტიკს: თავის უკედაე პოეზიას...
16. ამბები: როგორც ამბები...
17. ერთიანობა სასაფლაოსი: ცრემლსა და ყვავილს აქ სიკედილი ანათესავებს!..
18. სულ რამდენიმე სიტყვა: ის სიტყვები მე დავითხოვე მგლის ბილეთით! ვგრძნობ: პოეზიაში იმათ არაფერი არ ესაქმებათ!
19. შოთა ჩანტლაძეს ჰქონდა ლექსის შეფასების ოთხნიშნა სისტემა: პლიუსი პლიუსით; პლიუსი მინუსით; მინუსი პლიუსით; მინუსი მინუსით...
20. ოთკედლები: აქ ზოგნი ფეხით, ხოლო ზოგნი გულით კოჭლობენ...
21. შეუდარებლები: სიტყვის ძალა; მეტაფიზიკის ბნელეთი...
22. ვგრძნობ: თავისთავს ზნეობრივი უმნიკელობის ბურუსში ახვევს ქალი, რომელიც ამბობს სიტყვას „შვილი“...
23. ირმის ნახტომი: ვალქტიკის ინიციალი...
24. გეტყვი: ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს „ანდერძი ავთანდილისა“, რუსთაველის გავლენას ის ვერასდროს ვერ გაქცევა!
25. დრო ლიტერატურულ ქმნილებასაც შლის, ანადგურებს და ნაცრად აქცევს: საუკუნეთა შემდეგ ჩვენ ვხედავთ სიტყვების ქვიშას, მტვერს...
26. აქ ოდესღაც რაღაც აფეთქდა: აფეთქდა მარადიული და ზემძიმე დუმილი, აფეთქდა მარტოობა, აფეთქდა მინის მოლოდინი!.. აფეთქდა დუმილი, რომელიც მონმე არა უყავდა!
27. ხარბაკი. სახარბაკე... ერთი მითხარი, რატომ უნდა დაეკარგოთ ეს შესანიშნავი სიტყვა?
28. პრავდატიშმმა, სარგებლობის ველურმა წყურვილმა თითქმის მილიანად დააბნელა სულის ის მხარე, სადაც პოეზიის ველი მდებარეობს, სადაც ესთეტიზმის, სულბალაობის და სულგრძელობის უკედაეი ტაძარია... და ნუგემის მიჯნოც თანდათან ქრება... და ქრება განუწყვეტლივ, მუუქცევად, უშუადაეთოდ... და ჩნდება ყოფიერების შავი კედელი, რომელზეც ანერია გაუგონარი რამ: პოეზიის გაუცხოება...
29. აი, გულისამრევი რამ: გაყიდული კალამი მწერლისა, გაზეთის მესიტყვისა, მესიტორიისა...
30. ასეა: შემოქმედებითი უმწეობა ინვევს ზიზლს და ყოვლად გაუმართლებელ აგრესიას არა თავის მსგავსთა, არამედ შემოქმედებით ძალმოსილთა მიმართ!
31. იმისი მჭერა „დემონის მწუხარებას“ გამოსახივებს: არაქაურ დარდს და ნალველს უსაშველოს...
32. კითხვა მაინცდამაინც ბედნიერება როდია: ის ტანჯვის ელემენტებსაც უზვად შეიცავს. ეს მომენტე კითხვის პროცესს აქცევს ცხოვრების განუყოფელ ნაწილად: სულის ამაღლების წყაროდ... ამის გამო კითხვის თამს გამოვლილი ტანჯვაც პოზიტიურად უნდა მივიჩნიოთ!..
33. რაღას არ გაიგონებ დროზე, ცხოვრებაზე... და გაისმის ათასგვარი მითქმამოთქმა, რატარატი და ტრაკიტრუკი... აქ შეიძლება გზაც კი ავეებნეს... მოდი, ვერწმუნოთ იმ ერთადერთს, ვინც დაბეჯითებით ამბობს, რომ ეს არის გრძელი, მოსაწყენი სიზმარი...
34. თუნდაც საქულველ ტაეტოლოგიაში ჩავეფლო, მაინც ვიტყვი: აღმქმელი გულის გარეშე პოეზია ვერ ირსებებს!..
35. ენა—მზე. მზე იყო ენა, რომლის გარშემოც ტრიალებდა პოეტის გული... ენამზე. ენა: მზე...
36. არ გაიკვირო! აი, ისიც: ინტელ-აგენტ!..
37. კაცი სიმარტოვე. კაცი ნაძლვეი. კაცი სიმარტოვე. კაცი დაძლვეა...
38. მერწმუნე: სიყვარული უზენაესის ნებაა: ლეთის ნოლია... სიყვარული ცოდვაში არ გვაგდებს. ცოდვაში გვაგდებს სიყვარულის უარყოფა. მივილით ლეთის წყალობა: უზენაესს ხელს ნუ შევეზბურნებთ!
39. ხილატაკე, სოციალური აგრესია, სექსუალური აგრესია, ომი... ყოველივე ამისთვის ქალი მზად არ არის. გულს ნუ მოვულობთ ემანსიპაციის ფუმფულა ზღაპრებით, გაძლების უნარს ნუ ნავართმევთ!

40. აი, ესეც ერთი სენი მწერლობისა: უნაპირო ვეგოზში...
41. სინანულით ამბობდა: ასეთი იყო ცხოვრება, დარიგებებს მაძლევდენ, მაგრამ ეს დარიგებები რომ გამომეყენა, იმის ჭკუას არ მაძლევდენ, საგულდაგულოდ მიმაღავენ... პო. პო!
42. ამასაც გეტყვი: სამშობლოს მოვლის კანონები ხმაზე სწერია!.. ვისაც ხმლის ამოღება არ შეუძლია, ის ამ კანონებს ვერასოდეს ვერ ნაიკითხავს!
43. სუფთა პაერი: აი, ის, ყველაზე მეტად რაც სჭირდება ჩვენს პოეზიას!
44. ესეც წარმოვიდგინოთ: ქართველზე უფრო მეტად ქართველი!
45. „დღე გაიზარდა ერთი მტკაველით“. ეს ვაბუშანურია... მისი უაღრესად რიტმული პოეზია თითქოს უახლოვდება და უმეზობლდება თეთრ ლექსს, ვერბანს, ვერლიბრს... აქ რითმა რითმასთან ისე „შორს“ დგას, რომ თითქმის აღარც აღქმება...!
46. პოეზია, რომელიც „ლამაზად“ ამბობს არაფერს!
47. გულებზე: სუყველაფერს მაინც წარსული სჯობია: ნაცნობი მხარე, ნაცნობი გზა, ნაცნობი ცა, ნაცნობი ქალაქი, ნაცნობი პაერი...
48. დამიჯერე: სული წყლით არ განიანებება. სული დავიანანო, ამბობს ის, ვინც ლექსი იგრძნო, ვინც პოეზიას ჩასწვდა!
49. უმნიკვლობის ბურუსში იმალება მნიკვლამოვლილი ცხოვრება: ეს მოჩვენებითობა იგრძნობა ხაზუბარში, მზერაში, გულისცემაში... ძვირფასო იმანული, ვითომ მოჩვენებითობასაც კატეგორიული იმპერატივის ძალმოსილება განაპირობებს?... ერიპა!
50. დარდის ხელოვნება: აი, ეს არის მწერლობა!
51. თავბრუდამხვევი აბრა: „იყიდება ნიჭი!“ ზედ ვილაყნა ნახშირით მოუწერია: „იჩქარეთ უნიჭოები!“ მახსენდება შოთა ჩანტლაძის ერთი სოუვეტიანი ლექსი: ნიჭით დამძიმებულმა პოეტმა ნიჭი გაყიდა. შემდგომ, როცა პოეტმა ნიჭის დაბრუნება მოინდომა, აღმოჩნდა, რომ მისი ნიჭი უკვე ეპოეზიას ეკუთვნოდა და ნიჭის სანაცვლოდ სულს მოითხოვდა... და პოეტმა მისცა სული, რადგან ნიჭი თვით სულზეც ძვირფასია!
52. მარიამ დედოფლის გმირობის ამბავს ასე აღწერს დიდი დიმიტრი ყიფიანი. გავიმეორებ ამ ძვირფას სიტყვებს: „1803 წელს აპრილის თვეში, განთიანდისას, ლაზარემა დედოფლის სასახლეს ჯარი შემოარტყა, შევიდა პირდაპირ იმის საწოლ ოთახში და გამოუცხადა, რომ ახლავე უნდა გაემგზავროს რუსეთში... ახომ ხედავთ, მე აეთა ვარ, მეგზავრობა არ შემეძლიან, გთხოვთ, მადროვით“... „ეგ შეუძლებელია, დედოფალი! მე უთუოდ ახლავე უნდა ვამგზავნიო!“ - „როგორ უნდა ვამგზავნიო, როცა მგზავრობა არ შემეძლიან!“ - „გუნჯვარ, დედოფალი, მაგრამ ძალას დაგატანთ!“ - „ძალას დედოფალს? ძალას დედაკაცს?“ - ნამოძახა ვილაყამ უქნიდან. - „მამ უარზე ხართ? არ გინდათ ნასულა?“ - ამ სიტყვებით მიხვდება ლაზარევი მარიამ დედოფალს, უნდა სტაცოს ხელი, რომ საწოლიდან ნამოავდოს... იმ წუთის ჩასცემე მას ხანჯალს გულში, გენერალი მკედარი დაეცემა“...
53. ნისლის დეკოლტე...!
54. დამიჯერე: კაცობრიობას ვაანადგურებს არა არმაგედონი, არა მზის სრული და საბოლოო დაბნელება, არამედ - ქალის სულის გამრუდება, რასაც ემანსიპაციის ილუზია ამკიდრებს: როცა ქალი მამაკაცს წინამძღოლად კი არ მიიჩნევს, არამედ ტექნიკედ აღიქვამს და იმას ეჯიბრება, უპირისპირდება და, საბოლოოდ, ეს შეჯიბრი ფატალურად მთავრდება!
55. შედეგის წარმავალი მშენიერება: დრო იმასაც უკვდავ მტკერთან ათანადრებს!.. ამის გამოა, ყოველი დრო, ეპოქა თავის შედეგებს რომ ქმნის: ის წარსულ დროთა ნასუფრალით არ იკვებება!..
56. გული: ეს არის პოეზიის საბოლოო მიზანი: პოეზიით მიიღწევა გულითადობა, გულოვნება, გულსრულობა, გულსასეცობა, ცალგულობა...!
57. დამიჯერე: სახელის დაგდება ძნელი არ არის: უფრო ძნელია, რომ უსახელო დარჩე მაშინ, როცა სახელოვან საქმეს ალასრულებ... აი, ეს არის უფრო ძნელი!
58. ენა თავის თავს აორმაგებს, უფრო გამძლე, ტყეადი და გამომსახველი რომ გახდეს. მაგალითებიც აქაა: გულდაგულ, ხელდახელ, ხანდახან, თავიდათავი, თავთავი, ჩიფჩიფი, ყურყური, ფეხდაფეხ, განდაგან, გურგური, კარდაკარ, ქარდაქარ, ბარდაბარ, გზადაგზა, მთადამთა, ხედახეხე და სხვა და სხვა...!
59. სიტყვა, რომელიც მალა კი არ მიიწევს, არამედ მაცოცხლებელი ფესვივით ძირს ეშვება და მიწაში ეფლობა, უფლის წაწუქარია: ის თვითონ ირჩევს და იმეზობლებს მომდევნო სიტყვებს: ასე იწყება ემოციის მზიადი ტექსტის აღმოცენება, აღმასვლა, გადართობა, ცოცხალი ფითლებით შემოსვა; ასე იწყება სიტყვაში გამლევალი, ესთეტიკურად დახვეწილი სიცოცხლის დამკვიდრება, რომლის ხანგრძლივობა ხშირად ათასწლოვით განიზომება... ამგვარი სიცოცხლის მატარებელ ტექსტს ასევე თანასდგეს ლეთაბრევი პოეველი, რაც დროში დაცლილებულ გულებს აჯავახობს, მომოქმედებთ დარდს გადასცემს...!
60. უპირწყლო კაცი...!
61. ასე იყო: ჯერ სამშობლოს გვიმაღავენ; მერე თავისუფლებას გვიმაღავენ... ღმერთო, ღმერთო!.. ღმერთებო!

62. აი, კიდევ ერთი სიმრუდე ბუნებისა: ძუხვადი!
63. პლაგიატორი ბაცაცების ნახელავი; შეორადი ლიტერატურა...
64. დრო მრგვალია: მამ, დროის ღვთაებრივ წრეზე მიმავალი ადამიანი უდავოდ წარსულს დაუბრუნდება: ისევ იქ მივა, სადაც როსმე დაკარა ისარი!
65. დედამიწის დაუოკარი მიდრეკილება უდაბნოდ ქცევისა, გაუდაბურებისა, სინმინდისა... იგრძნობა: ეს დედამიწის მომავალია!
66. სინანულს თანხდევს ეს მჭრელი სიტყვები, რასაც ბრძენი ლაინები ხშირად იმეორებდნენ: ენამან ჩემმან მიმტრო მე!
67. თბილისის ქუჩაში ნანახი: ცოცხს დაყრდნობილი ახალგაზრდა მეუზოვე ქალი... საოცარია: სახე სწორედ სარა ბერნარის!
68. ის იყო და დღესაც ინერციით გრძელდება: განიწირობის პოეზია...
69. აბა: შური სულმოკლეობისა და გაუნდამეცობის ისეთი ყოვლისშემძლე ფორმაა, რომ თუ მოგეძალა, საიქიმიც კი შეიყვანს, დროებით ან სამუდამოდ!..
70. მოკედა ანტიქრისტე: ის დაუმარხავი დარჩა!
71. აი, კიდევ ერთი ახალგაზრდა პოეტი: ეტყობა რომ მტკავლით გაზომავს ის მომავლის საუკუნეებს!..
72. ქართული მეტყველების უპირველესი მიზანი: რუსიზმების დაძლევა!
73. პრომეთემ ადამიანები ღვთაებრივ საქმეთა მონემებად გააჩინაო, წერს ლუკიანე... ალბათ, ეს ასეა!... ოლონდ, ზევის გულისწყრომა არც ხარის ხორცის გადამალვისთვის და არც ადამიანთა გაჩენისთვის არ დაუმსახურებია... საგარაუდოდ, ზევისმა პრომეთე დასაჯა იმის გამო, ამ მოწმეებს გინერგება რომ დააკლო, ღვთაებრივ საქმეთა უშუალო წვდომის უნარი რომ არ მისცა... უფრო ქალის გაჩენისთვის დასაჯაო, ამასაც გვეუბნებიან ძველი დროის ტვინოსნები... ვინ იცის!
74. პოეტური ცთომილება: როცა პოეტი თავის პოეტურ გულწრფელობას ლექსის სამკაულებით ფარავს, აბუნდოვანებს, ბურუსით ახვევს... უამბურუსოდ პოეზია იქნება სხვა რამ: ის, რასაც მე შეტყობოების უწოდებ, რაც უფრო მეტად ახალია, უფრო მეტად თანამედროვე და უფრო მეტად მართალი და გამჭვირვალე.
75. უღირსებო ადამიანი! შეხედე: ხომ დიდი უბედურებაა! ესლა წარმოვიდგინოთ უღირსებო ქართველი: ეს ხომ ყველაზე ამბარზენი ვინმე არის!.. თუმცა წარმოადგენს, ანთუ წარმოსახვა რა საჭიროა: ასეთები ხომ ყველ ნახვიზე გვხვდება დღეს ჩვენს უიღბლო საქართველოში!
76. მოდი, ცოტახნით გამოვიღვიძოთ: დავინახოთ, რომ წარსულის ნაცარში გვიძინავს!
77. პოლემისტებო, ლაფისმსროლელებო, ჭორისამგორებლებო, პასკვილმწიხიანებებო, გაიგეთ, რომ ცნობიერების ყოველ ნერვტოში, კაცის გულისგულში აღმართულია, ათავისი! სიმართლის ციხისმამკრე, ციტადელი, რომელიც ავკრე იოლადა არ ინგრევა; რომელსაც ევრე იოლადა ვერ თმობს!
78. სიტყვას თანხდევს უფსკრულის შიში: ჩაშვების იავარქმნის, ნანყმედის შიში და, სულის მდგომარეობის კვალდაკვალ, ეს შიში ხან ძლიერდება, ხანაც ნელდება, იწრთება... ეს არის დამთრგუნველი მოლოდინი, ბუნვის ხიდზე გადასვლის ფრუანტელი და ქმნალობის დასასრულს შევიგრძნობთ არა ქმნილებით მოვგროლ კმაყოფილებას, არმედ - გადარჩენით აღძრულ მაღლიერებას; შევიგრძნობთ ასე: მამ, ღმერთი ამჯერადაც ჩემთანაა!.. ამჯერადაც გადავრჩი!
79. ჟამთასვლა საწმისივითაა: ის იტოვებს მხოლოდ ოქროს, ხოლო ქვიშას და ნაცარს გახდავსა მიმობანებს წყალს ატანს...
80. კოლონიური სიძაბუნე, ჩვენს ხალხს რომ სჭირს, როგორც სახადი...
81. მოდი, ეს გულწრფელი ნათქვამი პოეზიას მივუსადაგოთ: „ვილაც წერს მხოლოდ მცირედათათვის, ვინც გაუგებს, ვინც იგრძნობს...“ (ვ. ვულფი).
82. ყოფილი პოეზია... ყოფილი ლექსი...
83. თუ ბუნებას განუდგები, მაშინ ამგვარ რამესაც იტყვი: ლამაზია სიძულივილი!
84. მე შეხვედი იმას, ვინც ხელალებით მიმტკიცებდა, გენიოსი ვარო... ვინ იცის, ეგებ ასეცაა! ეგებ მართალიცაა! მე კი არ დავუჯერე!
85. დროთა კავშირის შეუძლებლობა! გვეუბნები: მხოლოდ სიტყვით მიღწევა დროთა კავშირი.
86. საბოლოო მიზანი: ღმერთი. ადამიანის დარდი ამაზე იქით ვეღარ მიდის: მისთვის დახშულია ღმერთის მიღმური სივრცე, რაც უდავოდ არის და მოიაზრება და შემეცნებაში შემოდის, როგორც უწვეწენელი რამ: არაფერი, არარა...
87. „ზურაბის მამა ტიროდა ღალატით მოკლულ შვილსაო: აღარვინ მეგულეობდა მამრევი ზურაბისაო“. მართლაც, იმხანად ზურაბ ერისთავის ძლევა თითქმის შეუძლებელი იყო. ის გახლდათ მოურეწენელი კლდეკაცი. ბრძოლაში მისი პირადი მონაწილეობა ყოველთვის გადაამწყვეტი იყო. გარდა გულოვანობისა, ფიზიკური სიძლიერისა, მას მზაკვრობის უნარიც დიდი ჰქონდა. ზურაბის არსებობა აფთობდათ არა მარტო საქართველოს მეფეებს და თვადებს, არამედ - ირანის ძლევაში-სილ მასაც: ღალატის ნაპერკაკლიც იქიდან ნამოვიდა და საფურცლებში სტუმრად შოფიო ზურაბის კარავთან მივიდა ელემი თულუმშიჯისის სახით... ვისი მზაკვრული ნების შემსრულებელი იყო, ეს, ალბათ, თვით ელუმშეც არ იცოდა!.. ეს მოღალატე მკვლელი ხალხმა ასე განადიდა: „ელუმო თულუმშიჯილი, ევფვი ხარ, ევლის კანჯარი, შენ მამაკლ ერისთავისმი-ვილი, ზურაბს შენ დაეც ხანჯარი!“..

88. ვერძნობთ პოეზია, როგორც მომავალი თაობების საჩუქარი: სიტყვის წმინდა კრისტალების ერთობლიობა, ესთეტიკური მთლიანობა, რომლის წიაღშიც იმალება მფთვებული გული...
89. აი, ისიც: ემჩნევა, რომ ამძიმებს ცოცხალი კლასიციოსის წილაბი, თრგუნავს კლასიციოსის ამაზრზენი კომპლექსი და თანდათან შრეტს მისი ქმნადობის უნარს და მას ტრევის ლეთობობებული აურა... ის მოსწნს, როგორც სახელის ტყევე, იმ სახელისა, რაც მწერლისათვის ყოველდ უსარგებლო და ზედმეტი ბარგია: ეს ყოველივე ემჩნევა არა მარტო მის სიტყვას, არამედ – მის მოძრაობას, გამობედვას...
90. რა იმალება ირონიის მიღმა? სულის სიმწირე? ხელმოცარულობის დამორგუნველი შეგრძნება?..
91. დევის სახელები: ავი, ავთანდილი, ხაზარან, ბაყბაყ, ვერხვლის ბული, ბელელი, ქუჯავეთ, გამხვიარული... ქალ-დევეთა სახელები სადღა? აი, რა მიხზრა ერთმა კითხულმა, ანდრეზ-იგავების მცოდნე ზევსურმა: დევებს ცოლდებად ჩვენი ქალები მოჰყავდათ და შვილებსაც ისინი უჩენდნო. თანაც, ყველა შვილი დევი არ გამოდიოდა, ზოგიერთი შვილი იბადებოდა დევედ და დევეურ ტრადიციასაც ის აგრძელებდო... დევეთა დანარჩენი შვილები ადამიანთა შორის ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ... მო, ასე: დევეთა მოდგმის კუდები დღესაც კარგად სწანს ჩვენს საზოგადოებაში...
92. ორი მიზანი: პოეზია, რომელიც იქმნება ყურისთვის და პოეზია, რომელიც იქმნება გულისთვის... ეს მიზნები სადღაც ერთიანდება: ეს ხდება დიდ პოეტებთან...
93. მეუბნება: სიბერის უნდა ემწირდეს იმას, ვისაც გარანტია აქვს, რომ დაბერდება... მე კი, რატომ უნდა მემწირდეს იმისა, რაც თითქმის შეუძლებელი სწანს?
94. გრიგოლ აბაშიძე, გივი გეგეჭკორი, დავით ნერედიანი, სხვებიც... გასულ საუკუნეში ფრანგულ პოეზიას ჩვენი წამდ-ვლიად გაუმართლა!
95. ირწმუნე: უკედავების საბუთი ჯიბეში არავის არ უდევს!
96. დამშრალი მდინარის კალაპოტის დუმილი; უფოთლო ხის დუმილი; სიკედილის დუმილი...
97. ეხეც სიზუბთლე ბედისწერისა: რომ ყოველწანას იმას ელი ხელეგანვადილი, ვინც შენ არასდროს არ გელოდება!
98. პოეზიის დიდი სიმწანე...
99. შრომაგამარუდების კოლონიაში სასჯელმოსხილი პოეზია...

სიტყვები სიტყვების შესახებ

გულის ბიძგებს იწერს კარდიოლოგი, ხელის თითების ანაბეჭდებს სწავლობს იურიდიული დის-ციპლინა. თითოეულ ადამიანს საკუთარი ნიშა აქვს, გულინა და ხელის (თითების) საკუთარი ტვი-ფარი.

ეს ჩანანერები სხვაა, შეიძლება, უფრო მეტიც და, ამდენად, საიდუმლოა, ფარულია კრიპტოგრა-მასავით, მისი შოძრაობა და გრაფიკულობა მხოლოდ პოეტური სიტყვებით გამოისახება და მიიღნე-ვა.

ამ საიდუმლოს უნდა ფლობდეს პოეტი.

თამამად შემოქმედა ვიქვა, ეს ჯარჯი ფხოველს ქალუქს.

ჯარჯი პოეტია, შემოქმედი, შერე ოსტატი.

ეს „მეტაპოეზია“, როგორც ამ ჩანანერებს უწოდებს ჯარჯი, კიდევ სხვა რამეს მაგონებს, ანუ ლოცვას – შეუდაბნოეს საიდუმლო მეტანიას სიტყვებისადმი.

ჯარჯისთვის სიტყვა ყველაფერია, მისი სიტყვა ფასობს, სიტყვა არ გაექცევა, გჯერა. იცი (ზედავ), რომ ნაფიქრი აქვს, სულის თითოლა და ტანჯვა გამოუვლია, ნაგვეშია და მართალი, ხისტიც... ასეც მგონია, ფერიც აქვს, წონა და ფორმა, ხორკლი და იმისი გემო, ძვირფას ქვაზე ზრდომ მინერალური მარილივით ზედ დაამწინა და დატოვა...

ჯარჯი ფხოველი რთული პოეტიაო, გაიგონებ ხოლმე.

შეიძლება.

მე უფრო მგონია, ეს იმისი ბრალია, როცა პოეზია ცუდად გვესმის, წმინდა ლიტერატურას ფსე-დოლიტერატურისგან ვერ ვარჩევთ... როცა „ლიტერატურული მანკეანი“ (ვ. ნაბოკოვი) წარსულ-იდან მხოლოდ გადმოგვყვა თუ ვანსაკუთრებით დღეს, სამწუხაროდ, ნანვიმარზე სოკოებივით მოვიმ-რავლდა...

შეიძლება, მართლაც რთული პოეტია ჯარჯი.

რთული თუ ღრმა...

სიტყვა მისთვის ის უფლის საჩუქარია, ცაში კი არა, მიწაში რომ უშვება მაცოცხლებელი ფესვი-ეო.

აკი თაუად გეითხრა ერთ ძველ დიდებულ ლექსში: „არ იმღერება ეს სტრიქონი“, გვერინაო და ლექსს „ვერინი“ – ც უნდა.

ვერაფერს იტყვი. ჩვენი „ლიტ. ცხოვრება“ ისე აენყო, როგორც პოეტები, ისე რჩეული მკითხ-ველებიც გაიშვითადნენ.

გულს ერთი რამით დავიმევიდებ.

ჯარჯის ფასი იმდენმა იცის, ვინ და რამდენმაც უნდა იცოდეს – არც მეტი, არც ნაკლები.

ლელო არაბული

●
რა ვერაგულად მიმატოვეს
ნაზმა მუზებმა...
ვიცი, ღირსი ვარ, დავიმსახურე,
არ დავაფასე მათი ღირსება.
მაგრამ წასვლის წინ
ის მაინც ეთქვათ,
ახალი ლექსი თუ შეღირსება...

●
გული მერევა,
სველა მერევა,
ფეხი მერევა.
ვნება მერევა,
წლები მერევა,
ვიღაც მერევა.

მაგრამ სამშობლო
სხვა სამშობლოში
არ ამერევა...

●
გადაშიარა,
გადმოშიარა,
თითქოს ვარ კორედი.
მაინც ავიღე ჩემი აკორდი...

●
ცრემლით საესე პეშვები,
თავდაღმართზე ვეშვები...
უფსკრულს გადავეშვები,
რაკი ველარ ვეშვები.

●
მიმაიწყდება ყველა არია,
ვნების ისეთი ოხშვიარია,
მაგრამ ვცდებოდი, არ იყო ვნება,
იხარშებოდა თურმე ვარია.

●
ჩემი ლექსები,
როგორც თესლები,
მიმოვანბნე ირგვლივ ყველაში.
სამწუხაროა,
მაინც ვერ ხვდებით
თუ რა ხდებოდა თურმე ლელაში.

●
ვინ არ ჩამერია,
ვინ არ გამერია,
ქატოში ფქვილი
მაინც ამერია.

●
მარუქა კონცა
აურაცხელი, ისეთი ცხელი,
გამქცა ცხენი.
ვერც მოვასწარი, რომ მეკრა ღეზი,
და ძალიან შორს,
საღღაც შორეთში
ამელო გეზი.

●
განწყობა არყის...
სახეში მაყრის
დარდებს და ფიქრებს,
რა თავხედია?!
არადა, გარეთ
საოცარი ლურჯი ხედია.

●
ვერ მოვიშორე
შენი სიშორე.
რისთვის და რატომ?
იქნებ, ამიხსნათ
ამ სასჯელისგან მალე დამიხსნათ.

●
ურევები, ურევები,
მომესურვები
იმდენჯერ, მართლა არ დამითვლია.
როგორც ყოველთვის,
არც არაფერი არ გამითვლია.

●
ჩემსას არ ვიშლი...
მკლავებს გავიშლი.
ნაწნავს ჩავიშლი,
თუ არ დამიშლი...

●
ცა დაიკიდებს შთვარეს მძივივით.
მივექანები საღღაც ტივივით.
გზადაგზა ტალღა, ნისლი, ლოდები.
არასდროს გეტყვი: დაგელოდები.

●
 თავწაკრულია,
 ჩემგან კრულია
 კერძი სატანის.
 რამ დამაიწყოს გემო რა ტანის,
 პირი ამოშვვა.
 რაღა მიშველის?
 სქელი ნისლები ისე ჩამოწვა...

●
 შეხსნილი ღილი,
 ჩემი საკინძე...
 ველარ აკინძე.
 ვერც ერთი სიტყვა.
 რა გეპართება?
 სად გაქრა შენი ის შეპართება?

●
 არ გამიხდია...
 და არც შეგობრად არ გამიხდია.
 სამაგიერო გადამიხდია,
 მერე ისეთი გადამხდენია,
 არც ერთი ნატვრა არ ამხდენია.

●
 ჩემს წინ ხაროა...
 სამწუხაროა,
 უკვე ჩავევარდი.
 ხელში მაქვს ვარდი, არ გამიშვია.
 არც ეს ჩავეარდნა არ დამიშვია.

●
 ცული დარები...
 რას შედარები?
 თმას არ ვიღებავ.
 მაცვია ურცხვად.
 დამიკოცნეს გუშინ მკლავები.
 არ ვარ ერთგული,
 შემძილია, წამში გაგიქრე.
 ო, მაპატიე, თუ უნებლიეთ
 აღი ჩაგიქრე.

●
 ბევრი ვიარე...
 გვერდი მაინც ვერ ავიარე.
 ისე, უბრალოდ შემოგიარე.
 მინდა, მოვეწილო
 თუნდაც წამებით,
 რომ არ ამომხდეს სული წამებით.

●
 მართლა ვერაფერს, ვერაფერს გავხვდით.
 თუ გინდათ, ახტით,
 თუ გინდათ, დახტით,
 ბოლომდე წავხვდით.

●
 დაცვალე თასი,
 მომაყარეს კითხვა ათასი.
 გამიწვლა თასმა,
 ქარაგმამ ასმა
 ჩარჩოში ჩასმა
 დამაიწყვა ფართო მინების.
 დრო ისევ დადგა მწარე გინების.

ნინო კალანდია



●
ჩაიცვა სამოსი...
წაბიღწა იგი —
საქანელა ბავშვის
და ბრალი დასდო
მორკალულ ცისარტყელას...
მოსაჩვენებლად —
გზას გაუყენა
სიცოცხლე იგი...
და გააფრინა...

●
თრთოლას აყოლილი
ღუმდა სანთელი...
ჩრდილმა გაშმაგებით
საგნები ვადამალა
ჩემთვის ამოუცნობ
უცხო სამყაროში.

●
ძილს სიზმარს მიეგვრი:
და მართლა წყალში
ნასწავლი ცურვა
ცხადში ნერვიულ
ღღელ აღსრულდება.

●
 ნაცნობ ფერებში — მაშინდელი ნათამაშევით;
 ორნამენტების კორიანტელში — იძულებით
 თავს არ ჩავიძირავ
 გრძნობებს აყოლილი
 და მიმოფანტული აზრების
 დაღაგებვას ხვალ შევეცდები.
 და თითქოს მომავლის წინასწარ
 ხილვას ისევ მოვინდომებ.
 განრიდებული ჩემგან ვონება —
 მკრთალი — აისახება ტილოზე ფერთ.
 ჩაიფერფლება რაღაცის აზრი...
 მადისაღმძვრელი ეკლების სახით.

●
 ფარდა
 გადახტა
 და თავი
 მოიკლა
 ჩემს
 დასანახად.

●
 ბეჰემოტმა
 ტერიტორიული
 მთლიანობის
 დასაცავად — მას
 შესთავაზა
 ექსკრემენტი
 და შესძინა
 ბოჰემური
 ცხოვრება.

●
 გამჭვირვალე მოქალაქის —
 კარლოს ქოშში
 ფეხი ჩავლვი
 და ავფრინდი
 გამჭოლ მზერით —
 დღე მესამე.

●
 გარღვეულ ღრუბელში
 წვიმას იგულისხმებ.
 თავაწეული კუთვნილ
 ცის ნაგლეჯს
 დაუწვებ ჭვრეტას
 და ვითომ გაწუწულს
 ვიღაცის დაკრძალვა
 მოგელანდება.

●
 ლურჯი ხელებით
 შორს — ჰორიზონტზე
 სხივებს განვაღაგებ
 და მართლა სიფრიფანა
 ყურების პატრონს
 ენახვ ქალს და
 ცხოვრებისგან დაღლილ
 თვალებს მიღმა
 ფონს არ შევუქმნი.

●
 საფიქრალს რა გამოლევს —
 ხშირად ვიმზირები კუშტად.
 ქანდარაზე არ დავეჯდები,
 და, თუ დავეჯექი,
 ამრეზით მაინც, თვალს
 გადავაკლებ ისევე ყოველივეს.
 და თავის ფორმა არ შემეცვლება.

●
შენივ
ნებადართული
ანომალია.
და შენ –
ისევე სალოსი,
ვითომდა მეტყველი
წინასწარ.
პოეზიაში
ნონსენსს
ამრავლებ
დამაჯერებლად.

●
... და მითხრა მან:
- უზმოზე დედას
არ წააკითხო
ბოდღეერი,
თორემ შენგან
არაფერი დარჩება.

●
ტუაზე გამობმული და
თან კუდამოტუებული
საკუთარი დავლანდე ჩრდილი,
ჩრჩილის დაღრღნილი,
ვითომ ნარჩენი
გარდასულ დროის.

●
... და უკუნეთი
სიბნელის ფსკერზე
თუ იპოვიდი
არნახულ სიცრუით
გაჟღერებულ პეპელას –
საოცრად გაბმულს
ობობის ქსელში –
ვით სასამართლო.

●
ვერაფერს ვიგებ,
ირგვლივ ქაოსია:
სადღაც გასაგებს
არაფერს ვიგებ.
ყურში საცობია
და ნაგრძობია
გრძელი, საკუთარი
გულისცემა – არაფერი.

●
რაოდენობით სიმწვანეში
ჩაფლულს ისევე მწვანეში...
ფართო თვალებით
შენკენ მავალი
ორთქმავლის ჩრდილით
ექსტაზში შესულს
ისევე მზე გათბობს.

●
წინასწარ დამესიზმრა
ცა როგორ მოიკუპრა
და ხმამ შემომჩივლა
მზე აღარ ამოვაო.
და მე მგლოვიარედ
ვითომ ჩაეცმეგდი
ქექლუცი ძაფით
დაეკმსილ კაბას
სამყაროს შესანდობად.

●
ქარის მონაქროლი
სევდა შემომახტა
და უთვალავი
მომგვარა ცრემლი.

ოთარ წერწემია

პუქმუ



პროლეტარიატის დიქტატურამ /დროში გაუჩინარებული ტანჯვა, დროში გამშრალი სისხელი და ცრემლი, დროში გამქრალი ბედნიერება/ ათასობით, ათათასობით ადამიანის სიცოცხლის ფასად, მაგრამ შესძლო და, სამწუხაროდ, თბილისი ცრუ, მატყუარა ლიმილების ფარდების ქალაქად აქცია, /რასაკვირველია, ორანსლიანი მონობა-პირობის შედეგადც/; იმ ძველი ინერციით ახლაც ყველა ყველას კოცნიდა პროშნიდა, ყველა ყველას ეფერებოდა და არავის არაფერ უყვარდა /გასაგებია, რაზეცა ლაპარაკი/. გეთანხმებით, დაბრალება-ვადაბრალება ადვილზე ადვილია, მაგრამ, მაშინ რაო, გამოიძის, რომ ჩვენთვის, საქართველოში მცხოვრებთათვის ეს ამბავი საიდანაც გენეტყურად გადმოსული, დედის მუცლიდან გამოყოლილი მანკიერება იყო?.. ჩვენში რა, თავიდანვე მოლიმარი, პირფერია ბაღები იბადებოდნენ?.. მართალია ახლა ძველებურად მაინცდამაინც არაფერ არავის აბეზლებდა, ასშენდა, აჭერინებდა, ახვრეტინებდა, მაგრამ... ჰო, კარგი, არაფერი; შევეშვათ, მაგრამ... ნასასველელი ხომ არსად იყო?... კი, ვთქვათ, ნასასველელი კი, მაგრამ მისასველელი?.. ახლაც მხოლოდ ერთეულებს თუ დაასახელებდით, ვისთანაც მისვლენოდა, ვისი დანახვაც გაეხარებოდით.

ბოთემ იმ დღეს ჯუთის სამსახურში ააკითხა /ისე, სეროტონინის ასანეცად/.
ჯუთი მხატვარი გახლდათ.
კარგი მხატვარი. გაგეცინებოდათ, მაგრამ ვილაკამ „პატივი დასდო“ და რატომღაც რომელიღაც სატელევიზიო არხში კრიმინალური ქრონიკების განყოფილება ჩააბარა, თუმცა კრიმინალური ამბებისგან ისე შორს იყო, როგორც დედამინისგან ადრემიდა.

ცნობილია, პატრიოტიზმი ორნარიია.
„მძიმე“
და
„მსუბუქი“.
მძიმე პატრიოტიზმი მწელია, მოითხოვს დიდ სულიერ კულტურას, შრომისმოყვარეობას, არ უყვარს ხმაშალაი ლაპარაკი, ხმის აწევა.
მსუბუქი — ადვილია და ფრიად საშიში. სატანისებრი ანთებული თვალეზი, მოკუმშული მუშტები... ადვილია ერთი სრულიად უბრალო მიზეზის ვამო - ეყრდნობა უმეტრებას.
ჯუთი „მძიმე“ იყო.
გასაკვირი არაფერი.
ბნელს არაფერს მატებდა.
ჯუთი მაგიდასთან იჯდა /იქვე, ხელმისაწვდომ ალაგას, დიდი, განუწყრელი პორთფელი/.
ოთახში - კიდევ ორი კაცი, ერთი დივანზე იჯდა, მეორე — სავარძელში.
— ნიკა? — ჯუთის გაეხარდა მისი დანახვა. — საიდან?

— რა ვიცი... — ბოთესაც გაეხარდა.
გადაკოცნეს ერთმანეთი.
— აქა ხარ?
— კი, აქა...
— როგორ ხარ?
— როგორც საქართველო...
— ჰოო? — გაეცინა, მაგიდას დაუბრუნდა. — დაბრძანდით! — სავარძელზე ანიშნა, რატომღაც თქვენობით მიმართა /უცნობებს გაეღიმიათ, თითქოს რაღაც ესაიმოვნათ/.
ჯუთიმ ორივე ვააცნო.
ჩანდა, რაღაცაზე საუბრობდნენ.
წამით უზერხული სირწმე ჩამოვარდა.
— ხელი ხომ არ შეგიშალეთ? — ბოთემ ყველას ერთაღ გადახედა. — მე ისე... შემოძლია, სხვა დროსაც შე-

მოვიარო...

— როგორ გეკადრებათ, ჩვენც ისე... უბრალოდ, ესაუბრობთ, ვერ თობით...

— რა თქმა უნდა!

— ბატონო ჯუთი, ამბობენ, სკოლებში სექს გაკვეთილებს შემოდებას აპირებენო... თქვენ რა აზრისა ხართ? — მელოტმა სიგარეტი ამოიღო, გააბო-
ლა.

— დადებითს...

— რატომ?

— რაო, ყველაფერი ვიცით, არავისგან არაფრის სნაე-
ლა აღარ გეჭირდება?

— ეგ ჰო, მარა... სექსის?

— თუშეცა რა სნაელა უნდა... წინაპარმა არ იცოდა?
ჯუთიმ ოდნავ ირიოხულად ჩაიცინა.

— მეც ასე მეგონია, იცოდნენ! — მელოტსაც ირიონ-
ული ლიმოხი გაუერთა ისახზე.

— იცოდნენ, იცოდნენ!

— კი, ბატონო, იცოდნენ და, საერთოდ ძველ საბერძ-
ნეთში „ჭუჭყისგან განწმენდასაც“ უწოდებდნენ...

— მეონი, მუსულმანურ ქვეყნებშიც არ ასწავლიდ-
ნენ... თუშეცა იქ ეს არავის უშლიდა ხელს, ჰარამხანები
და სათუქუსოები ჰქონდათ.

— ნიკა, შენ რას იტყვი?

— კარგა ხნის წინათაც უნდა შემოეცლით.

— რა თქმა უნდა, ალბათ, აქ ლაპარაკია სექსოლო-
გიაზე, ფსიქოლოგიაზე, მედიცინაზე, ჰიგიენაზე და ასე
შემდეგ, ხომ?

— მე მეგონი.

— კარგია, თუ ეს ყველაფერი ციცილიზებული, მა-
ღალკვალადიციურ მეცნიერულ-პედაგოგიურ ოდნეზე
იქნება.

— იქნება.

— ჩემი ერთი ახლო ნაცნობის ცოლი სულ რაღაც
ორი-სამი დღით სიოფელიმ წასულიყო... — სავარძელში
დაყურადღებულად შეიმჩუნა, სიგარეტს გადასწავდა. ნაც-
ნობს ჯანგირა ჰქვია... ჯანგირა და მისი ქალიშვილი,

თორმეტ-ცამეტი წლის გოგონა, მარტონი დარჩენილ-
იყვნენ ბინაში. ბავშვს რომ პირველად ცხოვრებაში მენ-
უალური ციკლი დანწყებია, ჯანგირას რომ ოთახში ჩა-
ექტილი, ატირებული ბავშვი, სისხლით მოთხიანილი

ონკანი, აბანანაში სისხლიანი პურანგი და მისი ამხანაგი
დაუნახავს, კინალამ გადაიფულა; ვეღარ მიმხედვარა,
რა ხდებოდა... ბავშვს შეკითხვებით დატკბობდა, თანაც

ისეებით, რომ ისედაც შემწიხებული ბალანა კინალამ
აუფრადან გადამხტარა... მერე ჩვენთან დარეკა,
მითხრა — ახლა კი, მეონი, ვხედები რაშიცაა საქმე, მა-
გრამ რა ექნა, როგორ ვკითხო, რა უთხრა, რანაირად

აუფრასა... მიხივო, ბავშვს იქნებ შენი მეუღლე დაეღა-
პარაკოს ტელეფონითი. მაშინვე დავექოქე მანქანა,
ცოლი გვერდზე მოვისივო, მივედი... ქალმა აუხსნა ყვე-
ლაფერი, დაუყვავა, ძლივსლა დაწყნარა ბალანა...

— აი! — ჯუთიმ თავი გადააქანა, მერე სიგარეტის
ბოლი მოიშორა, გაფანტა /არ ეწეოდა/.

— ჩვენთან, სოფელში, სექსის სწენება ტაბუდადებუ-
ლივით ახლდათ. — მელოტმა სიგარეტი მაინც ამოიღო,
გააბოლა. — კარგა ჩვიდმეტი წლისა კი ვიყავი, მაგრამ

— აბაუ, ქალს რომ ლოკინზე გადაამწვენ, ჭიბოდან ლაჯე-
ბისკენ ერთი მტკაველი გადაზომე და, საცა მატარა თითი
მოგვიხედება, იქნა შელიბიკი...“ აღარ დავიბაღავთ,
დღესაც ეგაა თთელი ჩემი სექს-განათლება, ოღონდ

— აბაუ, ქალს რომ ლოკინზე გადაამწვენ, ჭიბოდან ლაჯე-
ბისკენ ერთი მტკაველი გადაზომე და, საცა მატარა თითი
მოგვიხედება, იქნა შელიბიკი...“ აღარ დავიბაღავთ,
დღესაც ეგაა თთელი ჩემი სექს-განათლება, ოღონდ

— აბაუ, ქალს რომ ლოკინზე გადაამწვენ, ჭიბოდან ლაჯე-
ბისკენ ერთი მტკაველი გადაზომე და, საცა მატარა თითი
მოგვიხედება, იქნა შელიბიკი...“ აღარ დავიბაღავთ,
დღესაც ეგაა თთელი ჩემი სექს-განათლება, ოღონდ

— აბაუ, ქალს რომ ლოკინზე გადაამწვენ, ჭიბოდან ლაჯე-
ბისკენ ერთი მტკაველი გადაზომე და, საცა მატარა თითი
მოგვიხედება, იქნა შელიბიკი...“ აღარ დავიბაღავთ,
დღესაც ეგაა თთელი ჩემი სექს-განათლება, ოღონდ

— აბაუ, ქალს რომ ლოკინზე გადაამწვენ, ჭიბოდან ლაჯე-
ბისკენ ერთი მტკაველი გადაზომე და, საცა მატარა თითი
მოგვიხედება, იქნა შელიბიკი...“ აღარ დავიბაღავთ,
დღესაც ეგაა თთელი ჩემი სექს-განათლება, ოღონდ

— აუჰ!.. — სავარძელში მჯდომმა ჩაიცინა.

— შე კაცო! — ჯუთიმაც ჩაიცინა.

— ჩვენს მშობლორ სოციალისტურ სამშობლოს
ამისთანა „სისულელებსთვის“ სად ეცალა!

— ეე, სამშობლო ღორია, რომელიც ჭამს საკუთარ
შვილებს.

— ეგ ვინ თქვა?

— ჯოისმა.

— თუ მარტეკმა?

— ჯოისმა.

— აი, სასწაული... რამ ათქმევინა?

— რატომ სასწაული?... სასწაულები არ ხდება.

— არა?

— არა!.. ბიბლიური სასწაულებიც მხოლოდ მეტა-
მორფოზები და სიმბოლიკებია, შიფრია... ხომ ასეა,
ჯუთი?

— ჰო, გენაცვალე! — ჯუთიმ თავაზიანად არ უარყო,
მაგრამ თითქოს არც დაუმონძნა.

— მითხარით, ბოლოს და ბოლოს, რა არის სამშობ-
ლო — ადგილი, სდაც დაიბადე, გაიზარდე, ზღვა, მთა,
მდინარე თუ კიდევ სხვა რამე?

— ეგ არავინ იცის... არ არსებობს ზუსტი პასუხი.

— სამშობლო, როგორც სიცოცხლე, ზეციდან მოვ-
ლენილი ბედნიერებაა. — ჯუთიმ ისევ მოიშორა სიგარე-
ტის ბოლი, მელოტს გამოხედა.

— ჰოდა, ზეციდან მოვლენილ ამ სიკეთეს მოვლა და
ცოტა ხელის შეშველებაც ხომ უნდადა?

— რას გულისხმობ?

— მეფე ერეკლე მეომარი კი იყო, მაგრამ...

— ვაჟაკი უბადლო...

— მზედართმავარეც გენიალური, მაგრამ... ალბათ,
უფრო გულბრწყინობით თუ მოუვიდა, რომ სახელმ-
წიფო სამშობლოდ აქცია, მერე სამშობლოც მამულე-
ბად დაჰყო და შვილებს დაურება.

— კი, კი, სამწუხაროდ...

— როცა ეცა სახელმწიფო სამშობლოდ იქცევა,
ხილო სამშობლო მამულად, იყვირე ბოხი ხმით — მიშ-
ველეოთ, ელედ დიდ უზედურებას...

— ჰო, მარა... რა ექნა?

— ეგ ვინ იცის... ახლა ძნელია თქმა.

— ან ადვილი...

— მე მეგონი, ახლა უკვე ყველაფერი კარგად იქნება.

— იქნება, თუ პლანეტას ეშველება.

— პლანეტას როგორ!..

— პლანეტას იხსნის მისი ციცილიზებული ნაწილი,
მისი სამშვიდობო ძალები და არა კბილებამდე შვიარ-
ალებული მლიონობით ადამიანი...

— როდის?

— კოვა ჟამი...

— როცა, ჩვენ წავალთ... — მელოტი უცებ ნაშოდა.

— იყავით, რა გეჭკარებათ!

— დღეს რაღაც ეგრა ვარ ხსახითზე... წავალთ,
რუსთაველზე ჩავისიკინებთ...

— ჰო, გენაცვალე! — ჯუთიც მაინცდამაინც აღარ
შეინწინაღმცვალა. — გამოიარეთ ხოლმე.

— თავაზიანად დამეშვიდობენ.

— თავაზიანადვე გაუჩინარდნენ.

— ვინ იყვნენ? — ბოთემ თვალი გააყალბა /ჯუთი-
ისთან საინტერესო ადამიანები მოდიოდნენ/.

— არის რა!..

— ზემოაბრე სამდე?

— არა მეგონა... ჩინონები ხომ მხოლოდ თავიანთ
მონა-მარჩილ ქვეშევრდომებს ამრავლებენ.

— „საშტატო ერთეულებიც“ მათ ხარჯზე იზრდება
და ფართოდება, ხომ? — ბოთემ ჩაახველა. — მართლა



მერე თქვა ჯოისმა? — ჯოისი ისე, თვალის გადავლები-
თლა შემონდა ნაკითხული.

— ჰო, მგონი! — ჯუთიმ ოდნავ უხალისოდ დაუმო-
ნა. — მთლად ანბანური ჭეშმარიტებაც არ გახალისე...
გინდა ნარდი? — თაროზე შემოდებულ ნარდზე ანიშნა,
სუფარდა ნარდი /თამაშობდა კიდევაც/.

— კი, ბატონო!
— თამაში ისწავლევ?
— ამის წინებზე მე არ მოვიგე? (ბოთემ წინა შეხვედრი-
სას ხუთოდან ერთი ძლივსდა მოიგო/.

— რა ბრძანეთ? — ჯუთი მიაჩერდა /ტყუილს ვერ
იტანდა/.

— არა?.. არ მოვიგე?
— ხა, ხა, მოგკვდი სიცილით... — ირონიულად ჩაე-
ლიმა.

— ნარდი გამაშა.
— რომელ მხარეს ვანყობთ, საით გირჩენია? — ქვე-
ბი ააჩხრიალა.

— ჩემთვის სულერთია.
— სულერთია ჯვარალები არიანო, ნათქვამია...
დაანყე, როგორც გინდა; თეთრებითაც შენ ითამაშე და
ზარის გაგორებაც შენი იყოს, მაინც წააგებ.

— ეე, სადაა ჩემი მოსაგებნი!
— ჩვენი მოსაგებნი? — ჯუთიმ შეუსწორა, ხელი
გამოუნოდა. — ვინ მოგვაშავია, ხომ?

ბოთემ უხმოდ ამოიხვნემა.
თამაში დაიწყეს.

— აკეთებ რაიმეს?
— არა.

— რატომ?
— ყველაფერი უკვე გაკეთებულია.

— ან კეთდება?
— აკეთებენ...

— კარგია.
— კი, კარგია.

— სიმღერა ტექსტით ინყებო, ხომ?
— ასეა...

— ტექსტი, მერეო?
— მერეო...

— ყველამ არ იცის... აღარ აქცევენ ყურადღებას.
— ყველამ არა... ყველა პანაგებიოლა ტკბება მხოლოდ...

— სტინგი ჰქვია?
— არ ვიცი...

— გამოჩნდება სიტყვები... მელოდიაც...
— გამოჩნდება.

შემდეგ ერთხანს უსიტყვოდ აჩხრიალეს კამათლები,
აჭახუნეს ქვები.

— გუშინდელი გაზეთი თუ ნაკითხე? — ბოთეს ესეც
აინტერესებდა.

— არ ვკითხულობ.

— იმ ჩვენი კარგი საერთო ნაცნობის ინტერვიუ იყო...
— ტელევიზორში?

— კი, ტელევიზორში; გაზეთი-მეთქი... კარგა ხანს
უგალობა საკუთარ პერსონას, ასი სურათი დავსაბატ და
გამოვიწინე, ასივე ერთიმეორეზე უკეთესიო...

— საწყალო.
— მართლაც ასე ძლიერია?

— ხა, ხა, მოგკვდი სიცილით. — ჯუთიმ წამით ამოხე-
და.

ტელევიზორი — გონებრივ-ინტელექტუალური კოე-
ფიციენტის საზომ-მაჩვენებელი ყუთი. მიეცით ადამი-
ანს აინფორმაციის საეთერო დრო / ზოგჯერ ნუთიც სავსე-
ბით საკმარისია/, ალაპარაკეთ, მოუსმინეთ /თუ შეს-
ძლებთ/ და სახალხოდ, მთელი ქვეყნის დასანახ-გასგო-
ნად თვითონვე მთელი ნეტარებით მოგასხენებთ საკუ-

თარ პერსონაზე იმას, რაზეც სხვას რომ ელაპარაკა —
დღეულში გამოიხვედა.

ბოთემ შუბლი მოისრისა.
არასასიამოვნო ფიქრი მოიშორა.

შემდეგ ჯუთის ერთ-ერთმა თანამშრომელმა
შემოიხვედა, რომელიღაც კინოფირი უხსენა, რაღაც შეე-
კითხა.

— რომელი ფირი? — ჯუთი თავის ასწია, ნარდს მამ-
ინვე შეეშვა.

— აი, ის ძველი კოჭი, საბჭოთა პერიოდისა... თქვენს
აქ მოსვლამდეა მიღებული.

— არ ვიცი.
— იქნებ შესვენების მიზნით გავკვეშა.

— ქალბატონო, გეხვეწებით, ნუ დაბრუნებით ადამი-
ანებს იმ სიბინძურეში. — ჯუთიმ ოდნავ უხეშად გაან-
ყვეტინა. — ზოდიმს გინებთ. — მაშინვე ბოდიშიც მოიხ-
ადა.

ქალი უხმოდ გაუჩინარდა.
ნარდი გვერდზე გადადეს.

— რაჭამი როდის იყავი? — ბოთემ გამოშვდილობე-
რისას „შეუღიგინა“.

— რაჭამი? — ჯუთი გაკვირვებით მიაჩერდა. — ოხ,
შენი... ეს-ესაა იქიდან ჩამოვედი, ხომ იცი, იქ თითბერის
საბადლები და მისი გადაამუშავებელი ქარხნები მაქვს...

შე კაცო, რატომი კი არა, არ გაციკვრის, აღიასკამი და ეს-
კი მოსებთან რომ არ ამომაცოფონეს თავი?..

— დალევ?
— არა, წნევა მაქვს...

— წნევა მტერს ნუ ექნება!
— ჰო, მარა — მაღალი...

— მაღალიც...
— ჯუთი მიაჩერდა.

— უადი, შენი ჰუმანისტი... — შემდეგ გაეცინა.
ბოთესაც გაეცინა.

ჯუთოდან წამოსულს რატომღაც სოფელი მოაგონ-
და.

ვაშლი.
მსხალი.

აჭამი.
ყურძინი... ზარქაშიაზე /ხის ლამბაქი/ დაყრილი,
ჭედან ახლად ამოღებული წყლით გარეცხილი.

პირი მაინც გაისველეთო — მიგიაპატიებენ... გეტყვი-
ან ხოლმე.

ნესია ასეთი.
კარგი ნესი.

საქვს მიუჯდა.
წამით რატომღაც ჯუთისთან გაცნობილი, „რუსთავე-
ლეზე ჩავისივინებთო,“ რომ თქვენს, იმ უცნობების დან-
ახვა მოუნდა. წამოეწეოდა, იქნებ სამზე შეხვედროდა,
მაგრამ მერე ეს მიამიტური, საჩოთირო აზრი არ მოე-
წონა; მიზეზიც მაშინვე გამოინახა: „ხასიათზე“ ვერა ვარო,
არ უნდა ეთქვა, სხვა საქმეა — უფუნებობა. ცვალებადი
გუნებაა, სხეულში სეროტონინის სიტარბე-სინაკლებეზე
დამოკიდებული. ხასიათი თანდაყოლილი, უცვლელი
თვისებაა, ანდა ეს „რუსთაველზე ჩავისივინება“ რაღა
იყო?... რუსთაველზე „ჩავეივინება“ როგორ შეიძლება
თანაც; გ ა მ ზ ი რ ზ ე ო უნდა ეთქვათ.

უნიგნურ-უგუნური ყაბახები ხომ არ იყვნენ.
არ უნდა შემლოდით.

თუ — არაფერი ისეთი?
— არა.

ალბათ, არაფერი ისეთი.
სისულელე.

მაინც გადაიფიქრა.
სხვაგან წავიდა.

უმიზნოდ.
უმისამართოდ.
ისე, არსად...

კაცმა რომ თქვას, თბილისი მისი ქვეყნის დედაქალაქი რომ არა, სულერთი არ გახლდათ საერთოდ, საით წავიდოდა, სად იცხოვრებდა, ბაქოში თუ ერევანში ანდა კიდევ სადმე სხვაგან, ვთქვათ და, მთლად ასტრახანში ვერა, მაგარამ... /არადა, იქ საზამთრო მაინც იყო, ხომ?/ საინტერესოა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დროის ასე მცირე მანძილზე, სულ რაღაც ორასიოდე წლის განმავლობაში, როგორ მოახერხა, როგორ მიაღწია ასეთ წარმატებებს /ყველაფერში, ყველა დარგში/, როგორ გახდა პლანეტის უპირველესი, ზე-სახელმწიფო?.. როგორ შეძლო, როგორ გაასწრო მრავალათასიანი ისტორიის მქონე სახელმწიფოებს?

აღარ ჭამდნენ,
აღარ სვამდნენ,
არ სექსობდნენ,
ნუნურაქობდნენ თუ რა?

როდისღა შეისწავლიდნენ, ვინ გამოიკვლევდა, რომელი საკვლე-სამეცნიერო ინსტიტუტი? /ღმერთმა დაგვიფაროს, რაიმე მზაკვრულ-მაგნებლური მიზნით კი არა, ისე, უბრალოდ, ვთქვათ და „ველოსიპედის“ ხელახლა გამოკრებაზე, დრო რომ არ დაკარგულიყო./

წარმატების მიზეზი /ერთ-ერთი მაინც, ალბათ, ის გახლდათ, რომ შრომის ღვთიური შინაარსი — მისი შედეგი იქ არ იკარგებოდა.

არა,
არ ნუნურაქობდნენ.
არც ატყუებდნენ.

ტყუოდა მარქსი.
ყოველ შემთხვევაში, „შრომა გასწორების“ ბანაკებში და დახვეწების მიმით ცარიელა პურზე და წყალზე იქ ნაღდად არავის ამუშავებდნენ.

სამი ათასი წლის საქართველო /ყველა მონაცემებით, ხუთი ათასისაც კი/ ოცდამეერთე საუკუნეში ცივილიზებული სამყაროსთვის სრულად ჩვეულებრივ თავისუფლებას კი არა, დამოუკიდებლობის უმარტყვესი ფორმით მოპოვებას და იმასაც უკან-უკან მობეჭვდით, შიშით, ძლივსძლივობითა თუ იხეიმებდა.

სამწუხაროდ...
/ფუ საბედნიეროდ, კაცო!./

ბოთე კარგა ხანი უმიზნო და უმისამართო ხეტიალის შემდეგ ისევ საკუთარ ჭიმქარს მიაღება.
მანქანიდან გადმოვიდა.

საფოსტო ყუთიდან ქალაქის ფურცლის ნაგლეჯზე წანწერილი პუმპუს „წერილი“ ამოიღო /პუმპუ ძველებურად უჩინარდებოდა, კვირაში ერთ-ორჯერ თუ მოაკითხავდა ხოლმე./

„დამირეკე,
მიყვარხარ!“
წერდა პუმპუ.
გამოყრუებული, ცივი სახლი.

უტყვი კედლები.
მაგიდაზე ძველი ჟურნალ-გაზეთები.
თაროებზე დამტყვევრებული ნივნები...
წერილი მაგიდაზე მიავდო.

ტელეფონი ამოიღო.
პუმპუს დაურეკა.
— არ გახლავთ! — ყურმილი ვიღაც კაცმა აიღო. —

ეს წუთია, გავიდა.
— გამაღობთ! — ბოთემ ფინჯანში ჩარჩენილი ყავა მონრუჟა.

გვიარ-გამოიარა.
ჭიმქრის ზარმა დარეკა.

გაეხარდა.
გაეზარდა, კუსტიკარი გამოაღო.
პენა იყო.

— მოხბ რამე? — მაინცდამაინც არ ესიაშოვნა /პუმპუ ეგონა/.

— ეს რა კითხვაა? — პენასაც ჩრდილმა გადაურბინა. — სტუმარს ახლა უკვე ასე ხვდებიან? — სტუმარი არა ისა... კარგი, შემოდ! შემოვიდა.

ჟურნალის მაგიდას მიუჯდა.
ბოთემ საათი ნახა.
— ჩაიზე დავატყვივ! — შემდეგ პენას გახედა.
— სხვა არაფერი გაქვს?
— რა ვიცი!...
— რამე წენიანსა და ხორციანზე უარს არ ვიტყვოდი.
— ხორცი აბერებს...
— ჰო, მარა ლობიო საერთოდ „ჰკლამს!“ — პენა შეიმუშნა.

ბოთეს გავცინა.
სამზარეულოში შეიყვანა.
ასაიღო.

— ღვინო მეთი არა გვაქვს? — პენამ ჩამოასახა, დაცარილებული ბოთლი შეათვალიერა.

— მაქვს!
— მერე!
— მაქვს-მეთქი... გითხარი...
— მერე აღარ უნდა გამაიტანო?
— არა!

— რატომ, შე კაცო?
— რომელი საათია? ღვინო, როგორც წესი, ათრობს...

შენ კაცმა სანუნხელი რომ მოგაყუდოს, ერთი პირს არ დაშუნავ...

— რა ექნა, მიყვარს ეგ დალოცვილი და... — პენა „სანწყულად“ დაიღვინა, ცარიელი ბოთლი აიღო, მაგიდის ქვეშ დამალა. — იცი, რატომ შეგანუხე?

— წარმოგენა არა მაქვს.
— იცოდევ, არ გამანბლო...
— ენახო!
— ხომ იცი, უარის თქმა ბოზურია...

— ჭკვიანად იყავი?
— არა, ეგ ისე... უბრალოდ, შეგახსენე... საღამომდე ერთი ოცდოლარინი კუპიური მჭირდებდა ან მისი ეკვივალენტი...

— საღამომდე?
— ილაშდევ...
— მალაზის ვალო უნდა გაისტუმრო?
— არა...

— აბა? — ვალი რამდენი გაქვს?
— ოჰ, თითქმის ორას ლარამდე, ინერს და ინერს გოგირეულში... მიპატიებია ყველა...

— „ექვსი-ვალენტი“ რას ჰქვია?
— ჰა, კარგი, ორმოცი ლარი იყოს...
— რისთვის, ისევ თუმან-თუმან და რია-რია?
— რა ექნა?

— არ ითამაშო.
— კაცო, ახლა ისევ ისე, ძველებურად, ლაბავიო და მკერდი-მკერდზე არა, ახლა თითქმის ასპროცენტინი მოგება გვიჭირავს ხელში.

— ვინ და ვინ თამაშობთ!
— მე და კობტავ; შეიძლება, კუსა შემოგვიერთდეს... ფული თუ იშოვა, ოთხმოცი დოლარი უკვე გვაქვს.

— ვისთან თამაშობთ!
— ბაბუსთან.
— თვენ „ბაბუს“ მოუგებთ? — ბოთემ ჩაიცინა.
— მოხუცი /მეტსახელად ბაბუ/, ოდესღაც თითქოს



მათმატიკოს მასწავლებელი, ახლა რომელიღაც გზისპირა რესტორანში არღანზე უკრავდა, თავისი ძველთაძველი, ნითლი „ფიგულით“ თეში ერთხელ მაინც მოხობილიდებოდა, ჩამოუვლიდა პენასთანა „ფაიზალ-ფაიზალ“ ჩამპარებულს, ჯიბებს ამოუტრიალებდა, ღლიწინ-ლიწინით უჩინარდებოდა ხოლმე, ნაგებული /იმ უბანში მაინც/, არავის უნახავს.

— ეგ ბაბუა თუ ვილადაა, ისე ხახვივით გაგფცქვნიო, რომ... —

— პეპელა არ დავახატოს ყვე...ზე!.. — პენამაც ჩაიცინა. — ახლა ერთი ისეთი მულამი მასწავლეს...

— ააჰს!.. —

— გეუბნები, ვისწავლე-მეთქი!.. თანაც, ეგ ბაბუც უფრო მოზრებულა, ახლა თურდოც შეპყრია იმ უბედურს; სიცხიანი დაიარება სურამე... მოფამფლებულია...

— თქვენ ვგრე გეგონით... სადაური კაცია ეგ ბაბუ?

— თბილისელია, შეიდანზე ცხოვრობს.

— პოო?... მართლა მასწავლებელი იყო?

— მასწავლებელი? პენამ ჩაიჭიქიქლა. — კაცო, ეგაა ის, ლოლო ოქრისუნებელი... ხომ გაგვიცა!

— რას შელაპარაკებო?... — ბოთემ „გაიოცა“. — შენ სოფელში როდის იყავი?

— საად? — პენას კინალამ სახე მოედრიცა. — რომელ სოფელში?

— სოფელში...

— მე თბილისში დაბადებულ-გაზრდილი ვარ.

— კაი, კაცო!

— ასეა და რა გქნა?

— კი მაგრამ, სოფელი ხომ გქონდათ?

— გექონდა, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— მგონი, ახლაცაა იქ რალაცა...

— ვაზო, ხეხილი... ბალი, ხომ?

— სახლი, ბოსელი, ნალია... საკარმიდამო ნაკვეთი...

შენ რომელი ან რა გაინტერესებს?

— შე, საერთოდ, ყველაფერი მაინტერესებს... ვინ უფ-

ლის?

— მე რა ვიცი... ნათესავები, ბიძაშვილ-მამიდაშვილები, მახლები-ვაგზლები... პაპაჩემი რომ გამოიქცა, ყველაფერი მაგათ დაუტოვა...

— გამოიქცა? რატომ?

— კაცო, რატომ გამოიბონენ? კოლხოს გამოექცა... მინა ჩამოაჭრეს, საქონელი ნაურთმევითა, ქათამი და კვერციხი დაუთვლიათ და ასე შემდეგ.

— შენ როდის იყავი იქ?

— მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ სულ რაღაც ორ-სამჯერ, ალბათ...

— გინდა, წავიდეთ?

— ოჰ!..

— რა ოჰჰ?

— მართლა ამბობ?

— მართლა.

— როდის!

— როცა გინდა!

— ბენზინს, მე ჩავისხამ!

— კი არინდა შენი ბენზინი, წავიდეთ... ერთ-ორი დღე მაინც მიხედე იქაურობას.

— მოიცა რა... შე რას უნდა მიხედო, რომელი მიწის მუშა შე მნახე... თუ ჩავლდი, ბატკანს დავაკვლევინებ, მწვადებს გააპინკინებენ, ღვინო ხომ ააქეთ და ააქეთ... თუ მიცნეს... — პენამ წამით გამოხედა.

— თუ მიცნეს?

— ხომ გითხარი, სულ რაღაც ორ-სამჯერ ვარ იქ ნამყოფი-მეთქი... არა, კაცო, მიცნობენ, როგორ არ მიცნობენ, მაგრამ... მეორე დღესვე, დილაადრიანადვე მოე-

ტყდებით იქიდან, კარგი?

— რატომ?

— აღარ შევასება იქაურობა... უპატრონოდ მიგდებული კარ-მიღები, სახლი... ვერც დანებები, ვერც დადგები... ყველაფერი დატაცებულ-განიაგებულია; ნათესავი ნათესავია, მაგრამ მაინც სხვაა, სხვა განსისას მოუვლეს! — კაცო, შენ მოუარე, ვინ გიმლის, „კოლხოზი“ ხომ მოიშალა.

— ეგ შო, მარა...

— პაპა „კოლხოს“ გამოქცევა, შენ საბჭოეთს გაურბოდი... კი, ბატონო, სახელი და დიდება, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა, შენ ისა... ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებული ხომ არა ხარ, კარგი გავარისა და ოჯახის, კარგი მამისა და დედის შვილი ხომ ხარ?...

— ვარ, მერე? — პენა მიაჩერდა. — ალბათ, ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებულს სოფელში არ ეყვარება, ხომ?

— ალბათ... ალბათ, უფრო ის ლაბორატორია და ის კოლხა, რომელშიც ჩაისახა, განაყოფიერდა და კიდევ... თეთრხალათიანი დობტურები...

— აჰ, აჰ-ჰაა! გასავტვია... პენამ თავი გვერდზე გადახარა. — გისმენთ, გაგარძელეთ!

— შეეშვი მაგ კარტა და კამათელს... მიხედე, მოუარე სახლ-კარს, შეიტრე ცოლი, გამარჯვდი, გალაღდი, გააჩინე შვილები, ერთი... ორი სამი...

— ოთხი, ხუთი, შვიდი?

— კი, ბატონო, რამდენიც გნებავთ.

— შენ?

— რა მე? — ბოთე ოდნავ შეცბა. — მე ჯერ...

— შენ ჯერ ასაკით არ გექუთინს?

— მგონი, მთლად შენისთანა ბებურიც არ უნდა ვიყო.

— ჰოდა, შენ რატომ არ მიდიხარ სოფელში?

— არ ვიცი.

— ანდა ქვეყანაში რეები ხდება, რეები კეთდება...

რატომ არ მონაწილეობ?

— შენ?

— მე ლეკუსება ვერ... სად მცვალა.

— ვაა!

— მიპასუხე.

— მე სიგარეტს ვენევი. — ბოთე მაცივრის კარს გადასწვდა, ღვინო გამოიღო, - რაც არ ვიცი და არ მხებერებდა, იქ არ ვერჩები.

— ესეც საქმეა. — პენამ ამოიხვნეშა, ბოთლს გახედა. — ბოლოს და ბოლოს, თქვი, ფულს მაძლევ თუ არა?

— კი, ბატონო, ოცდაშვიდი ლარი კი მიგდასა დაღაც ჯიბეში და ოცს მოგაპავეხდი, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— კაცი უნდა მოვიდეს ერთი, უკვე შევეთანხმდი, უკანა ეზოში ის საბოსტენ ადგილი უნდა გაასუფთაოს, გადაბაროს...

— მერე ის ფული მაგას უნდა მისცე?

— აბა, ისე იმუშავებს?... თუ გინდა, შენ გადაბარე და ფულიც შენ წაიღე, ჩემთვის სულერთია.

— მე გადაბარო? — პენამ თვალეები გამდოკარკლა.

— ბევრი კი არ არის, შე კაცო, ორმოცი-ორმოცდაათიოდე კვადრატული მეტრი თუ იქნება... გინდა, კოხტასაც დაუძახე, მოიყვანე, დაიხმარე...

— შენ რა, მაშაყორებ? — პენა მოლორბულა. — მე როდის იყო, ბარას და თიხის ვეჭიდებოდი!

— კი, ბატონო, შენ როგორც გინდა, მე არ გაძალბებ. — ბოთე მშვიდად გადასწვდა ბოთლს. — მაგრამ ფული გჭირდება?

— ასეთით?

— აბა, როგორ გინდა! — ბოთემ „გაიკვირა“. — სხ-

ვამ იმუშაოს, ფული შენ ნაილო?

— რატომაც არა... ვინაა?
— ეე, არა, ეგრე არ გამოვა, მწვანელი გემრილი არ იქნება.

— კაცო, ხვალ დილით გადააბარინე...
— ფული?
— დილით მოგიტან—მეთქი, ხომ გითხარი!
— მოიცა რა, თუ ძმა ხარ...
— კარგად ზრძანდებოდეს! — პენა გამწარდა, ნამოდ-გა. — დიდი მაღლობა.
— რა გენა, ასეა და... არ გეწყინოს! — ბოთეც მაშინვე ნამოდგა. კუტიკარამდე მიაცილა.
— გმაღლობო! — პენამ შემოხედა, კარს ნაეპოტინა.
— არაფრისა... თუ გადაიფიქრო, იცოდეს, აქა ვარ...
— ბოთემ ჩაახველა. ღიმორეული გამობრუნდა.
დღვანზე ნამონვა, საბანი ნახიურა.

სულ რაღაც ათიოდე წუთით ჭიშკრის ზარმა ისევ დარეკა.

პენა იყო.
შემოაბიჯა.
— ბარი გაქვს? — დინჯად, საქმიანად იკითხა.
— მაქვს.
— თოხი?
— თოხიც...
— თუმცა, რად გვინდა. თოხით არ გამოვა, ხომ? — ცალყბად ჩაიცინა.

— არა.
— კარგი, მიხურე ეგ კუტიკარი...
ბოთემ მიხურა.
— მოიტა... მანახე, სადა და დასაბარი.
შარვლის ტოტები აიკეცა.
ფეხსაცმელს დახედა.
— ჩექმას გამოგიტან... — ბოთემ თვალი აარიდა.
— ჩექმა არა, „აზიატები!“
— აბა, ასე გამოწკეპილ—დაზმანულმა გინდა იმ-უშოა?

— ეგ რა შენი საქმეა... ახლებს შევიძენ, ფული ხომ მექნება?

— რა თქმა უნდა.
— ჰოდა, მაიტა ბარი...
იმუშავა, კარგა ხანს ეწვალა.
ფეხსაცმელიც დაესვარა, შარვალიც, მაგრამ სამ-უშოა მინც მოულოდნელად ჩქარა დაასრულა / ბარის ტარიც არ გაუტეხავს/. ბოლოს ბარი განმინდა, გამ-ოიტანა, ონკანთან ააყუდა.

ფეხსაცმელები გაიხანდა /ბოთე ფარულად, ფანჯრის ფარდას ამოფარებულ უყურებდა/.
სათითად გარეცხა.
შარვლიც გაიმინდა, გაასუფთავა; ხელ-პირი დაიბანა.

ბოთემ კარი გამოაღო.
გამოვიდა.
კიბის საფეხურზე ჩამოჯდა.
— იქ რა უნდა დათესო? — პენამ ერთი უგემურად ამოხედა.

— პრასი...
— თვითონ უნდა დათესო თუ სპეციალისტს გამოუძა-ხებ?

— სპეციალისტს გამოვიძახებ... — ბოთეს გაეცინა.
— მიდი, მიდი, კაცო, ჩაიბარე ნამუშევარი...
შეამონმე...

— არ უნდა შემონმება, ყოჩაღ შენ!
— ფული!!! — პენამ ახლა თვალები „გადაუბრიალა“.
— ჯერ ამოდი... თითო ბოთლი ლეინო დალიოთ.
— ახლა გინდა, დამათრო, რომ ვეღარ ვითამაშო?

— სუფრა გამლილია...
— არ მინდა, მელოდებთან... ბაბუ გამოქეცვა ...
ფული...!

— კი, ბატონო! — ბოთემ საფულე ამოიღო, თოთხმე-ტი ლარი გადათვალა, მიანოდა.
— პენამაც გადათვალა.
— რამდენია, — მიაჩერდა, თოთხმეტი?

— კი, თოთხმეტი...
— ოცი არ უნდა ყოფილიყო?
— რატომ ოცი?
— ფული, იუზგარი!
— აა, ის ექვსი ლარი... ეგ უშვილობისა გამოგვიციეთ.
— ვაა, ჩემი კარგი... შენ რა, მაგეჟებ?
— კანონით ასეა, დაგავიწყდა?
— ეგ საბჭოთა კანონებით... ახლა დემოკრატია.
— მართალი ხარ, მაგრამ, მე რამდენდაც ვიცი, მალე პარლამენტის სხდომაზე ეგ საკითხი უნდა განიხილონ;

დარწმუნებული ვარ, ერთხმად მიიღებენ.
— შენ კიდევ წინასწარ მართმევ?... ჯერ განიხილონ, მიიღონ და მერე შელაპარაკე.

— კი, ბატონო! — ბოთემ „უშნველ“ გამალა ხელები, მერე ის ექვსი ლარიც მაშინვე ამოიღო, მიანოდა.

კუტიკარამდე მიაცილა.
— აბა, არ შემარცხვინო!
— მე? — პენამ ჩაიცინა. — შენი ვალი ხომ არა მაქვს?
— არა.

— ჰოდა. კარგად მეყოლიე!...
— შევეცდები...
პენა გაუჩინარდა.

ბოთემ დალოლიად ამოიხვნეშა.
გამობრუნდა.
ნამონვა.
სალამოს პუშპუს ისევ დაურეკა.
ყურმილი ამჯერად ვიღაც ქალმა აიღო.

— ვინ კითხულობს?
— ერთი მისი ქუთათსელი წაცნობი.
— ჩოჩი, შენ ხარ? — გაეხარდათ /ვილაცების სი-ცილი-კისკისც შემოემცა/.
— არა...

— რომელი ხარ?
— ისე, ერთი წაცნობი...
— პუშპუ არაა, გენაცვალა, აქანა... გასულია...
— ალარც ფათულიაა მაქანა? — ბოთე ხუმრობის გუნებაზე მოვიდა. — სთხოვეთ, თუ შეიძლება! — მერე მაინც შეარბილა.

— ფათულია? — ქალი წამით გაყურდა. — არ ვიცი...
ეგაც არ გახლავთ, ვასულია. — მერე ოდნავ უეცხად მიახალა და ყურმილი დაკიდა /ან დადო/.
— შუპუ რას საქმიანობდა, სად დადიოდა, ვისთან უწი-ნარდებოდა, მხოლოდ უფალმა უწყეოდა.

არ განსჯიდა.
არც სწყინდა, უკვე...
ქმარმან მისმან იქევიანოსო, ფიქრობდა.

კეკისთან დარეკა.
გამარჯობა!
გავიმარჯუო!
როგორ ხართ?
კარგად, თქვენ?
მეც კარგად...
რომელი ხართ?

ბოთე ვარ... საღამოობით შინიდან თუ გამოდხართ ხოლომე?
რომელი ბოთე?
ბევრია, ხომ? — ბოთეს გაეცინა.
როგორ? აა, სავსეა ქალაქი... — კეკისაც გაეცინა.



— გამოხვალთ?
 — რომელი ბრძანდებით?
 — როგორ გითხარან...
 — თქვით რაიმე... შემახსენეთ...
 — აი, საბურთალოზე რომ სახლია... უკანა მხარეს ახალგადაბარული საბოსტნე ნაკვეთით...
 — საბოსტნე ნაკვეთი?... რაღაც არ მაგონდება...
 — სხვათა შორის, ახლა მეც გვარინანად დავიბენი... აგერ, უბის ნივანაკში ორი კეკეს ტელეფონი მიწერია; სად და რომელთან ვრეკავ, ვეღარ ვხედევი...
 — ჰოო?
 — ნუ მინყენთ, მარტოხელა ვარ...
 — არა, მაგრამ... თქვენ მაინც რომელთან გერჩით დარეკვა?
 — აი, იმასთან, რომელსაც პირველი ჯგუფის სისხლი აქვს.
 — აა!... — კეკიმ გადაიკისკისა. — როგორ ხარ?
 — ისე რა...
 — სადა ხარ?
 — სახლში.
 — როდის ჩამოხვედი?
 — როდის ჩამოვედი? აა, სულ ახლახან...
 — მეც ორი-სამი დღეა ჩამოვედი.
 — სად იყავი?
 — აა, ისე, არსად...
 — გამოხვალ?
 — როდის, ახლა?
 — ჰო, თუ შეგიძლია.
 — სად მოვიდე...
 — მოდი პირდაპირ სახლში... ხომ გახსოვს?
 — ჰო, მარა...
 — აღარ გახსოვს?
 — კი, კაცო... კარგი, გამოვალ...
 — მალე მოხვალ?
 — ასე, ერთ საათში...
 — ერთი საათი არ ამაზია, შე ქალო!
 — ხომ უნდა ჩავიცვა, დავიბნაო, ავტობუსის დაველო-ლო... ტაქსით მოვედი?
 — არა, სასწრაფოთი...
 — ოო, უკვე ასეა საქმეები?
 — თუმცა, ავტობუსით აჯობებს...
 — რატომ, ფული არ გაქვს?
 — შენთვის კი, ტაქსისტის — არა... არ ვიცი...
 — ნუნურაქობ?
 — მაგრად...
 — თუ ისე ნუნუნებ.
 — ისე ვუნუნებ.
 — რატომ მერე?
 — შე ქალო, ფული ყოველთვის აზოვის ბანკშიც არაა.
 — ალბათ, უფრო ბაზოვის ბანკში, ხომ? — კეკიმ შეუსწორა. — საიდან ევ ნიკოლოზის დროინდელი გამოთქმა?
 — რა ვიცი...
 — კარგი, მოვალ...
 — მოდი.
 ფული.
 ფული.
 ფული.
 ჭირდა...
 ნამრთმეგ—ნამგლევი — საჭიროზე მეტიც, მაგრამ მაინც ასე რატომ ჭირდა?
 — საქართველო ხომ „პუმპუსავით“ ქვეყანა, სიცოცხლით სახსე სხეული გახლდათ/პუმპუ — ჯანსაღი, ჩასუქებული—ჩაპუტკუნებული არსება/

ბარი,
 ბუნებრივი რესურსები.
 ზღვა /ნავსადგურები/.
 მდინარეები.
 კალმახი,
 მურწა,
 ორაგული / ზღვაში გასულიც კი უკანვე ბრუნდებოდა, აქ ყრიდა ქვირთს/.
 საინტერესოა, დავით გურამიშვილი რატომ ერთხელაც არ ჩამოვიდა მირგროდიდან?
 ცხენი ვერ იშვავ?
 ფიროსმანს რატომ უნდა ამოხდომოდა სული სარდაფში?
 ტერენტი გრანელს?
 რატომ ხტებოდნენ ფანჯრიდან?
 რატომ?
 რატომ?
 მიზეზი?..
 შინაურთა უმეცრება / ერთ-ერთი მაინც/.
 უცხოთა საამებლად გაუცხოებელი შინაურის რეგენიზმი.
 კეთილდღეობის შესანარჩუნებელი სერვისი /დიახ, პირადი კეთილდღეობის/.
 ნათქვამია: „სულელთან ნაპოვნს გონიერთან დაკარგული ფობიაო“.
 ევ პენა, რას იყო, რომ პურტყუნებდა?
 რა ნაშაყვედრა?
 რატომ არ მონანილოვობ?
 საქართველოს კარგი პოლიტიკოსები ჰყავდა, სულ რამდენიმე წელიწადში იმდენივე და ისეთივე მაღალი კლასისაც შეუმატა, რა თქმა უნდა, გამოჩნდა სულელიც /მშვენიერ ფონს ჰქმნიდნენ/, რომელიც თავის ბრძნულ-ბრძნულ აზრებს თითქმის ყოველდღიურად ტელევიზორითაც „ააფერებდა...“ /ბოთეს აზრით, „ააფერტულტულებო“, რომ ვითქვით, აჯობებდა/.
 ბოთე პატარაობისას სკოლაში დადიოდა / კი, ნასწავლი გახლდათ/, იცოდა „სადაც არა სჯობს...“
 დიახ, თავისი ადგილი იცოდა...
 გარედან რაღაც ხმაური შემოესმა.
 შემდეგ ჭიშკრის ზარმაც დარეკა.
 ნამოდგა, კულტიკარი გამოალო.
 კეკი იყო.
 — იქ რა ხდება? — ძლივს იკავებდა სიცილს. — შეხედე! მალაზიასთან, პატარა მოედანივით ალაგზე ანიშნა.
 — ბოთემ ქუჩის განათების მუქზე, „გიფ-ვანუს“ სახლთან, ნესტორა, ვალტბრა, ჯეფრი, „სოსიო“ და კიდევ ორი, ვიღაც უცნობი ქალი დაინახა /ცეცინებოდათ, ზოგი ვანუსა კულტიკარს მისჩერებოდა, ზოგიც — ლედვის ხეს აპყურებდა/. ეზოდან მთვრალი გიფ-ვანუსა ხმადაბალი, მაგრამ ბრაზიანი დღედღუნიც შემოესმა. ჭიშკართან სანახევროდ ტროტუარზე გადმოსულ — გადმოხრილ დიდ, ბებერ, ფთილბუმეცენილ ხელღის ხეზე კი ვიღაც ქალი ასულიყო, ხის ტანს ორივე ხელებით შემოხვევოდა.
 — ნამო, აბა! — ბოთემ კულტიკარი მიეკტა.
 — კეკის მკლავში გამოსდო ხელი.
 — ვანოს მხოლოდ პატარა, სულ ერთი ციცქნა ნინა ეზოლა ჰქონდა... უკანა და გვერდითა მინის ნაკვეთები პაპამისს ჯერ კიდევ, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ შემდგომ ჩამოართვეს, დანარჩენი — „აქრესტრიოკის“ შემდეგ — ვანოს თვითონ შემოეჭამა /ნანოლ-ნანოლ დაჰყო, გაყიდა/, ახლა მეჯიხურებმაც შემოუტყის, ნანოლიც ვიღაცებს საჯიხურე—საჯიხურე ადგილებზე დაუთმო. სახლიც, პირდაპირ შარა-გაზა-

ზე გამოცოცხებული, მხოლოდ პირველი, ნახევარ-სარდაფივით სართული /თითქოს მეორე სართულის დასაშენებლად გამზადებული/, იატაკი, ჭერი და კედლები ცარიელა ქვიშა და ცემებოდა... ცოლი თიმენდა, უკვე აღარც საყვედურობდა, შვილი გაექცა, საღვაც ევროპაში ჩალიწობდა/.

ვანი მართლა ვითი კი არ იყო, უბრალოდ, ნამეტანი მიმნდობი, გულკეთილი და ალალი კაცი ვახლდით. „გიყვანუა“ საბჭოთა პერიოდში ვილაცის მიერ დაყრილი, უპატრონოდ მიგდებული /ჩისი ჭიშკრიდან საღვაც შირის, თვალსანივრზე და გაღმა ტროქარაზე/ თუჯის მიძი-მიძი მიღები რომ მთელი დღე მარტოკამ ათრია, გზის სავალი ნაწილი ვაასუფთავა და ხერხემალი დაიზანა, მაშინ შეარქვეს.

თბილისის ერთ-ერთ ბაზარში შუგ მუშად მუშაობდა, იქაურ მევახებებს ყოვლად უნაგაროდ ეხმარებოდა/ იქ „დილიწონ ვანიჩქას“ ეძახდნენ/. მერე რა, რომ არაფერს უხდიდნენ, მხოლოდ დღის ბოლოსთვის ვადასაყვრელად დაგეტებულ ძვირად და უკვე ყველასგან დაწუნებულ, ყვითელ-ყვითელ ქონან ნაჭერებსლა თუ მიუყრიდნენ. / სიმართლე რომ ითქვას, მანამდე იქვე ვილაცის რაღაცასაც ვადატან-ვადმოატანინებდა, შებინდებამდე, ალაბთ, ურის ფულსაც ქე მოულობდა/. უამრავი თი-ნიერი, დღითავე კაცი რაღაცნაირად უკან ფეხებზე წამომგვარ დათვს პავადა — მოკლე-მოკლე ფეხები, აჯა-ბაჯა სიარული, სქელი, გულ-მკერდგამობერილი, სრულიად არაპროპორციული, ძინძროხა ტანი და ასევე მოკლე-მოკლე მკლავები, ხელის თითები...

დილაუთენია დავბოდა.
— დორ-დორო! „სამსახურში“ ვითომ მანქანი მიდობდა. — დორ-დორო... /თანდაყოლილი იუმორისა და ირონიის, თვითირონიის გრძნობით და ავჯილოდებულ, ხუმრობდა ხოლმე, მხოლოდ მაშინდა აკეთებდა, ნაცნობებს რომ დაინახავდა/. — აბა, ნავედით, ნავედით!.. ბი-ბიი!.. ბი-ბიი!.. „დაამიწინებდა“, გახალისებული ჩაუბაჯბაჯებდა, „ჩაუქროლებდა“ ყველას...
უყვარდათ.

არაფერზე უბრაზდებოდნენ /გაუბრაზდებოდით და თქენი აჯობებდა/.

გიყვანუა ახლა თავის ჭიშკართან, ლეღვის ხის ძირას იდგა და დიდ, რუსული ნაჯახით ხელში უტრიალებდა ხეს, მაღლა მისი მუელე ქლბატიანი მარგალიტა ორივე ხელებით ჩაფრენოდა ხის ტანს.

— ჩამო, შენი დედა... შენი!.. — ღრიალებდა გამწარებული ვანუა /მართალია, დათვივით კი იყო, მაგრამ ხეზე ვერ ადიოდა, ეწინოდა/.

— არ ჩამოულ!.. — უჯიუტდებოდა მარო.
— მოეჭრი იცოდე!..
— მასჭრი!..
— რა აჩუბებთ? — ბოთემ ნესტორას გახედა.

— საკუთარი ცოლი არ აძლევს ამ უბედურს, ამა! — ნესტორმა ლეღვის ხეზე პერანგისამარა ქლს ახედა, კნობები დაკრიჭა. — გემექცა მარგალიტა ლოგონიდან...

— კაი, კაცო! — ბოთეს მაინცდამაინც არ გაპკვირევაბია.

— პირველი შემთხვევა არ გახლდათ. გიყვანუა, მართალია, ათასში ერთხელ, მაგრამ დასდევდა ხოლმე თავის მარგალიტას/ მარო ხან მეზობლის სახლს აფარებდა თავს, ხანაც მაღაზიაში შესასწრებდა/.

— ზუღადიმი ვინმე ამას გააკეთებდა? — ვალტერამ ხმაშალა ჩალიპარაკა, თავი გადაქანია /ვალტერ — ალაბთ ვოლტერ სკოტის პატივსაცემად შერქმეული სახელი/.

— ბოთემ უხმოდ გახედა, გაულმა.

— არა, არა, შენ წარმოიდგინე! წარმოიდგინე!.. — ვალტერა მოუახლოვდა. — ანდა ლეღვის ხეს ჭიშკართან რა უნდოდა?

- აბა, სად?
- კაცო... სადმე უკანა ეზოში... ლობესთან...
- ჭიშკართან?
- ჭიშკართან — წაბლი, შე კაცო!
- მართლა?
- ეე!..

მაღე გიყვანულაც“ შემოემატათ /ისეთი არაფერი, ეგ მხოლოდ სიმთერლისას თუ „გიყვებოდა...“ მხოლოდ მაშინ: რაც — გულში, იგივე — ენაზე... მთლიანად თბავდათერებული, ფრიად სოლიდური, სიმპათიური გარვენობის კაცს მეორე მენტახელიც ჰქონდა /ანასაც მეორე/. ბატონმა ჯემალმა, საბჭოთა პერიოდში პრაც საბჭოთა/ მთელი წელი უმუშევრობის შემდეგ ათრეფსია რომ შეეცალა, იკადრა და „კანაზის“ მარკის მრავალტონიანი თვიმთივლის საჭეს მიუჯდა, ცემებუსლა და ხრემის ნიკვა დაიწყო, ბირჟავიკებმა მაშინვე „თეთრი ვირო“ შეარქვეს.

გიყვანუა კი ლეღვის ხეს უტრიალებდა, ხეს ნაჯახი რამდენჯერმე მთელი თავგანწირვით ლენა, მიარტყა, მაგრამ ისე, რომ ხე არ დაზიანებულყო.

— მიდი, მიდი, ხელნუ გიკანკალებს, შე კიტრო, შენა!

— ნაექუნა ერთმა.

— ლეღვის ვეღარ იმეტებე რ ჩემისა, ეგა! — ვილაც გულდაწყვეტილი შეტრიალდა.

— რამისაქმე! — „თეთრმა ვირმა“ სივარეტი ამოიღო და ხეზე გასასული მეზობლის პერანგისამარა ქალი საკამოდ გულახდელი ურცხვობით შეათვალღიერა. — რაო, ისევე არ აძლევს?

- არ აძლევს.
- აუჰ!..
- რა ექნათ?
- მარო, ჩამოდი და მიეცი, კაცის ასე გამწარება არ შეიძლება! „თეთრმა ვირმა“ ისევე ახედა, შეათვალღიერა /ქალბატონი მარგალიტა, ჩუმი, უთქმელი, უპატიოსნესი ქალი/.

— შენ მიეცი გიყვანუას ყოველდღე თუ კარგია... — მარომ უტყებ ბრაზიანად მოახლდა და ისევე გაისუსა.

- ატყდა სიცილ-ხარხარი.
- რა თქვა? — იკითხა ჯგვფრიმ.
- ხუმრობაა...

ჯგვფრი /იქვე ერთ-ერთ ოჯახში ცხოვრობდა/, თბილისში ქართულის შესასწავლად ჩამოსული კალიფორნიელი ყმაწვილ-კაცი, უბათო სკოლაში დიდობდა. ქართული — ჯგვრჯგრობით მთლად ისე ვერა, მაგრამ უკვე წერდა, კითხოლობდა და ლაპარაკობდა კიდევაც... შრომის-მოყვარე ყმაწვილი გახლდათ, მებათ-კვირის გარდა და საღამოს ხუთ-ექვს საათამდე მზინდა გამოსულს ვერ ნახავდით /შოსწონდათ, თვითონაც ყველასთან მშენიერი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა/.

— რა თქმა უნდა, ხუმრობაა. — ნესტორამ დაამონმა. — ხუმრობაა მანამდე, სანამ ხის კენწევრო არ გადამტყდარა და მაროს ძირს ბრაგვანი არ მოუდენია...

— ახლავე მოვალე...

ჯგვფრი უტყებ შეტრიალდა, ფოტოაპარატი გამოარბენინა.

- ტკაპ-ტკაპ.
- სურათები გადაიღო.
- მიდი, ჯგვფრი... მიდი, გუდუღე, გუდუღე! — სოსიემ იმედასაქება.
- ტკაპ-ტკაპ.
- ისევე და ისევე...
- რას მიმეგბი, შე უღმერთო, შენა! — გიყვანუამ



ნაჯახი მაშინვე დამალა, ხის ძირას ჩაცუცქდა, ჯეფრის ლიმპორეული მიაჩნდა /უყვარდა ჯეფრი/. — გინდა, ამერიკაში თავი მომჭრა?

— უღმერთო რატომ ვითომო? — ჯეფრის გამოე-სარჩლნენ.

— თვითონ მითხრა ასე... — გიფ-ვანუს ისეც გაელი-მა, შეეტყო, წყენამ ოდნავ გაუარა. — ჯეფრი, როგორ იყო, რომ მითხარი?

— ორთოდოქსი?

— ჰო, ასე თქვა ორთოდოქსი ვარი!..

— ეგ რას ნიშნავს?

— ორთა-დოქი-სა?... ესე იგი, ყველაფერ ამას მხ-ოლოდ ორი-სამი დოქი ღვინო თუ უშველისო... — სოს-ოიემ სავსებით „გასაგებად“ ახსნა. — ნათი ახლა სახ-ლივში, შეემვით მაგ უბედურს... გუდლუარა უკვე დღიხ-ორმა... —

— ნადით, ნადით!.. რალას მომჩერებინათ, ქალი არ გინახათ, თქვე ამოსანყვეტებო, თქვენა? — მარომაც მაშინვე ამოიღვა ენა, შემდეგ ხმადაბლა დაატანა. — ეგ ახლა უთქვენოდაც შეეთრევა სახლში, მიეგდება... დაძინებს... —

— შენ ვერვ გეგონოს! — ნესტორამ ჩაიცინა.

— „გეგონოს“ და „გონია“ რომ არა, აქამომდე რა გაგვაძლებინებდა. — ვილაცამ ჩაიცინა.

— შენ ნამოი აქეთ, ჯეფრი ძაბია, ნამოი! — სოსოიემ ჯეფრის მხარზე გადახეცა ხელი.

ბოთე და კეკიც მაშინვე შეტრიალდნენ.

— კეკი! მოდი, ჰქენი ერთი კარგი საქმე! — ბოთეს უცებ რალაცამ ნამოუარა, ხუმრობის გუნებაზე დადგა, კეკის ლიმპორეულმა ჩახედა თვალბეში.

— რომელი? — კეკისაც რატომღაც მაშინვე აუცი-მციმდა თვალბე /ჰქონდა, ოუმორის გრძნობა/. —

— მოდი, ეგ გიფ-ვანუს შენ „დაამჟივე...“ რაიმე უბე-დურება არ დაატრიალოს მაგ სულელმა, მაგანა? —

— მე როგორ?

— შენ შეიყვანე სახლში — ბოთემ ხმა დაიდაბლა, ად-ექი და მიეცი... ფულს მე გაადაგიხდი.

— არ გადამრიო ახლა...

— რა მოხდა, შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

— ამდენ ხალხში?

— მეერ რა!

— გინდა, რომ ეგ მარუსია ხიდან გადმოვარდეს?.. ასფალტზე დაიმტვრიოს ცხვირ-პირი?

— გადმოვარდეს, მაგისი კარგიც... ფული ახლავე მოგცე თუ?.. —

— რა თქმა უნდა, ახლავე! — კეკიმ ხელი გამოიშვი-რა, — ხომ უნდა, უფულოდ ცილი ქმარს არ აძლევს! — გადაიკისკისა... —

— ძილი ნებისა! — სოსოიემ და ჯეფრიმ ნაბიჯი შეანე-ლეს, გამოემჟივდობნენ.

— ძილი ნებისა!.. სოსოიე, შენ როის ჩამოი, ჭოე, ბა-თუმიდან? — ბოთე ახლა სოსოიეს მოუბრუნდა.

— ოჰ, რა ხანია... რატომ?

— რა ხდება იქ?

— არაფერი, აბაშიძეებისა და გოგიტიძეებისა მთე-ლი აჭარა.

— მეერე ცუდი?

— არა, მაგრამ ჩვენც ხომ ვართ იქანა... გიორგაძეე-ბი!.. —

— ეგაც კარგია... ჯეინფერ, შენ ენევი? — ბოთემ ჯე-ფრის რომ ანთებული სიგარეტი დაუნახა ხელში, გაუკვირა. — თქვენ ხომ სიგარეტი ომი გამოუტყავდით?

— არ ვენეოდი, აქ დავინეე.

— ბევრს ენევი?

— კოლოფი მთელი კვირა მყოფნის, თუ შინიდან არ გამოვედი...

— ქუჩაში ბევრს ენევი?

— ქუჩაში, „ჯეფრი, მომეცი სიგარეტი, ჯეფრი, მო-მეცი სიგარეტი, მომეცი, მომეცი...“ ნიუ პრობლემ! — ჯეფრიმ ხელები გაშალა.

— აა, მოხიფებულეზია ბუერი, ხომ?

— იეს, იეს!..

— მეერე შენც ნუ მისცემ... —

— არ შემძლია.

— შემოდი ჩვენთან, კარგი ღვინო მაქვს, თითო ჭიქა დავლიოთ.

— მე ვიცი „თითო-თითო!..“ გაცენია. — ო, კეი; ჩვენებს გაეფართხილებ კარგი?

— კარგი, აქ დაველოდებით.

— არა, არა, მე მოვალ...

— სოსოიე, ნამოი შენც! — ბოთემ „სოსოიესაც“ გადა-ხედა, მეერ ვალტერსაც გამოსდო მკლავში ხელი.

— შუუბეროთ? — სოსოიე გამოცოცხლდა.

— ყოველდღე არ ვუბერავთ? — ვალტერაც გამო-ცოცხლდა.

— მოდი, მეც შევირბენ სახლში, კომბოსტოს მჭავე მაქვს ისეთი, მკედარს გააცოცხლებს! — სოსოიეც შინი-სკენ გაეპარა, მეერ ნამით შედგა. — არ გამევიტანო?

— არაა!..

— მანდარინი?

— მანდარინი და ღვინო?

— ცოტა თუშური ყველი?

— არის, კაცო, ყველაფერი. — ბოთემ თავი გადა-აქნია.

— თუ შური! — კეკიმ მკლავზე ოდნავ ნაუჭირა ხელი.

— კაი, მაშინ, გიაიც ნამოიყვანე...

— მეც ნავალ, მაშინ და ორი უღელი კუპატიც მაქვს...

— ვალტერამაც ნასვლა დააპირა.

— ალარ გვინდა — მეთქი არის ყველაფერი!

— კომბოსტოს რა შევაჭამებს, კურდღლები ხომ არა ვართ...

— კაცო...

— ბიჭო, კუპატი!.. ის, მეგრული, ნადლი... ფაიზალი... პაინდვრის წვენსაც ნამოვილებ... ერთ ბოთლს...

— მოიცა რა, ალარ გვინდა...

— გაიმძვი ხელი! — ვალტერამ მკლავი გამ-ოითავის უფლავ, ისიც გაუჩინარდა.

მაგიდას დიდ ოთახში შემოუსხდნენ.

არა უშავდა, ისეთი სუფრა გაიშალა /საუკუნეების ნინანდლივით სუფრა, ყოველგვარი კონსერვეებისა და კონცენტრატების გარეშე/. —

ბოთემ კეკი სტუმრებს გაცნო, როგორც... ერთ-ერთი „საკვლეე-სამეცნიერო“ ინსტიტუტის თანამშრომელი.

თქვენი ინსტიტუტი სად მდებარეობს? — ვალტერა მაშინვე ჩაეძია.

— ამჟამად ალარ ფუნქციონირებს, მერამდენე ნელია, რაც დახურულია.

— რომელი დარგის სპეციალისტი ბრძანდებით? — სოსოიემაც ჩახველა.

— მე ფსიქოანალიტიკოსი ვახლავართ.

— ოი!..

საერთოდ, კეკის მთელი საღამო ღირსეულად ეჭირა თავი.

მეერ სრულიად მოულოდნელად პაინინოსაც მიუჯ-და.

დაუკრა და იმლერა?

ციდან სულ ციციანთალები ჰკრიფა.

„ჩემო ციციანთალებო, საით ფრენ ნელა-ნელა...“

ყველა მოხიბლა.

ბოთეც უკეე გაცხიზულივით იჯდა. თვალს ველარ აშორედუნა.

— მაგარია... — ჩაიდუნდა სოსოემე. — კარგი ღვი-
ნოა...

— მარლა მაგარია... კარგი ღვინოა, ძმაო, კარგი! -
„ღვინო“ ვალტერამაც შეაკო... ჭიქები გააპიპინა და მერე
ჯეფრის მიუბრუნდა, „თანაგრძნობით“ ვადახვდა. —
თქვითან, ჯეფრი... უფრო ვისკი, ხომ?

— არა, არა, ღვინოც... ამერიკული ღვინოების ოთხ-
მოცი პროცენტი ჩვენთან გამოდის.

— სად ეს, ჩვენთან?

— ჩვენთან, კალიფორნიაში.

— ოთხმოცი პროცენტი რამდენია!..

— არ ვიცი... — ჯეფრიმ მხარი აიჩჩა.

— ვერ დავიანგარობებთ?

— არ არის პრობლემა... შტატებში, მთლიანად, ნე-
ლანდში ცხრას მილიონ ლიტრზე ცოტათი მეტს ასხა-
მენ...

— ვაიმე! — სოსოემე თავზე მიიძო ხელი.

— ყველაზე კარგი ღვინო რომელია! — ვალტერ
მშრალად ჩაახველა.

— „ქრისჩან ბრანდერსი...“ ერთ-ერთი ყველაზე
საუკეთესია.

— სვამ ხოლმე?

— კი, როგორ არა... ცოტ-ცოტას.

— ოო... აი, სივარეტსაც რომ გადააგდებდე... —
ვალტერამ ისეე ჩაახველა.

— შტატებში რომ ჩავალ, გადავადგებ... ჩვენთან სი-
გარეტის „გადადგებს“ წლისთავს ზემოთ აღნიშნავენ,
სინანარ ცეკვებს ცეკვავენ ხოლმე... „პოპლია“ უკვია.

— პოო?... რანაირია ეგ სინანარული ცეკვა, გვას-
ნაველ, იქნება ჩვენც რამე გვეშველის! —
თავისუფალი! — ჯეფრის გაეცინა. — იცეკვე,
რამდენიც გინდა და როგორც გინდა, პოპლია!... — ხე-
ლები გაშალა.

— ვაა! — მოუნონათ. — კარგია, კარგი!

ჯეფრიმ იცოდა მისი ქვეყნის კონსტიტუცია /რა თქმა
უნდა პრეზიდენტის სახელი და გვარიც, ამაყობდა თავი-
სი კონსტიტუციური უფლებებით, ადამიანს აქვს უფლე-
ბა, მიიღებოდა ბედნიერებისკენ“ იცოდა, რომ ბედნი-
ერებისთვის საქარია:

ოცდახუთი წლისა იყო ლამაზი.

ოცდათუთმეტისა — ძლიერი.

ორმოცისა — მდიდარი.

ადამიანმა თუ თავისი სიცოცხლის ამ მონაკვეთებში,
ბიოლოგიური გამრავლების გარდა, ვერაფერს მიაღ-
წია, სიბერე თავისთა და მუქადან ენევე /მაგრად თუ
გაუმართლა/, მერე დუხჭირიანი სიბერის სინანულს
მინიღამაინც ვერც კარგი შვილი უშველის და ვეღარც
გადასარევი შვილიშვილი. ყველაფერი საქმინი და პრაქ-
ტიკული, მიზანსწრაფული, სიმღერებიც არა მხოლოდ —
მათრებულა, სიტყვებიც ამოვდა. ენაზე. გამოიბრჯეშ
სავით შთამბეჭდავი, ფზიზელ-ფზიზელი და მოკლე-მოკ-
ლე...

სუფრავზე მსხდომი, მართალია ყველაფერი ეს მთ-
ლად ისე, თარიღულ-თარიღული სიზუსტით „ოცდახუ-
თი“ და „ოცდათუთმეტობით“ ვერა, მაგრამ აღარ
გაკვირვებიათ.

ეს კი იცოდნენ.

ეს ვითომც არაფერი...

„თავ სინანული სჯობიან,

ბილოფამს დანანებას...“

ჭიშკრის ზარმა დარეკა.

კუტიკარს ნესტორა მოადაგა ქვაბით ხელში.

— აბა, ეს ჩემი გაკეთებული ყაწრმა გასინჯეთ... ბატ-
კისაა...

— მოიცარა! — ბოთემ შორს დაიჭირა, მაგრამ უნებ-
ურად ქვაბიც შეთავალოვარა. — ნესტორ, შენ მართლა
კარგი კაცი ყოფილხარ?..

— კაცო, გამომართვი ქვაბი! — ნესტორა ოდნავ შეც-
ბა.

— ჯერ შემოდი... თუ მოსულხარ და მოგტიანა, შე-
ნოდი, შამაიტანე კიდეცა...

— „შამაიტანე...“ „შამაიტანე...“ მე რომ გწლომოდი,
იქვე არ ვიდგებ? თითო-თითოდ რომ გამაპარენილო?

— კაცო, შემოდი-მეთქი, გუგუნებში... იცოდე, აღარ გა-
მოგართმეე ქვაბს! — ბოთემ სახელოზე ნაეპოტინა.

— „შამაიტანე“.

შეეგებენ.

მამინეც საკამი დაუღვეს.

სამი ჭიქაც გაუბიპინეს.

დაუღვეს.

— ჩვენ მანამდე ერთი ეს გავსინჯეთ! — სოსოე ყაწ-
რმას გადასწვდა, ჯერ ჯეფრის, სემდეგ თეთონაც გა-
დაიღო. — სხვათა შორის, მე ვიცი, რომ ბატონი ნესტორი
გენიალური მზარეულია. ჯეფრი, აბა, გასინჯე!..

— მე არა... — ჯეფრიმ იუარა.

— შენ ჯერ გასინჯე! ნესტორმაც ჭიქები რომ გა-
მოსცალა, ჯეფრის გახედა. — გასინჯე გასინჯე, და უარი
მერე თქვი.

— ქალბატონი ლალიც სულ ჭამე, ჭამე, მუუნებდა. —
ჯეფრიმ თავი გადააქნია, თავაზიანად გაიღიმა. — დიე-
ტა, შტატებში რომ ჩახვალ, იქ დიცივაიო... ამერიკაში
რომ გამხდარი ჩახვიდე, დედამენს რა ვუთხრა, ჩვენზე
რა იფიქრებს, როგორ ჩახვიდე თვალმოიო... /ქალბა-
ტონი ლალი, ოჯახის დიასახლისი, სადაც ჯეფრიერი ცხ-
ვობოდა/.

— მერე შენც დაუჯერე... ბატონანზოზრა და ქალბ-
ტონ ლალის სასმელ-საჭმელის მეტი რა აქეთ...

— არა, არაა! — ჯეფრიმერმა ხელში ასწია. — ჩვენს
ოჯახში ყველას სიმსუქნისად აქვს მიდრეკილება... შესს
პატარა დიკოს, სკოლაში რომ პირველად წავიდა, პრობ-
ლემებიც კი ჰქონდა ამასთან დაკავშირებით.

— რა პრობლემები?

— ეცინოდათ... შეიძლება სურათები გადავიღო? —
ჯეფრიმ ფოტოაპარატს ნაავლო ხელი.

ნამოდა.

ტკაპ-ტკაპი

გადაიღო.

ისევ და ისევ...

შემდეგ აპარატი სოსოეც გადასცა, სუფრას
დაუბოღუნდა.

ტკაპ-ტკაპი

სოსოემაც ისევ და ისევ...

— ვაიმევე, ბატონო ნესტორ, ეგ სურათები რომ
კავებეს ჩაუვარდეს ხელში, რაღა ვქნათ, ხომ დავიღუ-
პეთ და ეგაა, ა? — ვალტერა „შეშფოდა“.

— იციანო, იცინებ! — ნესტორამ ამოხიხენება.

— შეიძლება პიანინოზე დავუკრა? — ჯეფრიმ ბოთეს
გამოხედა.

— კი, ბატონო, რას უკვია...

— თუნქო...

მიუჯდა.

ჯერ კლავიშები მოსწინა, აკორდები აკრიფა.
შემდეგ სუფრის გარშემო მსხდომი გამოხედა.

— სპირიჩუელა? — იკითხა.

— დავი, დავი! — ვალტერამ საკამი შეატრიალა. —

მიდი, დაუკარი, რაც გინდა...

— ჯეფრიმ დაუკრა.

— იმერა...
 — ყვავილების ქვეყანა..."
 — ჯეფრი, ეგ საიდან, ძმობი, ა? — გაოცდნენ.
 — მე ხომ მუსიკის მასწავლებელთანაც დავედიარ...
 — აი, ახლა — ვალტერა ფეხზე წამოვდგა, - მე ამ ბალანის სადღევრძელო დამლევივით!
 — კი, ბატონო!
 გაუპიინეს.
 ადრეგრძელა...
 მერე უტეხ სკამი გვერდზე გასწია და იატაკზე გუ-
 ლაობა გაიხსლართა /ვირდაპირი იმ მტერიან იატაკზე,
 რომელსაც, რაც პუშკუმ გარეცხა, მას აქეთ ცოცხიც არ
 მიკარებია/.
 შეტყნენ.
 გაოგნებულნი მიაჩერდნენ.
 /არ მოელოდნენ და, ალბათ, არც ენახათ/.
 — ახლა ერთი აქეთ მომანოდეთ ეგ სასმისი! —
 ვალტერამ ხელი გამოიმვირა. — აქ და ასე მინდა დავ-
 ლიო... დილისორი მაქვს ასეთი!
 — კი, ბატონო!
 მიანოდეს /სოსოვი ფოტოაპარატს ეცა, ხუმრობით,
 ზურგსუკან გადამალა/.
 ვალტერამ თავი ოდნავ, სულ ოდნავ წამოსწია.
 დალია.
 ნეითიც არ დაღვრია.
 წამოვდგა.
 ეცნენ, კოსტუმი გაუფერთხეს /სულ ბრდღვინი
 ადნეს/.
 — ასე ვიცით ჩვენ, ზუგდიდლებმა! — ვალტერამ
 მხარი შეათამაშა, რალაცნაირად, გვერდულად ჩამოჯ-
 და სკამზე.
 ერთხანს, ცოტა არ იყოს, უხერხული დუმილი ჩამონ-
 ვა.
 — შენ რა გგონია, ჩვენ ზუგდიდში არ ვართ ნამყო-
 ვი? — შემდეგ სოსოვი წამოვდგა, ღიმორული მიაჩერ-
 და.
 — მერე?
 — ჭოვ, ამ შენი ხუთასდოლარიანი კოსტუმით რომ
 აქ, ამ მტერიან იატაკზე გაიხსლართე, მაი იქ არავინ
 გაგეგოს, თორემა...
 — ხუთასდოლარიანი და თანაც პირი კარდენისა,
 ხომ? — ვალტერას ესამოვნა, მერე ცალი თვალი ოდნავ
 მოჭუტა. — რა, თორემა?
 — თორი გაგალხვენენ ნესტორმა ჩაიცინა.
 ბეერი არ დაუღევიათ.
 სუფრაზე არც მალაღვრდოვანი, ჩინოსნური, ლო-
 ზუნეგებით სადღევრძელებით და აღარც ბოლშევიკური
 „მუშურ-გლებური“ სალაშქალაში, ჩაის ჭიქებითა და
 ყანჩებით დაღევაჯ არ ყოფილა /ჩაის ჭიქებით, ალბათ,
 ჩაის „კულურის“ შემოტანის შემდგომ გამოჩნდა ხომ?/.
 ბოთმე ერთხელ სრულად შემთხვევით ერთ-ერთ
 ძველქართულ, ქლაქური სიმღერის ტექსტში სიტყვებს
 — „ღვინის დოქის ჭიქები...“ ყური რომ მოჰკრა /რომელ-
 იც მანამდე „ღვინისჯერ“ მოესმინა, ყურადღება არ მი-
 უქცევიდა/, ძალიან ესამოვნა.
 ესე იგი, ადრე ღვინის დოქი სხვა გახლდათ, წყლისა
 — სხვა?
 შესაბამისად — ჭიქებიც სხვადასხვანაირი?
 ან „გენიალური“ აღმოჩენის შემდეგ ღვინის დოქიც
 და ღვინის ჭიქებიც შეიძინა, ჰქონდა.
 თურმე ყოფილა /არა მხოლოდ შრომაში/.
 ჭკვიან ხალხს რა გამოვლდა.
 დალიეს „ღვინის დოქის ჭიქებითა“ და ვისაც რამდე-
 ნი უნდოდა, ესამოვნებოდა.
 ალბათ, ღამის ორი იყო, კულტიკართან რომ გადაკოც-

ნეს ერთმანეთი.
 კი, ბატონო, არაფერი ისეთი...
 ჩაბარდა კიდევ ერთი დღეც მარადისობას.
 გამობრუნდა.
 წელი ნაბიჯებით უყვავ კიბის საფეხურებს.
 კეკი საწოლზე ჩამოქვდა დიან დახვდა.
 რალაც თავი ატკივდა...
 — ბეერი დალიე?
 — არა, ალბათ, სივარეტის ბრალია... მე ჩავეწვიე, კარ-
 გი? — რატომღაც დამნაშავესავეთ შემოჰლიმა.
 — რა თქმა უნდა!
 — ხომ არ გეწყინება?
 — არა, არა, ჩანევი... ამორჩიე, რომელ საწოლზეც
 გირჩევიანია.
 — აქვე შეიძლება?
 — კი, ბატონო... ოღონდ ჩემი ბალიში აქეთკენ გად-
 მოვადე.
 — უი, შენ აქეთა მხარეს წევი?
 — არა აქვს მნიშვნელობა, ჩანევი. — ბოთე სავარ-
 ძელში ჩავევა, ჯიბიდან ტელეფონი ამოლია, „ტონი მონ-
 ტანისთან“ დარეკა /იყო ერთი ასეთი კაცი/.
 — ხომ არ გეძინა? — ვითომ ხალისინი ხმით ჰკითხა
 /ძალად გაიხალისა თავი, თანაც დარწმუნებული იყო,
 რომ არა, არ ეძინა/.
 სოსოუმის ცაზე ბომბდამშენების მიერ გადმოკიდებულ
 „გორლანდებს“ რალაც სასწაული გადარჩენილ, საოცრად
 გულკეთილ, კაცთმოყვარე კაცს რა დააძინებდა.
 — როგორ ხარ? — ბოთემ ნაშით დაღუმებულ ტელე-
 ფონს დახვდა.
 — კარგად...
 — მაგრად უნდა იყო!..
 — მაგრად ვარ!
 — ახლა სიმართლე მითხარი... როგორ ხარ!
 — მუ მიჩქუ... /რა ვიცი/ ოპ, შენ ხარ?. შენ შემოგვე-
 ლე! — ტონის გაეხარდა. — ვიფიქრე, ვის მოვავრდნი-
 მეთუი... შენ თვითონ როგორ ხარ?
 — მეც „მუ მიჩქუ...“
 — მუშენ! /რატომ/— იკითხა, დაღუმდა, მიაყურადა.
 — შემა გაქვს?
 — კი, ცოტა...
 — საჭმელი?
 — ისევე დაღუმდა.
 — გააქვს, კაცო?
 — კი, კი, გვაქვს! — გაეცინა.
 — აბა, კარგი... გეოცინა... იხარჯება... წერს...
 — ნი, ვიცო... დაღვლობა, რომ დარეკე...
 — კარგი რა! — ბოთემ ხელი ჩაიქინა და ტელეფონი
 გამორთო.
 — ერთხანს თავჩაქინდრული იჯდა.
 — შემდეგ კეკის გახვდა /უკვე ძინა/.
 — ცოტა ხნით კარი გამოვლი.
 — აივანზე გავიდა, სანამ ოთახი განიაღვებოდა,
 კიდევ ერთი სივარეტიც მოსწია. გამთენიისას კეკის
 ხნამაღად, პირდაპირ ცხადვით ბოღვაზე გამოვლვიდა.
 — ნუ მირტყამ, ნუ მირტყამ!. არ მეცმო რა, გეხვეწე-
 ბი! — ვილაცას ხელ-ფეხის ქნევა-ქნევით, გამწარებუ-
 ლი, ტორილანის ხმით შევეცვი.
 ბოთემ მხარზე მიაღ ხელი.
 გამოვლივიდა.
 — აჰ?!.. — დაფთვდა. — რა მოხდა? — შემოლიის
 თვალებით მოაშტერდა.
 — დამშვიდდი, დამშვიდდი... ყველაფერი მხოლოდ
 სიზმარი იყო... მხარი იცვალე...
 — ცოტა ხნის შემდეგ ისევ და ისევ /ამჯერად
 თურქულად/. — ურმორი /ნუ მირტყამ!, ურმორი!..

ურმა /არ მცემო/, ურმა!..
ბოთემ ისევ მიადო ხელი.
ისევ გააღვიძა.

შემდეგ სივარეტს გადასწვდა...
დილის ათი იყო, რომ გამოვლვდა.

კეკი უკვე კუნძივით უძრავად იწვა, სახანი თავზე
წამოხურა, არც თავი უწინადა, აღარც — ფეხი.

მიუჭტრიალა, ლიმპირული მიაჩერდა, მერე საბ-
ნისიქვეშ შეუყო ხელი და წამსვე, ელდანაცემივით შე-
მოჭტრიალდა.

გულაღმა განვა.
ლეიბი სველი იყო.
ხმა ვერ ამოიღო.
გაირინდა.
გისუსა.

— ეს რა მიქენით წუხელ, რა მიქენით?! — კეკიმ უცებ
სრულიად ფხიზლად ტირილიანი ხმით უსაყვედურა.

— რა „იქენით“, ქალი!

ბოთემ იდაყვებზე წამოიწია, მერე მაშინვე თავი შეიკე-
ვა.

— კარგი, ეგ არაფერი...

— რატომ დამილევინეთ, რატომ?

— ოჰ, კარგი რა!.. რა მოხდა მერე, ვის არ მოსვლია...

თუშეცა რე მამდენადაც მასხოს... ბევრიც არ დაგიღე-
ვია...

— როგორ თუ არ დამილევია, რას ლაპარაკობ,
როგორ არ დამილევია?.. — ახლა უარესად, უკვე ხმამა-
ლლა აზლუქუნდა/ისევ იყ, საწოლის ერთ მხრეს სახან-
წამოხურული და საცოდავად მოკუნტული, კუნძივით
უძრავად იწვა/.

— დამშვიდდი, ადამიანი... ადამიანი რომ სითხეს ლე-
ბულობს, შემდგომ ორგანიზმი უკანვე გამოჰყოფს
ხოლმე... სრულიად ჩვეულებრივი, ჯანსაღი ფიზი-
ოლოგიური მოვლენა... რა არის ამამი საჭირალი ან
მითუმეტეს... რა ჰქვია იმას... სასირცხვილო...

„უუ-უუ-იიი!.. — ცხვირზე აუშხიანდა, ნკურტილი
წამოუვიდა.

ბოთე უცებ წამოხტა, საწოლებს შიშველი ფეხების
ტყაპუნით შემოურბინა.

— აბა, ერთი, ვაიწი! — ხმის ამოღებაც აღარ დაცა-
ლა. — გადაბარგდი ჩემს საწოლზე! — ლეიბი წამსვე ზე-
წრინდა გამოაცალა და მეორე ოთახში, დივანზე მიაგ-
დო.

გამობრუნდა.

ჩაუწვდა.

ჩაეხუტა.

— ხომ დაწყნარდი!

— არა...

— რა, არა?

— ეგლა მაკლდა, სრული ბედნიერებისთვის... ლოგ-
ინში ჩამეფსა...

— შენ ეგ სამუდამოდ დაივიწყე, სხვა რამეზე იფიქრე...
თუ სხვა არაფერი გახსოვს!

— არა... რა იყო?

— თურქეთში როდის იყავი?

— როგორ?... — ოდნავ შეცბა. — ხომ გითხარი ტელე-
ფონში, ორი-სამი დრვა, რაც ჩამოვედი-მეთქი!

— კი, მარა... როდის, რამ გადაგანყვეტინა...

— აქ, წინა დღეებში მცემეს, ფული და მოზილური
წამართვის... მერე ოთხმა ერთად გამაუპატოურა...

— სად აქ, ქალი!

— აქვე, „გემვის“ ზოში... იქ, უკან, ერთგან ბტერი ხე-
ებოა, ავტობუსი ადგლია... იქ შემოყვანეს ტექსით...
ჯერ მცემეს, ყველაფერი წამართვეს და მერე გამაუპა-
ტოურეს...

— ვინ... ვინ ოხრები იყვენს!

— ერთი ნაცნობი სუტენიორი იყო, ორი სხვაც, მისი
ძმაცალები... მერე ტაქსისაც უთხრეს, შენც მიდიო...
მაშინ კი მართლა ვიკივლე და ვინივლე, მაგრამ... ისევ
მცემეს...

— მერე?

— მერე ტაქსისტიც „მოვიდა“... იქიდან სასტუმრო
„აჭარამიდი“ მავან გამოყვანა...

— თურქეთში?

— თურქეთში ერთ ნაცნობ ქალს გავეყვი, კარგა ხანი
მეპატრონობდა... იქ ორი-სამი დღე რომელიღაც კაფეში
მამუშავეს, კარგი იყო, მაგრამ მერე ფეხებეცს გადაა-
ბარა ჩემი თავი...

— ფეხებეცნი?

— სუტენიორს ჰქვია... გაუაბარა და თვითონ
სადღაც გაპარა... თურმე ვაფაცივარ... ფეხებეცნი
კაფეს მაშინვე მომპოვრა, ქალაქკარეთ, თავის ბაღჩა-
სახლში წამიყვანა, იქ ასე ეძიხინა... პასპორტი წამართ-
ვა, კლიენტებს თვითონ ურეკავდა, მოყავდა, ფულსაც
თვითონვე იღებდა. შეთანხმების თანახმად, ნახევარი
ვითომ ჩემთვის უნდა მოეცა, მაგრამ ყველა თვითონ მი-
ჰქონდა... ვერც ვერსად გავალიდი და ისედაც სად უნდა
წავსულიყავი, არც გზა ვიცოდი და არც კვალი, გაქცე-
ვის ყოველ მცდელობაზე მცემდა... რე კეკიმ რღაცნაირი
გაკაკლებით ამოიხვინა. — ჯოხით მცემდა, მირტყამ-
და, მხოლოდ მკლავზე და მხოლოდ მხრიდან იდაყვებამ-
დე... კლიენტთან ზედა პერანგით შევდიოდი ხოლმე...

— აბა, მანახე!

კეკიმ პერანგი გაიძრო, ჩამავებულ-ჩალურჯებული
მკლავები აჩვენა /მართლა, ორივე მხარეს, მხრებიდან
დანყვებული იდაყვებამდე ერთი ცოცხალი ადგილი არ
ჰქონდა/.

— კარგი, გამანებე თავი... ჩაიცვი... — ბოთემ თვალი
აარიდა, ისევ შტრილადა, გულაღმა განვა.

— იქ ისე გომიურად, როგორც აქ, აღარ მცემენ! —
კეკი ბუნებურად გადასწვდა, ჩაიცვა. — ყოველ შემთხვე-
ვისთვის, ცხვირში არ გაგიტყენ და თვალებს არ ჩა-
გილილავევენ...

— „სამუშაო“ ფორმას გინარწუნებენ, ხომ? — ბოთემ
ჩაიცინა. — სუტენიორი ყველა ქვეყანაში და ყველგან
ერთი ფაბრიკიდანაა გამოშვებული... მეთოდებია სხვა-
დასხვა.

— კი, რა თქმა უნდა!

— რამდენი ხანი იყავი იქ?

— თვეწახევარი...

— სტამბოლში?

— არა, კაბადოკიაში.

— როგორ გამოაღწიე?

— ღამე გამოვიქციე... რამდენიმე კილომეტრი ფეხ-
ით ვიარე, რომელიღაც გზატკეცილზე გამოვდი... იქ
პოლიციელებმა ამიყვანეს, სხვათა შორის კარგად მო-
ქეცენ... მითხრეს, გვაჩვენე ეგ ბაღჩა-სახლი, თუ შეგი-
ძლია, გვანახე ეგ სუტენიორი... უარი ვუთხარი, კიდევ
მისი დანახვა მინდოდა?

— მერე?

— მერე სრულიად უცნობმა კაცმა მანქანა გამიჩირა...
ინგლისურად კარგად ლაპარაკობდა, კარგა ხანი
ამერიკაში ცხოვრობდიო, მითხრა...

— შენ იგი ინგლისური?

— კი, ვლასპარაკობ... იმ კაცმა ორასი დოლრი მაწუ-
ქა, ავტობუსში ჩამსვა, გამომშავაზურა... სექსიც არ
მოუთხოვია, არც სახელი, არც გვარი, მისამართიც არ
მოუცია.

— მართლა? — ბოთეს ესამოუხა. — თურქი იყო?

— კი, თურქი... კარგი, მე ნავალ ახლა... — კეკი უცებ



ნამოდგა.

- სად მიგეჩქარება, იყავი ცოტა ხანს.
- არ შემომიღია... მაგრამ მანამდე სააბაზანოში შევირბე, კარგი?
- კი, ბატონო!
- მამატიკ რა! — წასვლისას რაღაცნაირი საწყლური მობოდიებით გამოხედა, გაუღმა.
- დაივინე, სიზმარი იყო ყველაფერი... დარჩენილიყავი!..

- არ შემომიღია.
- ჩაგაცილებ... — არ მინდა... თუმცა კუტიკარი ხომ უნდა ჩაქექო!
- კი, აუცილებლად... კუტიკართან უცებ შედგა.
- მოგიკედეს ჩემი თავი, ნუხელ და დღეს უსესქოდ დარჩი?... — შემოხედა, ირონიულად ჩაიცინა.

- მოიცა რა! — ბოთე მიაჩერდა.
- გინდა, ერთი ჩემი მეგობარი ქალი გავაცნო, დარეჯანი ჰქვია... მესახებლად «ტაისონა...» - ისევე შემოხედა, ისევე ირონიულად ჩაიცინა. — განა შენთვისაც სულერთი არ არის, ვისთან?
- ჩემთვისაც?... — ბოთეს ეწყინა. — თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არა... ჩემთვის არაფერი არ არის «სულერთი...» კარგი ქალია? — შემდეგ გაუღმა, ჰკითხა და ისევე მიაჩერდა.

- კი, ტაკივითა... გზაში ასი დოლარი მიმპარა.
- სად, გზაში?
- თურქეთიდან დამემგზავრა, ერთად ჩამოვედი... — კარგი, დავაგრეკავ აუცილებლად! — ბოთეს გაცინა. — ნუ დავიკარგები ხოლმე...

- დარეკე.
- არ მოიწყინო... ტაისონაც აუცილებლად გამაცანი...

რამდენიმე დღე შინიდან არ გამოსულა. პუმპუ მხოლოდ ორიოდ კვირის შემდეგ გამოჩნდა. შეეგება.

- სად ხარ, გოგო, შენ! — ჩვეულებრივ, ხუმრობით, და ლოყავს აკოცა.
- შე სადა ვარ თუ შენ სადა ხარ? — პუმპუმაც, ვითომც არაფერივით, მიუშირა ლოყა, გადაიკისკისა. — მე რამდენჯერმე დავაგრეკე... თქვენი ტელეფონი არ პასუხობდა, ბატონო...ანდა სულ დაკავებული იყო... რამდენჯერმე ისე, დაურეკავად გამოგიაგრე, მაგრამ შინ არ იყავი... წერილი არ ნახე?

- სახელებით დამაჯერებლად იყო ნათქვამი, მაგრამ ბოთემ რატომღაც უცებ რაღაცნაირად იგრძნო, რომ პუმპუს შესაძლოა მართლა დავაგრეკა, გამოველო კიდევაც, «წერილიც» ჩავგელო საფოსტო ყუთში და ჭიმკრის ხარა არ დავრეკა /თუ რატომ, მხოლოდ უფალმა უწყობდა/.

- წერილი კი, როგორ არა! — ბოთემ ამოიხვნეშა. — შემთხვევით, ეგ წერილი საფოსტო ყუთში, ამ სახლს რომ ვიღაცას «მერსედესით» ჩაუქრულე მამინ ხომ არ ჩაგიგინა?

- პუმპუ ნამით დადუმდა.
- ქალაქში ერთ-ორჯერ შენს მანქანას კი მოვაკარი თვალა... გვერდზე ვიღაც ქალი გეჯდა...
- ლამაზი ქალი იყო? — ბოთე ოდნავ შეცბა /პუმპუს არ გამოეპარა/.

- ძალიან...
- ორივეჯერ ერთ და იგივე ქალი თუ სხვადასხვა?
- სხვადასხვა... ოჰ, მითხარი, რა გინდა? — უცებ მოიღრუბლა, მიაჩერდა.
- არაფერი...

პუმპუს ტყუილისათვის ბევრი გონების დაძაბვა და

ტვინის ყყულეტა აღარ სჭირდებოდა, საკმარისი იყო, პირი დელო — ტყუილი თავისით მოედინებოდა /თანაც საკმაოდ დამაჯერებელი, ზოგჯერ — არგუმენტირებულაც/.

- კარგი, შემოდი... შინ ვილაპარაკოთ!
- ეს რა არის? — ქურქი რომ გაიხაზა, დიდ ოთახში შეიტანა და დივანზე გაფენილი, სველი ლეიბი დაინახა, ადგილზე გამუშდა /იმ სიცივეში, ლეიბი სულ შრებოდა და შრებოდა, აღარ დაადგა საშველი/, შენ ჩაიფხი?
- ბოთე გაყურდა, ნამით დაინახა.
- აბა, სხვა ვინ იზამდა? — შერე შეიმშუმუნა, სივარეტი ამოიღო.

- კი, მაგრამ როგორ... მთვრალი იყავი?
- მაგარი...
- მერე?
- მერე შენ დამესიზმრე... ელიავას ბაზრობაზე კომპასს დავეჭმდი...
- მე დამესიზმრე? — პუმპუ გამომცდევლად მიაჩერდა, ირონიულად ეღიმებოდა, ბოლოს გადაიკისკისა.
- მერე?

- რა მერე და მერე აიჩემე... შენ მითხარი, ნამო ერთი, სადმე მივაშარდით... შედეგი სახეზეა...
- რაღაც ძალიან, ძალიან მეჩვენება. — გაიარ-გამოიარა, საწროლები შეათვალიერა. — თუმცა კი, ლეიბი შენია, შენი საწროლდინა...

— რა თქმა უნდა! — ბოთემაც გახედა საწროლებს, ესამოვინა.

- სხვა ლეიბი რატომ არ გამოიტანე?
- შენ გელოდი...
- მიდი, გამოიტანე... ჩავენეთ, ხომ?
- ჩავენეთ?
- აბა, მე რისთვის მოვედი?
- გიყვარვარ?
- რომ არ მიყვარდე, აქ რა მინდოდა?
- ლოგიკურია...
- რაო? — გადაიკისკისა.

ჩავენენ. ჩაბთულდნენ.

— ეგ შენი კომპასი რა გახდა ისეთი... — პუმპუ მოგვიანებით სივარეტს გადასწვდა. — მანახე ერთი, როგორია...

- განახიო?
- ხომ აქვს რომლიმე შენს ნაცნობთავანს?
- კი, როგორ არა...
- საიდან?
- რა ვიცი, ზოგს ძველი, ზოგსაც — ახალი...
- რანაირია?
- ხომ გითხარი ერთხელ...
- მაინც?
- ოჰ, მოიცა რა, გამანებე თავი...
- კარგი, მე თვითონ ვნახავ ... მოგიტან მაგ კომპასს, შენ ოღონდ ფული იქონიე...

— კი, ბატონო, მაგ საქმისთვის ფული არ დამენანებოდა.

- ჩემთვის?
- არც შენთვის...
- მაშინ მომეცი ორასი დოლარი! — პუმპუ უცებ გამოცოცხლდა, მიაჩერდა.
- რატომ ორასი? და არა სამასი?
- ოჰ, მჭირდება რა!
- წინასწარ ბოდიშს ვიხდით სულელური შეკითხვისთვის, მაგრა... რისთვის?
- ოქროს ბირჟაზე ვინცებ მუშაობას.
- აუჰ!..
- მართლა, მართლა, იცი, დღეში რამდენს გავა-

კითბ?

— რამდენს?
 — ორმოცდაათ, სამოც ლარამდე... ერთი კარგი, ძალიან გულკეთილი ქალი გავიცანი, ხუთი შვილის დედაა... იქ მუშაობს, პატარა დახლი აქვს... მე ძალიან ვუყვარავ, მითხრა — შენ ოღონდ არ დაიხარო, გამოადი, იარე, მე ყველაფერში დაგეხმარებო...
 — მართლა?
 — კარგი რა, ნუ იცინი, ფულს ორ კვირაში დავიბრუნებდი...
 — უკლებლივ... რა თქმა უნდა!
 — გეხეწები!
 — მერე სადაა, ქალო ორასი დოლარი?
 — არა?
 — საიდან?
 — ხომ გაქვს ვიღაცებთან რაღაც ჩადებული... ისინი ხომ ადვილად თურქეთში, მიაქეთ-მოაქეთ რაღაცები...
 — იქიდან ავიღო?
 — ხომ გერგება ყოველთვიურად რაღაცა!
 — კი, ზუსტად ის ორასი დოლარი.
 — ჰოდა, მასესხე!
 — მერგება, მაგრამ ყოველთვის და ყოველთვიურად არ გამოდის...
 — შენ ისედაც ტყუილა გეხარჯება... გეჩვენა კიდევ რაღაცა ვადამაღული... ორ კვირაში დავიბრუნებ-მეთქი, გეუწებები!
 — ქალო, შენ სად მივაქვს ეგ ფულები... კაცმა რომ ახლა ასდლორანში მოგცეს, ეგერ, კუტიკარამდე არ მიგყვება, წამსვე სადღაც გააქრობ...
 — შენ ჯერ მომეცი და მერე მითხარი!
 — აღარ მომიცია?
 — კი...
 — რამდენჯერ?
 — ოჰ, რა ვიცი მე...
 — ასდლორანში რომ მოგეცი და გითხარი, სულ ეგაა, თვის ბოლომდე საჭმლის ფულად უნდა მყეოს-მეთქი, შენ რა მოპასუხე?
 — უმუშუ დადუმდა.
 — აღარ გახსოვს?
 — მახსოვს...
 — თქვი მაშინ...
 — გითხარი, მოიკა ეგ ფული, საჭმლს მე თვითონ ამოგიტან, რაც მორჩება, ჩემი იყოს-მეთქი!
 — მერე?
 — მე რამდენადაც მახსოვს, მთელი კვირით დავიკარგე, ხომ? — უმუშუმ გადაიკისკისა. — მერე მაკარონი და ვერმომული ხომ ამოგიტანე? — ისევე გაეცინა, გადაიკისკისა. — მთელი იტალია მაგით არ იკვებება?
 — მაკარონის ჭამას ენის ცოდნა უნდა, შე ჩემა... მე ხომ იტალიელი არ ვარ!
 — ენის ცოდნა არა ისა...
 — არა?
 — რა, კაცო — გაიკვირვა.
 — შენ არ იცოდი?
 — რა არ ვიცოდი, კაცო!
 — ქალო, მეცნიერებმა რა ხანია დაამტკიცეს, ფრანგული კერძები რომ ჭამო, სრულად ისიამოვნო, ფრანგული უნდა იცოდე... ჩინურ კერძებს ჩინურის ცოდნა სჭირდება და ასე შემდეგ... შენ რა, მართლა არ იცოდი?
 — არ... რაღაც არ მახსოვდა... — უმუშუმ სახე მიაბრუნა.
 — კარგი... ეგ „ოქროს ბირუა“ რას ნიშნავს, სადაა? — ბოთე სიგარეტს დასწვდა.
 — სადგურთანაა.
 — სადა?

— იქვე, დეზერტირების ბაზართან...
 — შენ იქ ფული როგორ უნდა იშოვო?
 — გრამი ოქრო ათი დოლარი ღირს... მე შეიდად ან რეად ავიღე — ათად ჩავებარე.
 — სად აიღე!
 — იქვე...
 — სად ჩააბარე?
 — ისიც იქვე...
 — შვიდად როგორ თუ ათი ღირს?
 — ბევრმა არ იცის, სად და როგორ აბარებენ, ზოგჯერ აქეთაც შემოთავაზებენ ხოლმე — ოქროს ხომ არ აიღებთო, კითხულობენ...
 — შენ არ მიახნავალი, ხომ?
 — გიფი ვარ?
 ბოთე მსხვდა.
 წამით, სულ ერთი წამით, მაგრამ ისევე რომელიღაც მტაცებლურად კბილებანანეჭტებულნი არსება დალანდა. სახეზე ხელი ჩამოისვა.
 ესე იგი, მოატყუებ? — ჰკითხა მიანერდა.
 — არ ვატყუებ... მე რომ არა, სხვა ხომ აიღებს... იცი, ჩემისთანები იქ რამდენია?
 — ბევრი?
 — ხალხი აშენდა... ჩემმა ერთმა ნაცრობმა იქ მუშაობით ერთ წელიწადში სამოთხიანი ბინა იყიდა... იქ არავინ არავის ატყუებს, უბრალოდ, ეს ბიზნესია ასეთი.
 — გასაგებია, გასაგებია... — ბოთე სიგარეტს გადასწვდა. — დედაჩემმა იქ, იმ სადგურთან, ძირფასი ქვეითი განყოფილი, ყელზე ჩამოსაკიდი ოქროს საათი გაყიდა, რომ აქ, თბილისში, ჩემთვის ბინა ეყიდა... რატომღაც დარწმუნებული ვარ, მოატყუებ... თუმცა ამის შესახებ არასოდეს არაფერი წამოხდენია...
 — თქვენც ხომ ატყუებთ?
 — რას გულისხმობ?
 — თქვენც ხომ თურქეთში იაფად იღებთ, აქ ძვირად ჰყიდი!
 — არა, არ ვატყუებთ... საქმის ორგანიზაცია, მისვლა-მოსვლა, ჩამოტანა, რეალიზაცია... ყველაფერ ამას ხომ შრომა უნდა?
 — მეც ხომ მთელი დღე იქ უნდა ვიტრილო... ამ სიცოცხლე... აბა, ის ჯობია, რასაც ახლა ვაკეთებ?
 — ახლა რას „აკეთებ“?
 უმუშუ დადუმდა.
 ოდნავ, სულ ოდნავ დაიბნა.
 — არაფერი, დავეხეტები ტყუილა წინ და უკან, უბინაოდ და უფულოდ... — შემდეგ ამოიხვნეშა. — თქვი, ფულს მაძლევ თუ არა ორი კვირით?
 — არა.
 — რატომ?
 — მოგცე, რომ ვიღაცები ატყუო?
 — აღარ გიყვარვარ?
 — მიყვარხარ...
 — მაგრამ ფული ბალომისკემ ამოგიღვია, მე ქუჩაში სანანწალოდ მოშვებ?
 — შე არა... შენი ქმარი.
 — რა, ჩემი ქმარი!
 — შენი ქმარი გიშვებს...
 — შენ სადა მყავს ქმარი?... მაშინ მოდი და დავექონინდე!
 — სიამოვნებით... ქმარს რომ ვამორებული იყო.
 — ჯვარი დავინეროთ... ამბობენ, ეკლესიაში ჯვარდაუნურლებს იმ ქვეყნად მარტოობაში უნებურ ყოფნაო...
 — ქმარი?
 — ეკლესიაში რა, შემეკითხებიან, მწკრივი ხარ თუ არაო?
 — ახლა ეკლესიაც გინდა მოატყუო?



— ევ რა მოტყუებაა... შენ არ მოთხარი, რომ „ზაქსში“ ხელის მოწერას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ქორწინებად არ ითვლებათ?

- ევ საბჭოთა პერიოდში!..
- ახლა რა შეიცვალა?
- შენცვალა... ჩვენი ახლა ჩვენი სახელმწიფო გვაქვს.
- მერე სადაა ევ „ჩვენი სახელმწიფო“?
- მომთხინება იქონიე... ყველაფერი კარგად იქნება... მანამდე რა ვქნა?
- აღარ გავეპარო იმ „ოქროს ბირჟას“?
- აბა, სად ტრაკში წავიდე?
- არ ვიცი... იყავი აქ... მოტყუებებს კიდევ ის... ის ქუჩა-ქუჩა ნაწნალი ჯობია; მგონი, იქ არავინ არავის ატყუებს.
- ეგრე ვგვგონის; იქ... მართალია, საკუთარი სურვილით, მაგრამ ორივე მხარე ერთმანეთს ატყუებს... ხომ ვაგვიცა, „ძვალის მკვეთელი ძაღლი საკუთარ უკანაღს იტყუებსო...“
- ბოდიში შედარებისთვის... — ბოთემ გახედა, ჩაიცინა.

— კარგი, შევეშვათ... — პუშკუ მოიღრუბლა. — მაშინ, მიდი, შენ-თვითონ წამოიხვე რამე... იქნება ერთად მივდგეთ-მოვდგეთ, ვიმოვოთ ევ. ოხერი ფული, ა?

- შე არ შემიძლია.
- რატომ?
- მე მაინცდამაინც აღარაფრის ხალისი არ მაქვს.
- რატომ-მეთქი, სხვაზე ნაკლები ხარ?
- საბჭოთა პერიოდში დავიბადავ... ქალო, ახლა მფარველი თუ არავინ გყავს, თავიდანვე თუ სიტა არ გამოვაცალეს, საუკეთესო შემთხვევაში, ტახივით მოვასუქებენ, რომ მერე ჩაგძირონ... ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით ასეა...
- სიტა რას ჰქვია?
- არ ვიცი...
- კარგი, ასი დოლარი მაინც მომეცი!
- არა.
- ეს იგი, ჩვენ ერთმანეთისთვის არატერი ცყოფილ-ვართ?

— შენ ჩემთვის ყველაფერი ხარ... სამშობლო, სახელმწიფო, მამულიცა და ჩემი სიყვარულიც... — ბოთემ ღიმილოვანი ნაეპოტინა ხელზე.

- შენ კიდევ ჩემი სიცოცხლე და ჩემი ცხოვრება? პუშკუს გულიანად გაეცინა, გადაიკისკისა.
- ფულზე ასე ვაგვიგებდ არ ვარგა...
- შენთვის ადვილი სათქმელია... მე საკუთარი სახელიდან პერანგისამარა გამომაძევეს, საკუთარსავე ქვეყნაში გამაუცხოვეს, ყველასთვის არასასურველი ადამიანი გახდილ... —
- შემთხვევით, მე ამ ჩემს პატარა სახლს ხომ არ მაყვდობ?
- როგორ გეკადრება! — წყნით მიაჩერდა, ჩახედა თვალებში.

- ბოთემ ამოიხვნეშა.
- ესე იგი, იმ ასდოლარიანსაც არ მაძლევ! — პუშკუმაც ამოიხვნეშა.
- არა... ეგრე გავხდები იმ შენი ყოველდღიური და „გრანდიოზული“ მოტყუების თანამონაწილე.
- შენ რა შუაში იქნები?
- თუ „დაგაინახსე“..
- კარგი, კარგი!
- მემუქრები?
- არ გემუქრები, მე შენ ძალიან, ძალიან მიყვარხარ!
- თუ გინდა, დამემუქრე!
- არა-მეთქი, მე შენ მართლა ძალიან, ძალიან მიყვარხარ!.. მოიცა ერთი, საბაზანოში შევირბინო!.. — უცებ საბანი გადასწია, წამოხტა... მერე, რომ მოირობინა

და ისევ ჩათბუნდა, გადიკისკისა.

- რა იყო?
- მაიკოსავით მეც ვინმე ფულიანი, რომელიმე მარადიული საყვარელი უნდა გავიჩინო.
- გაიჩინე, ვინ გიშლის...
- რა უცებ დამთმე?!.. — წყნით გამოხედა, ჩაიცინა.
- ყველას აქვს უფლება, მიელტვოდეს ბედნიერებას... — შენ ფიქრობ, ეს „ბედნიერებაა“?
- არ ვიცი... შენი გადასახვევტია... მაიკოს მართლა ჰყავს საყვარელი?
- ოჰ, ვილც პროვინციელი, ღიმიანი ქაჯი...
- ვაა, მისგან არ მოელოდი! — ბოთემაც ჩაიცინა.
- ღიმი პირდაპირ ისეთი, რომ იმ უბედურს საკუთარი ჭუჭუა, ალბათ, ათი წელია არ უნახავს... ბინა უქირავა, მობილური უყიდა, თვეში სამ-ოთხჯერ აკიბო-ავეს, ფულს უტოვებს...
- კაი, კაცო!
- ის დებილი მობილური ტელეფონით ამონმებს ხოლმე... მათ თუ პასუხობს, ჰგონია სულ მინაა... მაიკოს კი ამ დროს რომელიმე „მურსედესის“ უკანა სავარძელზე მორიგ კლიენტთან ჩახეხება და ჩახუტებულ ფეხები მანქანის სახურავისკენ აქვს აშკეროლი... — პუშკუმ რატომღაც გამომხვევად გადაიკისკისა. — იცი, როგორ ელაპარაკება ხოლმე?
- არა.

— როგორა ხარ, ჩემო ფუმფულა, შენ შემოგველე კუტუ-კუტუცხებშიო!.. — ისევ გადაიკისკისა. — კარგი, მე წავედი! — მერე უცებ წამოდგა, ტანსაცმელს ნაეპოტინა,

- დაჩრენილიყავი...
- მელოდებიანი!
- მოიცა, გაგიყვან... მეც უნდა გავიდე. — ბოთემ წამოდგა.
- ვინ გელოდება...
- უნდა შევხვდე ერთს...
- სპორტის სასახლესთან ჩაივლი?
- კი, ბატონო!
- გავიდნე, „ჩაუარეს“.
- მანქანა სასტუმრო „აჭარასთან“ შეაჩერა.
- კარგი, მე გატყევი... დაგირეკავ ან გამოვივლი.
- პუშკუმ კარი თითქოს ბრაზიანად მოჯახუნა, მამინევი გაუჩინარდა.
- გამომედი... — ბოთემ თვალის გაყოლებლად მოასწრო.

მერე თვითონაც მაშინვე საყე „დაახვია“.

- უკანვე გამობრუნდა.
- მანქანა ჭმუკართან ჩააყენა /არავის არ უნდა შეხვედროდა, უბრალოდ, პუშკუ მარტოკა არ გაუშვა, ველ-არ გაიმეტა/.
- გიხურთან მდგარ, სიცოცხლეს მოკუნტულ კუსას ვახედა.
- კუსა, როგორა ხარ? — მანქანიდან გადმოუსვლელად, ხელის აწვეით, დადლიად მიესალმა.
- ვაარ რა... ცტიტებდე ჯერჯერობით ზედაპირზე... — კუსამაც დადლიად გამოხედა, ჩაიქინა ხელი /ვერცხლის დედოფალას“ ან უკვე აღბოთ, მარადიული ტყვე ჩვეულებრივ მოთვითელი, დადლიი იყო ხოლმე/.
- პენა სადა!
- სოფეში წამსევენდნა... ხვალ-ზეგ გაიჩითებიანი!
- კუსას რატომღაც ირონიული ღიმილი გაუქრთა სახეზე.
- გაჩითებიანი ვინ დე ვინ?
- კოხტასთან ერთად წამსეკვდა... ვითომ უნდა მიაღამაზონ იქაურბობა... მგონი, ცოლის შერთვას აპირებს.

- კარგია, მაგრამ... ფული?
- ფული ხომ მოიგეს, ძმო!
- როდის!
- აი, მაშინ... ის სტარიაკა დააფაჩხალეს.
- რომელი?
- აი, ის... ლოლოა თუ ვილაცა... ოქროსუბნელი...

მთელმა უბანმა იცის, შენ ალარა!
 - მე ხომ მხოლოდ შევდივარ და გამოვდივარ... -
 ბოთემ ქიშკარზე ანიშო... - არც არავინ მინახავს ისე-
 თი... რამდენი მოუყო?

- რაც ენაბა, ყველაფერი... ფული, არღანი, მანქა-
 ნა... ყველაფერი უკლებლივ ჩაიბარეს.
- კობტასთან სანილოდ?
- მა რა!..
- შენ?
- მე სათამაშო ფული ვერ ვიშოვე... მომტყხეს მაგ
 ბოზებმა...

- ვაა! - ბოთემ თავი „თანაგრძნობით“ გადააქინა.
- საცლოდ თუ ჰყავს?
- კაცო, ნათქვამია, „ვირი იყოს და საპალნე გამოჩნ-
 დებაო...“ - კუსამ ჩაიცინა.
- კი, რა თქმა უნდა! - ბოთე მაშინვე დაეთანხმა.
- ხომ მშვიდობაა? - მოულოდნელად ნესტორაც
 „გაიჩინა“, რატომღაც თავიდანვე „მზრუნველური დი-
 ჭირა“.

- მშვიდობაცა და კეთილების ტ...ნაც! - კუსამ
 იქიანად წამსვე „მკვებედ“ მოახალა /არ „ეგახებოდა“ ბა-
 ტონი ნესტორი/.

- რაიო? - ნესტორა მოიღრუბლა.
- რაც ვაიგონე! - კუსამ ერთხელაც მოხედა. - მე
 წავიდი, იქ ზეით ერთი პატარა საქმე მაქვს! - შემდეგ
 ბოთეს გამოხედა და ნელ-ნელა, მხრების რწვევ-რწვევით
 აუფუცა ჯიხურის მიღმა აღმართს.
- ნაღი, შენი... - ნესტორამ თვალა გააყვია. - რო-
 დის ეშველება ქვეყანას?

- მტაცებლებს როცა მოთოკავენ.
- ეს რა შუაშია? - ნესტორა მოიღრუბლა. - კარ-
 გი, საერთოდ, მსოფლიოს?
- მსოფლიოს არ ვიცი... ალბათ, ძლიერი მსოფლიო
 მთავრობა და მისი სამშვიდობო ძალები რომ შეიქმნება.
- „სამშვიდობო“ ძალები?
- მთლად იდეალური ვარიანტი ვერაა, მაგრამ ჯერ-
 ჯეროთი უკეთესს ვერ ვხედავ...

- გინდა ჭადრაკი? - სიგარეტი ამოიღო, გააბოლა.
- ოჰ!.. - ბოთე მანქანიდან გადმოვიდა, ქიშკარი
 გამოაღო. - შუქი თუა?

- როდის იყო რო?
- როგორ ვითამაშებთ, უკვე ბინდი წებება.
- გამოვაჩოჩოთ ის შენი პატარა მაგიადა... ფან-
 ჯრისკენ...

ბოთეს ეს უკვე აღარ ესაიამოვნა.
 აღიზიანებდა, რომ ყველა ყველაფერი „იციოდა“.
 იცოდნენ მისი „პატარა“ მაგილისა და კარ-ფანჯრების,
 ოთახების განლაგების, სად რა იდო, რა ეწყის შესახებ...
 საერთოდ, აღიზიანებდა ამნაირი ცნობისმოყვარე ად-
 მინანები, მათთან ურთიერთობა... ერთხელ გაზაქურაზე
 ასანთი რომ ვერ იპოვა, მალა ზიასთან ერთ-ერთს ჰქითხა
 კიდევაც - ბუხუტი, სახლში ასანთის კოლოფს ველარ
 ვაშოულობ, შემთხვევით, ხომ არ იცი, სად დევსო?..

ჰა, ვითამაშობთ თუ არა? - ნესტორას მოუთმენლო-
 ბა დაეტყო.

- არა.
- რატომ?
- დამთავრდა, უკვე ამოიწურა თამაშების დრო.
- კი, ბატონო... არც მაგაზე მოვიკლავთ თავს. -

ნესტორა უხალისოდ შეტრიალდა, მაგრამ მერე გამო-
 ბრუნდა, ისე მოაღვა. - ერთი ეს მითხარი, იმ ამერიკელ
 ყმაწვილს რა ჰქვია?

- ჯენიფერი.
- ჯენიფერი მართლა ისაა... ორთოდოქსი?
- არ ვიცი.
- ეს იგი, ქრისტიანი არ ყოფილა?
- მე მგონია, პირიქით, ორთოდოქსი ძირძველ ქრის-
 ტიანს ნიშნავს.
- მართლა?... საერთოდ, ამერიკელებს რომელი ლმ-
 ერთი სწამთ?

- ყველა ღმერთები ამერიკაშია, ხისა იქნება თუ ქვი-
 სა... იქ ხომ მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულიდან და
 ყველა ეროვნების ადამიანები ჩავიდნენ, ცხოვრობენ...
 ყველამაც თავ-თავიანთი ღმერთებიც ჩაყვანა და, შენ
 წარმოადგინე, დღემდე ყველანი ერთად მშვენივრად
 გრძნობენ თავს.

- ათეისტებიც?
- ყველანი, ნესტორ! - ბოთემ „ტკბილად“ გაული-
 მა. მოხვლავან ვანის ფერისა და თვალის ჭრილისა, რე-
 ლიგიორ - პარტიული განკუთვნილებისა.
- კოჭლიცა და კუზიანიც?
- კოჭლიცა და კუზიანიც...
- კარგია! - ნესტორამ ზურგზე შემოიწყო ხელები,
 ესეც რწვევ-რწვევით გაუჩინარდა. - კარგია, კარგია!

ბოთემ მანქანა ეზოში შეიყვანა, მაგრამ მერე მაშინვე
 უკანვე გამოიყვანა, თავისი მეგობრების ოფისს მიადგა,
 ასი დღიანი იდო, კუმპუს დადურეკა, შეხვდა, ფული გა-
 დასცა და ისევე უკანვე გამოიქცა.

დღილი პენან მოაკიბხა.
 ოცლოტრანიტი ღვინო ამოუტანა.

- ნუხელ გვიან ჩამოვედი... ხომ ხედავ, ნვერიც არ
 გამიპარსია... - ბოთლი ხეზედა-ხეზემით შემოიტანა, მაგ-
 იდაზე დადო.

- კარგი, ჩამოვეფერებო აგერ, სკამზე! - ბოთემ
 ბოთლს არც შეხედა, მაგრამ ესაიამოვნა. - სოფელში რა
 ხდება?
- არაფერი! - პენა რატომღაც ღიმორეული მი-
 აჩერდა.
- ფული მართლა მოიგე?
- აბა, იმ ჩემს ნაშრომ-ნაოფლარს ბაბუს გავატან-
 დი?

- რომელ „ნაშრომ-ნაოფლარს“?
- კაცო, შენ არ იყავი, რომ ატ ცხვირით მინა მახენ-
 ვინე... ოც ლარად მთელი ჰქექტარი მინა გადაამპარინე...
- რაღაც არ მაგონდება...
- ყელი ხომ არ გამომჭყრი, ხომ არავისთვის გითქ-
 ვამს?

- როგორ გეკადრება.
- არადა, სიმართლე გითხრა, ის ფული რომ სადმე
 ისე, მუქთად ამელო, მეშუბო, შეიძლება, მართლა წააგეო.
- შიო?
- დაცდილი მაქვს, მუქითი - ყველა და ყველაფერი
 თარსია.

- ბოთემ გახედა.
- არღანი წართივი?
- არა, კაცო, არღანი მაშინვე დაეუბრუნე.
- კარგად გიქნია.
- კაცო მურს მაგითა ქამს... მაგრამ ახლა ნოტარი-
 უსში უნდა წაიყვანო, ანდერძი უნდა დაეწერინო...
- რა ანდერძი?
- ანდერძი, რომ მისი იმ ქვეყნად გარდასახვის შემ-
 დგ არღანს მე მიტოვებს. - პენან ტურნებზე აიფარა
 ხელი, ჩაიხიქტა. - უნდა დამიტოვოს, მეკუთვინს,
 ძმო!

— თამაშს კიდევ აპირებ? — ბოთემ ნაუყურა.
 — რაო, ჭადსაბარი მინა კიდევ დაგრჩა?
 — უკვე აღარა... მხოლოდ გადასაფარცხი... შე კაცო, საქართველოში გადასაბარავ მინებს რა გამოიღვეს!
 — ეგრე გეკონოს... საქართველოს, თუ ასე გაგრძელდა, გიჟ-ვახუთი არ იყოს, თავისი მინები მალე თვითონვე „შემოეჭმევა...“
 — ბიჭოს?!..
 — რა „ბიჭოს?...“ შენ მე დებილი ხომ არ გგონივარ?
 — არა, ძმაო, არა! — ბოთემ ხელები ასწია. — შენ ხომ დაგრჩა, ხომ გაქვს ჯერჯერობით სოფელში მინის ნაკვეთი?
 — კი, თანაც საკმაოდ ბლომად...
 — პოდა, შენ არ „შემოეჭმევა...“ თუ მოგება გინდა, ნაღი, იქ იმუშავე, ის შენი მინა გადაბარე.
 — მაგიფებ, კაცო?... მაგას ორი ტრაქტორი არ ეყოფა!
 — ნინაპარი იქ ტრაქტორს არც შეიყვანდა... ბოთე ნაშოდა.
 ფინჯნები გამოიტანა.
 ცივი, უნაღვეო ყავა გაამზადა.
 — შექი არაა, ხომ? — პენან ტელევიზორს გახედდა.
 — არა, მაგრამ... მე უკვე ცივი ყავა უფრო... მევასება! — ბოთემ ჩაიცინა. — გაგიგე, ცოლის შერთვას აპირებსო...
 — ვინ ვითხრა?
 — აღარ მახსოვს... ვილაცამ...
 აბა, როდემდე უნდა ვიარო ასე, „ბუქსირებით“?
 — კობტამ თუ იმუშავე?
 — კი, როგორ არა... ბუხართან და ტაბლაზე, ფიალებით ხელში...
 — როგორ მოხდა, რომ სოფელში ჩავიციდა ფეხი; როდის მოიფიქრე იქ ჩასვლა?
 — რა ვიცი...
 — ფული რომ გაგიჩნდა?
 — არა, კაცო!
 — აბა?
 — რედაქციაში, ელზასთან შეხვედრის შემდეგ... იცნობ?
 — ვიცნობ... იქ რა გინდოდა, ლექსები მიიტანე?
 — არა, პოემა...
 — ვაა!..
 — რა იყო?
 — მერე?
 — არაფერი...
 — პირდაპირ ქალბატონ ელზას მიუტანე? — ბოთემ ფანჯარას გახედა, მშრალად ჩაახველა.
 ქალბატონი ელზა მებრეველი — ქართველი ჰერ-

ტრუდა სტანი / მხოლოდ მკაცრი ლიტერატურული გაგებით/.
 დაბ...
 — საიდან იცნობ?
 — უნივერსიტეტიდან... მე ხომ მესამე კურსიდან ვარ გამორიცხული.
 — კი, კაცო! — ბოთეს გაუკვირდა. — მართლა ამბობ?
 — გეუბნები...
 — რომელ ფაკულტეტზე სწავლობდი?
 — იურდიულზე.
 — მერე?
 — გამოორიცხეს რა!..
 — რატომ?
 — სრულიად შემთხვევით... ბაზარში დამიჭირეს...
 — რატომ... რისთვის?
 — ჯიბგრობისთვის.
 — ოოო...
 — დიას!
 — აღდგენაზე არ გიფიქრია?
 — არა, არ მიფიქრია... ძაღლებმა იქ ისე მცემეს, თავიც სამუდამოდ შემაუქლეს და, საერთოდ, მთელი საბჭოთა იურისპრუდენციაც...
 — კარგი... ელზამ რა ვითხრა?
 — მომორღი თავიდან, მოაცილე აქაურობას ეგ შენი „შედევრი...“ — რომ გადახედა, ხელნაწერი უკანვე გადმომიგდო.
 — კარგად უქნია.
 — რატომ?
 — „პოემა“, ალბათ ქურდული „რომანტიზმით“ გატაცებულ, მოკრიმიანლო ინტელექტის მქონე ახალგაზრდაზე იყო, ხომ?
 — შენ საიდან იცი?
 — ვხვდები...
 — ეე, თქვენ მართლა წარმოადგენა არა გაქვთ, რამხელა აზარტი და რომანტიკული გატაცებაა იმ საქმეში...
 — ააუჰ! — ბოთეს გაეცინა. — მერე?
 — მაგრამ ქალბატონმა ელზამ ისიც მითხრა — ნიჭი არ გაკლია, წერაც შეგიძლია, ოღონდ იმუშავე, ცოტაც მოინდომე და მერე მოიტანე რამეო... ამიტომაც წავედი სოფელში.
 — იმუშავე?
 — ვიმუშავე...
 — ჩამაიტანე?
 — შენ წარმოადგინე, კი... „ჩამავიტანე!“ — პენან ნიშნისმოგებით გამოხედა. — მე ვმუშაობდი, კობტა სვამდა...
 — მოიტა ხელი! — ბოთემ ხელი გაუნოდა, აკოცა.

დასასრული იქნება

ცირა ბარბაქაძე



მარადისობა

დე, ისე იყოს,
როგორც შენ გინდა,
ბოლოს და ბოლოს,
ხომ სულერთია,
რას მეტყვი ანდა...
რა გინდოდა, უკეთ რომ გეთქვა,
ისეთს რას იზამ, -
დღე ან ღამე რომ შეამოკლო,
ან შეაჩერო გაზაფხულზე
კვირტების ფეთქვა...
ჰო, სულერთია,
ღუმბილის და სიტყვების ვადა
ამოიწურა...
აღარ მინდა დროსთან კამათი,
ისიც მეყოფა,
ამ უაზრო, ცრუ წუთისოფელს
მარადისობის ერთი სხივი
მინც წავართვი!

განწყობილება

სხვა ვერ გაიგებს, -
აუხსნელი დარჩეს ამინდი,
რა საჭიროა,
ყვათილების ენა იცოდნენ,
შენ კი მოდი და
სიყვარულის ცეცხლი ამინთე,
ღმერთის ენაზე გადავთარგმნოთ

ჩვენი სიცოცხლე,
 თორემ სხვა რაა ეს ცხოვრება,
 ვერც-უინ გაიგო,
 ცაზე ღრუბლები საოცნებო
 შენი ფრთებია,
 ქარმა ფოთლები უმოწყალოდ
 ფეხქვეშ გაიგო
 და შენ ერთს გესმის,
 ეს წვიმები
 რაზე ჰყვებიან.

თვალების პეიზაჟი

ის არის შენი,
 რასაც მხოლოდ მშერით მიწვდები,
 რასაც დაიტევს პეიზაჟი
 შენი თვალების,
 ღამის ვარსკვლავებს ჩაიხატავ
 სულის სარკეში,
 შერე ვარსკვლავებს შენ თვითონვე
 შეეფარები.
 აქ არის შენი საუნე და
 სულის კედლები
 გადახანძრულა ვარსკვლავების
 მკრთალი ალბებით,
 ხეტიალისას ფიქრში სადმე
 გადაგეყრები
 და შეიცვლება
 პეიზაჟი ჩემი თვალების.

თეთრი ფურცელი

ზომ შეიძლება, დღეს მე გაეწუმდე,
 თეთრმა ფურცელმა მითხრას – რა იყო.
 ან რა მოხდება, კალმის მდინარემ
 მოულოდნელად თუკი წაიღო.
 ილაპარაკე, თეთრო ფურცელო,
 დღეს მე ვარ შენი დარდის მპარავი
 და ვერ დარჩები, ალბათ, უცვლელი,
 როცა გეხება ჩემი კალამი.
 შენ იბალები... სიტყვების ფეთქვა
 აგახშიანებს მზით და სიცოცხლით
 და იმას იტყვი, რაც უნდა გეთქვა,
 რაც სიტყვებამდე ისეც იცოდი!

დავეკარგოთ ქალაქს

მოდი, დავეკარგოთ ქალაქს –
 ფიფქებმა გვეძინონ და...
 ვერ გვიპოვონ,
 წვიმებმა გვეძებონ და...
 ვერსად გენახონ,
 ჩვენ კი თეთრ ღრუბლებში,
 ცასთან ახლოს,
 დავილოთ ბინა...
 – მოდი, დავეკარგოთ ქალაქს,
 მერე ერთმანეთის გულუბში
 დავიკარგოთ.

დილოგი თოვაში

მოდი, დავზავდეთ,
 რომ ყველაფერს თავისი გზა აქვს,
 მთვარე ანთე,
 თუ სანთელი ხელში გიქრება,
 რომ არ ველოდით,
 წელს ზამთარსაც თავისი გააქვს,
 მთელი სამყარო დავგაცალა
 სულზე ფიფქებად.
 რა სითეთრეა...
 რა აზრი აქვს სიტყვას ან ფრაზას,
 სული ამაღამ თეთრი ფიფქით,
 ალბათ, დათვრება.
 და შენი სუნთქვაც
 კალამს ერთვის, ო, ისე ნაზად,
 ალბათ, მოუწვევს ამ ლექსებში
 გამოზამთრება...
 რა შორეული სევდა მოაქვს
 ანდამატს ფიფქის...
 მარტო ვარ, თუმცა
 ასე ახლოს რად მეგულები,
 თუ ამ თოვაში შემიცვიდა
 ცოტათი ფიქრი,
 ვიცი, გაათბობ
 შენი თეთრი ხელისგულებით.

მეტამორფოზა

დაიფავილეს უკვე კვირტებმა... ეს გაზაფხულიც
 საღაღაც წავიდა... ზინარ კუთხეში და აკვირდები:
 ვინ ხარ, სადა ხარ ანდა რა გინდა?!
 აი, სამყარო! – უნდა იცოდე, რომ დედამიწა
 შენი სახლია... და, რა თქმა უნდა, ჩვენი სიცოცხლეც
 ამ გაზაფხულის ხეზე ანთია.



ღვლით ჯავახიშვილი

გასეირნება ზუშჩინოში

პუშჩინო მოსკოვის სამხრეთით, ას ოცი კილომეტრის დაშორებით მდებარე პატარა პროვინციული ქალაქია; საბჭოთა ეპოქაში „აკადემიური“ სტატუსი ჰქონდა და მასში ძირითადად ბიოლოგიური განხრის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები იყო განთავსებული; მათგან ერთ-ერთში თხუთმეტოდე წლის წინ ჩემმა უფროსმა ვაჟმა ასპირანტურა გაიარა, რის გამოც, ერთი-ორჯერ, შემოდგომით, მეც მომიხდა ამ ქალაქში ყოფნა. დღეს რა ხდება იქ, ცხადია, აღარ ვიცი.

მოსკოვის ჯოჯოხეთის გავლით პუშჩინოში მოხვედრილ მგზავრს თავი ნამდვილ სამოთხეში ეგონებოდა: სიმშვიდე, ნესრიგი, სისუფთავე, წყალუხვი და მდორე ოკა თავისი ლამაზი, ტყიანი ნაპირებით... სხვა რაღა უნდა ჩემნაირ ბუნებისმოყვარე ადამიანს?!

გზა მოსკოვიდან პუშჩინომდე ლარივით სწორია და თავიდან ბოლომდე წინვოგნებისა და არყის ხეების შერეულ ტყეში მიიჭიმება. შემოდგომა ყველგან წლის საუკეთესო დროდ მიმაჩნია და ეს აზრი არც იქ ყოფნისას შემცვლია.

ცნობილია, რომ რუსეთში ძალიან მაღალ დონეზე დგას სოკოს კულტურა; მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ზედმიწევნით ერკვევა ამ ერთობრთულ საქმეში ისევე, როგორც კენკროვნებსა თუ სამკურნალო ბალახბუღახში და ტყის ნობათის აქტიური მომხმარებელია არა მარტო პოტენციურად, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, კინეტიკურადაც. ჩემი ამგზავრობისას თვალნათლივ დავრწმუნდი ამაში: მთელი ას ოცი კილომეტრის მანძილზე, მოსკოვიდან ვიდრე პუშჩინომდე, გზის ორთავ მხარეს მსუბუქი მანქანების ისეთი მჭიდრო და უწყვეტი მწკრივები იდგა, ძალიანაც რომ მოგვდნომებინათ,

ველარსად ჩაეკვებოდით. თუ რატომ იცინა მათ ეს საქმე ჩვენზე გაცილებით უკეთ და რატომ მისდევნენ მას ასეთი ვატაცებით — ამაზე მე საკუთარი მოსაზრება მაქვს და მკითხველმა განსაჯოს, მართალი ვარ თუ ვცდები: იმიტომ, რომ ისინი ჩვენზე ბევრად უფრო გვიან გამოვიდნენ ტყიდან, პირდაპირი და არა გადატანითი მნიშვნელობით. აქ არ შემოიძლია არ გავიხსენო ერთი ქართველი მენშევიკის (თუ არ ვცდები, კაკი ნერეთლის) ცნობილი რეპლიკა, „ნასროლი“ თავისი რუსი ოპონენტების მისამართით: „კოგდა ვაში ვ ლესუ ბროდილი, ნაში ევანგელიე პერეგოდილი“-ო

ერთი ორგან, ავტობუსის ფანჯრიდან, ვეებერთელა საგზაო სტენდს მოვკარი თვალი: „რუსკი ლეს“-ო, იუნყებოდა მსხვილი წარწერა. კიდევ კარგი, რუსულად კითხვა ვიცი-მეთქი, გავიფიქრე, თორემ ხომ შეიძლებოდა აფრიკის საგანგებო მკონებოდა თავი?!

ქალაქსაც გარშემო იგივე „რუსკი ლეს“ აკრავს და საითაც უნდა გაიხედო, მით უფრო, მეცამეტე სართულის აივნებიდან, მას არც ბოლო უჩანს და არც თავი. ვამოგნებელი მასშტაბებია! ოთხივე მხარეს, თვალსაწიერზე, სულ ცოტა, ხუთ-ხუთი საქართველოსხელა სივრცეები გადაჭიმულა, ხოლო იმაზე რაღა ითქმის, რასაც მხოლოდ გონების თვალი თუ განვდებ? და განა გასაოცარი არ არის, ასეთ უკიდურეს სივრცეთა პატრონს კიდევ სადღაც, ამ სივრცეთა გარეთ რომ უჭირავს თვალი?! მართლაც უსაზღვრო ყოფილა იმპერიული არსის სიხარბე და გაუმადლობა...

ჩემი ეს სერიოზული ფიქრები, ვიცოდი, პუშჩინოში ჩასვლისთანავე უმალ დილის ბურუსივით



გაიფანტებოდა: იქ ხომ ჩემი ერთადერთი ახლად ფეხადგმული შვილიშვილი თინანო მვეჯულებოდა და, ძნელი წარმოსდგენი არ უნდა იყოს, რა სინაზე და რა განცდები დამიტრიალებოდა გულში. მასთან ერთად ქალაქის მშენებელი პარკში თუ ტყიან შუბოგარეშში სეირნობა თუმც დამალავი, მაგრამ უდიდესი სიამოვნება იყო ჩემთვის. სწორედ ერთ-ერთი ასეთი გასეირნების გახსენება ჩემი ამ ჩანაწერის მიზანი, რაც, ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს არამარტო ჩემთვის.

ჩელი ბავშვების სატარებლად მეტად მოხერხებული, ორიგინალური ჩანთა ეგ ზოტიკური სახელით - „კენგურუ“ იმხანად საქართველოში სიახლე იყო და მისი პირველი თუ არა, ერთი პირველთაგანი მომხმარებელი, დიასახ, მე ვახლდით. ჩავსვამდი ხოლმე ჩემს პატარა, მოუსვენარ თინანოს და დავასეირნებდი ხან „შხიურში“, ხან ზოიპარკში, ხან ოქროყანაში... პუშკინოში ხომ ეს „კენგურუ“ ჯერ არავის ენახა და ამის გამო თინანო და მე ლამის ქალაქის ღირსშესანიშნაობად ვიქცეთ. „კენგურუ“ პიჯაკის ქვეშ შეკეთა ხოლმე და არ ჩანდა; პიჯაკი ერთ ღილზე მქონდა შეკრული და, რაკი ორივე ხელი თავისი უფალი მქონდა და ბავშვი არ მეჭირა, ეგონათ, იმ ერთ ღილს ევნდობოდი - ყოველ ნაბიჯზე მაჩერებდნენ და ჭკუას მარტობდნენ. ერთხანს ავით კიდევ ვერთობოდი: უცერად გავიხსნიდი ხოლმე იმ ერთადერთ ღილსაც და ჭკუის მასწავლებლებს, განსაკუთრებით - ლამაზ ქალებს, გულგებს ვუხუთქვანიდი... ერთი სიტყვით, „კენგურუს“ წყალობით პუშკინოში ცივრიცხოვან მოსახლეობასთან ფრიად თბილი ურთიერთობები გავაბა.

ერთხელაც ქალაქის პარკში ერთი სიმშაპითური კაცი „დამემგზავრა“, ისიც თავისი შვილიშვილით, ხუთიოდე წლის ცისფერივალა, ქერთამიანი გოგონათი. თვითონ პაპა ასაკით ჩემზე უფროსი ჩანდა, თავით ფეხამდე ვერსობდა იყო გამონაკეობი და მისრა-მისრითაც აშკარად დახვეწილი ინტელიგენტის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ასეც აღმოჩნდა. თავდაპირველად „კენგურუთი“ დაინტერესდა, დიდის მონინებითა და ბოდშიებით გამომკითხა მისი წარმომავლობა, მოიხონა და გამოცდილების დაუზარებელი ვაზიარებისთვის ათასი მადლობა მომხასყენა. მერე უკვე ჩემი და თინანოს ვინაობითაც დაინტერესდა და ძალიან ტაქტიანად, ძალდაუტანებლად ჩვენ შესახებ ყველაფერი მაამბობდა. შივადაშიგ, პარალელური ჩანართების სახით, თავისი ცხოვრების ამბებსაც მიყვებოდა და, თუმც მის მონაყოლში საინტერესო არაფერი იყო, რატომღაც მაინც საინტერესოდ ისმინებოდა. მოკლედ, კულტურული, განათლებული და სასიამოვნო მოსაუბრე გამოდგა, ბავშვებისა და ბუნების მოყვარული, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, მეცნიერებასა და მუსიკაში - ყოველ შემთხვევაში, ჩემი საზომით - საკმაოდ გათვითცნობიერებული. ჩემი გული განსაკუთრებით იმით მოიგო, რომ, როცა თინანოს მიეგერ-მიესიყვარულა, მის სინაზესა და ალერსიანობას სიყვალის ნატამალიც კი ვერ ვიგრძენი. იოლად ვადაუზხადე საზავიერო: მისი მაშენკაც ისეთი მომზინლავი არსება იყო, რომ იტყვიან, გადაყლაპავდი.

ერთადერთი, რასაც ჩვენი საუბარი არ შეხებია, პოლიტიკა ვახლდათ, რაც ადვილი ასახსენელია: იმხანად ამ თემაზე ღიად ან არავინ საუბრობდა, მით უფრო, უცნობ ან ახლად გაცნობილ ადამიანთან, ან, თუ საუბრობდა, მხოლოდ და მხოლოდ ყალბ, ოფიციალურ ჩარჩოებში. ჩვენი საუბრის უფრო დაწვრილებით გადმოცემით მკითხველს თავს არ შევანყენ და მისი ყურადღების გამახვილებას მხოლოდ ამ საუბრის უცნაურ დასასრულ შევეცდებო.

მოკლედ, რომა პაპამ, ანუ „კოლეგებმა“, როგორც ვუწოდებ ერთმანეთს ხუმრობით, საყვარელი შვილიშვილების თანხლებით მეტად სასიამოვნოდ გავატარებ ნახევარი დღე ლამაზ, დამბურულ პარკში და შინაგანად ორივენი უკვე გულითადად დამშობებობისთვის ვემზადებოდი, რომ ჩვენ წინ, მაშენკასთან ერთად თავისი ფეხით მიმავალი თინანო ნაიქცა და სასაცილოდ გაგორდა ბალახში. აგული შემიქანდა, მაგრამ უშაღვე დავემშვიდი, რაღაცის მომხდარა საშიში.

— ადგ, არ იტირო! — ვითომ მკაცრად ვებრძადა სატიროდეთ გამზადებულ თინანოს და მუერ დაწვეყავე, - შენ თვითონ ადექი, შენ ხომ ყოჩალი გოგო ხარ?!

თინანომ მართლაც სანაქებო სიმკვირცხლე გამოიჩინა და, ვიდრე მაშენკა მივეგვლებოდა, უკვე ფეხზე დგა, თან, რაც მთავარი იყო, არ ტირიდა. „კოლეგა“ თვებომონედ გადავხედე, ის კარატომლაც გაკვირვებით შემომეცქეროდა. რამე გაკვირვებათ-მეთქი, უხმოდ, თვალებით შევეკითხე. და იცით, რა მითხრა? როგორ, რუსული ასე გულგინდათ და მაინც კიდევ თქვენ ენაზე ლაპარაკობთ?

გაოცებულად პირი დავავი: ასეთი კაცი რომ ამას გეტყვის, სხვას რაღა უნდა მოსხობოვ?!

გული მეტკინა: ყველაფერი, რაც აქამდე მასიამენა, ერთბაშად გადაყარა წყალობი და ამას ვერცა გრძნობდა, ეგონა, მის ნათქვამს ქათინაურად მივიღებდი.

ვიფორე, ცვდი, იქნებ რამე გავაგებინო-მეთქი, თუმც ამის იმედი მხოლოდ თეორიულად მქონდა, და დამარცხვით შევეკითხე: თუ ღმერთი განამთ, გამაგებინებ, ჩემს შემობლოერ ენაზე რატომ არ უნდა ვილაპარაკო-მეთქი.

დაფიქრდა, ვერაფერი მიპასუხა და ახლა ამით ჩანდა გაკვირვებული; ერთხანს თხასავით უაზროდ შემომიტყუროდა, მერე დამხვედლებების ნიშნად, უხმოდ მომიხადა ქული და თითქოს დარცხენილი გამმორდა. ან იქნებ მომეჩვენა?

სინაწულნარევი გაცვებით ვაგაყოლე თვალ... ეს ამბავი ასე დასრულდა და იქნებ არც არასდროს გამხსენებოდა, რომ არა ერთი საინტერესო შემთხვევა ისევ და ისევ ჩემი პატარა თინანოს ბიოგრაფიიდან, როდის მიყოლაც აქ ძალიან დროულად მეჩვენება.

იმხანად თინანოს ენა უკვე კარგად ამოდგმული მქონდა და, როგორც ყველა მისი თავი, საყვარლად ტიტინებდა. ერთხელ, როცა მუსულზე მედდა და მისი ალერსით ვერ ვძლებოდი, საწინებელა მომიხივდა სათამაშოდ. ცივი უარის თქმა არ ვინდობე და პატარა

ტყელი მოვიფიქრე: მოვიქექე ჯიბებს და ვითომ ვერ ვიპოე. მართლაც, მოვიქექე ჯიბები და... მართლა ვერ ვიპოვე. დამეკარგოდა. გამიხარდა, ტყეში ის თქმარომ აღარ დამეჭირა, შეუნებლად თინანო კი სანთებლას დაკარგვის ამბავი ბებოს ასე ჩაუკაკლა: ყო, ყო, ყო პაპამ ხელი ჯიბეებში და ვერ იპოვაო. უცებ ვერც მივხედი, რას ამბობდა, ამ „ყო ყო ყო“ შემამოთო, ისეც ენა ხომ არ დაება-მეთქი: ცოტახნის წინ დაგვემუქრეს ეს საშიშროება და ძოვს ავიცილებ გამოცდილი ლოგოპედის მეშვეობით. რომ ჩავუყვირი, კი მივხედი, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრამ ვერ დავიჯერე და ჩემს უმცროს, გრამატიკოს შვილს პაატას მივმართე განმარტებისთვის. პაატა ადამინთა იმ უშიშროებს კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც ბავშვობაში გრამატიკა არათუ სძულთ, არმედ უყვართ კიდევაც, აინტერესებთ და კარგადაც იცინა. ეს თვისება მას, ალბათ, იმ დღიდან დაეკვება, როდესაც ერთხელ, ოთხი წლის ასაკში, სოფლად ყოფნისას, ორლოზიდან ატორებული შემოვიდა ეზოში და, მიზეზი რომ ეკითხებ, გვიპასუხა: ცუდ სიტყვაში ფეხი ჩავდგო. ჰოდა, აი ამ „ბავშობიდანვე გრამატიკოსმა“ ასე განმმარტა: „ყო“ სავსებით სწორი ფორმაა ზმნისა და მას „ნამყო წყვეტილის უსრული ასექტა“ ჰქვიაო.

ისე გავოცდი, ლამის მისტიური განცდა დამეუფლა: მართლაც და, საიდან უნდა სცოდნოდა სამნახევარი წლის ბავშვს ზმნის ასეთი უჩვეულო და რთული ფორმა, რომელიც სალაპარაკო ენაში, პრაქტიკულად, არც კი იხმარება? ეს ხომ ნიშნავს იმას, რომ მშობლიური ენა ადამიანს პატარაობიდანვე ძვალრიბში აქვს გამჯდარი?! და რაკი ეს ასეა, რატომ უნდა მოინდომოს ვინმემ, თუნდაც პოლიგლოტმა, მისი დაეინყება და სხვა ენაზე გაცვლა? ეს კითხვა რიტორიკული არ გახლავთ და იგი კვლავ ჩემი პუშჩინოელი „კოლეგისა“ და ძმათა მისთა საყურადღებოდა დასმული, თუმცა ვეჭვობ, რომ ოდესმე შესიმინონ და მით უფრო – გამცენ პასუხი.

ბარემ აქვე ერთ პატარა ამბავსაც მივაყოლებ, რადგან ისიც ამავე კონტექსტში ფდება, თუმცა ქრონოლოგიურად წინა ორივეზე ადრეულია.

ყველა მომსწრეს ასსვენს, იმედია, 1978 წლის 14 აპრილი. მღელვარებაა თბილისსა და მთელ საქართველოში: ქართული ენის სახელმწიფოებრივი

სტატუსის დასაცავად ახალგაზრდობა ქუჩაშია გამოსული. უფროსებს არ დაგვეინყებია 1956 წლის 9 მარტის მწარე ვაკეუბლი, შვილები ქუჩაში არიან ჩვენ რა გავაჩვენებთ შინ?

მთავრობის სასახლისკენ გავრბივარ, იქაა ეპიცენტრი.

მთანინდის ვინრო ქუჩებში, ვიცით, ტანკები და მერვე პოლიკა განლაგებული. რუსთაველის პროსპექტზე ნაცნობი მხედება, ოთარ ბერიძე, თავისი პირველკლასელი თამუნიათი. ვაკეთილები ჩამოლიათ სკოლაში. ოთარი თვალს მიკრავს და მეჩურჩულება, ჰკითხვ ერთი ბავშვს, რა ხდება-თო. მეც ვეკითხები, თამუნია, რა ხდება-მეთქი.

დედანას გავრთმევნი – სასაცილო ჩლიფინთი მიპასუხებს თამუნია, რაღაც არაბავშვურად აელღებულთ.

მთავრობის სასახლესთან მიახლოება თანდათან ძნელდება, სტუმენტობითაა იქაურბოა ვადატენილი. მათში მეგულებს ჩემი უფროსი შვილი და უკლებლივ ყველა მისი მეგობარი.

მიუხედავად ხალხმრავლობისა, ავისმომანსავებელი სიჩუმე ჩამოწოლია ირგვლივ. უკანდახევას არავინ აპირებს, სასწორზე ერის არსებობა და ქვეყნის ბედია შეგვედობი.

„დასხედიო!“ – გაისმის მოწოდება და ყველანი ძირს სხდებიან, ქვაფენილზე. მეც ვჯვდები, ცხადია, თუმცა წელკავი მანუხებს და ძალიან მიჭირს.

ერთი ჯავაფილა რჩება ფეხზემდგომი, დაახლოებით ოცტყიანი; ქალებიც უჩვევია; უხმოდ უღერებენ მუშტებს მთავრობის სასახლეს, აშკარად აღფოთებულნი; ერთმანეთსაც უხმოდ, ენერგიული შესტებიან და მიმიკით ესაუბრებიან – ყრუ-მუნჯები ყოფილან, ახლადა ვხედები; მაშ, რაღა აელღებვთ? მათ „ენას“ ხომ არავფერი ემუქრება? და მაინც აქ არიან, თავის ხალხთან – აი, ეს მესმის! უცებ ვმშვიდდები და გულს მტკიცე რწმენა მივსება: ვერა, ასეთ ერს ვერსოდეს მოსპობს თუნდაც საუკუნოვანი პოლიტიკური ბოროტება, ცივი, მომწუსხავი ქარივით რომ უბერავს ჩრთილოთიდან, საიდანაც ზოგისთვის, თუკი საჭირო ხდება, თურმე მზეც ამოდის.

ხარბი მეთევზის ამბავი

თევზაობას ნადირობაზე არანაკლებ სცოდნია გატაცება; ანკესით თევზაობას ვგულისხმობ, თორემ ზოგი ბადეს უფრო სიაშოვნებით და მარჯვედ ხმარობს; ასეთს, წესით, მეზადური უნდა ერქვას; ერქვა კიდევ ერთ დროს, მაგრამ დღეს ეს სიტყვა, რატომღაც დაეინყებულა. თევზის ჭერის კიდევ უამრავი სხვა ხერხიც არსებობს, დასაშვებია და დაუშვებელიცაა და, მიუხედავად იმისა, თუ ვინ რომელს ამჯობინებს, ყველა მეთევზედ მოისხენიდა, რაც, ცხადია, დიდი უსამართლობაა. აბა, შეიძლება მეთევზე ერქვას იმას, ვინც წყალში სანამლავს ყრის

ან დინამიტს აფეთქებს? ასეთები კი არც ისე ცოტანი არიან და მათ ისევე დაუწოდებლად უნდა ვებრძოლოთ, როგორც მღრნელებსა და სხვა მავნებლებს. ზოგ ქვეყნებში ეს ასეც ხდება, ზოგში არა, ხოლო ჩვენში ხომ ისე ცუდადაა ამ მხრივ საქმე, რომ ხმაც კი არ ამოგველება; ამაზე ვერა და ლაპარაკი არაფრის მაქნისია; მკაცრი, ქმედითი ზომებია მისალბები, რასაც სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს; ამისთვის კი სულ „ცოტა“ რამაა საჭირო: სახელმწიფო უნდა არსებობდეს... აუჰ, საითაც არ მიწოდდა, მაინც იქით გაუხევი! უნდა მოგბრუნდე,



თორემ თევზაობა განზე დამრჩება.

ჩემი აზრით, ანეკისთ თევზაობა, თავისი არსით, ყველა სხვა ხერხთან შედარებით, უფრო აზარტული, უფრო დახვეწილი და უფრო მისაღები. სათევზაო ფოხის ტარზე დამაჯერებელი მბრუნავი კოჭი ზედ დახვეული ნეილონის გრძელი ლარით და ამ ლარის ბოლოში, ნემსკავის ცოტა ზემოთ, მიხვივით ასხმული ტყვიის სიძიმე საშუალებას იძლევა, შორს მოისროლო და ნებისმიერ ადგილას ჩაადგო წყალში თევზის მისატყუარი – ნემსკავზე ნამოცმული ჭიალა იქნება ეს თუ სხვა რამ, მაგალითად, რკინის ემალირებული, ბრჭყვილა „ლიფსიტა“ სამმაგი ნესკავით ბოლოში. ეს არც მთლად იოლი სქემა და შედეგაწინ თევზაობისთვის დახვეწილ ოსტატობას მოითხოვს.

ერთი ვერელი მეგობარი მყავდა (ვინც თევზაობა მასწავლა), ოური ახალაძე – ნამდვილი თბილისელი კაცი ამ სიტყვის ძველმეორე, საუკეთესო გაგებით; პროფესიით შესანიშნავი მელნივე და მევენახე იყო, ამავე დროს – ბუნების დიდი მოყვარე, ჭეშმარიტი ქომაგი და ჩარწეულბერი მცოდნე. მასთან ერთად სათევზაოდ სიარული აზრანის სიამონება და ლაღი სიხარული იყო, თუნდაც ვერაფერი დაგვეჭირა, რაც იზივითად ხდებოდა; უფრო ხშირად თითო ანეკისთ დღაუფერული ზომის ჭანრებს, კობრებსა და ლოქოებს იჭერდა, ამ საქმის დიდოსტატი იყო და მისი თევზაობის ცქერა ლამის ესთეტიკურ სიამოვნებას მგერიდა. რაც ის აღარა მყავს, თევზაობას შევეშვი, რაკილა მისი დაკარგვით გამოხვედრია სინაზლის სიმწარეს ველარ მიქარებდა; იქამდე კი ბევრი, ბევრი ტყილად მოსაგონარი ღამე გვეთვითა ერთად მტკერისპირას, ქსანზეც, არავეზეც, ქციაზეც და ვინ მოთვლის, კიდევ სად არა. უმეტესწილად ორნი დავედილით, ზოგჯერ კი სხვებზეც შეგვერეოდნენ ან ჩვენ შევერეოდით სხვებს; ამ სხვებში ათასნაირი ჯურისა და პროფესიის ადამიანებს უხვდებოდათ: ექიმებს, ინჟინრებს, მეცნიერებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, მოქანდაკებს, პროფესიონალ მე-თევზაებს... უმეტესობა ნორმალური ხალხი იყო, ვინც პირველ რიგში სიამოვნებისთვის თევზაობდა და არა „საშოროსათვის“; ასეთები, ჩვეულებისამებ-რად, თითო არ ორი სათევზაო ფოხით სარგებლობდ-ნენ და მცირედი ნადავლითაც კმაყოფილებოდ-ნენ, ზოგი კი ისეთი ხარბი გამოერეოდა, ვინც უამარ-რავ სპონინგს დაათრევდა და აღარავის უტოვებდა სათევზაოდ ვარგის ადგილს მდინარის გაყოლებასზე; მათთან ერთად თევზაობა, ცხადია, არ გვიყვარდა, მაგრამ ვიტანდით, სხვა გზა თუ არ გვექონდა; ხშირ-ად სწორედ მათი მანქანით ვისვდებოდა მგზავრო-ბა, თუკი აზერბაიჯანისკენ გაგვიწევდა გული, სა-დაც მტკერის ზღაპრულ ქალღმბში მარტო გავლა-გამო-ვლავა კი ანეით აუნერეოდ სიამოვნებას გვანიჭებდა.

ერთი ახალი კაცი ჩემმა დაუფინავრამ ოურიმ გამ-აცნო; ვიდრე პირადად გამაცნობდა, წინასწარ მოკ-ლედ დე გასაგებად დამიხასიათა: არანაკლებ ათი-თორმეტ სპონინგით თევზაობს; ამით ყველაფერი ითქვა, რისი ვათავალისწინებაც იყო საჭირო, მაგრამ მანქანა მისი იყო და ამ ყველაფერზე თვალის დავხუ-ჭე; თანაც ეს კაცი მილიციის მუშაკი გახლდათ

(გვარს, ცხადია, არ გავამხელ და მხოლოდ კაცოდ მოვისხენიებ); ამას ადვილად მივახვედრებდათ მან-ქანაში ყველაზე გამოსაჩენ ადგილას საშუალოდ ექსპონირებული საგანგებო „გამოფენილი“ მისი ფოტოსის ქუდი, რომლის წყალობითაც „მწვანე შუქი“ აზერბაიჯანის გზებზე გარანტირებული გვექონდა. ამ კოზრის დაუფასებლობა უგუნურობა იქნებოდა ჩვენი მხრივ და ამიტომაც ვუგვეულოდით დამოუკიდებლობის შეზღუდვით გამოწვეულ დის-კომფორტსა და კაკოს კაპრიზებს, რაც შემდეგში მკომარეობდა: კაკო ანესებდა თევზაობის დაწყებ-სა და დამთავრების დროს; კაკოს ნებით უნდა გვე-საუზმა ყველას ერთად ან ყველას ცალ-ცალკე; კაკო ირჩევდა სათევზაო ადგილს, თავისი სპინინგებით იკავებდა ხელსაყრელ პოზიციებს და მხოლოდ ამის შემდეგ გვეძღვოდა ჩვენი საშუალება ჩვენი საჭურ-ვლის განყოფილსა და ადგილის ძებნისა ამ „ცის ქვეშ“... ასეთი ამკარა და ურცხვი ჩაგვრის ატანა დიდხანს, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნებოდა და ჩვენი მოთმინების ფილაც უკვე სახვე იყო, მაგრამ ერთმა სასაცილო შემთხვევამ აჯანყებისა ან ბოკოტის არცთუ სასიამოვნო გარდუვალობა თავიდან აგაეც-ილა.

სადღაც აზერბაიჯანში ვთევზაობდით მტკ-ვარზე, სად – ზუსტად აღარ მახსოვს; გრძელი, გამ-ლილი, ქვიშაწინ ნაპირი იყო; მდინარე ერთ ღრმა ტოტად მეთდინებოდა, რომლის სიგანეც საშო-ცოდვე მეტრს არ აღემატებოდა – მშვენიერი სათ-ევზაო ადგილი იყო.

გალმა მხარეს, ნაპირთან ახლოს, პატარა სოფე-ლი მოჩანდა: ალიზით ნაშენი უსახური სახლი იდგა რამდენიმე; ხალხსაც ვხედავდით: ბავშვები დაჭერ-ობანას თამაშობდნენ; ქალები სარტებს ფენდნენ; კაცები უქმად ისხდნენ და ჩაის სვამდნენ, ზოგიც ყალიონს აბოლოებდა; ურცხვი ქათამი, ინდაური, იხვი და ბატი ირეოდა წყლისპირას; ცხვრის პატარა ფარაც ინვა მზეზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი აქლემიც კი დავინახეთ; ნამდვილ პასტორალს ჰგავ-და, მესრულეულს აღმოსავლურ ყაიდაზე.

მზე ზენიტში იყო და უღმერთოდ ცხელადა; ქვი-შისიე გახურებულიყო, ფეხშიშველა ვერ გავივლიდი. მთელი ამ გრძელი ნაპირის ორი მესამედი, ტრად-იციულად, კაკოს სპინინგებს ეკავა, ჭარბი ქვიშაში ჩარჭობილებს; ოურის და მე, გარემარბებივით, კვ-ლავ განაპირა, ყოვლად უფარგის ადგილები გვერ-გო; შტერებივით ვისხედით და კაკოს უნიჭო თევზ-აობას ვადევნებდით თვალს; ადგილის გამოცვლას აზრი არა ჰქონდა, რადგან ქვიშაწინ ნაპირს აქეთ-იქიდან გაუვლიდ ეკალ-ბარბით ეკრა და წყალთან მის-ადგომად კოლომეტრობით მანძილი გვექნებოდა მოსავლელი; ოურისას, არ ვიცი და, ჩემს მოთმინებ-ის ფილას თავზე უკვე მენისი კი გავეკეთებინა.

კაკოს ეს ყველაფერი სულ ფეხებზე ეკიდა; დაუზარებლად დარბოდა ერთი სპინინგად მყო-რემდე, ხომ არაფერი მოედოო, სინჯავდა ხოლმე; მერე კვლავ ძირითად ადგილს უბრუნდებოდა პოზიციის ცენტრში, საიდანაც ფეხზედგომულა თევზაობდა ორმაგტარანის სპინინგით ხელში. აი, კიდევ ერთხელ, ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ,

ახალი ჭიაყელა ნამოაცვა ნემსკავს, ღონიერად მოიქნია ჯოხი და შუბილით გაისტუმრა ტყვია მდინარის შუაგულისკენ, მერე გაქვევდა და მოთმინებით დაელოდა ყველა მეთევზისთვის სანუკვარ მომენტს, ანუ – დიდი თევზის „დარტყმას“ ანკესზე...

ხუთი წუთიც არ ვასულა, რომ აურსულდა ნატვრა: ეტყობა, მძიმედ იგრძნო ხელმა „დარტყმა“, ისეთი განწირულის ხმით აყვირდა უცებ კაკო, არიქა, მიშველეთ, ვირი დამიჯდა, ვირიო, მართო ვერ გამოვიყვანო... („ვირი“ დიდ თევზს შქვია, „დაჯდომა“ კი ნემსკავზე ნამოგებებს ნიშნავს მეთევზეების ენაზე).


ურთიერთსოლიდარობა თევზაობისას დაუნერვლი კანონია და მისი უფლებელყოფა არავის ენატიება: ამიტომაც დაუფიქრებლად გამოგებმაურეთ კაკოს ძახილს და სასწრაფოდ გავეშურეთ მისკენ...

უცნაური ჩოჩქოლი ატყდა ამ დროს გაღმა სოფელში, ქათმები აკრიახდნენ, ბატებმა ფრთები ააფართუნეს, დიდი თუ პატარა, ყველა წყლის ნაპირს მოაწყდა და ჩვენკენ იწყეს ცქერა, მერე კი, მოულოდნელად, ქვები დაგვიძინეს; მანძილი, როგორცა ვთქვი, სამოციოდე მეტრი იქნებოდა, მაგრამ მოგესხენებათ სოფლელი ბიჭების ოსტატობა ამ საქმეში, სეტყვასავით დაგვაყარეს; იური და მე, საბოლოოდ, გადავრჩით, აი, კაკოს კი არ ასცდა და ერთმა მოზრდილმა ქვამ თავი გაუტეხა, წითლად შეეღება სახე; გადარიბა კაცი, დააძრო „ტეტე“ და პურში გაისროლა ორჯერ თუ სამჯერ; ამან სათანადოდ იმოქმე-

და დაწამსვე შეწყდა ქვების სეტყვა, მაგრამ გატეხილ თავს, აბა, რაღა ეშველებოდა?! ვაყარეთ და ვაყარეთ თუთუნი ჭრილობაზე და, როცა სისხლისდენა შევუჩერეთ, მერეღა ვცადეთ, მომხდარში გავრკეველიყავით.

ისევ იური მიხვდა, რაშიც იყო საქმე; მის ვერსიას, რომ იტყვიან, წყალი არ გაუვიდოდა: კარგ ადგილსა და დიდ თევზს დახარბებულ კაკოს მეტისმეტად ღონიერად მოსვლია ჯოხის მოქნევა და ტყვია, ნემსკავიან-ჭიაყელიანა, გაღმა ნაპირზე დაუგდია (კიდევ კარგი, ვინმეს არ მოარტყა), ჭიაყელა ბატს გადაუყლაპავს და ნემსკავზე ნამოგებულა; ამ ბატს მოათრევდა თურმე კაკო და დიდი თევზი კი ეგონა, ხოლო, რაც ამას მოყვა, უკვე მოგახსენეთ...

მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე ვახლდით კაკოს სათევზაოდ და მის საქციელში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევამჩნიეთ: მკვეთრად იკლო მისი სპინინგების რიცხვმა (ათი-თორმეტიდან სულ რაღაც ორამდე დავიდა). – ეს ერთი, და მეორე: საოცრად თავაზიანი და დამთობი გახდა, აღარც კარგ ადგილებს იჩენებდა და აღარც ცალკე საუზმობას ამჯობინებდა (არადა, ცალკე თურმე რა დელიკატესებს მიირთმევდა!). ერთი სიტყვით, კაცი ას ოთხმოცი გრადუსით შემოტრიალდა, რაღა თქმა უნდა, უკეთესობისკენ; წუთუ ამისთვის აუცილებლად თავის გატეხვა საჭირო? – დამებდა კითხვა და გავიფიქრე: თუ ეს ასეა, იმდენს აქვს ჩვენში კიდევ თავი ვასატეხი, რომ ამას, მტკვრის ორივე ნაპირზე რაც რიყის ქვები ყრია, ისიც არ ეყოფა – მეთქი.



ვაჟა ხორნაული

მამა

ორივე ხელით ხეიბარი.
ბავშვური მხრებით.
ოფლიან შუბლზე ჩამოშლილი
ფერმკრთლი თმები.

მისი სიმდიდრე: სახლი ხისა,
წიგნი და ცელი,
მშობლების სითბომერჩენილი
ნივთები ძველი.

მისი სიმდიდრე: კაფია და
შვილის ხალათი,
ხმაში ღიმილი და თვალეში
სევდა მარადი...

მისი სამოთხის შუაგული
გორი მზისყანის.
მუხლჩაუხრელი ღამეა თუ
დილა სისხამი.

არა ყოფილა ეს ცხოვრება
მისთვის ჭაობი,
ალაღი იყო,
არაფერი ეცხო მზვაობის.

წინაპრის დარღვით ბევრჯერ მოკვდა,
 ბევრჯერ გაქვავდა
 და ნასახლართან იდგა, როგორც
 პაპის საფლაკთან.

ახსოვდა გზები ძველისძველი,
 როგორც ანბანი,
 და ყველგან, ყველგან
 მასთან იყო ბედი ამგვარი:
 მკიდა და მკიდა
 და ყელამდე ჰქონდა სამკალი.

იმ ქვეყანაშიც
 მიაქვს ტვირთი ბავშვური მხრებით,
 ოფლიან შუბლზე ჩამოშლია
 ფერმკრთალი თმები...

უფლისკენ მიგიხარია

რა ხმები ისმის ზეციდან,
 მოწვიმს ბროლი და ლალია,
 ქვესკნელში წყალი დადუმდა
 და მწვერვალებთან ქარია.

რა ხმები ისმის...
 ბრწყინდება
 დღის მხარეები მკრთალია,
 სზვა შუქით განათებულია
 ქოხი, კოშკი თუ გალია.

რა ხმები! – აუძღვრეველი,
 როგორც სამოთხის ნამია.
 გულს მიჰყვები და მაღლდები,
 უფლისკენ მიგიხარია!

მზისქანასა და საორბეს შორის

მარგალიტები ღამის ძონძების,
 მიწის ღუმილში ზეცის ლოცვები.

ზეობის ბინდში შუქი მდინარის,
 გული ფერმკრთალი, ფიქრი მტკივანი.

შორს დარჩენილი ზღაპრის ფერღობი.
 „ისევ მიყვარხარ. ისევ გენდობი“.

ვით მზე სიერციდან უფლის წყაროთი,
 შენი სიღრმიდან სიტყვა ამოდის.

ბავშვისპერანგა, ჩუმი კორდები.
 „შენთვის ვცოცხლობ და შენთვის მოვკვდები“.

მთაზე ღრუბელი მოგვის თვალებით,
 ახალ სივრცეში ძველი ზარები...

ამაღლებული გზები და ხმები,
 ცა ერთადერთი სამოთხე ფრთების.

●
 ჰაერმა ფერი იცვალა,
 გამოჩნდა სივრცე ფშავისა.

რა შეედრება აქაურ
 წყაროს, ქალსა და ყვავილსა,
 ვარსკვლავთა იდუმალებას,
 ძირს ნამად ჩამოტანილსა.

ცის ხმაში, მიწის ფეთქებაში
 სითბოა უფლის თვალისა!

●
 რა ნათებაა და რა მოლია!
 მზე მლოცველივით უახლოვდება
 ზეხმელს, ნისლის ანაფორიანს.

ქალი

ბრაზისგან გაბერილ-გაფხორილი,
 ვეებერთელა ფრინველივით
 ჭერს ნისკარტით დაჰკიდებია
 და სუსხიანად უციმციმებს
 მინისა და ლითონის ბუმბული.

●
 მირაჟი,
 სევდა.
 სიზმარში
 გზელავ.

●
 მარადი
 სივრცე
 დამნათის
 ისევ.

●
 სიყვარულისგან გაკიდებული
 ბეწვის ხიდის ორივე ბოლო
 უფლის ხელშია –
 უფლის ერთგულების გარეშე
 ვერავინ გაივლის...

შენ რომ არ იყო

ტკივილო სიყვარულსა,
 გულს მოდებულო ნამადა,
 ხან სიერცეებში ამიყვან,
 ხან ჩამომავდებ ბარადა,
 შენ რომ არ იყო, ყველა დღე
 გათენდებოდა შავადა,
 სიკვდილ-სიცოცხლე, ორივე,
 ეღირებოდა ჩალადა!

●
 რა ეჭოები
 და რა ფერები.

უფლისეული
 გზა და ყანები.

ქვეყანა –
 დარდი მარაბდელების.

ქვეყანა –
 მსხვერპლი ფარსადანების.

ღმერთი და კაცი

კაცი კიდევ ერთხელ
 (ვინ იცის, მერამდენედ!)
 მზეზე აღრე გამოჩნდა სოფელში.

ღმერთი კიდევ ერთხელ
 (ვინ იცის, მერამდენედ!)
 იმ კაცის სახლში დარჩა,
 რომ ქალის ხელებით
 მისთვის პური გამოეცხო
 და წინდა გაეკერა...

კაცი ვენახში მუშაობდა,
 მტკვნებს ისე შესცქეროდა
 და ისე ეხებოდა,
 როგორც ზარებს ეკლესიისას.

კაცი ვენახში მუშაობდა
 და ღმერთის სიტბოს გრძნობდა
 ცისა და დედამიწის
 სიტბოსთან ერთად.
 ღმერთი მასთან იყო
 და, საერთოდ, ღმერთი იყო
 ყველა ვენახში,
 ყველა სახლში და ნასახლარის
 სველიან სინუბეში,
 ყველა აკანსა და სამარეში,
 ყველა გულისა და
 პლანეტის ნათებაში
 და იმ გულებსა თუ პლანეტებს
 ისე დასცქეროდა
 და ისე ეხებოდა,
 როგორც სამყაროს
 (ყველაზე დიდი ეკლესიის!)
 სხვიოსან ზარებს...

კაცი ვენახში მუშაობდა
 და ღმერთი იყო
 იმ კაცის სახლში,
 რომ შებინდებისას,
 ვენახიდან რომ დაბრუნდებოდა,
 კიდევ ერთხელ
 (ვინ იცის, მერამდენედ!)
 ქალის გულიდან
 უკვდავების წყაროს წვეთებივით
 გაეწოდებინა სიტყვები ტკბილი.

ნეო ყიფიანი

კაფკასული სამეარო ქართულ სინამდვილეში

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მანანას ლალატი შევამჩნიე. თითქოს ძველებურად მექცეოდა, მაგრამ მამაკაცური ინსტინქტით ვგრძნობდი, ჩვენი ურთიერთობა ძველებური აღარ იყო. მერე ადიულტერი უფრო აშკარა გახდა. ვარცხნილობა შეიცვალა. შარვლებს, რომლებიც ადრე მოსწონდა, აღარ იცვამდა და თეოებამდე ძლივს მიმწვდომი ქვედა კაბების ჩაცმა დაიწყო; საქმელს, რომლის დამზადებითაც არც ადრე ინუბეზდა თავს, ჩემთან ერთად აღარ ჭამდა; სექსისადმი გულგრილი გახდა. ერთი სიტყვით, აკეთებდა ყველაფერ იმას, რასაც „მამაკაცისთვის საბაბის მიცემა“ ჰქვია. მერე ისე გაკადნიერდა, შულამისას მოდიოდა რესტორნიდან, თურმე იქ მიირთმევედა საქმელს და სიმთვრალე ეტყობოდა. ბოლოს თავის რჩეულთანაც წავასწარი, რომელიც იმ დანებებულების დირექტორი გამოდგა, სადაც მანანა მუშობდა. როცა ვკითხე, რატომ მალაღატომეთქი, მიპასუხა, გართობა მინდაო. გაყრა შევეთავაზე. არც გაყრა უნდოდა. მე რესპექტაბელურობაც მინდა, ამ აზიატურ საქართველოში კი ქმარს გაცოლებულ ქალს მეძავის იმიჯი აქვსო. მოკლედ, იმ პუკელასავით დამემართა, რომელიც არც უნდა მოფრენილიყო და არც უნდა გაფრენილიყო. გადავწყვიტე, დედაჩემისთვის მეთხოვა დახმარება.

მივედი დედაჩემის სახლში. ამ სახლში ვცხოვრობდით მე და მანანაც და სხვა ბინაში გადავედით, რადგან ვფიქრობდი, დასავლეთს ყველაფერი არ უნდა დაუწუნწონოთ და ძალიანაც სწორია, ახალ-გაზრდებს ცალკე ცხოვრების საშუალებას რომ აძლევს-მეთქი. კარი რომ გამიღო დედაჩემმა, ძლივს ვიციანი. არა, არ დაბერებულიყო, გაახალგაზრდავებულიყო, ნაოჭები გააჭკრობოდა, მკერდი ამაღლებო-

და, თეოები დაჰმძიმებოდა, მაგრამ მე ის სახეზე ნაოჭებგაჩენილი და თმაში ჭალარაშერეული დედა მერჩივნა, არასოდეს რომ არ მინახავს არც მჭამელი და არც მძინარე. არც წამოწოლილი და არც დამჯდარი. სასტუმრო ოთახში შემიძღვა: მეგონა, სიზმარში ვხედავდი მის მხრების ქნევას და შემოტმანნილ შარვალს. მე ის სხვანაირი მახსოვდა, ფერეიდუნელი ქართველი გრძელკაბიანი. სავარძელზე მიმითითა დაჯექიო. დავეჯექი და გავიცდი. თვითონაც დაეჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო. სავარძელს შორის დადგმულ პაჭარა მაგიდაზე სივარტის კოლოფი იდო. ნუთუ?.. ვაფიქრებაც ვერ ვაგებდე. ჩემი გასაჭირი ვუთხარი. ყურადღებით მისმენდა.



- საწყალი მანანა! - წარმოთქვა, მბობა რომ დავამთავრე.

- რაა? - ყურებს არ დავუფერე.

- საწყალი ქალები! ძალიან დაგიტანჯავს.

- მე დამიტანჯავს? სამუშაო უნდოდა და მუშაობს. საქმელს არ ვაგაკეთებო, განმიცხადა და სოსისებს და ნამცხვრებს ვყიდულობდი, მე თვითონ ვაკეთებდი წვნიანს, ხანდახან „საოჯახო ნიგნოც“ ჩაიხედავდი და ახალ საქმელს ვახვედრებდი. ახლა ჩემ ვაკეთებულ საქმელსაც აღარ კადრულობს, რესტორანში სადილობს.

- იცი? ქალია და გართობაც უნდა.

- რესპექტაბელურობაც რომ უნდა? ჩიჩიაც უნდა და ბაბაც?

- ზენონ, შენ კაცი ხარ და შენი ამბავი სხვაა. გინდა, ასჯერ დაანგრევ ოჯახს, მაგრამ რა ქნას საბარლო ქალმა, სახელი რომ უტყდება?

- ჩემი რა გადასახადია? მაგის ვართობისმოყვარეობაზე მე რად უნდა შევეჩირო?

- გამოდის, რომ შენ თანაგრძნობის უნარი არ გქონია.

- შენი აზრით, რა უნდა ვქნა?

- შენც გაერთე.

- საყვარელი გაგიჩინო?

- თუნდაც ევ.

- და ეს სწორი გზაა?

- შენ გგონია, არასწორია? ამ გზას ადგებოდნენ ევროპელი არისტოკრატები ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში. ვახსოვს „დორიან გრის პორტრეტი“ ალან მასსოვს, რა გვარია ის ლორდი. ის სხვა ქალთან ცხოვრობდა, მისი ცოლი - სხვა კაცთან, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდათ, საზოგადოებაში ერთად გამოჩენილიყვნენ.

- მერე ამას ოჯახი ერქვა?

- საზოგადოებრივად, მათკენ იყო საზოგადოებრივი აზრი.

- საზოგადოებრივი აზრი? რა თავში ვიხილ საზოგადოებრივ აზრს?

- საზოგადოებას ვატყუებ? ლორდი მაინც ვიყო, რომ საზოგადოების თვალში მყარი ოჯახის ქონა ხელს მამულედეს! თავი მოვიტყუო?

ნერვები მომეშალა. აღმოჩნდა, რომ ჩემ მშობელს ჩემზე მეტად მოეშალა ნერვები. სერფანტიანა ფერფლე გამოიღო, მაგიდაზე დადგა, კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო და გააბოლა. ყველაფერი გასაბები იყო. მე აქ აღარაფერი მესაქმებდა-მეთქი, გავიფიქრე და წამოვიდექი.

- სად მიდიხარ? - მომძახხა.

- მანანას ბინაში. - ვუპასუხე.

- მოიცადე, ნათლიაშენი უნდა მოვიდეს და ერთად ვისადილოთ.

ნათლიაჩემს დავუწყე ლოდინი. დიდხანს არ მალოდინა. მახსოვს, პატარაობისას ამ ჭკვიანთვალეობიან კაცს მუხლებზე ვაგებობდებოდი ხოლმე და საინტერესო ისტორიებს მიყვებოდა. წვერი მიეშვა. ის და მამაჩემი ისეთი უახლოესი მეგობრები იყვნენ, მგონი, რაც მამაჩემი მოკვდა, მას შემდეგ არ გაუპარსავს პირი. მე მასთან საუბარი მიყვარს, რადგან უაღრესად განათლებულია. თანაც ვიფიქრე, ეს მაინც დამითხრა-მეთქი მხარს და მსურველ ხელის ჩამორთმევით და გადაკონცით შევხვდი. სადილს ხელმეუბნებელი ხომ არ შევჭამდი? სააბაზანოში შევედი ხელიწინ დასაბანად.

იქიდან რომ გამოვიდე, ელდა მეცა. ისინი ერთმანეთს ეხებოდნენ.

- რას აკეთებ? - ვკითხე კარგა ხნის შემდეგ. მოხედეს. ახლად დანიახეს, რომ ვუყურებდი.

- ჩვენ დაქორწინებას ვაპირებთ, - ნათლიამ სცადა აესხნა.

- ნათლია და ნათლიდედა? თათრებს სწამთ ნათლიობა.

- კი, მუსლიმან ფუნდამენტალისტებს, რომლებმაც ყველას ემინია, - გაიღიმა ნათლიაჩემმა -

გაკვივე, ზენონ, ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს.

მოეჭრალი და წამოვედი. სანამ კარს გამოვიჯახებუბდი, მომესმა ნათლიაჩემის ხმა:

- ახლა გზად და, გაიგებს.

ჯუმბურთან მივედი. ძმაკაცია, კიდევ ეს გამიგებს - მეთქი. არ შევმცდარავარ. ჩემი დაბეჭევაბა გულთან ძალიან ახლოს მიიტანა.

- ეგეთები არიან ქალები, - მითხრა, - განყდა მაგათი სინისლია მხოლოდ ხორცის კეთილდღეობაზე ზრუნავენ, რადგან სული არ გააჩნიათ, დედაშენისგან არ მიკვირს, რადგან ისეთ ასაკშია, შეიძლება ერთხელ ხორცის საქრელი ცული აიღოს და ნათლიაშენი დაჩეხოს. მანანას სახლში როგორ აჩერებ?

- მაგისია ბინა, განსვენებულმა ბიძამისმა დაუტოვა.

- შენ გაეცალე.

- სად წავიდე?

- ჩემთან გადმობარგდი.

სახლში რომ დავბრუნდი, მანანა ტელევიზორის წინ იჯდა და რომელიღაც სერიალის მერამდენელ აც სერიას უყურებდა.

- უნდა მოვლაპარაკო, - ვუთხარი.

- დამაყადე, - მითხრა ისე, რომ ეკრანისთვის თვალი არ მოუშორებია, - ხომ ხედავ, ვუყურებ?

იძულებული ვიყავი, დივანზე დავმჯდარიყავი და მენახა, საყვარელი როგორ ნაართვა დედას ქალიშვილმა (მე იმის თქმა მინდა, რომ შვილი ქალი იყო, თორემ უბინოება დიდი ხანი იყო დაკარგული ჭკინდა).

- აბა, ახლა მითხარი, რა გინდა? - მკითხა, ის სერია რომ დამთავრდა.

- როგორ მოვიქცე, ჩემთან რომ გაერთო?

- ტელევიზორს უნდა უყურო, რომ ის ისწავლო, რაც არ იცი. შენ ისეთი მოფერება იცი, როგორიც მუხა საუკუნეებში იცოდნენ.

- ტელევიზორში ორალურ სექსს აჩვენებენ. შენი დირექტორი ორალური სექსის მოყვარულია?

- როცა მე მინდებდა, რომ ჩემ ფუწურას ტურებით შეებნო, ჩემ დირექტორს ამის გაკეთება ზიზღს არ გვრის.

- შენ გინდა, რომ ძალღვივთ გავა ვილოკო? - შევძახე გაბრაზებულმა, - ვერ ელოდები!

ჩავალტო ჩემოდანში ჩემი ნივთები და ჯუმბურთან გადავედი. ჩემი მომავალი ვარდისფრად მესახებოდა. ერთ ჭერქვეშ ვიცხოვრებდით ორი მარტოხელა მამაკაცი და ერთმანეთს თავს არ მოვაბურთებდით გაუთავებელი ლაპარაკით. სადილობისას თითო ჭიქს დვინოს გადავკრავდით. ნასადილევს კი სიგარეტების თანხლებით გახუთებს ნაფიქთახლდით. სადამოებით პარკში ვისვირნებდით, გამოვჩნდებოდით ორი სიტყვაძენმა მამაკაცი, შეიძლება ერთმანეთისთვის ერთი სიტყვაც არ გვეთქვა და მაინც გავუგებდით. ხანდახან თვატრში ნაფიქროდ, დავენახებოდით საზოგადოებას და საბოლოოდ დავარწმუნებდით იმ უთითეობის უკვდავებაში, რომელსაც მეგობრობა ჰქვია... მაგრამ ჩემ ცხოვრებას დანყნარება არ ენერა.

ჯუმბურმა "სექსი ვაბში" დამახვედრა. მაგიდაზე ეჩინა ორი ბოთლი კონიაკი და ბონბონიერი

„ლაროშელი“.

– ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, – მიხრა.

ესვამდით კონიაკს, ბრენდთან ბონბონს ვაყოლებდით და გრძობა მომერია. ერთი ბოთლი დაცალეთ და ჯუმბერმა სასმელი ჭიქებში მეორე ბოთლიდან დაასხა.

– შენ გაგიმარჯოს, ჩემო მეგობარო, – დავიწყე გრძობაპორეულმა – ცოლმა მილაღატა, დეღამ მილაღატა და შენ არ მილაღატე. ქალებს ჩემი თავი ხელიდან გამოგლიჯე იმიტომ, რომ ჩემი ძმა ხარ და ჩემი სიყვარული ხარ!

– მე მკითხე, შენ რაღა ხარ, – მომმართა ალელეგებულმა, – შენა ხარ ჩემი სიცოცხლე, შენა ხარ ჩემი მზე, შენ ჩემი უკვდავების წყარო ხარ!.. ქალს რომ კაცი უყვარს, სიყვარულია, მაგრამ კაცს რომ კაცი უყვარს, მეტია, ერთგულებაა...

მომეხვია და ლოყაზე მაკოცა. ვაკოცე. ახლა ტუჩებში მაკოცა. მეგონა, ეს სიყვარულის უმაღლესი გამოხატულება იყო და წინააღმდეგობა არ გამინევიდა, მაგრამ, როცა თავისი ზედა ტუჩის ჩემ პირში შემოყვარდა და ჩემი ქვედა ტუჩის თავის პირში შეყოფა დასცადა, მისი მკლავებიდან თავი გაეთავისუფლეს და სკამიდან წამოვხტი.

– რა გჭირს? – შევეკითხე.

– გეხუტები.

– ეგ არის ჩახუტება, ეროგენულ ზონებს რომ მილიზიანებ?

– შენი სიამოვნება მინდა.

– შენ ქალი ხარ?

– ქალი რაღა? სათამაშოს აძლევს და ჰგონია, მისცა სამყარო. მეტისმეტად ძვირად აფასებს თავის ბინძურ ტყუქს. ფული თუ გამოგართვა, მადლობა უნდა გადაუხადო, რადგან ეს საუკეთესო შემთხვევაა. მე კი თვითონ ვიკისრე ვახშამი.

– ქალის ასეთი ლანძღვა პირველად მესმის. აშკარაა გაცისფერებულხარ.

– ცისფერზე ცუდი არაფერი თქვა, ბარათაშვილს უყვარდა.

– და ჯუმბერმა თქვა:

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
სიყრმიდგან ვეტრფოდი“.

მე კი მეგონა, ძმაკაცი მაინც დმრჩა. როგორი იმედი მქონდა და როგორ შეეცდი! ჯუმბერი კი აგრძელებდა:

„და ახლაც, როს სისხლი
მაქვს გაციებული,
ვფიცავ მე – არ ვეტრფო
არ ოდეს ფერსა სხვას“.

– კარგი, კარგი, ნუ შემაჯავრე რომანტიკოსი! –

შევაწყვეტინე ლექსის კითხვა. – არ გრცხვენია, ბიჭო? ასეთი ვაჟკაცური სახელი გქვია, ასეთი ვაჟკაცური გარეგნობა გაქვს და ცისფერი ხარ.

– რისი უნდა მრცხვენოდეს? – მიპასუხა ჯუმბერმა. – არაფრისაც არ მრცხვენია. სიცისფრე ყვევილივით გადამდები სენია და ყველა კაცს გადავადლო.

– რატომ მე არ გადამედო?

– ქვეყნის იმ ბოლოში ვაჩნდა, რომელთანაც ჩემი სახლი უფრო ახლოა და შენ სახლამდე ვერ არ მოსულა.

– რა მეთქმის? – შეგრჩეს ჩემთან ერთად კონიაკის დაღვევა, მაგრამ გეყოფა, უნდა ნავიდე. ბუნებრივი კავშირის მოტრფიალე ბოზთან ცხოვრება სჯობია არაბუნებრივ კავშირის მოტრფიალე პედერასტთან ცხოვრებას.

– სად უნდა ნახვიდე, სულიკო? ვერ ხედავ, მორე ბოთლი თითქმის საყსავა? დაჯექი, დავლიოთ და მერე ნადი. როგორ მიყვარხარ!.. შენ ჩემი, იცი, რა ხარ? ღმერთი ხარ!

– ტყუილად მკრეხელობ! მას შემდეგ, რაც შენს ორიენტაციაზე გავიგე, შენთან ერთად ჭიქასლა ავიიბე, შე პედერასტო?

– შენ თვითონ ხარ ეგეთი. პედერასტი ის არის, ვისაც გაუგებრასტების ემინია. ფროიდს არ ემინია გაუგებრასტების და იხალოს თავში ქვა! მან ფსიქოანალიზი იცის. მაგრამ რა დააშავს დანარჩენმა მამაკაცებმა? — ეს გარეწარი ყველას შურაგაცხოფას გვაყენებს-მეთოქ, მოთმინება დავკარგე და საცემად მივამურე. ჯუმბერსაც მოებზრდა ჩემთვის ნითელი კვერცხების გორება.

– განა ჩემი ხელები დამონავებულია? ესეც შენი.. ესეც შენი!.

ისე გააფორებთ შემომიჭია, რომ უკან დავიხიე. გამიგონია, გაუქუღმართებულები აგრესიულობით გამოირჩევიან და შემეშინდა, მაგრამ დალოცოს საბჭოთა წარმოება! კომუნისტების დროინდელი უთო მომხვდა ხელში. მოუქნიე და თავში ჩავცხე. მოჭრილ ხესავით გადავარდა და აღარ განძრეულა. დავიხარე. მკვდარი იყო. უთო საფეთქელში მოხვედროდა. ახლა იმის შიშმა შემპაყრო, რომ გაიგებდა პოლიცია და დამიჭერდა. მერე გულში იმედი ჩამესახა. ამ უოთით ჩემი ოჯახის წევრებს და მათ საყვარლებს სეირს ვუჩვენებ – მეთოქ, უთო სააბაზანოში შევიტანე, გავრეცხე, ჯუმბერის დილის ხალათით გავემშრალე, გაზეთში გავახვიე და ჩემ ჩემოდანთან ეთად წამოვიღე.

ახლა სახლში ვარ და მანანას ველოდები. ლამის ბარიდან ვერ არ მოსულა. რომ დავბრუნდი, შინ არ დამხვდა. რა უნდა გამეკეთებინა? რვეული ავიღე და წერა დავიწყე. ვერ მანანას და იმის დირექტორს ვასწავლი ჭკუას, მერე დედანჩემისთვის და ნათლიაჩემისთვისაც მოვიცლი. ზარი დაირეკა. მგონი, მოვიდა მანანა, უნდა გავიქეცე.

თენგიზ სვანიძე

ოცნების ცაზე ჩანხარ, ვით ხვითო, —
 სულში ნათელი სხვამ ვინ მომფინოს?!
 მე წავალ შენგან მხოლოდ იმიტომ
 ჩემი ტკივილი რომ გაგრძნობინო.
 დარდი ამდენი გულმა ვით ზიდოს.
 ვინ ამიყვავებს იმედს, მზის დარო?..
 მე გულს გიტოვებ მხოლოდ იმიტომ,
 სხვა რომ არავინ არ შეიყვარო.
 გზა ბუდისწერის ვინ აირიდოს,
 გულს თბილს და მართალს
 ვინდა მიპოვნის?!
 მე წავალ შენგან მხოლოდ იმიტომ,
 ტკივილიანი დამრჩეს სტრიქონი.
 სული ცასავით რამ მიიზიდოს,
 ქუდბედიანი ქვეყნად ვინ იყო?!
 მე წავალ შენგან მხოლოდ იმიტომ,
 რომ ვერასოდეს გადაგივიწყო!

მერე

მზე თაკარა აგვისტოში
 სილამაზეს ვერ იფერებს...
 ეს პატარა ატმის რტო შენ,
 დანარჩენი იყოს მერე.
 აგარიდებ ამ ცივ ნიაგს,
 გასმენინებ ტკბილ სიმღერებს,
 გამომართვი ია-ია,
 დანარჩენი იყოს მერე.
 შენ კი ვინდა (ისე მიმზეერ!),
 განვეშორო ამ მთებს, სერებს...
 ყველაფერში ეძებ მიზეზს,
 ყველაფერში ამბობ - მერე.
 ცა გაშლილა, ცა — ედემი,
 ამ ცა-ფირუზს მომავერე...
 ჰა, ეს გულიც, გული ჩემი —
 დანარჩენი იყოს მერე.

●
გარეგია ცრემლები აყვავებულ ცის ფერებს,
ვინ გაშიგებს, ვინ ისმენს ჩემს ნაღვლიან სიმღერებს?..

შეფურნია (თვალები სევდით)! წყვილად მიმომსკვლელს,
ყველა თავის ჯოკონდას ხვდება, ზოგიც - მილოსელს.

მზე, ჩემი მზე ჩადის და გულში დარდი მატულობს,
მაინც როგორ გააშვირე, დღეთა ჩემთა ნატურულო!

ო, რა მწარედ ვიგრძენი გზების გადაფერდება,
დღე, შენ რომ დამილაშე, არასდროს გათენდება!

●
სიყვარულს შენსას ღუმიღში ვმარხავ,
მასხივებს შენთა თვალთა გუგები...
ვით ხარირემი, დროდადრო ახალ
გარემოს ვზვერავე და ვეგუები.
ვისთვის იხსნება, ნეტავ, ცის კარი?
მე შენით ვძლებდი, თუ ვსულდგმულობდი...
გულს ჩემზე წყენა არ გაიკარო,
ისეც მკვდარი ვარ ამ უგულობით!
ზოგჯერ ვარდივით ბედი შეგმოსავს
და გესმის სულის საგალობელი...
გამომეცხადე მხსნელ ანგელოზად,
სიზმარია თუ ცხადი ყოველი?
დიდი ხანია, მოსკდნენ ზვაეები,
და ამომწვანდა მთათა სიმუნჯე
და მოკრძალება შენი თვალების
ჩემში შემოდის ზეცის სილურჯად.

●
მოვარის სანთელზე იწვის წაშები,
ლაშა ჩემი ტანჯვის სათავე...
ჩემი სიკვდილი თუ გეამება,
მოდი ახლავე და გამათავე!..
თუ ჩემს სამოთხეს არ ირჩევ ბინად,
რომ გაგეცალო, მიჯობს, ახლავე...
შენი თვალების მაცდურმა ბრწყინვამ
დარდის თბილ გულზე მიმასაკლავს.
ოცნებების ცა მიიმდება ნისლით,
ვარ ჩაფრენილი იმედის კანჯვოს...
აწონილია სიცოცხლე მისხლით
და მინდა, ტკბილი სიმწარით ვხარავო.
მწუხარე სული ფიქრში მიეუშე, -
ცხადში ვერ ვპოვე სულის მალამო...
ყოველ წუთს მიჰყავს ფიქრი წარსულში
და წარსულიდან გაქცევას ვლაშობ.

ფიქრი მძაღლება, ფიქრი სინანულის,
 სვედა იქსოვება დაბინდულ წამიდან...
 ქალი, რომელმაც მასწავლა სიყვარული,
 სული გამოთენა, — ადგა და წავიდა.
 გული, ჩაწყვეტილი გული, განაბულა,
 აედარი ყოველთვის იწყება დარიდან...
 ქალი, რომელმაც იცოდა სიყვარული,
 სულ რომ მყვარებოდა — იმისთვის წავიდა!
 ცრემლებით აესებია იმედსაც თვალი,
 გულში იხედება ფიქრი სინანულის...
 სად არის, ნეტავ, ახლა ის ქალი,
 ქალი, რომელმაც მასწავლა სიყვარული.

უცნობის დღიურიდან

მადონა ცუცქირიძეს

შენ თბილისელი მადონა ხარ, ვისთვის ჯოკონდა,
 თაიგულივით გული მუდამ შენთან მომჭონდა.

ჩამოიფხრიწა მარტის ზეცამ ღრუბლის ზეწარი,
 ერთ გაზაფხულსაც შენთან ერთად ვერ მოვესწარი!

ცაში განიზნა იისფერი სულის სიმშვიდე,
 კოკობვარდით ნეტავ ერთხელ გულს გამოშლიდე.

ღამის ფიქრებში ვასაფლავებ სულს უთარილოდ,
 ყველა იმედი ბუმბულივით წლებმა წაიღო.

წავიდა მარტი
 იისფერი ქარების ქროლვით,
 ღროც სიცოცხლეა,
 უცნაური და ხელუხლები...
 შორით, მთის გულზე,
 ლილოჭრელოდ ანათებს თოვლი,
 ისე მაცდურად,
 როგორც შენი თეთრი მუხლები!..
 ჩემს ფანჯარაში
 გაზაფხულმა შემოიხედა,
 ცისკენ ჩემსავით გააპარა
 თვალი ბალახმაც...
 უიმედობას შენზე ფიქრი
 ჰყავდა იმედად
 და მთელ სიცოცხლედ ღირდა შენი
 ერთი დანახვა.
 როგორც ხმელ ფოთოლს,
 გამოტაცებს სიზმრის ქარები
 და მოვონება ატირდება

ცის დასავალთან
და მეც დარდს კახურ ღვინოსავით
მივეძალები
და შზეს ჩამავალს
უკანასკნელ სუნთქვას გავატან.

სიასლოვის სიშორე

„ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა,
ჭალარა გულის ზმანება ავი“
გალაკტიონი

ვკითხულობ შენს სულს,
ვით ქალღმერთის ხელით მონაწერს,
შენი სიშორე სიახლოვის
მუდამ მიმძიმდა...
შენ სიკვდილამდე ერთ გაფრენას
კიდევ მოასწრებ,
მე კი ერთხელაც ვერ ავწიე
ფრთები მიწიდან.

პატარა ბიჭი და პატარა გოგო

„ბრწყინავდა საარაკო ცა“
გალაკტიონი

ცა იყო მართლაც საარაკო ცა,
ტრფობის ბურანში გხვევდა და როგორ...
პატარა ბიჭმა გოგოს აკოცა,
ჩუმად ატირდა პატარა გოგო.
არავინ უწყის, რა მოხდა მერე,
წუთი წუთს სდევდა უსიამესი...
პატარა ბიჭი უშრობდა ცრემლებს
პატარა გოგოს ნაზი ალერსით.

●
ცივ სიმატოვის მიძივნის წუთები,
ცრემლად დნებიან სულის სანთლები...
ჯოჯოხეთიდან ვილაც ბრუნდება,
მე კი, მე საით მივემართები?!
ბევრჯერ ჩამახმა გულში სურვილი, -
ვერ ვახვერდე სულში სტრიქონი...
სიყვარულს ვეძებ მარტოსულივით
და ვკრძნობ, სიკვდილთან ერთად ვიპოვნი!

ნანა ქარღვა

სიკვდილი სხვა დროს



ნუცა ხაჯალიამ თავი ჩამოიხრჩო. ელვის სისწრაფით მოედო ეს საშინელი ამბავი მთელ სოფელს. გაოგნდა ხალხი და, როგორც საერთოდ ხდება ასეთ შემთხვევებში, პირველი უპასუხო შეკითხვები გაჩნდა: როგორ, რატომ, რისი ან ვისი გულისთვის. სოფელს, როგორც ცნობილია, დიდი ცნობისწადილი აქვს და

ჭორაობის არანაკლები უნარი. პოდა, დიიწყო – ესაო, ისაო, რას აღარ ამბობდა და რაღას არ იგონებდა ხალხი. ნამდვილ მიზეზს კი ვერავინ პოულობდა.

ყველაზე უფრო სოფელს ის აკვირებდა, რომ ნუცა ხაჯალიამ თავი მეზობლის – ნათელა ჯელიას ახლად ამენებული ოდის აივანზე ჩამოიხრჩო, დილით, გამთენიისას. თოკი, რომლისგანაც ნეტარბსენებულს მარყუჭი გამოეცეკვა, ასევე ნათელა ჯელიას ეკუთვნოდა (ნათელა ამ თოკით აბამდა საქონელს).

ყველაფერს თანმიმდევრულად მოვყვებ: ზაფხულის ჩვეულებრივი დილა თენდებოდა სოფელ ღვადაში. ახლად ამონეწერილი მზე ესაღმებოდა დილის ნამით პირსველ ხასხასა მდელს. პირველმა სხივებმა მიუკაკუნეს ნათელა ჯელიას მყუდრო ფაცხას – გათენდაო და ქალიც მყისვე ნამოხტა ლოკინიდან, როგორც ჩვევით მშრომელ გლეხის ქალებს. ჭრელი ჩითის კაბაზე ხელის ერთი მოძრაობით გადაიცვა, ფაცხის კარი გააღო და, ის იყო, გაზმორებაც დააპირა, რომ აივანზე სახურავის დიორზე ჩამოკიდებული ქალის სხეულიც მუნიშნა. ამას რამდენჯერაც აყოლებდნენ მეზობლები, იმდენჯერ ნათელა სიტყვა-ასიტყვით ზუსტად ისე იმეორებდა, როგორც მე ვენერ.

გაგიჟებულმა ნათელამ ისეთი კვიცილი ატეხა, უახლოესი და უშორესი მეზობლები შეყარა. კვიცილზე ნუცა ხაჯალიას ბავშვებიც მოცვივდნენ: ჩამოფხრენილ-ჩამოკონკილი ტანსაცმლით, ნახევრად მშვირები. საცოდაობა იყო მაგათი ცქერა. ყველაზე გულქვა კაციც კი ბაღლივით აბლავდებოდა მათი შემხედვარე. რატომღაც ვერაინ მოისაზრა, ნუცას ობლები იქიდან გაეყვანათ, რომ ამ საშინელებისთვის არ ეცქირათ ბავშვებს. ოთხი ბიჭიდან ყველაზე უმცროსი – რაუკო 12 წლისა იყო. მას ეყო გამბედაობა, მიახლოებოდა დედის გაციებულ სხეულს. ხელები მოხვია დედის ფეხებს, დაეჯაჯგურა – თითქოს ჩამოხსნას ლამობსო. ახლად მოეგო ხალხი გონს, დაფაცურდნენ, ჩამოხსნეს მიცვალებული. მერე და მერე აღმოაჩინეს, რომ ნუცას ერთადერთი «გადასასვლელი» კაბა ეცვა – ეტყობა, წინდანივე ემზადებოდა ამ საშინელი სიკვდილისთვის, ესეც არ იყოს, თავისი ხელით დახლართული მარყუჭიდან, რომ წდამოდა, როგორმე დაიხსნიდა თავს, სული ტკბილია, როგორც ამბობენ და, მოაჯირს მაინც ჩაებლაუჭებოდა – სიკვდილი მტკიცედ რომ არ ჰქონოდა გადანყვებილი.

ნუცა ხაჯალია ქმარში დიდი პატივით დაკრძალა. ომის შემდგომი სოფელი ძალიან ღარიბი იყო, მაგრამ ყველამ ხელი გაუმართა, როგორც შეეძლოთ. ნუცას შეილები ნაადრევად დაკაცებულიყვნენ, ეგ იყო მხოლოდ – რაუკოს ვერ აწყნარებდნენ ვერაფრით. ერთთავად დედის სხეულს იყო გადაფარებული, ხან ძუძუებს უკოცნიდა, ხან სახეს. გამომშვიდობებისას კი პატარა ხელი პორთან აიფარა და დიდხანს ეურრულეობდა დედის სხეულს. მესაფლავე ამბობდა, ზუსტად ვერ გავიგე, მაგრამ რაღაცას ეფიცებოდაო დედას.

ადვილი დასაჯერებელია, რომ ნუცა სიღარიბისა და სასონარკვეთისგან მოიკლავდა თავს. ყველამ

იცოდა, რომ ცხოვრებული ძალიან ნერვული და თავისებური ქალი იყო. უჭირდა ოთხი ბავშვის რჩენა. ქმარი არ ეზმარებოდა, ერთი უნდილი და უწინარა კაცი იყო. ნუცა ოჯახის გადასარჩენად და ქმარ-შვილის გამოსაკვებად არანაირ შრომას არ თაკილობდა, ბოსტანსაც უწვლიდა, ძროხასაც... მაგრამ ხაჯალიების ოჯახს არაფერი ეჩნებოდა ნუნისლისა და კარგად ყოფნის. ნუცას ქმარი არ გამოადგაო, - ჩურჩულებდნენ ახლო ნათესავეები, თუმცა მუღღლის აუგს არავის ათქმენებდა. ძალიან უყვარდა ცხოვრებულს ქმარი. მართლაც კარგად შესაძლებელი ვაქვაცო ბრძანდებოდა, მაგრამ სხვა ეერაფერი დაიტრიალებდა, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ სმა იცოდა „ამაჯარო“. ადვილი იმედავლებოდა, ავადმყოფურად ნერვულ ნუცას ყოველივე ზემოთ თქმულის გამო გამოეჭანა განაჩენი თავისთვის. მაგრამ რატომ მაინცდამაინც ნათელა ჯეილიას ფაცვის აივანზე? - ეს კითხვაც პასუხგაუცემელი დარჩებოდა, რომ არა მეზობლის ქალი მარო. მარის მთავარი ხელობა ქორი ენთა და ენის მიტანა-მოტანა გახლდათ. მართალი ვთქვათ, ყოველ სოფელს ჰყავს ათი თუ არა, ერთი მარო მაინც. კიდევაც საჭიროა მაროსნარი ადამიანი: ვიღაცას ვიღაცასთან ნაკიდებს, ვიღაცს ვიღაცს შეარჩევს, ამის ნათქვამს იმას ნათქვამს, იმის ნათქვამს, სადაც საჭიროა, იქ გაახიზნებს და... მ. სოფელი კი სიერობს, აბა, მამ, რთი ვაერთის შომის-საო ილაჯგანყეცილი ხალხი?! ყოველ დროში და ყოველ საზოგადოებაში ქორი თავის შექცევის და ყურების და კმაყოფილების არაჩვეულებრივი საშუალება იყო და იქნება, როგორც ვხედავ. ჰოდა, აი ეს მარო დემონია ნათელა ჯეილიას - წინა დღით იჩხუბეს, მარა რა იჩხუბეს, თითი იორივს ერთმანეთი ნუცამ და ნათელამო. მართალია, რისი გულისთვის ჩხუბობდნენ, ვერ გავარკვეე, მაგრამ, ნათელა რომ მუშტებს უწევდა, ღობის გაღმოდან კარგად ვხედავდიო. - რისი გულისთვის ვიჩხუბეთ და... შენი საქონელი ჩემს ბოსტანში ძოვდაო, ამხიზრდა საწყალო - ცრემლები გადმოაღვარდვარა ნათელა ჯეილიამ.

მიზეზი ნათელი და სარწმუნო შეიქნა ყველათვის. - ერთი წელი გაუთავებლად ილაპარაკა სოფელმა ამ ამბავზე და მერე კიდევაც მიავიწყდა ხალხს.

წელიწადნახევრის შემდეგ კი ნუცა ხაჯალიას ქმარმა ითხოვა ცოლად ნათელა ჯეილია. სოფლებს არც გაკვირვებით: ნათელა ხომ დედის სიკვდილის შემდეგ არ მოსცილებია ნუცას ბავშვებს. ობლობის, მძიმე ხვედრი, მუშუსუბუქა მათ. ჩითის პერანგებს უყვარდა, ზანდა, ვარცხნიდა, აჭმევდა. ბავშვები დიდდ ენადლიერებოდნენ. მამასაც მათ ურჩიეს, ნათელა მერთი ცოლად. ქასაც დატყო ქალის ხელი. ნათელას თხოვნით კლატროზობა შეისწავლა. მიწის დამუშავებაც დაიწყო. გაიკვირვა და გაიხარა ხალხმა - დაქცეული ოჯახი ფეხზე დააყენა, ყოჩაღ ნათელას ქალობასო.

ამქვეყნიური ცხოვრების წარმავალი სილიადებიდან ყველაზე ჩქარა დრო გადის. იგი არც ხაჯალიების ოჯახისთვის მიედინებოდა დუნედ. დაოჯახდნენ ეპიშთელები და ცალკე დასახლდნენ. ხოლო ნაბ-

ოლარა რაჟიკო არ ემეტებოდათ მშობლებს - თავისთან აცხოვრებდნენ. რაჟიკო უმცროსი იყო, როგორც გახსოვთ, გვასაკუთრებით უყვარდა ნათელას. ჩემი ნაბოლარაო, იტყოდა, არც იყო გასაკვირი და არც უყვარდა ვინმეს. რაჟიკო დედის ეძახდა ნათელას, რომელსაც დედინაცვლი არაფრით ეთქმოდა. ქალს მხოლოდ ის ადარდებდა, გულჩათხრობილი რომ გამოდგა რაჟიკო და ერთი ზნეც სჭირდა - თვალეში არასოდეს შეხედავდა თანამოსაუბრს. ნათელა ივრც იტყოდა, რა ფერის თვალეში ჰქონდა ვერს - დეე ყოველთვის თვალს არ ადებდა, ყოველთვის, ივადამოღური მოფერების დროსაც კი.

აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, რაჟიკო ორმოც წელს გადაცილებული კაცი იყო, უცოლშვილი. მამა ორიოდე წლის წინ დაეღუპა. ცხოვრობდა მოხუც დედინაცვლთან ერთად. - თუ ვინმეს შვილი გამოდგომოდა, ნათელას გამოადგაო. - ამბობდა ხალხი. მართლაც, რაჟიკო კარგი შვილი იყო, პატივისცემას და მზრუნველობას არ აკლებდა დედინაცვლს.

ოის მნახველ ადამიანს იძიათად გააკვირვებს რამე. სისასტიკე და დაუნდობლობა ომის აუცილებელი პირობაა. სოფელ ღვადას მცხოვრებთაც ასე ეგონათ, - რა აღარ ვნახეთ, რამ უნდა გავაკვირვოხო. მაგრამ, კაცი ბჭობდა - ღმერთი იცინიდაო, ნათქვამია.

ომი ჯერაც არ დამთავრებულიყო. ზაფხული იდგა. თენდებოდა. ხაჯალიების სახლიდან მამაკაცის შემზარავი ბლავილი მოისმა. რაჟიკოს ხმა იყო. უახლოესი მეზობლები პირველები მოვარდნენ და საშინელება იხილეს: ორსართულიანი აჯურის სახლის გვერდზე რომ ოღა იდგა, იმის აივნის სახურავის დირეზე ეკიდა მოხუცი ქალის გვამი. ნათელა ჯეილიას თავი ჩამოეხრჩო.

შერ ავიშვილდა და შემდეგ აჩფიფოვდა სოფლი: რატომ, როგორო. მარორომ იყო ქორიკანა, ხომ გახსოვთ, ჰოდა, მისმა შვილმა ექთანმა ნანულმ დავა პირველმა დიაგნოზი - კლიმაქსი აწუხებდაო, ასეთ დროს ქალები ემედავებინაო. სოფლებები მაინცდამაინც ვერ ერკვეოდნენ მედიცინის ურთულეს სფეროში, მაგრამ, დაავადება რომ სერიოზული და თანაც „ქალორი“ იყო, ამას კი მიხედნენ. ზოგიერთებმა დასაკენეს, დანყველილები ყოფილან ხაჯალიები და მათი ქალები მითომ იკლავენ თავსო. თვითონ მარო ირწმუნებოდა, გადაკიდებული ჰყავდა ერთი მეზობელი და იმან გაუკეთა ჯადო - თავს რო აკვლევინებს, ისეთიო. ასე იყო თუ ისე, მეხუთე დღეს დაკრძალეს მიცვალებული. რაჟიკო ნვერი მოუშვა.

სამეგრელოში წესად ექნა, დაკრძალიდან მეორმოცე დღეს ნვერს აჭრევიანებდნენ ახლობელ ქალებს, რომელსაც „დედისმაგიერად“ მოიხსენიებენ შემდგომ. რაჟიკოსაც სთხოვა მეზობლის ქალმა, მე შეგაჭრი ნვერსო. იუარა თურმე რაჟიკო - დედისმაგიერა არ მნამს მეო.

● დროისა და ბედის სიმუხთლემ რაჟიკო ხაჯალიას დედაქალაქის ერთ-ერთი საავადმყოფოს პალატაში

მიუჩინა ბზინა. წერილმანი ვაჭრობით ირჩენდა თავს. გალოთდა. დაავადდა. დალოგინებულს უწინა სიკვდილის ფაშმა. ქალადი და კალამი უთხოვია ერთ დღეს. დაუძღვრებულს ერთადერთი წინადადება დაუნერია, უცნაური და გაუგებარი: „მე სხვა დროს მოგვეკვი“.

— არანორმალური იყო ცხოვრებული, აბა, დალაგებული ამას დანერდა? — მითხრა რაჭიკოს რძალმა და ქალადი გამომიწინდა.

„მე სხვა დროს მოგვეკვი.“ — იუნყებოდა წარწერა — არეული, უმწრო ასობით.

რატიმალაც ჩანთაში ჩავიდე წერილი. იმ დღიდან რაჭიკოს უცნაურ ბედზე ფიქრი ამეკვიციატა. ერთ დღესაც ისევე გაეშალე ფურცელი და თითქმის სრულად სუსთავა გვერდის კითხვა დავიწყე:

„მე რაჭიკო ხაჯალიან, ვგრძნობ რა სიკვდილის მოახლოებას, გვედრებით, გემუდარებით ჩემს ახლოლებს, ნუ დამიტრებთ, არა ვარ ღირსი. არც ერთი ცრემლი არ გამატანათ. ცრემლი წმინდაა, ჩემს უღირს სხეულზე არ უნდა გაჟრეს.“

ჩემი მეხსიერება იმ დღიდან იწყება, როცა მშობლების ჩხუბს მეორე თთახიდან მივაყურადე, სრულიად პატარამ. მამაჩემი ყვიროდა, დედა კი გულამოს კენილი ტიროდა.

— არ გიყვარვარ, არ გიყვარვარ, ვიცი მე, — მომესმა დედის სიტყვები.

ჩემი უსაყვარლესი, ჩემი ყველაზე კარგი, ჩემი ტკბილი დედა რომ ვილაცას არ უყვარდა, ამაზე დამწყდა ძალიან გული. აგტირდი. პირველი დედა გამოვარდა, გულში ჩამიკრა — ნუ გემინიაო, — რატიმალაც ასე მითხრა. მაგრამ მე იმ დღიდან ყველაფრის მეშინოდა. მეშინოდა, რომ ერთ დღესაც გავიგებდი მამის ყვირილს და დედის სასონარკვეთილ „არ გიყვარვარს“. დედაჩემს კი მამა მართლაც არანორმალურად უყვარდა, ეს ყველაფერში იგრძნობოდა, გამოხედვავიცი კი.

მხატვარი-ლიტერატორი იკვლევდა: შენ მიიქვ ეტეკოდინება, კაცო, - მითხრა ერთმა ახალბედა ფიქში, ახლსას ხარ ყანწელეობათ, შენი მეგობრები არიან, მითხარი, თუ ვიყვარდე: ენია ეს ელენე დარიანი? ეს კიოხვა კარგა ხნის მანძილზე ანეაღვდა იმდროინდელ საზოგადოებას, ლიტერატურის კრიტიკოსებს და არა მხოლოდ იმდროინდელს. მის-ტიფიკაციამ, რომლის ბურჟუაზი შეეგნებულად გაახვიეს ყანწელეობაში კითხველი, გაიმარჯვა. მაშინ არავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ „დარიანულის“ ავტორი ქალი იყო, თუქცა ამ ქალის ენიათა ვერანაირად ვერ დაადგინეს. „მეგრამ... იყოს ის, რამაც რეალურ ცხოვრებებში ჰიქვი მისცა და სათავად დაუღო ელენე დარიანის პოეზიაში დაბადებას და რაზეც ბოლო ხანებში ალაპარაკდა ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა“ - მიუთითებს თამარ პაიჭაძე. ეს „აბიძე“ და „ასათავ“ კონკრეტულ ენა ქალი - ელენე ბაქრაძე გახლდათ. ლიტერატურათმცოდნე გეამცნევს: 1912 წელს სახმერის მახლობლად ლესევიმ ოცი წლის პავლე იაშვილას და თხოუმეტი წლის უშვენიერეს ელენე ბაქრაძეს ერთმანეთი გაუცნიათ, გაუცნიათ და კიდევ შეპყვარებიათ. ტრფიალთა გზები მალევე გაერთა. ერთმანეთის წერილებივღა ეხმანებოდნენ. ერთგა გ - გამასხურ-ღია გულალაღად წერს: „ზარიონის, გოციეს სატრფიალო ბარათებს უფრო დიდი ინტერესით ეკითხულობ, კიდევ მათს გრადევიტებსა და პოემებს“, - ცის კარი, 1997 წ. 124. თამარ პაიჭაძესაც იმეგარო ამონარიდები მოჰყვამ ორი წყვილის სატრფიალო წერილებიდან, სულს რომ ავიფორიავებს, თანალმოებით განგანყობს გამიგურებულთა მიმართ: „არა მატეს უფრო უშვენიერი ფიქრები შენცა და, რაც უფრო შორს ხარ, მით მეტად ვგრძნობ, რომ სიცოცხლე უშვენივ არის გამოუქმელებ სეღვითა სასაღვლო“ ამგვარად დაიბადა დარიანი (ციკლის ლექსთა წარმომბობი გამოსხურე). ლექსთა ამ წყებას საზოგადოებაში უფრორი გამოინეია. მკვლევარი ამ ფაქტს სწორ ახსნას უძებნის: „ეს ლექსები იყო ამბოხი, გალამქრება და მძაფრი რეაქცია ეპისტილსა და არათათვილის სტრფიალო ლირიკაში დავანებებულ ჰესიონზმის, გავრცილო სახეებში, ვარბეულბოლიანი მტფაფორის გადამ-ღერებების, სულიერი სიფაქიზის მსხვერვის... რეველუციური-პოლიტიკური ენებათაღვლის შედეგად შექმნილი ლიტერატურის წინააღმდეგ“. კრიტიკოსთა და საზოგადოების მხრიდან „დარიანულს“ სასტიკი რისხვა დაატყდა თავს. მუხე-წინად იმისა, რომ ენობლი მკვლევარ გ. ჯავახიშვილი თავის დილა პატივს მიავებს ელენე ბაქრაძეს, მაინც ასპოლუტური-ად სწორად გვეჩვენება თამარ პაიჭაძის დაცვა:

„თავისი მხატვრული სახით, ლექსის ფორმით, სიმბოლური სახეებით დარიანული ლექსები წარმოადგენს, საზოგადოდ, სიმბოლური მსოფლალქმის, კონკრეტულად კი პოლო იაშვილის მთელი პოეზიის ერთ ლოკუსურ განმტოე-ბას“.

ავტორი ვარაუდობს (თუმცა, აღბთ, ვარაუდი საჭიროც არაა), რომ შესაძლებელია, ელენე ბაქრაძე წერდა კიდევ საკუთარ, როგორც „შავ“ მასალას, ან პაოლის უზიარებად საკუთარ განცდებსა და გულისწანებას, ტკივილებს და ამ მასალის გეადამუშავებით იქმნებდა დარიანულები; დიდი პოეტის რედაქტირება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უზრალ რედაქტორის სწორებათ. მიითებული წერილის - ცისფერი ორფენის სულიერი პრინცესა“ - გამოქვეყნების შემდეგ, ვფიქრობთ, უნდა დასრულდეს მითი ელენე დარიანის, როგორც რეალური პოეტის, შესახებ.

მკვლევარი ზუსტად ახსიაიებს „დარიანულის“ ლირიკულ გმირს ლექსები, ავტორის ხზრით, არის „ერთ თენატურძირზე შემდგარი, განცდასა და განწყობილებზე აგებული ლექსები“. ეკითხებით პოეტის ამ შინაინმეგ მისთვის და ვხე-

დათ, რომ ნელ-ნელა იკვეთდა ლირიკული გმირის, ქალის „ვაქიზი შინასაყარო, სავექ მმარერი ემოციებით, ტკივილები, სეღვითა თუ სიმარული“. წიგნის ავტორი ყურადღებს სა-განველო ამანველებს შიშს სიმბოლა კაცზე, აღნიშნავს, რომ „ქართული ტრადიციული „მზე დღე“ პაოლი ამბოლთაან ვა-ჭური საწყისით იცვლება“. პირამდები კი მარადელობის, ზღა - განახლების, სამყაროს მთლიანობისა და შეუღებობის, უდაბო - დუმილისა და უკიდევანობის, ცხენი - ბედისწერის სიმბოლოთა; სინტერესოდ განმარტებს ავტორი დარიან-ულებში მოხსენიებულ ძიარვლას ქვითა, მათი ფერების მნიშ-ვნელობას; აღნიშნავს, ფერი ხშირად გმირის ხასიათის გახასხ-წნელად, მის მიერ სამყაროს აღქმის გასარკვევად გამოი-წენბო. დასჯება ამგვარია: „საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სიღრმის, რაფინირებული ესთატიზმის, შემოქმედებითი თავისუფლების, სულიერი სიმაღლის, საოცარი ექსპრესიის და დრამატიზმის, უშვენიერესი პოეტური აზროვნების თუ ნაღვოვნების აღმოჩენას და გაცნობიერებას მრავალი წელი დაესჭირდა ქართველი კითხველისათვის და, ვფიქრობ, ეს პროცესი ვერც არ დასრულდება“.

1925 წლიდან თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე დიმი-ტრი ქებაძის მინერალური წყლებითა პელითონში, გამოჩენილა არამიწიერი სიღამაზის თამაზისა წერტილი; გამოჩენილა და მამიხე ახალაზარევათა მამიხე დედა ანდამატადაც ქვეუ-ლა. წერილი, საიდან მოდის სიღამაზს“ ავტორი კიდევ ერთი უკვდავი სიყვარულის შესახებ მოგვითხრობს, ვარსაველ დღეთა ლაბირინთიდან კიდევ ერთ მინაველ სიღამაზეს გამოიხიზმოს და ტიციატ ზაბაძის სატრფიალო ლექსთა ადრესატს კიდევ ერთხელ შეგახსენებს. ვფიქრობთ, ყველაზე გამორჩეული სწორედ ეს ლიტერატურული წერილია, სწორედ მასში წარმოაჩინა მკვლევარმა თავისი მაძიებელი სული. დღევანდელი ადამიანი იმდენად ჩაიძრა ყოველდღიურბა-ში, მისთვის მრავალ ფაქტს განცდას ფასი დეკარტე. ამიტო-მაც საჭიროა, კიდევ ერთხელ მეჩვენებოთ სიყვარულის, ერთ-გულების სიკეთის ავიღებლობა.

მიითებულ წარკვევს თითქმის დალიტოქოვიად გას-დეგ ავტორის მიერ შეჯელობის დახასრულს მოხიზმბილი პავლე მინოქულის სიტყვები: „სიყვარული არასადა დავარ-დების, ვინათუ წინასწარმტყველებიანი ვაქმარდება, ანუ ენაში და - ვესტრენ, ვინათუ მეცნიერება ვაქმარდება“.

პირველი სახეისთანავე შეუყვარდა ტიციანს თამაზისა წერტილი. ამ გარნობას არ მალავდა. „ეს გატაცება იყო სუფთა რომნტიკული ციური, მოკრალბული და ამიტომაც ამათვედა ლექსს ამგვარად: „შენს ვარად ალბათ სხვაც მომიტყეებს, რომ შენზე ვფიქრობ დღეს, თამაზისა“. არა მხოლოდ ტიციანის ლექსთა მიძღვის ობიექტი ყოფილა. მერ-ვილის ამაქ ქალი“, მისი სიღამაზით მოხიზმბულან და ცნო-ბილი ქმნილებანი უძღვლიანი მისთვის გ. ლომიძის, გ. გამ-სახურავის, გრ. რობაქიძის... დაბოჯება თამარი თბილისის ქუჩებში და სიღამაზეს, ემსხ, სიტყვფეს ამნევე მიძებდა ირგველ. ტიციანი კი ლექსებით უშვენივდა, თამარი არც კი იცნობდა მას. ბოლის ქალმა არწევანი ექიმ და ოურისტ ნი-კოლეს კახიბზე შეყვარა, ცოლად გაუჯავა კიდევ. თურმე, „პული მეგვარა“ სამწიფე ხეფრად მუშავდება. მის მშვე-ნიერებას დედობის ბედნიერება ჩაენაცვლა, მაგრამ მშობი-არობის შემდეგ „ორმისფებება გოგონას“ ფეხი მოჰკვეთა. ტიციანის გარნობები მის მიმართ ამ შეცვლილა. იგი კვლავ ტრფიად „ფემიტიხლო ღრუბლებს“, თუმცა მანველები-ანად წერდა: „რა დამეხეობს იმ შავ ვახაფუფუს, ბედი უბე-ღურს სხვას რაღას უზამს, ტვირი სიცოცხლის კუბის დამა-ზრბულს, გაუზარებულ დაფუთილ მუზას“. სათაურად გამო-ტანილი ლეონტიხლო კიოხვა: „საიდან მოდის სიღამაზს“ ლიტერატურათმცოდნე შემდეგ მასულს უძებნის: სიღამაზე სიყვარულში სახიფრება. იგი უკვლად არ ჩაივლის, მაგრამ ყველაზე კარგად ის ფურცილებზე ჩნდება“. სწორედ „ფურ-ცილები“ გვიამბობს, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში ცოცხ-ლებად სამი პოეტი და, სამი უშვენიერესი ანულის ტრფო-ბით ანთივლო, მდებარეობს თხზავდა. რომ არა ეს სამი რე-ალური თუ წარმოსახული სიღამაზე, მკითხველი, აღბათ, ვერსაოდეს ეზიარებოდა გალაკტიონის, ტიციანისა და პაო-

ლოს სატრფილო ღირსის მარადიული მშენებლებს.

უამრავი გამოკვლევა, წიგნი, ნარკვევი, ესეი, ლიტერატურული ნერილი მიქლენა XX საუკუნის ქართული პოეზიის სივრცეს - გალაკტიონ ტაბიძის, მაგარამის, როგორც ლექსის პერსონაჟი, არავის უკლებლივ. ა. პაჭიაძის მსჯელობაც კი უკუთხით წარმოაბნობს, ავტორი ანალიზის გულგატკივნის თანამედროვეთა მიძღვნილ ლექსებს, რომელთა პერსონაჟი თითონი მეტასანია. და ამას აკეთებს ათწლეულთა ვათვალისწინებით. 50-იანი წლებიდან გალაკტიონის პიროვნებასა და შემოქმედებას არა მხოლოდ ცალკეულ სტრუქტურებში, არამედ ლექსთა მთელი ციკლი ეძღვნება ქართულ პოეზიაში - დასაქმეს მკვლევარი და ნიმუშად მიაჩნდა ირ. აბაშიძის „ოცი ლექსი გალაკტიონ ტაბიძის“. ავტორი აანალიზებს ტ. ტაბიძის, ლ. ასათიანის, ტ. ვრანელისა და სხვა ძველი პოეტების შედევრებს აღნიშნული თემაზე. ამ წრეს უერთდებიან თანამედროვე პოეტებიც: შ. ნინიანიძე, მ. ლებანიძე, ფრ. ხალვაძე, ო. ჭილაძე, ლ. სტურუა და სხვანი, საგანგებოდ არის გამოყოფილი ვ. ჯავახიძის „უცნობი“. ავტორი დაასკვნის: „მიმდინარე ლიტერატურულ პროცესზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს გალაკტიონის არა მხოლოდ შემოქმედება და პოეტური სახეები, არამედ მისი პიროვნება და ცხოვრება... გალაკტიონი თანამედროვე ქართულ პოეზიაში ერთხანის არის აღიარებული „პოეზიის მფედლ“.

„ეფუხისტყაოსის“ შესანიშნავი მკვლევარმა ვიქტორ ნოზაძემ საფუძველი დაუდო ცალკეულ სახე-სიმბოლოთა გამონელოვით ანალიზს. ყველასათვის კარგად არის ცნობილი ემიგრანტი მკვლევარის შვიდი თემი, სადაც ცალ-ცალკე მიმოიხილავს გენიალური პოემის თითქმის ყველა სახე-ხატს. თიანარ პაიჭიაძეც საგანგებოდ მსჯელობს გალაკტიონის მზეზე და მთვარეზე. პროფესორ თენგიზ ხანი კი მის მიერ შედგენილ „გალაკტიონის ლექსკონის“ მიხედვით, შემოქმედს ნომოტივებაში 28 ახალ მუტი სიტყვა. აქედან სიმბოლის მიხედვით მთორე თუ მესამე ადგილი უკავია „მზეს“. აზიტომალე ჩათვალა თ. პაიჭიაძე საჭიროდ, ემსგებლა ამ სახე-სიმბოლოებს, მოეცა მისი ყოველი შესაძლო ახსან-განმარტება. დასკვნა კი ასეთია: „გალაკტიონის მზე ქართულ კლასიკურ პოეზიაში არსებულ მუსიან არის ნილავიანი. მშენიერება და ნათელი გალაკტიონისათვის ერთია, რადგან მშენიერება სიტყვად გადმოსული ხელოვანის მუშაობით იქმნება, ხელოვანიც ნათელთან არის ნილავიანი, ისიც ნათლის ნანილია, აღბთა, ეს არის გალაკტიონიც“. რაც შეეხება მთვარეს, ავტორის ფიქრი, ეს მნათობი გალაკტიონის შემოქმედებში მის შემქველად წარმოიხილან. მთვარე მუსიკავით სხივფენი, ნათლი, დამის გუშაგი, სიცოცხლისა და ფიქრის სიმბოლოა. კრიტიკოსი მიდის დასკვნამდე: „გალაკტიონის მთვარე არ განიცდის აღმოსავლური პოეტური ტრადიციის გავლენას; პოეტის მთვარე კვლავ „ლურჯი მოგონებების აბოშმდეველი“, ფიქრებისა და იდემალების ნიშანია, მოუწვევლოში, შორეულა, მაგრამ მინიც თანამაზრე და თბილი.

საინტერესო მოსახრებება განვიტარებთ თანამედროვე პოეზიის მიმდინარე პროცესზე. წინა ასწლეულის 40-50-იანი წლებში ასაპრეზე „აღიწდა“ თაობა, რომელმაც იმ-თავივედ დაისახა მიზნად განსხვავებული ხელოვანი. იმ-თავივედ, მალე გამოიკეთა ის სახალენი, რაც ამ თაობამ მოიტანა: ახალი სააზროვნო სისტემა, რაც მედღეობითი ელიტრების გადლიერებას გულისხმობს; პანეკრიკული ტონის დადღევის მიდგრეკლება; კრიტიკის მისხა და პო-ლიემიური პათოსის მომღაერება; ურბანისტული მოტივების დამკვიდრება. ყოველივე ამას თან დაერთო, დასქნეს მკვლევარი, სტილისტური სახლებები: სასაბორო ინტონაციებისაკენ შემობრუნება, თანამედროვე და არქაული ლასების შერწყმა, სიტყვის ლერინიკითა ჩაღრმობა. ავტორი საგანგებოდ მსჯელობს ვებრიტატივაზე. აღნიშნავს, რომ იმხანად ძირითადად ლექსის კანონიკური ფორმა ბატონობდა, თუმცა ცალკეული გამონაკლისი სახით არსებობდა არა-კანონიკური ფორმებიც. სასულიერო აზრი: საზოგადოების დემოკრატიზაციისა და თავისუფლების გაფართოების შედეგად თანდათან მომღაერაფე ე.წ. „თავისუფალი ლექსი“ - ვერლიბრი. მართლაც, უკვე 70-იანი წლებში ფართოდ

გამოხალა დისკუსია თავისუფალი და კანონიკური ლექსის შესახებ. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ უკვე პრიციპულად დადავა თავისუფალი ლექსის პრობლემა. ჩვენი მკვლევარი საკითხს უფრო ფართო თვალსაწიერიდან შესცქერის: „გემ-მარტიტი პოეზიის განვითარების ზე ზე ჩაეტება ვერც ერთი ნიშანსარ დადგენილი თვირისა თუ სუბიექტური მოსახრების ჩარჩოში“. თ. პაიჭიაძის მსჯელობიდან არ გამოჩრჩენია ერთი ფაქტი: პოლემიკის დროს მოკამათით ყურადღებიდან გამოპარვია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი - ისინი ვერლიბრის ცნებაში ურთობს ლექსს (თეთრ ლექსს) გულისხმობდნენ. ეს კი საკითხისადმი უპირთებულ მიდგომა იყო. იგი დასკვნა: „არსებობს რთობიანი ვერ-ლიბრი და ქართულ პოეზიაში სწორედ 50-იანელთა თაობამ დაამკვიდრა ეს ფორმა“. შემდეგ ნიმუშთა მოშველიებით ადასტურებს, რომ ვერლიბრი უფრო კიდევ 50-იან წლებში ითხზებოდა და იგი როდია 70-იანი წლების მონაპოვრი. საილუსტრაციოდ მოყვანილია მ. მაჭავარიანის, შ. ნინიანიძის, შ. ლებანიძის ამგვარ ყოიდაზე გამართული ლექსები. თუმცა ნივინიდან ისე გამოდის, რომ ამ ფრთას უერთდებიან ტ. ჭანტურია, ვ. ჯავახიძე და სხვები. შეგინებია, რომ ესე-ნი არ არიან 50-იანელები. ისინი სამოღვაწეო ასაპრეზე 60-იანი წლებიდან გამოდიან.

წიგნში საგანგებო ყურადღება ექცევა შ. ნინიანიძის პოეზიის, ცალკეულ სახე-ხატების ანალიზს. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც მკვლევარებმა დისკრეტივა სწორედ შ. ნინიანიძის პოეზიაზე დიდება. სასულიერში აქ ისაა, რომ თ. პაიჭიაძემ ამ დიდებულ პოეტზე ფიქრი და ძიება ამის შემდგომაც არ შეუნევეტია და თავის ახალ ნააზრევს წარ-ნივადგენს. ავტორი ანალიზებს იმ ლიტერატურულ ნივადებს, რომლებს ნინიანიძის დახვდა. პოეტს იმ გამონაკ-ლისათა რიცხვს მიაკუთვნებს, ვისაც კრთხელ აღებული გე-ნისთვის არ უღალავია; იქვე აღნიშნავს ნინიანიძის პიო-ელსავე ნიმუშებს კრიტიკა დადებითად შეეკებათ. თ. პაი-ჭიაძე მიიჩნევს, რომ შ. ნინიანიძის ერთ-ერთი მთავარი საწუ-საფიქრალი ეროვნული პრობლემატეკია. ამის შემდეგ მო-დის მსჯელობა ეროვნულობის სიმბოლო-ხარზე. ამ სახე-სიმ-ბოლოში პოეტს მამულისთვის თანადებულ, მსახურ, მასზე გადავებულ ერთსაკვს გულისხმობს.

გარდა ამისა, ისტორიული სახელების ასახვები შ. ნინი-ანიძე აგრძელებს ილიას გზას. მის შემოღობებს. მიგვაჩინა, რომ პოეტური ძლიერებითა და ესთეტიკური თვალსაზრისით, მყოველ ასწლეულის მყოველ ნაწილში სწორედ შოთა ნინი-ანიძე ზის გალაკტიონის ხაქმ ტახტზე.

საინტერესოა ერთი დაკვირვება: ილიას მიერ „საჯილდოო ქეად“ დაღველები იანიჩრების თემა შ. ნინიანიძემ საუკეთესოდ ზეაზიდა და მხატვრული გადანყება მოუძედა მ ლექსში „მამულები“. რაც მთავარია, ნინიანიძე ახრებ-ებს ნარსულიად ვერცდი და აგლი უი საზიარობს, არამედ მზურგალი ნაღვერადლი და გაცილებლი გულები გაგვიტო-ბოს. ამას იგი სწორედ იგი კეთებებს, როგორც ილია და აკაკი თავის დროზე. ამასთანავე, მკვლევარი საშარლიანად ფიქრობს, რომ პოეტი „გარემოების საყვირია“, მსგავსად მეცხრამეტე ასწლეულის სამოციანელებისა. მთელი მისი შემოქმედება ამის დასტურიაო, - დასძენს კრიტიკოსი.

ცნობილი ფაქტი: XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს პოეზიაში მომძლავრდა სატრულ-ორიონული ნაკადი. კრი-ტიკოსები ლაშობდნენ, გავრკიანთ ამგვარი ღირსის ში-მ-ძღაერების მიზეზები, მათი ერთი. ექვთიმული მიიჩნე-და, რომ ამ ნაკადმა მოიტანა და დაამკვიდრა ენობრივი სიხ-ხლები, რამაც განაპარობა „პოეტ-მოსისის“, „ლექსი-მოსი-ერის“ თანდათანობით შეცვლა შესაბამისად „პოეტ-არლე-კინთი“ „ლექს-სიცილითი“... ამგვარი ნაკადი ხელს უწყობს პოეტური აზროვნების განახლებას, იმ დღეობების დაძლევის, რომლებიც აზრკულეზებ პოეზიის განვითარებას (ირ. კენ-ჭოშვილი, „კრიტიკა“, 1985, 1) სანაინაღმდეგოს ფიქრობდა ა. ვასაძე: თუკი ამგვარი ნაკადის მომძლავრებას გუნდრუკს დაუეკმეთ, ეს იმის ნიშნავს, „მომონიდა და უშიბო მოი-ქნებს ერთთავად და ციხარს“ თავიანი ლექსებში, რათა პოე-ველებულად არ გამოჩრდნენ“ /ა. ვასაძე, „კრიტიკა“, 1985, 2/.



ორ კენჭსმოვიღისა და ა. ვასასის პაექრობაში ფეიქრობოთ ულოგოკობა შეინიშნება: პირველი კრიტიკოსი აღნიშნავს ფაქტს და იძლევა მის ახსნას, ოღონდაც როდი მოითხოვს, რომ ამ სტოლს, ასახვის ამ მანერას, გუნდრუკი უნდა უკმობინ.

აღნიშნულ მოვლენას თ. პაიჭაძე შემდეგ ახსნას უძებნის: „სატირულ-ირანიული ნაკადის მომძლავრება პასუხი და უშუალო აუვადგი იყო იმ საზოგადოებრივ მანკიერებათა არ-ნახაული ყვეაგებისა, რაც ხალხს სამოცდაათწლიანმა დიქტატატურამ მოუტანა“.

ჩვენი მხრიდან დავეძინდით: XX საუკუნის 70-იანი წლები იმითაა ნიშანდებული, რომ ლექსის რომანტიკულ კილოს მხარდახმარ მისდევს ირანიულ-პაროდიულ-ცხოვრებისეულ მანკიერებებში, მნიკლში პოეტებმა დაინახეს არა ტრაგედია, არამედ სანუთროს ნაკლი და სიმბინჯე, რომელ-იც სიცილისა და დაიცინვის ღირსია. „სიცილი უკუვე წინაშეს მონინააღმდებეუ გამარჯვების გაადვილებას“ (რ. მიშველაძე, ქართული სატირული ჟურნალისტიკა, გვ. 17).

თ. პაიჭაძეს საგულისხმიერ დასკვნები გამოაქვს, როცა იხილავს შ. ნიშნინიძის მიძღვნილ პოეზიას. მინიშნებულია, რომ ნიშნინიძისეული სიყვარული – ეს გახლავთ ობიექტივიზებული სიყვარული, რეალისტის მიერ ნაგრძნობი და განცდილი. სანიშნულად კარგი მავალითაა ამორჩეული:

ფრესკიდან ჩამოსულა ყინვისისი ანგლოზი,
უვალბუნე ჩიტები ნათლით გარემოსილს.
მოდის ფეხმიშველა, მოდენის ბოჩორას,
ყანაში მითბელებმა ხელები მოიჩრდელეს,
გაშენი დაგელოცოს, ქვეყანაც დაგელოცოს,
ჩითის კაბიანო ყინვისისი ანგელოზო...

განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით, ასევე სიფრთხილით ეკიდება მკვლევარი მითოლოგიურ-ფოლკლორულ საწყისებს. საყურადღებო დასკვნებს გვთავაზობს ხარის პერალდიკურ სიმბოლოზე. მსჯელობაში შემოჰყავს ილიასეული ლაბა-ხარიც და მითითებს: თუ ილიასეული ხარი სოციალური პრობლემების მატარებელია, ხოლო ვაჟასეული ეროვნულ-პატრიოტულ დატვირთვის იძენს, ნიშნინიძისეული ხარი ვაჟასეულთან უფრო ახლოს დგასო, ოღონდ თანამედროვე პოეტმა „ხარის სახე უფრო განავრცო, გააღრმავა, მისი სიკეთე და მაღლი უფრო ფართო მასშტაბისა და მნიშვნელობისა გახადა“:

მე ვარ მისანი, ხარი ნიქარა,
შენი დერიტა ვარ, მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მისთვის გამპოვარო,
რომ გემსახურო და გეიროვალუო.
...და, თუ ტკონია რამე ტკვილი
ან რამე ჭირი ზნეკეთილისა,
ამილოკია ქვაპარილოვით
და ხარის ცრემლით დამბიტრონა.

კრიტიკოსი ქართული წარმართული რელიგიის ელემენტებსაც იხსენიებს. მუხა, - ამბობს იგი, - ქართული წარმოდგენების მიხედვით, „ზუსტულ-ქვესენილის მაკაცმორებელი, კეთილი სანყსია, რომელიც სიკვდილის შემდეგაც ტრევებს კვალს: კოსმონიურად მსოფლმსგედველობით, დამწვარ-დამბილი მუხა მუტად, სითბოდ და ჩრდილებად გარდაიქმნებოდა“. ამ მონაცემებს შ. ნიშნინიძის პოეზიაში განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება:

ნიღა და მუხა და მუბუნებდა,
გულის სიმღერას ამბობდა თითქოს;
ვადაერია დედაბუნებას
შუქად, ჩრდილებად, ნაცრად და სითბოდ.

ასევე საკანგებოდ არის ახსნილი ვაზის სიხმრის სიმბოლოკა. ვაზი პოეტის ღირაკაში სულიერებასთან, სინმიდესა, ძლიერებასა და ერთგულებასთანაა ასოცირებული, ხოლო, თუ სახარების ანდა აგიოგრაფიის მიხედვით, მგელ ბოროტების სიმბოლოა, შ. ნიშნინიძის ღირაკაში იგი გამორული სულის, მტრისადმი შეუბრალბელობის, საკუთარი რწმენის სიმტკიცის სახეა. აქ უფრო ალგეთური მგლის ლეკვების ასოციაცია გვეძლევა.

კრიტიკოსს გემოვნებით შურჩევიან შ. ნიშნინიძის ცალკეული მეტაფორები, მხატვრული თქმები. საჩვენებელ ნიმუშად მს ტაქტიკა მოუწოდება:

დილა ატბებში შეყუჟულა ხობის ლაპრივით,
ცრის თეთრი წვიმა – ცის წყალობად გამაგრზანელი;
თიხისპირებზე გამოჟურავს მზე საგზალივით
და მიწდო-მინდორო სათიხარში მიდის აპრილი.

ან კიდევ:
მოოქროვილი და მოვერცხლილი;
ნისლე ზმორებით ადგა მიწინდა,
სარზე მამალმა ხმა ჩაიწმინდა,
მზე გაღაყლამა თიხლო კვერცხივით.

ეპითეტ-მედარებებიდან მკვლევარი საუკეთესო ნიმუშებს არჩევს. თუმცა შ. ნიშნინიძის პოეზიაში სამისოდ მას დიდი შრომა და ძიება არ დასჭირდებოდა. მკითხველი განიცდის თუნდაც ასე ნაწყვეტ-ნაწყვეტად მონოდებელი ცალკეული ამონარიდის ესთეტიკური სხვისოსილებას და მაღლიანობას. „სელიკო – ერთი ნკეთი ნიანგი“; მოვერცხლი-ნავს ვერცხლისწალივით; გზა მაკრატელივით მოიკეცა; „სიგარეტივით გავაბოლბე ჯიმიან სტრიქონს“...

მკვლევარი იძლევა დასკვნას და აღარ გვიტოვებს რაიმე ეჭვს, არ დავეთანხმით მას: „შოთა ნიშნინიძე მონუმენტული ხელწერის ლირიკოსია“, ვისაც დიახაც შემეწონდა და მევერებოდა ის პოეტური საგარემელი, რომელიც ასწლეულის პირველ ნახევარში გალაკტონის ეყრა.

თ. პაიჭაძის ნივნის გამო უნდა დავძინოთ: იგი ფაქიზად გაღის ნაცნობისა და უცნობის ზღვარზე. ეს კი განაპირობებს მისდამი მკითხველის ინტერესს.



წესა ცოტნიაშვილი

კონფლიქტის კონტურები ზრესაში

ქართულ-ოსური ურთიერთობა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში გამოირჩევა კეთილგანწყობით. ისტორიული თანაცხოვრება საერთო ინტერესების დაცვასა და ურთიერთდახმარებას ავალდებდა ორი ხალხის ღირსეულ შეილებს, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენს ისტორიაში ურთიერთდაპირისპირების არაერთ მაგალითსაც ვმოქმედობთ. XX საუკუნის მიწურულს, უკანასკნელი კონფლიქტის მონაწილე უშუალოდ დღევანდელი თაობაა. საინტერესოა, როგორ აისახება ის საუკუნეების შემდეგ. ამ თვალსაზრისით, ალბათ, დიდი მნიშვნელობა ექნება იმ ვაკეპეცენებულ მასალას, რომელიც თანამედროვე ჟურნალისტიკამ შექმნა.

ამ პრობლემათი ძირითადად ინტერესდება ქართული, ოსური და რუსული პრესა. ბუნებრივია, გარკვეული ტენდენციურობა თითოეულ მათგანს ახასიათებს. ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ორ მასალაზე რუსული პრესიდან. მათი გამოქვეყნება საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ სისხლისღერის საბოლოოდ შეჩერებას ემსახურება. პირველი რუსული მაღალჩინოსანი სამხედრო ნრის, მეორე კი ოსური ხელისუფლების წარმომადგენლის პოზიციას ასახავს. ვფიქრობთ, ყველა ეპოქაში საინტერესო იქნება, თუ რა მიმართულებით ახორციელდნენ ქვემოთ მოხმობილი გაზეთები საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას.

როგორ ამუქებს ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესებს ან დროისთვის ამიერკავკასიის რუსული სამხედრო ძალების გაზეთი „Закавказские военные ведомости!“ ამ თვალსაზრისით საინტერესოა აქ გამოქვეყნებული ინტერვიუ შერეული სამხედრო ძალების სარდალთან გენერალ-მაიორ იური იარვოთან. ინფორმაციულ ჟანრებში ინტერვიუ გამოირჩევა მოვლენათა დახასიათების მკაფიო საშუალებით. ინტერვიუერი უშუალოდ აფიქსირებს თავის დამოკიდებულებას ჟურნალისტისთვის საინტერესო საკითხისადმი. ჟურნალისტისთვის თეორიის ცნობილი მკვლევარი ლ. კროიჩიკი ზუსტ განმარტებას გვთავაზობს: „Специфика интервью как жанра заключается в том, что в его тексте внешне присутствует точка зрения не автора, а собеседника журналиста. Это не означает, что голос публициста в интервью не слышен“.

ჟურნალისტი პაველ სერგეევი ინტერვიუს შესავალ-

ში წერს. რომ ამჟამად შესამჩნევი სტაბილურობაა რეგიონში და ეს სამშვიდობო ძალების დამსახურებად მიანჩნია. ასეთივე აზრი დაპირისპირებული მოსახლეობის წარმომადგენლებსაც გამოუთქვამთ. იური იაროვის პიროვნება მათთვისაც მისაღებია. იაროვის პროფესიონალიზმის, სამხედრო გამოცდილების, ლაკონური ზუსტი მეტყველების, გამოზომილი დიპლომატიური ურთიერთობების უნარის, განათლებისა და ეროდიციის შესახებ ჟურნალისტი აღტაცებით წერს.

იური იაროვი სიტუაციას ასეთ შეფასებას აძლევს: „Наверно было бы излишне назвать ситуацию здесь напряженной. Я бы оценил ее как нормальную вполне контролируемую. С другой стороны поводов для усложнения нет: непристойно остается криминогенная обстановка, вызывает обеспокоенность большое число происшествий, правонарушений и преступлений на бытовой, на почве криминальных „разборок“. Не исключена вероятность некороткого обострения ситуации в связи с наступлением весны...“

როგორც ჩანს, მთავარსარდალს კონკრეტული ექსცესები ალღეუვებს და თავს იკავებს საერთო ვითარების გლობალური ანალიზისგან. აქედან გამომდინარე, ამართლებს საკუთარ მისიას კონფლიქტის ზონაში. გაზაფხულის მოსვლის ლოდინი აღიქმება, როგორც რუსული ჯარის სტრატეგიული ზრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე თავის დამკვიდრებისთვის. თუმცა რედაქციონალური სტატისტიკის იმედიანობა და დამაჯერებლად დაპირისპირების მოსვლის ლოდინი დაპაულობის ეს კალაქის ტენდენციის შესახებ, პოლიტიკური და საყოფაცხოვრებო საკითხების გაანალიზებისგან თავს იკავებს მას შერეული საკონტროლო კომისიისა და ორი მხარის წარმომადგენელთა შეხვედრების საგნად მიიჩნევს. მისი აზრით, ბრძნული იყო გადაწყვეტილების მიღება. სამეროვანი სამშვიდობო ძალების შექმნისა.

В этом предвстает и заключается весь смысл нашей деятельности. Начиная с прошлого года созданы и успешно функционируют объединенные бронетруппы, находящиеся в постоянной готовности для поддержки (при необходимости, совместно) совместных патрулей и застав...

რუსული მხარის ლიდერის პოზიციაზე ყოფნა, ბუნებრივია, სამშვიდობო ძალების სარდლის უპირველესი მოვალეობაა. ამ პოზიციის აღსრულება დაპირისპირებულ მხარეთა ერთად მონაწილეობით კი – რეალური შედეგი. ასეთი განწყობა ქართველ მკითხველს, მართალია, უკმაყოფილოდ ატოვებს, მაგრამ აღნიშნულ ეტაპზე სტაბილიზაციის შენარჩუნებისთვის დადებით როლს თამაშობს. ი. იარიუი სამოვცემბო შენიშვნას, რომ სამშვიდობო ძალები ორჯერ მხარის სამართალდამცავ ორგანოებთან აქტიურად თანამშრომლობენ, რადგან მათ ყველას საერთო პრობლემა აწუხებთ. ასეთი ურთიერთობები და მათი დემონსტრაცია კი მოსახლეობის ურთიერთდობის აღდგენასაც განაპირობებს.

“Потерян темп процесса урегулирования” ასეთი ხმაურიანი სათაურით გვთავაზობს გაზეთი “Независимая газета” ანატოლი ჟაფიევის წერილ-კომენტარს ცხინვალისადმი. აქ საუბარია დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართვაზე რუსეთის, საქართველოს, საერთაშორისო ორგანიზაციების, დსთ-ის მასშედიის საშუალებების და მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროსადმი, ვინც დაინტერესებულია ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებით. მასში ნათქვამია, რომ ომი სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ მოახერხა საქართველოს აღრინდელმა ნაციონალურ-ექსტრემისტულმა ხელისუფლებამ, რამაც გამოიწვია ათასობით ადამიანის განადგობა და სიკვდილი. ათეულთასობით ადამიანმა იძულებით დატოვა მშობლიური კერა და თავშესაფრის საძებნელად გაემართა. განადგურდა და დანგრევა ასზე მეტი სოფელი, ათასობით საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა. უმიძღვეს ზარალი განიცადა სამხრეთ ოსეთის ეკონომიკამ. ომის შემდგომ პერიოდში მოხერხდა მხოლოდ უმნიშვნელო დანაკარგის აღდგენა. საკუთარ კერაზე დაბრუნებულ დევნილითა რიცხვი მცირეა. მიუხედავად ქართულ-ოსური მოლაპარაკებებისა, უმნიშვნელოა შედეგები. ასეთი ცალმხრივი ხედვა თავად უშლის ხელს იმ პრობლემების გადაჭრას, რომელიც ავტორის წინა პლანზე წამოუწევია.

ოთხმხრივი მოლაპარაკება – რუსეთის, საქართველოს, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის, ასევე ევროპის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ორგანიზაციის, როგორც შუამავლის მონაწილეობით შეფასებულია დადებითად. დიდი ხნის მოხანმართული ძალისხმევით გამოიძენა საერთო შეხების წერტილები, რაც საშუალებას იძლევა, დაპირისპირება შეიცვალოს კონსტრუქციული დიალოგით. ავტორის აზრით, სამხრეთ ოსეთში შექმნილია პოლიტიკური და ფსიქოლოგიური პირობები სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობისთვის, რაც მნიშვნელოვან საფუძვლად ითვლება სიტუაციის მოწესრიგებისთვის.

წერილში მიმოხილულია ის შეხვედრები, რომლებიც რეგიონის ეკონომიკურ გაჯანსაღებას ისახავდა მიზნად. 1997 წლის მარტის შეხვედრაზე სრულყოფილია მხარეთა წარმომადგენლებს ჩამოყვანილობით ერთიანი პოზიცია ეკონომიკის აღსადგენად არასაკმარისი ღონისძიებების შესახებ და მიზნად დაისახეს მისი ინტენსიური-

ბის გაზრდა. ჯავაში დეჟარდ შევარდნადისა და ლუღვიჯი ჩიბიროვის შეხვედრაზე გამოიკვეთა საერთო აზრი ფინანსური საკითხების მოგვარების აუცილებლობის შესახებ. ა. ჟაფიევის აზრით, ეს უნდა ეყრდნობოდეს რუსეთისა და საქართველოს მთავრობებს შორის 1993 წლის 14 სექტემბრის მიღწეულ შეთანხმებას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკური განვითარებისთვის. მასში საუბარია ერთდროულ შეთანხმებულ მექანიზმზე, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებს ითვალისწინებს.

ა. ჟაფიევი მიმოხილავს ქართულ-ოსურ-რუსული ურთიერთობების სხვადასხვა ეტაპს, სადაც დღის წესრიგში იდგა რეგიონის დაფინანსება, მაგრამ შედეგი არ ჩანს. მისი მიზანი ქართული მხარის დანაშაულებია, რათა მან მიიღოს სამხრეთ ოსეთის ფინანსურ მხარდაჭერას: Складывается впечатление, что грузинская сторона не прилагает реальных усилий для выполнения принятых на себя обязательств о пролонгации соглашения от 14 сентября 1993 г. или заключения нового. Ситуация с экономическим восстановлением в зоне конфликта ставит под сомнение возможность существенного сдвига в решении проблемы беженцев в ближайшей перспективе несмотря на то, что 1998 г в совместном заявлении лидеров грузинской и осетинской сторон от 14 ноября 1997 г был объявлен годом возвращения беженцев.

საკუთარი მოსაზრებების გასამყარებლად ა. ჟაფიევი დაიწინებინა ამტკიცებს, რომ ასეთი დამოკიდებულება გააღრმავებს უნდობლობას და დაგვაშორებს კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებას. ამავე დროს, მიმართავს აღნიშნულია, რომ ეს პრობლემა არა მხოლოდ საქართველოს შიგნით, არამედ რუსეთისაც. ამიტომ მას უნდა შეთანხმებულა განხორციელებულ სწორედ მან უნდა აგოს.

მკითხველისთვის აბსოლუტურად გასაგები შინაარსი გადმოცემულია საინფორმაციო-საკვლევი ჟანრის საინტერესო ფორმით – კომენტარით, რომლის შესახებაც ლ. კოროჩიკი შენიშნავს: Комментарий – это оперативный отклик на события; это впечатление не представляющее на исчерпывающую полноту анализа.

მომხილელი წერილი-კომენტარი ოსური მხარის რადიკალური პოზიციით, მხოლოდ ცალმხრივად აშუქებს ვითარებას, მაგრამ მისი ღირსება ხშირი კონტაქტებითა და საქმიანი ურთიერთობებით ქართველი და ოსი ხალხის დაახლოება-შერიგების სურვილის საჯარო გამოხატვაა.

განხილული მასალები მკაფიოდ გამოკვეთს მშვიდობის სურვილს და აქტიურად იღვწის მის დასამკვიდრებლად. ოსური მხარე მშვიდობის შენარჩუნებასთან ერთად საკუთარი ეკონომიკური სიძლიერებისთვის ძალღონეს არ იშურებს. მკითხველი საზოგადოება აქ ტენდენციურების ელემენტს უთუოდ შენიშნავს, რადგან ორივე დასახელებულ გაზეთში იგნორირებულია ქართული მხარის ინტერესები. მართალია, ნდობის აღდგენა და მშვიდობის შენარჩუნება პირობიტეტულია, მაგრამ უპრეციდენტი იქნებოდა ქართული საზოგადოების აზრის გათვალისწინება. პრობლემისადმი ასეთი მიდგომა გაზრდიდა რუსული პრესის ობიექტურობის ხარისხს.



დე ნარმანია

პომპროსის ეპოსი და კონსტანტინოს კავაფისის პოეზია

(აქილევსის ცხენების "მიხედვით")



კონსტანტინოს კავაფისი დაიბადა ეგვიპტეში, ქალაქ ალექსანდრიაში 1863 წელს და იქვე გარდაიცვალა სამოცდაათი წლის შემდეგ. 1882 წელს, როცა კავაფისი ათი წლის იყო, ალექსანდრიაში დაიწყო ანტიეგვიპტური მოძრაობა, რასაც საკმაოდ დიდი სიხსლის-ღურა მოჰყვა. ეგვიპტელთა უმეტესობამ, რომელიც ამ პერიოდში ეგვიპტეში ცხოვრობდა, ვაქცევით უშველა თავს. ასე მოქიდა კავაფისის ოჯახიც და კონსტანტინეპოლში გაემგზავრა. სამი წლის შემდეგ პოეტი

კვლავ ალექსანდრიაში დაბრუნდა. ცხოვრების ძირითადი ნაწილი მან სწორედ აქ გაატარა.

მოგზაურობამ და სახლგარეგანო სხვალებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კავაფისის, როგორც პიროვნების და პოეტის ჩამოყალიბებაში. ის კარგად იცნობდა ევროპული და ბერძნული ლიტერატურის ისტორიას; იცოდა ძველ ბერძნული, ლათინური, არაბული და ფრანგული, ორიგინალში კითხულობდა დანტეს, თავისი პირველი ლექსები კი ინგლისურად დანერგა.

კავაფისი არასოდეს გამოუცია თავისი ლექსების კრებული. მის სიცოცხლეში ლექსები ვრცელდებოდა პატარა ფურცლების ("feuilles volantes") ან ბროშურების სახით, რომელთაც მხოლოდ მისი ახლობლები კითხულობდნენ და არასოდეს ინახავდნენ. კავაფისის პოეზია კი მუდმივად იცვლებოდა და ვითარდებოდა. იგი გამუდმებით ასწარებდა და თავის ლექსებს და ხელმოწერებებსაც.

კავაფისი არ დაბადებულა პოეტად, ის პოეტი წლების შემდეგ გახდა. ბერძენი კრიტიკოსი მ. შირაზიუჩი წერს, რომ მხოლოდ 1910-1911 წლიდან შეიძლება მიხედვით, თუ რაოდენ დიდი პოეტი შეიძლება გამხდარიყო კავაფისი. თავდაპირველად ის რომანტიკოსი პოეტი იყო, შემდეგ სიმბოლური. დაახლოებით 1900 წლიდან იგი უარს ამბობს ყველა ლიტერატურულ მიმდინარეობაზე და ქმნის საკუთარ სტილს.

ამ კრიტიკული პერიოდის შემდეგ, მომნიშვნელოვანი როგორც ასაკით, ისე შემოქმედებითაც, კავაფისი იწყებს იმ პოეტად ჩამოყალიბებას, რომელსაც დღესაც აღტაცებაში

მოჰყავს მკითხველი. სიკვდილამდე დარჩენილი ოცდაათი წლის მანძილზე ის სულ უფრო მეტად უღრმავდებოდა ადამიანის შინაგან სამყაროს.

კონსტანტინოს კავაფისის პოეზია სრულიად თავისებური და ორიგინალური მოვლენაა. ეს არის საკუთარ თავში ჩაკეტილი, მელანქოლიური და უიმედო, ფილოსოფიური ლექსები, რომელიც ღრმად ჩააფიქრებს მკითხველს, თუმცა ისინი არც სატირას, სარკაზმს და მწარე ირონიას არიან მოკლებულნი. ყოველივე ეს, ერთად თავმოყრილი, ქმნის კავაფისის მომავალდომელ პოეტურ სამყაროს.

ცნობილი ბერძენი პოეტი კოსტის პალამასი ვანახსავებდა ორი სახის პოეტებს - მხატვრებს და ფილოსოფოსებს. კავაფისი, ეჭვგარეშეა, პოეტთა მთელ კატეგორიას მიეკუთვნება. მისი ნაფიქრი დროთა განმავლობაში არ ბერდება, არ ხუნდება. მისი გრძნობები და პრობლემები კი, ხშირად წვენი გრძნობები და პრობლემებია. მიუხედავად ამისა, კავაფისის ახალი სტილი თავისი ენობრივი თავისებურებით, გრამატიკული შეცდომებით, რთული ისტორიული სახეებით და არარსებული გმირებით მოუღებელი აღმოჩნდა მისი თანამედროვეებისთვის.

როგორც წესი, პოეზია დროს მისდევს კვალდაკვალ, პოეტების უმეტესობაც დროს მიჰყვება და არ უსწრებს მას. კავაფისის პოეზიამ გაუსწრო თავის ეპოქას, მაგრამ სანაცვლოდ თანამედროვეთა ვულგარიზაცია დაიშახურა. პალამასმა, რომელსაც ურყევი რეპუტაცია ჰქონდა იმდროინდელ ლიტერატურულ წრეში, უარყო ეს ახალგაზრდა პოეტი. ბერძენი კრიტიკოსი პეტროს ვლასიკი კი წერდა, რომ კავაფისის ლექსები არის კვრცხლები, რომელსაც ქანდაკება აკლავს.

კრიტიკოსთა და პოეტთა ასეთი დამოკიდებულება კავაფისის პოეზიისადმი, ცხადყოფს, რომ ეს ეპოქა არ იყო მზად მისთვის. კავაფისის მომზადებული მკითხველი სჭირდება, რომელმაც იცის მითოლოგია და ისტორია, ანუ შეუძლია ყოველ მის პოეტურ სახეს სიღრმისეულად ჩასწავლას.

თავად კავაფისი თავის ლექსებს სამ კატეგორიად ჰყოფდა: ფილოსოფიურ, ისტორიულ და პედონისტურ ლექსებად და, მართლაც, ასეთი დაყოფა საეჭვო მართებულია. მეორე მხრივ, არც იმამ შემთხვევაში ეჭვის შეტანა, რომ კავაფისის სამყარო განუყოფელია და ლექსი, რომელიც ერთი მხედვითი ინტერპრეტაციაა, არ არის გამორიცხული, ფილოსოფიურად იყოს ან პედონისტური.

კავაფისის ადრეულ ლექსებში ზოგჯერ იკვეთება მი-

თეოლოგიური თემატიკა. მითოლოგიური სიუჟეტის მქონე ლექსებში პომეროსის ნისაროდი პომეროსი გვევლინება. ვინაიდან, ერთი თემის ფარგლებში შეუძლებელია ყველა მათგანზე ვისაუბროთ, ჩვენ მხოლოდ ერთ ლექსზე აქილევის ცხენებზე შეაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

კავაფისმა ლექსების ერთი ჯგუფი გააერთიანა სათაურით „*Apaxia Hiera!*“. ამ ციკლის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია აქილევის ცხენები“. მასში აღწერილია ცნობილი „ილიადასული“ ეპიზოდი, სადაც პატრონოსის ნემსის ცხენებს ცემილი დასტორიან უკვდავი ცხენები. ზეცი კი არანებს, რომ მოკვდავებს მისცა ლეთიური არსებანი, რომლებიც მუდმივად იტანჯებიან ადამიანთა უბედურების გამო, რადგან ადამიანზე უბედური არ არის რა ქვეყნად არსებამ შეეხვეწი, მიწად მთრევი“ (ილ. სტრ. 447).

სანამ უშუალოდ კავაფისის ლექსზე გადავიდოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ხატი მგლოვიარე აქილევის ცხენების ძალიან პოპულარული იყო ინგლისის ვიქტორიანულ ლიტერატურაში. უამრავი ლიტერატორი თავის რეპროდუქციებში იყენებს ამ ეპიზოდს, რაგორც იმ ნაწყვეტს, რომლითაც შევიძლია განესაჯოთ მიოლე „ილიადას“ მნიშვნელობა თუ მნიშვნელობა. კლასიკური ფილოლოგიის ინგლისელი მკვლევარი რისკინი ნემს: შესაძლოა მთელ „ილიადასში“ ვერ იპოვოთ უფრო ღრმა სცენა თავისი მნიშვნელობით – მეტიც, ალბათ მთელ ლიტერატურაშიც არ არსებობს ადამიანური სიფაქის უფრო სრულყოფილი გამოვლინება, მონივნება სიკაცის ისეთი იდუმალების წინაშე – ვიდრე ის ნაწყვეტია, სადაც ლეთიური ცხენების გლოვა აღწერილი.

1891 წელს ინგლისელმა პოეტმა და მთარგმნელმა მედიომა გამოსცა რამდენიმე ნაწყვეტი „ილიადასიდან“ „პეგ-ზამეტილი მტკრით“. ერთ-ერთი ეპიზოდი იყო აქილევის ცხენები“. ვფიქრობთ, ტერმინი „ნაწყვეტი“ სრულიად შესაფერისია, რადგან პოეტმა მხოლოდ თარგმნა პომეროსის ეპიზოდები. მისი აზრით, თუ პომეზებიდან ამოვიღებთ ცალკეულ ეპიზოდებს, ჩვენს ხელთ იქნება ნამდვილი შედეგები.

არსებობს მოსაზრება, რომ კავაფისის „აქილევის ცხენებიც“ ასეთი „ნაწყვეტია“. პომეროსის პოემის შესაბამისი ეპიზოდის და ამ ლექსის შედარებაში იმ დასკვნამდე მივყავანა, რომ ეს მოსაზრება უსაფუძვლოა.

ცხადია, რომ კავაფისის ამ ლექსზე მეტად მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ვიქტორიანულმა ლიტერატურამ. მაგალითად, ინგლისელი მთარგმნელის და ინტერპრეტატორის პოპის თარგმანში, რომელსაც კარგად იცნობდა კავაფისი, შეიძლება ბევრი რამ აღმოვაჩინოთ ისეთი, რითაც მრავალ კითხვას გაუცემთ პასუხს.

ვფიქრობთ, პოპის ტექსტის თავის კვალს ტოვებს კავაფისის ლექსზე, აძლევს მას თავის, საკუთარ შეფერვლობას – იმ ფერს, რომელიც პომეროსთან არ არის. კავაფისთან გვხვდება რამდენიმე საკანძმო ფრაზა, რომელიც პომეროსთან არ არსებობს, სამაგიეროდ გვხვდება პოპისთან. „ისინიც მონაწილენი გახდნენ ადამიანთა ტანჯვისა“, რამდენჯერმე ნახსენები „უსული სხეული“, სხეული „სუნიქისა და სულის გარეშე“, „დაიკარგა, წავიდა უამრავი სული, ახლა კი – მისიც“. ეს მაგალითები საშუალებას გვაძლევს მივხედეთ, როგორია ლექსის ტონი, რომელიც ავტორს „ილიადასთან“ კი არა, მის ინგლისელ ინტერპრეტატორთან აახლოებს.

კავაფისის ეს ლექსი „ილიადასიდან“ ამოღებული ნაწყვეტი არ უნდა იყოს. ეს არის დამოუკიდებელი სცენა და კავაფისთან, პომეროსისგან განსხვავებით არსად ჩანს ავტორმედონტი. ალბათ, პოეტს სურდა ზეცის ნუბილი მასა და ლეთიური ცხენებს შორის დარჩენილიყო, მოკვდავთა გარეშე.

ცხენები უშუალოდ არიან, ისინი მზარდ დადსტორიან პატრონოსს და, ამასთანავე, ყველა ადამიანის ხედავს. ეს არის ლექსის მთავარი სათქმელი. ვფიქრობთ, თანამად შევიძლია აქილევის ცხენებში მათი პატრონი, აქილევის მეგობარი, რომელიც უკვდავი მადის, თუნდაც და მოკვდავი მამის, პელოქის ძეა. სწორედ ლედა, თვისი უნდა იყოს ყველაზე მტკიცეული და რთული ბედერულ მოკვდავთა შორის ყოფნა. მართალია, ღმერთებსაც შეუძლიათ დანახონ და განიცადონ კიდევ მოკვდავთა უბედურება, მაგრამ მხოლოდ ნუთიერად. უკვდავ ცხენებს კი საშუალება აქვთ, მილიანად შეიგრძნონ სიკვდილის საშიშროება.

თვალსაზრისა კიდევ ერთი განსხვავება. ინგლისურ ლიტერატურაში ასახულ აქილევის ცხენებს აქვთ ერთი თვისება, რომელიც პომეროსისეულ ლეთიურ არსებებს არ უნდა ჰქონდეთ. ამ თვისებას მიესადაგება სიტყვა „ჩაფიქრებულნი“, რომელიც გხვდება ცხენებთან მიმართებაში პოპისთან. ის მათ ღრმად ჩაფიქრებულებს ხატავს. მისი ცხენები მოახლოვნი არიან. ამ შტრისის დღი მნიშვნელობა აქვს კავაფისთანაც და თუმცა ის არ იყენებს ზუსტად იმ სიტყვას, რომელიც პოპის უფრო, მაინც იგრძნობა სწორედ ასეთი ტიპის განსხვავება. კავაფისის ცხენები ღრმად ჩაფიქრებულნი არიან და ის, რასაც ისინი განიცდიან, კიდევ უფრო მეტია, ვიდრე ტანჯვა, ამიტომაცაა, რომ კავაფისის ცხენების ვიზუა უფრო შიამოქცეული და მზურავალია, ვიდრე პომეროსის. ამით განსხვავდება კავაფისის ცხენების გლოვა ილიადასეული ცხენების გლოვისგან. თუმცა, როგორც ჩანს გამორიცხული არ არის, ამას სხვა მიზეზიც ჰქონდეს. ჩვენ კვლავ ინგლისურ ლიტერატურას უბრუნდებით, რომელიც აქილევის ცხენების მზურავლ სახე ადამიანის წარმადობის გამო მარადიული გლოვის სიმბოლოა. ამიტომ ერთი ინგლისელი პოეტი, ტენისონი თავისი მზურავების გამოსახავდაც აქილევის ცხენებს იმეგობრებს. ამ კერძო შემთხვევაში ის ცხენების გაფაჩარბებულ მღვდლავრებას თავისი მეგობრის სიკვდილს უკავშირებს. კავაფისმა კი, ვფიქრობთ, ვერ მოახერხა გაემიჯნა ტენისონი და პომეროსი და სწორედ ინგლისელი ავტორის გავლენით შეიტანა თავის ლექსში მეტი ემოცია, ვიდრე „ილიადასში“, სადაც ცხენები ტირიან არა პატრონოსის უდროო სიკვდილის გამო, არამედ იმიტომ, რომ მღიერ უყვარდათ ის.

ყოველზე ეს, ვფიქრობთ, არ გვაძლევს უფლებას, კავაფისის აქილევის ცხენებს „ნაწყვეტი“ ვუწოდოთ. პოეტი ლექსის დასაწყისში არ შორდება ილიადასს ტექსტს, რაც, ვფიქრობთ, ერთგვარი პატივისცემაა და მონივნება პომეროსის ავტორიტეტის წინაშე. ხოლო ლექსის დასასრული კი უფრო კავაფისისეულია.

როგორც არ უნდა იყოს, აქილევის ცხენები“ მკითხველს გულგროვს არ ტოვებს. მასში გამოხატულია პოეტის განცდა და სინაწილი მოკვდავთა ხედურის გამო. აქილევის ცხენები სიკვდილის მარადიულ უბედურებას დასტორიან. კავაფისის სძულს სიკვდილი და სიბერე. მისთვის ეს თემა ძალზე მტკიცეულია, რაც კარგად ჩანს პოეტის მთელ შემოქმედებაში.

ნიკოლაი ფილიპოვსკი

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ...

მესამე ნიგნი

რჩეული ანაჟოტავი ზოზიანთაგანისთვის

ამ ნიგნის ყველა პერსონაჟი რეალურია, რეალური არ არის ყველა ამბავი.

ნახატები ალექსეი შერინოვისა

სიტყვები ბალზური

შემდგენელი ნიკოლაი ფილიპოვსკი

პროექტის კურატორი პაველ ფილიპოვსკი

გარკანი, ნაკრები და კონჭა ტატიანა კონსტანტინოვის

მეორე, ოდნავ გაუმჯობესებული გამოცემა

● ამ ნიგნაკის ერთ-ერთი ავტორის მოკლე მონაცემები

ნიმუშიანი ფილიპოვსკი



- 1 დავიბადე. თავის დროზე
- 2 ეცხოვრობ. ერთხელ
- 3 დავქორწინდი. ერთხელ და მეტ-ნაკლები წარმატებით
- 4 გამოვეცი ნიგნი. და არაერთი
- 5 აღზარდე ვაჟი. და ქალიშვილი
- 6 ხესთან და სახლთან დაკავშირებთაც ყველაფერი რიგზეა
- 7 თავმდაბლობისგან არ მოკვდები

● ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ წარსულში თვალსაჩინო პუბლიცისტი ვიქტორ იაროშენკო და წარსულშიც ძლივს შესამჩნევი ფერმწერი ანდრეი ვოლოკოვი, ანწყომი აქტიურად ჩაბმული პოლიტიკაში.

- იქნებ, არ. სზე ნელ-ნელა კიდევ ჩაგვერბინა, - საქმიანად შესთავაზა წარსულში თვალსაჩინო პუბლიცისტმა, როცა ყველაფერი დაიღია.

- თუ სწრაფად სირბილი არ შეგიძლია, მაშინ ღამაზად მაინც ირბინე, - როგორც ყოველთვის, უადგილოდ შენიშნა წარსულშიც ძლივს შესამჩნევემა ფერმწერმა და დათვით ნაბაჯბაჯდა.

● ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ ძველი ახლობლები - ფრანგ-რუსი მხატვარი ოლეგ ცელკოვი და უბრალოდ რუსი მხატვარი ბორის კოზლოვი.

- საღამი, კახიოლ,* - გაეხუმრა ოლეგი.
- თვითონ საღამი, - პასუხად იხუმრა ბორისმა.

● ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ ავანგარდისტი მხატვრების ცნობილი რუს-ამერიკელი კოლექციონერი ტატიანა კოლოდზევი და ცნობილი არტკრიტიკოსი ვილიამ შეილანი.

- გალერეა „შვიდ ლურსმანში“ მთლად დაჯაბნა კოლდზევი, - არც აცია, არც აცხელა, ისე ჩაარაკრაკა არტკრიტიკოსმა. როცა რაიმე სისაძაგლეს ამბობს, შეილანი უფრო გულწრფელია, სეველიანად გაიფიქრა მოშორებით მყოფმა გალერეის უცვლელმა დირექტორმა ნიკოლაი ფილიპოვსკიმ.

* КОШОЛ - თხა. სიტყვების თამაშია გვარზე - КОШОВ - აგებული (მთარგმ.)



ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ ცნობილი რუს-ამერიკელი მწერალი *ვასილი აკსიონოვი* და მოსკოვის კულტურული საზოგადოება.

- გარკვეული თვალსაზრისით, - დიანყო ცნობილმა მწერალმა, - ჩვენ ყველანი გოგოლის „Шинель“-იდან კი არ გამოვსულვართ, არამედ სხვა სამასოიანი სიტყვიდან...

ყველაფერი გასაგებია — გაიფიქრეს იქ მოვლამ ქალბებმა.

КГБ*, გაიფიქრა ცნობილმა მოსკოველმა მხატვარმა, იგივე ცნობილმა პარიზელმა არტისტმა და გამომცემელმა *ელადიშერ კოტლიაროვმა, ტოლსტიდ*** ნოდებულმა.

- მე „Нос“-ი*** ვიგულისხმებ, - დაასრულა მწერალმა.

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოში ცნობილი ფერმწერი, კიდევ უფრო ცნობილი, როგორც მოქანდაკე, *ერნსტ ნეიზეცტნი* და ძველი დროის პოეტი *ანდრეი ვოზნესენსკი*.

- კარგად გიკივია, ერიკ, - მშვიდად მიუახლოვდა ვოზნესენსკი, თან თავით მისი ფერწერული ტილოს კენ ანიშნა, კედელზე რომ ეკიდა.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა უპასუხა მეტრმა, რომელმაც კედელთან მდგარი მისივე სკულპტურის კენ მიანიშნა.

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ მისი უცვლელი დირექტორი *ნიკოლაი ფილიპოვსკი* და უახლოეს ნარსულში ცნობილი გალერისტი *ტატიანა ნედზეცკაია*.

- გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ყველაფერი სულაც არაა ისე, როგორც უნდა იყოს, გალერეა „დომინანტი“ კი არის ბრილიანტი, - ძალდაუტანებლად შეეცადა გახუმრებას უცვლელი დირექტორი.

ხუმრობა ჩაიფუძა. ამანაც ნახა რა, ვისთანაც უნდა ეხუმრა. — ქალთან.

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ სამოცდაათიანებში ცნობილი შესანიშნავი ანდერგრაუნდის მომღერალი *ლინა შტრეჩანინი* და მისი კონცერტმასტერი, პიანისტი *ვევენი ტალისმანი*.

- ლინა, - დაბეჭდილებით მიუახლოა ოთხმოცდაათიანებში ასევე ცნობილი მომღერალი და პოეტი *ლენა დუნსკაია*. — ერთმანეთს ხომ არ გავგვაცნობდი? ვინ არის ეს?

- ა, ეს? — გაოცდა შესანიშნავი მომღერალი, - ეს ჩემი „ტალისმანია“****

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ ჯერ კიდევ სულ ახალბანს ცოტა ვინმესთვის ცნობილი ხელოვნებთმცოდნე *დამა ფილიპოვსკაია* და დიდი ხანია მსუხარედ ცნობილი გალერისტი *ნიკიტა იურიევიჩ ანდრიევიჩი*. აბა, რა საერთო თემაზე — თუ ღმერთი გნამთ, მითხარით, - უნდა ელაპარაკათ ამით.

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოველი გალერისტი — *ალექსანდრ იაკუტი*, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ცნობილი თავისი დასავლური ორიენტაციით, და *მიხაილ აგროსკინი*, უკვე დიდი ხანია ცნობილი თავისი აღმოსავლური ორიენტაციით.

- ხალხი დეფოლტშია, თქვენ კი პირდაპირ ყვავით, - ყოველგვარი ფარული ჩანაფიქრის გარეშე მიუახლოვდა იაკუტი.

- ადგილი უნდა იყოფდეს, - იდუმალი ლიმილი მოეფინა აგროსკინს.

ასეა, აღმოსავლეთს სულ უნდა უფროთხილდეს.

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ მისი უცვლელი დირექტორი *ნიკოლაი ფილიპოვსკი* და სკანდალურად ცნობილი მწერალი *იუზ ალექსეოვსკი*.

- ალექსეოვსკი, მწერალი, - თავაზიანად წარუდგა მწერალი.

- ძალიან სასიამოვნოა; ნიკოლაი ნიკოლაევიჩ, - არანა კლები თავაზიანობით მიუგო დირექტორმა.

- ამით რისი თქმა გასრულდება? — მხრებით აიჩეჩა შეცბუნებულმა ალექსეოვსკიმ.

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ რუსი მწერალი *ალექსანდრ სერგეევიჩ პუშკინი* და რუსი მწერალი *პოპტრ კაკიჩი*.

კაკიჩი — ეს ჩვენი პუშკინია ვაშვინი, დარდიანად გაიფიქრა მახლობლად მდგომმა შესანიშნავმა რუსმა მწერალმა და ფოლოსოფოსმა *ივორ შველიოვმა*.

* КГБ – სუკო

** толстый – სქელუა.

*** Нос – ცხვირი.

**** талант – თილისმა, ავეაროზი. სტყევების თამაშია (მთარგმ.)

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხედნენ თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო ცენტრის დირექტორი **მიხაილ მინდლინი** და მისი უშუალო მხატვრული ხელმძღვანელი **ლეონიდა ბაჭანივი**.

- მიმა, ჩემზე ის სულელური ანეკდოტი თუ გიაბებს? — ჰკითხა რაღაცით უკმაყოფილო ბაჭანივი.

- ვფიქრობ, არა, ლეონიდა აღუქსანდროვიჩ, ყოველ შემთხვევისთვის თავი დაიხლები მინდლინი, - თქვენზე არ უამბობიათ.

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხედნენ რუსი მწერალი **იგორ იარკევიჩი** და რუსი მწერალი **ელადიორ სოროკინი**.

რა ჩემი სირია, თუ იტყვი, რომ იარკევიჩი რუსი მწერალია. ამის თქმა ზუსტად იგივეა, რომ თქვა — სოროკინი რუსი მწერალია. ანუ კვლავ — რა ჩემი სირია ამის თქმა. სოროკინი და იარკევიჩი — ახალი რუსი მწერლები. ასე გაიფიქრა ახლომანლო მდგომარეობა ახალმა რუსმა მწერალმა **ვიქტორ ეროფეევმა** და ხმაბლად გააქარვა.

„გაქარვევა — ეს ისეთი ნოუმენალურია... ამში არაფერია ფენომენალური — იმაში, რომ გააქარვო“, - ფილოსოფიურად შენიშნა ამაზე ძველმა რუსმა მწერალმა ვენედიქტ ეროფეევმა.

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხედნენ ფრანგი სლავისტი **რენე გერრა**, როგორც რუსული „ვერცხლის რაუტის“ უკანასკნელი კოლექციონერი, და რუსი მწერალი **ალექსანდრ შოროხოვი**, ცნობილი, როგორც ლიტერატურის დარგში ბუკერის პრემიის უკანასკნელი ლაურეატი რუსეთში.

- თქვენ რა, ერთმანეთს არ იცნობთ? — თავაზიანად მიუახლოვდა საფრანგეთიდან ჩამოსულ სტუმარს გალერეის უცვლელი დირექტორი ნიკოლაი ფილიპოვსკი, - ჩვენი ცნობილი სამა შოროხოვი.

- დიხ, დიხ, მახსენდება, - ძალდაუტანებლად დაუკრა თავი ფრანგმა, - მაგან, მგონი, საათი მოიპარა თუ მაგას მოპარეს საათი, მაგრამ რაღაც ასეთი კი მოხდა.

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხედნენ ორმოც წელზე მეტი ხნის უნახავი მეგობრები (თუმცა ეს სიტყვა მთლად ზუსტად ვერც გადმოსცემს მათ ურთიერთობას), ამ წიგნაკის ერთ-ერთი ავტორი **ნიკოლაი ფილიპოვსკი** და ცნობილი, როგორც ქართველი მწერალი, **ოთარ ნურნუშია**, შესანიშნავი პიროვნება, რომელიც, როგორც გაირკვა, მთელი ამ დროის განმავლობაში ცხოვრობდა მოსკოვში, როგორც კავკასიური წარმოშობის პირი.

- ნიკო, სიმართლე მითხარი, რატომ წერ შენს თავზე ყოველთვის ასე: „ავტორთაგან ერთი?“ - არანინანსარგანზრახულად მიუახლოვდა ცნობილი ქართველი მწერალი.

- ოთარ, ძვირფასო, იქნებ არც დაიჯერო, მაგრამ ავტორთაგან მე მართლაც ერთი ვარ, - თავმდაბლობიერად უპასუხა ავტორთაგან ერთმა.

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხედნენ ამ წიგნაკის ერთ-ერთი ავტორი **ნიკოლაი ფილიპოვსკი** და მისი ძველი მეგობარი, უკვე ცნობილი შესანიშნავი ქართველი მწერალი **ოთარ ნურნუშია**.

- კობა, შავით თეთრზე გარკვევით გინერია, რომ პარიზში ლიბონოვს შეხვდი და იმან გაითხრა ქართველი მწერლები ვის რაში სჭირდება, ადგენენ და თვითონვე იკითხონ თავიანთი ნაწერები, - თანამეინახეს მიუახლოვდა ქართველი მწერალი.

- იყო ეგეთი რამ, ბატონო ოთარი, ნუ გეცინება, - შეცბუნდა ერთ-ერთი ავტორთაგანი.

- რას ამბობ, ნიკო, ვეთყავა, რომელ წყნახე მელაპარაკები. მწერლები რა, ციტრუსოვნები ხომ არ არიან, ყველას და თითოეულს, თეროსაც და შავსაც სჭირდებოდნენ, - უპასუხა ცნობილმა მწერალმა.

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხედნენ არტევეტრანები, თანამედროვე რადიკალური ხელოვნების წარმომადგენლები — ცნობილი რუს-ამერიკელი მხატვარი **ვიტალი კომარი** და არანაკლებ ცნობილი რუს-ამერიკელი მხატვარი **ალექსანდრ მელამიდი**.

- იქნებ მასწავლო, - თავაზიანად მიუახლოვდა მათ უკვე ცნობილი ხელოვნებათმცოდნეობის სტუდენტი პაპა ფილიპოვსკი, - თუ შეუძლია თავს, კაკალი დაღრმანს?




- არა, - ერთხმად უპასუხეს კომარმა და მელამიდმა, - თავი ციცივი ხომ არ არის; კაკლის დაღრმან არ შეუძლია.

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხედნენ მისი უცვლელი დირექტორის ცოლი და თვითონაც არტდირექტორი **ტატიანა ფილიპოვსკაია** და **ვიარესლავ პიეტუხი**, ცნობილი მწერალი და ახლა უკვე ცნობილი გალერისტის ირინა ფემოვიჩის ქმარი.

- მშვენიერებასთან მისახალხლად მოვედი, - ჩვეულებისამებრ მიუახლოვდა ცნობილი მწერალი.

- მიახლდე, - დირექტორის ცოლმა თვალები შეცბუნებით ააფახულა და ლუსა საკოცნელად მიუშვირა.

ახალი წიგნები



11/44/8

ფასი 2 ლარი



ნომერში გამომყენებულია პაპუნა პაპასკიტის ნამუშევართა ტუბეტდუქციები

